ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

9

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტი

315
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

9

სექტემბერი
1983
თბილისი
სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ალსაზიშვილი
თეიმურ გეჯიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გიორგი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიბლიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
პეთანდილ ჩხეიძიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოზი წერეთელი
ტარიელ ქანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოფაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

კომეზია და პროზა

3. კოლაუ ნადირაძე. ლექსი
4. ჯემალ ქარჩხაძე. ქარავანი. რომანი. გაგრძელება.
44. ბელა ზალგაშვილი. ლექსები
46. ნუგზარ შატაიძე. ორი ნოველა
53. ჯანო ჯანელიძე. ლექსები
56. მზია ხეთაგური. ლექსები
59. მიხეილ ანთაძე. კიბოგითი რეფლექსები. მოთხრობა
83. ბენო კალანდია. ლექსები
86. ზადიგან შამანაძე. ლექსები
88. მანანა აბიბრეჯანი. მოცალეობის ქამს, ანუ გარეთ რომ თოვდა და შინ თბილოდა. მოთხრობა
95. მურად ნიბიერიძე. ლექსები.
97. გულო კოგიაშვილი. მოთხრობები

ასფურცელა

107. მედეა კახიძე. ლექსები

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

109. ლოვარდი ტუხაშვილი. ეროვნული ხსნის გზასაქართან

კუგლიციისტიკა

115. ჯანსუღ ღვინჯილია. ჩვენი დუმილის კასუხად...

წერილები

123. გიორგი გაჩეჩილაძე. ონტოლოგიური შიშის რაინდი
126. თამარ ლოგიძე. ძნელი გზა ლეგენდიასაკენ
131. ზეფა ხორავული. „ორი ცა"
134. ბაჩანა გრეგორაძე. ნიკოლო მაკიაველი
148. შოთა რევიშვილი. ჰერდერი ქართველებისა და გასაკების შესახებ
152. მანანა გელაშვილი. კოლრიჯის შემოქმედებით კრიზიციათა ზოგიერთი თავისებურება

სპორტი

156. აპოლონ ჭორდანია. შეხვედრა რედაქტორთან და ლეგენდა № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

პატარა ვედრება შავი ზღვის პირას

ბავშვის წმინდა თვალებივით,
წმინდა არის ზეცა.
აბრეშუმის მანდილივით,
ქარი ტალღებს ჰკეცავს.
და... ზღვა არის ისე ლურჯი,
ისე ლურჯი, დიდი...
ქვეყნად, ღმერთო,
ეს სიცოცხლე
დაამკვიდრე მშვიდი!
ქვეყნად ღვთის ძეთ
მიღებული,
ჯვარს ხომ მისთვის აცვეს,
რომ ისურვა კაცთა შორის
მტრობა, შური დაცხრეს,
რომ ისურვა,
ხალხთა შორის
ყველგან ძმობა დარჩეს!
განგვარიდე, ძალავ ცისა,
წარსულ დროთა ძალებს —
მტრობის, შურის, წამებისა
და ღალატის მტარებს,
რომ დღეადგმ არ ვხედავდე
გმირთა ტანჯულ სახეს,
კალოს ბავშვთა გალეწილთა,
დემნას დათხრილ თვალებს!!!
კურთხეულ ჰქმენ, განანათლე
ყველა ხალხთა ბედი!
ჩემს სამშობლოს, ჭირმოხდილსა,
განუმტკიცე მკერდი!
დაკნინების და დაცემის
განაშორე ხვედრი.
აღმაღლე სულიერად,
განაშორე ბოროტს,
რომ ნათელი გონებისა
წინ უძღოდეს მხოლოდ!
გვედრებ:
ჩემშიც დაკურთხე,
რასაც გულით ვქმნიდი,
ჩემს სულსა და...
ჩემს ხორცს შორის
გასდე გამძლე ხიდი!
ნუ ჩამიხშობ
აღმაფრენას,
ციურძალთა დენას,
ჩემს სალოცველს
ერთადერთსა,
ჩემს მშობლიურ ენას!!
ეს სიწმინდე ხელუხლები
სიკვდილ-დღემდე დარჩეს,
რომ ჩემს სიტყვას,
გულისნადებს
შენი მადლი აჩნდეს!!
ბავშვის წმინდა თვალებივით
წმინდა არის ზეცა.
აბრეშუმის მანდილივით
ქარი ტალღებს ჰკეცავს.
ზღვა ვედრებას ჩემსას ისმენს,
ტალღებს აელვარებს...
ვიღაც აღებს, ღიად ტოვებს
ზეცის მეცხრე კარებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

ქარავანი

რომანი

თავი მეოცე

შაბათს აბელს დილიდანვე აჰყვა სამსონზე ფიქრი და მთელი დღის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ მოიშორა.

„რა ჩემი საქმეა!“ — გაგულისებით ამბობდა გუნებაში და ფიქრი სხვა საგანზე გადაჰქონდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სამსონი, მაღალი, აყლაყუდა, ქოლი წვერით, გრძელი ცხვირით, დიდრონი კბილებითა და ბავშვურად გულკეთილი ღიმილით ისევ შემოიპარებოდა ფიქრებში.

თუ მერიმ წერილი მართლა გაუგზავნა, სამსონს იგი უკვე მიღებული და წაკითხული უნდა ჰქონოდა. ხოლო, რომ გაუგზავნიდა, ამაში აბელს ეჭვი არ ეპარებოდა.

„რა ჩემი საქმეა! კისერი უტეხია ყველას!“ — ცხარობდა გულში, მაგრამ ეს გაცხარება საქმეს ვერ შველოდა, რადგან ეჩვენებოდა (თუმცაღა ვერ გაეგო, რატომ), რომ თვითონაც უნდა ეგო პასუხი, და რაც ყველაზე უცნაური და ყველაზე სულელური იყო, პასუხი უნდა ეგო ორივე მხრიდან, მერის მაგივრადაც და სამსონის მაგივრადაც.

თავიდან ყველაფერი მარტივი და იოლად მოსაგვარებელი ეჩვენებოდა. სამსონმა ხომ ამაყად და საბოლოოდ შეაქცია ზურგი ამქვეყნიურ ცხოვრებას, სადაც პატივმოყვარეობა და ეგოიზმი პარპაშებს, და თავისი საკანის დიდი სიმაღლიდან აუმღვრევლად გადმოჰყურებს ადამიანთა უაზრო ფუსფუსსა და ვნებათა ღელვის ორომტრიალს. სამსონი წაიკითხავდა მერის წერილს, გულკეთილი ღიმილით დახვევდა და ნაკუწებს ფერფლივით მიმოაბნევდა ქვემოთ, რუკასავით გადაშლილ ქალაქში. მერე და მერე, კარგად რომ დაფიქრდა და ზოგიერთი მრავლისმთქმელი წვრილმანი გაიხსენა, თანდათან დაეჭვდა. ჩვეულებრივ, ადამიანები, როცა რაიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან, ყოველივეს აწონ-დაწონიან, მყარ გადაწყვეტილებას მიიღებენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგამენ პრაქტიკულ ნაბიჯს. სამსონი, როგორც წესი, პირიქით იქცეოდა: გადაწყვეტილებას საერთოდ არ იღებდა, პირდაპირ პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა და მერე ასაბუთებდა და ამართლებდა ამ ნაბიჯს. გამართლება კი, მით უმეტეს, იმ საშუალებებით, რომლებსაც სამსონი მიმართავდა ხოლმე, ყველაფრის შეიძლება.

სამსონის ხასიათის სწორედ ამ თვისებამ დააფიქრა და დაეჭვა აბელი. სამსონი ღმერთს ეთათბირებოდა და მისგან იღებდა რჩევასა და მოქმედების ბიძგს. ღმერთი კი, კაცმა არ იცის, როდის რას გირჩევს და როდის საით გიბიძგებს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 6, 7, 8.

„რა ჩემი საქმეა!“ — კიდევ ერთხელ გაიფიქრა აბელმა და საღამოს ექვს საათზე სახლიდან გავიდა...

— მობრძანდით! — მოისმა შიგნიდან სამსონის ხმა, როდესაც კარზე დაკაკუნა.

აბელმა კარი შეაღო და შევიდა.

პატარა სარკმლის თაროზე მრგვალი, ფეხიანი სარკე იდგა. სარკეში სამსონი იცქირებოდა. მარცხენა ხელი ზემოდან ჩაეკვლო მარჯვენა ღაწვზე, საფეთქლის ქვემოთ, კანს ჭიმავდა, თან ყბას გვერდზე იქცევდა და იღიმეებოდა. მარჯვენა ხელში სამართებელი ეჭირა. ცალი ლოყა უკვე გაპარსული ჰქონდა და ახლა მეორეს ამთავრებდა. ნიკაპი, ეტყობა, ბოლოსთვის შემოენახა, იქ ჯერ კიდევ კონწიალობდა შემორჩენილი წვერი და ამიტომ სამსონი ცოტათი თხას ჰგავდა.

— ოჰ, აბელ, გამარჯობა! — მხნე კილოთი მიესალმა სამსონი. — დაჯექი. ახლავე მოვრჩები. ორ წუთში.

შუა ოთახში სკამის ზურგზე ეკიდა მუქი ლურჯი პიჯაკი რუხი ფერის ჯვარედინი ზოლებით, რომლებიც კვადრატული ფორმის უჯრებს ქმნიდა, ასევითვე შარვალი და სქელნასკვიანი, ალისფერი, პრიალა ჰალსტუხი.

— რა ამბავია, სამსონ? — აბელი არ მოელოდა, სამსონს თუ ასე შუა სამზადისში წაადგებოდა თავს, ამიტომ წამით კი დაიბნა, მაგრამ მერე ინტუიციას ენდო და გადაწყვიტა, ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახა თავისი ცოდნაცა და სტუმრობის ნამდვილი მიზანიც.

— შშვიდობა. — არხეინად, მაგრამ ცუდად შენიღბული კმაყოფილებით მიუგო სამსონმა, სარკიდან შემოღიმა და დიდრონი კბილები გადმოაყარა.

— მაინც?

— რა მაინც? — სამსონს, ეჭვი არაა, გული რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელით ჰქონდა სავსე, მაგრამ არ ჩქარობდა და სიამოვნებას იზოგავდა.

აბელი ტახტზე ჩამოჯდა და იქიდან ადევნებდა თვალს.

— წვერს რატომ იპარსავ?

სამსონმა ოდნავ შეაბრუნა სარკე ისე რომ აბელის გამოსახულება შიგ მოექცია.

— ახლა, — თქვა და გაჩუმდა, რადგან უკვე ნიკაპის გაპარსვას შეუდგა და იძულებული შეიქნა პირი მაგრად მოეკუმა. მერე, როცა შემორჩენილი წვერიც ჩამოიფხიკა, განაგრძო: — ახლა ასეა საჭირო. — თავი მაღლა ასწია, ნიკაპი წინ გაიშვირა, სახე მიატრიალ-მოატრიალა და გაპარსული ლოყები ყურადღებით შეამოწმა, თან შიგადაშიგ სარკეში თვალს აბელისაკენ აპარებდა. — ამ წუთას მოვალ. შენ უჩემოდ არ მოიწყინონ. — დაიბარა ბოლოს, პირსახოცი აიღო, მხარზე გადაიკიდა და გაპარსული წვერი ოთახიდან გაიტანა, რათა ქალაქში გადაეყარა.

სამსონი, თუმცა ბეჯითად კი ცდილობდა სიდინჯე შეენარჩუნებინა, აშკარად აცუნდრუკებული ჩანდა. აბელი მიხვდა, რომ დაიგვიანა. წვერის გაპარსვამდე რომ მოესწრო, იქნებ კიდევ რამე ეშველა და მოებრუნებინა იმ საბედისწერო გზიდან, რომელზედაც ფეხი უკვე მტკიცედ ჰქონდა შედგმული. ახლა კი, როცა წვერი გაპარსული იყო და კოსტიუმი — შეძენილი, აბელის აზრით, საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. სამსონი ახლა მარშით მიდიოდა პირდაპირ ხაფანგისაკენ. თავიდან აბელს განზრახული ჰქონდა, ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, რაც ქალბატონი სალომეს სალონში მოხდა. სწორედ ამიტომ მოვიდა. მოვიდა და გადაიფიქრა. აღარაფრის მოყოლას აღარ ჰქონდა აზრი. ოთახიდან გამავალ სამსონს რომ უყურებდა, აბელს ჯერ ეგონა, თითქოს სიმართლის თქმა იმიტომ გადაიფიქრა, რომ სამსონი შეეცოდა, ვერ გაიმეტა იმედგაცრუებისათვის ასეთი გრანდიოზული მზადების, ასეთი დიდი მოლოდინის, ასეთი ძლივშეკავებული სიხარულის შემდეგ. მერე, როცა სამსონი გავიდა და კარი გაიხურა, მიხვდა, რომ

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცოდება არაფერ შუაში იყო, უბრალოდ, გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა. არა. სამსონის ბედი უკვე გარკვეული იყო. ამაში აბელს ეჭვი აღარ ეპარებოდა. ახლა აქ მოსვლას ნანობდა და წასვლა უნდოდა, მაგრამ წასვლაც ეძნელებოდა. რაკი მოხვედი და ასეთი გარდასახვის მოწმე შეიქენი, ხომ უნდა გამოიკითხო ბოლომდე მიზეზი? მით უმეტეს, რომ სამსონს პასუხი მზადა აქვს, ის პასუხი გულში ვერ დაუტევია და სწორედ გამოკითხვას მოელის შენგან, ამიტომაც გაეხარდა შენი სტუმრობა. და რომც არ ჰკითხო, მაინც გიპასუხებს, შენს მაგვრად თვითონ დასვამს კითხვას და, სანამ ბოლომდე არ იტყვის სათქმელს, არ გაგიშვებს.

კაცმა რომ თქვას, აბელს ცოტათი აინტერესებდა კიდეც, რა გამართლება მოუძებნა სამსონმა თავის საქციელს.

ამასობაში სამსონი შემობრუნდა. გაპარსული სულ სხვანაირი იყო. სახე სასაცილოდ პატარა და გამხდარი გამოუჩნდა. ცხვირიც უფრო დაგრძელებოდა. მხოლოდ ღიმილი ჰქონდა ძველებური.

— კოსტიუმიც გიყიდია, — უთხრა აბელმა.

— კი. ამ დილით ვიყიდე. მოგწონს?

— მე მგონი, კარგია. ტანზე როგორა გაქვს?

— კარგად. ჩემი ზომაა.

აბელი ცოტა ხანს უხმოდ იყო. მერე უთხრა:

— გეტყობა, ახალ ცხოვრებას იწყებ.

— ახლა ასეა საჭირო, — მძიმედ თქვა სამსონმა, აბელის წინ შეჩერდა, ფეხები განზე გადგა და ხელები მკერდზე დაიკრიბა. — დღეს, როცა სამყარო არიმანული სულით ასე ძლიერაა გაჟღენთილი და კაცობრიობის ბედი სასწორზე დევს, უმაღლესი პრინციპი ჩვენგან თავგანწირვას მოითხოვს. მე, შენ ეს კარგად იცი, იოლად შემიძლია მონობის ბორკილი დავამსხვრიო, ინტელექტის დუალიზმს თავი დავაღწიო, ლოგიკის ზღუდე გავარღვიო და აბსოლუტის თვითჰვრეტაში გავიხსნიო, მაგრამ, სანამ კაცობრიობა გლობალურადაა სანსარის ტყვეობაში და მიზეზ-შედეგობრიობის რკალში ტრიალებს, ჩემი თავისუფლება სრული და უხინჯო ვერ იქნება. ასეთ დროს მე უფლება არა მაქვს ინდივიდუალურ თავისუფლებაზე ვიზრუნო. კაცობრიობის ყველა დიდი სულიერი მასწავლებელი, იქნება ეს ბუდა, ქრისტე თუ ათასი სხვა, რომლებიც ადამიანებისათვის შეუმჩნეველი და უცნობი დარჩნენ, იმიტომ იყვნენ დიდი და ჭეშმარიტი მასწავლებლები, რომ მოპოვებულ თავისუფლებაზე უარი თქვეს და ნებაყოფლობით დაბრუნდნენ კარმის წრებრუნვაში, რათა თანამომძღვებისათვის ხვედრი შეემსუბუქებინათ და ჭეშმარიტი გზა ეჩვენებინათ. დღეს ჩემი დაბრუნების ზარმაც ჩამოჰკრა და მე უნდა დავბრუნდე ფიზიკურ პლანში. ბოლოს და ბოლოს, — ცოტა სევდანარევი გამომეტყველებით გაიღიმა. — ქრისტემ ხორცი შეისხა და კაცად დაიბადა, ცოდვის გემო გაიგო და ილუზიის ტვირთი საკუთარი ბეჭებით აწონა იმისათვის, რომ ადამიანი ჭეშმარიტების გზაზე შეეყენებია. მე რომ კოსტიუმი ჩავიცვა, რა დიდი ამბავია. ერთი სიტყვით, ხვალიდან საერო ცხოვრებას ვიწყებ. — ხელები ჩამოუშვა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე სარკმელს მიადგა. ბოლოს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, არ მოუხედავს, ისე თქვა: — ალბათ ცოლსაც შევირთავ.

„შეირთავ, როგორ არა!“ — გაიფიქრა აბელმა.

— ვის შერთვას აპირებ? — ჰკითხა მერე.

— ვნახოთ, — იდუმალი ორეოფობით და ოდნავ ეშმაკური ღიმილით მიუგო სამსონმა.

— კარგი, — თქვა აბელმა. მაშ, შენ კიდევ ბევრი რამ გეკნება მოსამზადებელი და აღარ გაგაცდენ. წავალ.

— წადი, — უთხრა სამსონმა. — ქალაქში ალბათ დიდი ხმაური და მითქმა-მოთქმა ატყდება. მაგრამ შენ გეცო-

დინება, ვინ ვარ მე და რატომ დავბერუნდი.

„სხვასაც ბევრს ეცოდინება!" — გაიფიქრა აბელმა.

სამსონისგან წამოსული თეატრის გზას დაადგა. ცოტა გულდაწყვეტილი იყო იმის გამო, რომ სამსონის გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი და ნამდვილი ფასი იცოდა, და დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა სამსონის მონოლოგი, ყოველივე ეს რომ არ სცოდნოდა. მიხვდებოდა, რომ საამისო ბიძგი ქალაქიდან მოდიოდა, რომ სამსონს „დაუწრუპუნეს" და ამის გამო შეატრიალა კეხი ასე მკვეთრად და ასე ერთი მოსმით, თუ ვერ მიხვდებოდა და ეგონებოდა, ვითომ სამსონის ცნობიერებაში მოხდა რაღაც ობიექტურად უცნაური, მაგრამ სამსონისაგან ყოველ წამს მოსალოდნელი გადატრიალება, და თავი მართლა „დიდ სულიერ მასწავლებლად" წარმოიდგინა?

ამ კითხვას აბელმა პასუხი ვერ უპოვა და თავი მიინება, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იმაზე დაფიქრდა, ხვალ ღამე რომ სწვეოდა სამსონს, უკვე პირში ჩალა გამოვლებულს, გამასხარავებულსა და თავმოკრილს, რას იტყოდა? ამ ხელახალ შემობრუნებას რიღაცი ახსნიდა?

მაგრამ ამასობაში თეატრს მიაღწია, მუდამ მხიარულ და მუდამ ხალისიან თანამშრომლებში შეერია და სამსონი გადავიწყდა.

აბელს არც უფიქრია კვირა საღამოს პარკში სეირის საყურებლად წასვლა. მაგრამ რვის ნახევარზე რაღაცამ უბიძგა და, თვითონაც რომ არ მოელოდა ისე, უეცრად გადაწყვიტა წასულიყო. და არა მარტო წასულიყო, არამედ ანიც წაეყვანა თან.

ანი უბრალო და ბუნებრივი მორჩილებით, არც ხალისით და არც უხალისოდ, დაჰყაბულდა აბელის წინადადებას, მაგრამ, მეორე ოთახში რომ გადიოდა ჩასაცმელად, კართან შეჩერდა, მოტრიალდა და იკითხა:

— რა ჩავიცვა?

ამ ორი კვირის წინ აბელმა ცისფერი ლამაზი კაბა უყიდა და ამ ორი კვირის განმავლობაში ეს ცისფერი ლამაზი კაბა უქმად ეკიდა კარადაში. ანის, როგორც ჩანს, მისი ჩაცმა უნდოდა, მაგრამ საკუთარი ინიციატივით ვერ გაებედა.

აბელმა არაფერი შეიმჩნია.

— რაც გინდა, ის ჩაიცვი, ანი, — მერე ვითომ დაფიქრდა: — იქნება ის ახალი კაბა ჩაგეცვა. ძალიან გიხდება.

ანამ თავი დაუქნია და სიხარულის ღიმილი ვერ დამალა.

რვას ხუთი წუთი აკლდა, რომ საზაფხულო კინოს შენობას მიადგნენ. სალონური საზოგადოება უკვე შეკრებილიყო და სამსონის შესარცხვენად მონიშნულ ადგილს შორიახლოდან უთვალთვალებდა. ჯგუფ-ჯგუფად დასვირნობდნენ, ხმადაბალა საუბრობდნენ და ჯაშუშნის მრავალმნიშვნელოვანი მზერა იქითკენ ეპირათ, საიდანაც მათი ვარაუდით სამსონი უნდა მოსულიყო. ყველანი აქ იყვნენ მერისა და ქალბატონი სალომეს გარდა. ქალბატონმა სალომემ, ეტყობა, ღირსების დამცირებად მიიჩნია ასეთ უხამს ოინში მონაწილეობა და მართალიც იყო. აბელს არც ის გაკვირვებია, რომ მერი ვერსად დაინახა. მერი ალბათ არც მოვიდოდა, რათა შემთხვევით მართლა არ გადაჰყროდა სამსონს და გაუთვალისწინებელი ახსნა-განმარტება არ დასჭირვებოდა.

ანის დანახვაზე საზოგადოება შეიშმუშნა და აიმრიზა. აბელმა კი სულ ახლო მიიყვანა იგი და განზრახ დარდიმანდული ღიმილითა და ხაზგასმული შინაურულობით მიესალმა ყველას. კაცებმა გაკვირვებითა და გაბარაზებით, მაგრამ რაღაცნაირად მაინც დაუკრეს პასუხად თავი, ქალებმა კი ქმრების ერთგული ტუჩები აიბზუეს და დემონსტრაციულად შეაქციეს ზურგი.

მარტო პროვინციალი ქალწულები

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიქცნენ სხვაგვარად. ანის დანახვაზე აღტაცებული სახეები მიიღეს და აბელს ღიმილით მიეგებნენ.

— ეს არის, აბელ, ანი?

ანი დაფრთხა, მაგრამ აბელმა ხელი მოხვია და ისევ დამშვიდდა. ქალწულებმა ხელი ჩამოართვეს ანის და, როგორც აბელმა მოგვიანებით გაიგო, ამის შემდეგ არც ერთი, მათგანი სალონში აღარ გაჯაჭანებულა.

ამასობაში რვა საათი გახდა. სამსონი არ ჩანდა. აბელი გაკვირვებული და შეფიქრიანებული იყო. მისი ეს შეფიქრიანება ანის არ გამოჰპარვია და, როცა ერთი ორჯერ შეშფოთებით შემოხედა, აბელი იძულებული შეიქნა იმაზეც ეზრუნა, რომ საკუთარი განცდები ეკონტროლებია. ცხრის თხუთმეტი წუთი რომ შეიქნა და სამსონი მაინც არ გამოჩნდა, სალონის საზოგადოებამ ეს ამბავი მერის დამარცხების მაუწყებელ სიგნალად მიიჩნია, ხოლო ცხრის ნახევარზე დამარცხება უკვე უეჭველ ფაქტად იქნა აღიარებული და საზოგადოებაც ნელ-ნელა გაიკრიბა.

მაგრამ ის, რაც სხვებისთვის ფაქტი იყო, აბელისათვის ფაქტი არ ყოფილა. მან საკუთარი თვალით ნახა წვერგაპარსული სამსონი და იცოდა, რომ მერი არ დამარცხებულა. იქნებ სამსონი ბოლო წამს გონს მოეგო და უარი თქვა თავის დიდ ექსპერიმენტზე? მაგრამ გონს მოგება სამსონის ხასიათს მაინც-დამაინც ვერ ეგუებოდა, ამიტომ აბელმა ეს ვერსია მაშინვე უარყო, თუმცა სხვა, უფრო დამაკმაყოფილებელი ახსნაც ვერაფერი მოიფიქრა. ასეთი გაურკვევლობა თანდათან უმისსმართო ეჭვებად და ბუნდოვან შიშად იქცა, და ამ ბუნდოვან შიშში დროდადრო ელვასავით უეცრად და მოუხელთებლად ფეთქავდა რაღაც ცუდი წინათგრძნობა.

ერთხანს კიდევ იტრიალეს საზოგადოენ კინოს ირგვლივ, მერე შინისაკენ გაუდგნენ გზას. ერთი პირობა აბელმა გადაწყვიტა, ანი წაეყვანა და პირდაპირ სამსონთან წასულიყო, მაგრამ ამ განზრახვაზე მალევე აიღო ხელი. ჯერ ერთი, ინსტინქტური შიში აკავებდა, რადგან კაცმა არ იცოდა, რა ვითარება დახვდებოდა იქ, მეორეც, ანი რაღაც უცნაურ გუნებაზე დადგა და მოწყენილი და თავგაღაფენული უბრად მოსდევდა გვერდით. აბელი დარწმუნებული იყო, ანის არ გამოჰპარვია სალონის ქალთა ზიზღიანი მზერა, და მის უგუნებობას სწორედ ამას აბრალებდა. ერთი ორჯერ სცადა გაერთო და გაემხიარულებია, მაგრამ ამ ცდიდან სასიკეთო არაფერი გამოვიდა. მისი ნაძალადევი ხალისიანობა ტლანქი და მოუქნელი იყო და გულს არ ეკარებოდა.

ანი შინაც მობუზული, მოკუნტული, შესაბრალისად პატარა ჩანდა. აბელს თვალს არ უსწორებდა და ცდილობდა ლაპარაკისთვის თავი აერიდებია. ბოლოს, ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე, თავის ოთახში გავიდა და დაწვა.

გამთენიის ხანს აბელმა სიზმარი ნახა. ვითომ ციცაბო ფერდობზე ადიოდა. ფერდობი ხრიოკი იყო, მშრალი, მტვრიანი, ძნელი სავალი. ფხვიერ ნიადაგზე შიშველი ფეხის მოკიდება ჭირდა. ყოველ წამს შეიძლებოდა დაცურებულიყო და უფსკრულში გადაჩეხილიყო. გადავარდნის შიში ფეხისგულებში უღიტინებდა და კიდევ უფრო უძნელებდა სიარულს. აბელი ცდილობდა უკან არ მიეხედა, იცოდა, ამით შიში გაუმძაფრდებოდა, მაგრამ რაღაც ძალა არ ასვენებდა, თვალი თავისთავად გაუობოდა უკან. ბოლოს ცთუნებას ვერ გაუძლო და მიიხედა. იმავ წამს ფეხისგულებში ჭიაზქველები საშინლად აფუთფუთდნენ, სუნთქვა შეეკრა და ძარღვები მოუდუნდა. ქვემოთ თვალუწვდენელი უფსკრული იყო და ციცაბო, თითქმის შვეული ფერდობი. ზემოთ ასევე შვეულ, დაკიდებულ აღმართს ბოლო არ უჩანდა. აბელი შუაში იყო და ახლა იცოდა, რომ ვეღარც ზემოთ წავიდოდა, ვეღარც ქვემოთ. არ შეიძლებოდა აქ თუნდაც რამდენიმე ნაბიჯი გაეკლო ისე, რომ ფეხი არ დასხლტომოდა და ქვასავით არ დაქანებულიყო ქვევით. ხე არსად ჩანდა ირგ-

ვლივ. ბუჩქი არსად ჩანდა, ბალახიც კი არ იყო, რომ ხელი მოეკიდა და მეცრე იმედად მაინც დაეგულებია. აბელს სისხლი გაეყინა, ცივმა ოფლმა დაასხა, თვალები დახუჭა. რაღაც უნდა ეღონა, თორემ ასე ჰაერში გამოკიდებული სანამ უნდა ყოფილიყო? სულ ერთია, ადრე თუ გვიან ერთ ადგილას ყოფნითაც დაიღლებოდა, ან ჩაეძინებოდა და უფსკრულში გადაჩეხვა არ ასცდებოდა. ცოტა ხანს შეიცადა, იქნებ ფეხისგულებში ჭიანჭველების ფუთფუთი შეწყდესო. შეწყვეტით არ შეწყვეტილა, მაგრამ ცოტათი კი შემცირდა. მაშინ გამბედაობა მოიკრიბა, ხელებით ფხვიერ მიწას დაეყრდნო, ცალი ფეხი გულის კანკალით ასწია და სულ ცოტათი წადგა წინ, მერე ეს ფეხი რამდენადაც შეეძლო მყარად დაეჭირა მიწას და ახლა მეორე ფეხი წამოიღო. მერე ისევ ხელები გადაანაცვლა შიშითა და კანკალით და ყველაფერი თავიდან დაიწყო. ცოტა ხანს ასე იარა, მაგრამ მალე ფეხისგულებს ისევ შეესია ჭიანჭველების ლაშქარი, ეს უცნაური, შემზარავი ჩხვლეტა თუ ღუტუნი მთელ სხეულს გადაეღო, ფეხქვეშ ნიადაგი გამოიშალა, ცალი ფეხი ჰაერში დარჩა, შეეცადა მეორე ფეხითაა და ხელითაც გამაგრებულიყო, მაგრამ მოძრაობა მკვეთრი გამოუვიდა, მეორე ფეხიც მოსწყდა მიწას, მუცლითაა და გაშლილი ხელებით დაცურდა, წამით ყველაფერი გაკრა, მერე იგრძნო, ცარიელ სივრცეში იყო, ფერდობი აღარსად ჩანდა, ყოველ წამს მოელოდა, რომ სადღაც დაეცემოდა, სადღაც ეკნებოდა ბოლო ამ უფსკრულს. იმდენ ხანს ეშვებოდა, რომ შეეჩვია კიდეც. ცოტა დამშვიდდა და ახლა უკვე წუნარი გაკვირვებით ფიქრობდა, რა არის ეს უფსკრული ასეთი, რომ ბოლო არ უჩანსო. ამ დროს ანი წამოდგა და თქვა: „მე უნდა წავიდე, აბელ“. ისინი მინდორში ისხდნენ, ტყის პირას, როცა ანი წამოდგა და თქვა: „მე უნდა წავიდე, აბელ“. „სად უნდა წახვიდე?“ გაუკვირდა აბელს. „დღე და ღამე ისეთია, როგორც აღმართი და დაღმართი. თქვა ანამ. — როგორც აღმართი ეფინება, თუ დაღმართი არ არის, და დაღმართი ვერ იქნება, თუ აღმართი არ არის, ისე დღე ვერ იქნება, თუ ღამე არ არის, და ღამე ვერ იქნება, თუ დღე არ არის. ამიტომ მარტო ღამეზე უარს ვერ იტყვი. ვისაც ღამეზე უნდა თქვას უარი, იმან დღეზეც უნდა თქვას უარი და ისეთი ადგილას წავიდეს, სადაც არც დღეა და არც ღამე“. „სადაა მერე ასეთი ადგილი?“ ჰკითხა აბელმა. „წიგნებში არ არის“, ცოტა მორიდებით თქვა ანიმ, თითქოს ეშინია, არ აწყენინოსო. — წიგნებში სიტყვებია და არა ადგილი“. აბელი ანის უყურებდა და მთელი არსებით უნდოდა რამე ისეთი ეთქვა, რომ წასვლა გადაეფიქრებინა, მაგრამ ვერაფერი მოიგონა. ბოლოს ჰკითხა: „შენ იპოვე ასეთი ადგილი?“ ანიმ სახეში შეხედა, შორეული სიღრმიდან წამოსული ღიმილი ისე გადმოიფრქვა თვალებიდან, როგორც სული, სახეს მოედო, ფოსოებსა და ტუჩის კუთხეებს მიაღწია და, როდესაც რაღაცამ დაკვესა და რაღაც უსახელო და უხილავი განათდა, აბელმა მყისიერად, მოუხელთებლად, მაგრამ საოცარი სიცხადით იგრძნო, რომ ბედნიერი იყო. ერთი იელვა, ჩაქრა და მორჩა. თითქოს გაელვებაც და ჩაქრობაც ერთდროულად მოხდა. ანი მოვიდა, დაიხარა, საფეთქელზე აკოცა და უთხრა: „მე შენ მიყვარდი, აბელ, და ამიტომ გითხარი დაძმობა. კაცებს ცუდი სუნი ასდით. ჩემზე უკეთ ეს ვინ იცის. თუ როდისმე მტრედად ვიქეცი, როცა ძალიან მოგენატრები, მარცხენა მხარზე ჩამოგიჯდები. მაგრამ ძალიან მსუბუქი ვიქნები და შეიძლება ვერც იგრძნო. მშვიდობით, აბელ“. ანი შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით წავიდა. აბელი უყურებდა როგორ მიდიოდა ანი, და გული ეკუმშებოდა. ბოლოს, როცა ანი სულ მიეფარა თვალს, თავი ვეღარ

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

შეეკავა და აქვითინდა. გრძნობდა, როგორ ზვავივით მოდიოდა ტირილი სხეულის სიღრმიდან, როგორ ნიაღვარივით არღვევდა ჯებირს მკერდზემოთ და როგორ ტალღასავით გადმოდიოდა გარეთ. შეკუმშული გული თითქოს შუბაში ეჭირა ვიღაცას, ვინც მტერი იყო, მაგრად უჭერდა ხელს და ცდილობდა გაესრისა. უეცრად ზარის შორეული ხმა გაისმა. წკრიალა ხმამ ნელა გადაიარა ჰაერი და სადღაც მიიკარგა. აბელმა ქვითინი შეწყვიტა და ყური მიუგდო. მეორედ რომ დარეკა ზარმა, ვიღაცამ, ვინც მტერი იყო, მუჭა გახსნა და შეკუმშული გული გაათავისუფლა. მერე ყველაფერი, ტყეც, მინდორიც, ცაც, ჰაერიც ერთმანეთს შეეერია და ერთიან უფორმო მასად იქცა. აბელს ეს მასა ირგვლივ ეკრა, როგორც ჭაობი, და ცდილობდა თავი დაეღწია მისგან. ბოლოს და ბოლოს, დიდი წვალებით ამოვიდა. ჭაობი გაკრა. ამ დროს კვლავ გაისმა ზარის ხმა და აბელი უცებ უსაზღვრო სიხარულით მიხვდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო და ანი არსადაც არ წასულა. გული ჯერ კიდევ უფრიალებდა, ძილი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადაწმენდილიყო გონებიდან. თვალი ძალისძალად გაახილა, მერე ისევ დახუჭა, მთელი სხეული მოადუნა, შეეცადა დამშვიდებულიყო და, როცა კიდევ ერთხელ დარეკა ზარმა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, ტელეფონი რომ იკლავდა თავს.

საწოლიდანვე გადასწვდა, თვალის გაუხელად მოაფათურა ხელი, ყურმილს მისწვდა და აიღო.

— გისმენთ!

— სალომე ვარ, აბელ, — მოისმა ყურმილში.

აბელმა ერთბაშად გაახილა თვალები, დაბნეული სწრაფად წამოჯდა საწოლში და შიშველ ბარძაყებზე მექანიკურად წაიფარა საბანი.

გისმენთ, ქალბატონო სალომე!

— აბელ, ხომ არ იცით, მერი სადაა?

აბელს თავი უცებ ისევ სიზმარში ეგონა.

— მერი?.. რა ვიცი... სად [illegible] იყოს...

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ყურმილში ისევ გაისმა ქალბატონი სალომეს ხმა:

— წუხელ სახლში არ ყოფილა.

აბელმა ფეხები ძირს გადმოჰყარა და ახლა ასე იჯდა საწოლზე.

— როგორ თუ... სადმე ამხანაგთან დარჩებოდა.

— ისე რომ შინ არ დარეკავდა? არა, აბელ, მერი ღამე არასოდეს არავისთან არ დარჩენილა. თქვენთვის ხომ არაფერი უთქვამს ისეთი, რომ საეჭვოდ მოგჩვენებოდათ?

აბელმა მეხსიერებას გადახედა.

— არა. არაფერი.

— აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ... კარგი, აბელ, გმადლობთ, — ქალბატონმა სალომემ ყურმილი დადო.

აბელი ერთხანს გაოგნებული იჯდა და ვერაფერი მოესაზრებინა. მერე მანაც დადო ყურმილი და სწრაფად, ფაცხაფუცხით ჩაიცვა ტანთ. სანამ სახლიდან გავიდოდა, სიგარეტი აანთო და მეორე ოთახში გასძახა:

— ანი! — და, პასუხს არ დალოდებია, ისე დაუმატა: — მე ერთ საათში დავბრუნდები.

ამ სიტყვებით სახლიდან გავიდა და ჩქარი ნაბიჯით შეუდგა ალმართს. ბედად, მალე ცარიელი მანქანა დაინახა და ხელი აუწია. მანქანა გაჩერდა. აბელი ჩაჯდა და მძღოლს სამსონის მისამართი უთხრა.

არ უფიქრია, რა უნდოდა სამსონთან, არავითარი ვარაუდი არ დაუწყვია, უანგარიშოდ აჰყვა ინტუიციის პირველსავე ბიძგს. როგორც ჩანს, მისდა უნებურად ყველაფერი გუშინდელ ამბავს დაუკავშირა.

მხოლოდ მაშინ, როცა მანქანიდან გადმოვიდა და კიბეს შეუყვა, გონებაში ერთი ორჯერ ბუნდოვნად ჩაიქრა ეკითხვამ, თუ რა უნდოდა სამსონთან, რა უნდა ეთქვა მისთვის, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა და ამიტომ ყურადღება არ მიუქცევია.

კიბე აიარა, ბანზე ავიდა, სამსონის სენაკს მიადგა და დაკაკუნა. შიგნიდან ჩამიჩიები არ ისმოდა. მეორედ რომ დაკაკუნა და პასუხი მაინც ვერ მიიღო, ინსტინქტურად მიაწვა კარს. კარი გაიღო. ოთახში არავინ იყო, აბელმა იცოდა, რომ სამსონი მას შემდეგ, რაც სამსახური მიატოვა, შუადღემდე არ დგებოდა ხოლმე, და ეს ამბავი ცუდად ენიშნა. ჯერ ზერელედ მოათვალიერა იქაურობა, მერე კარგად მოჩხრიკა. ყველაფერი, სამსონის მთელი ავლადიდება ადგილზე იყო. არ იყო მხოლოდ ახალი კოსტიუმი. აბელმა ერთხანს უაზროდ იტრიალა ოთახში, მერე გამოვიდა, კარი გამოიხურა და შინისაკენ გასწია.

შინ რომ დაბრუნდა, დაღლილ-დაქანცული სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ დამჯდარმა დიდხანს ვერ გაძლო. ისევ წამოდგა, ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ბოლოს ანის გასძახა:

— ანი!

რაკი ანი არ გამოეპასუხა, კარი ფრთხილად შეაღო და შევიდა.

ანი ოთახში არ დახვდა. ლოგინი დალაგებული იყო. აბელი აივანზე გავიდა და ეზო მოათვალიერა, მერე უკანვე გამობრუნდა, ახლა სახლის მეორე მხარეს, ფანჯრიდან გადაიხედა. ანი არსად ჩანდა. მაშინ ისევ ოთახში შებრუნდა და დაეკვეთებთ, რომელშიაც უკვე შიში შერეულიყო, იქაურობა უურადღებით მოათვალიერა. მერე კარადა გამოაღო. ახალი კაბა კარადაში ეკიდა. მალე აბელი დარწმუნდა, რომ ყველაფერი, რაც ანის გადმოსვლის შემდეგ იყიდა, აქ იყო, და ყველაფერი, რაც ანიმ თან მოიტანა, გამქრალიყო.

აბელს სიზმარი გაახსენდა. მერე სამსონთან წეღანდელი ყოფნა გაახსენდა, რომელიც ახლა აგრეთვე სიზმარს ჰგავდა. თავში წამით ყველაფერი აერია. ბოლოს ერთხელ კიდევ გამოვიდა სახლიდან. ამჯერად ანის ძველი ბინისაკენ აიღო გეზი.

ჰიშკარი რომ შეაღო, ეზოში ერთი კაცი, როგორც ჩანს, სახლის პატრონი, დაინახა. კაცი ღიპიანი იყო და ფერმეჭამელებით დაფარული სახე ჰქონდა. სპორტული პიჟამა ეცვა, თავზე ჩაჩი ჩამოეფხატა, ხელები იდაყვებში სასაცილოდ მოეხარა და ნელა, ჭოშინით დარბოდა ეზოში.

— უკაცრავად... — მიმართა აბელმა.

კაცი შეჩერდა, ხელები დაუშვა, მოტრიალდა და ცოტა გაკვირვებით, ცოტა გაბრაზებით შეათვალიერა აბელი.

— რა ამბავი?

— მაპატიეთ. ანი ხომ არ არის აქ?

— რომელი ანი? აა! ანი, მადლობა ღმერთს, კაი ხანია აქ აღარ ცხოვრობს.

— ეგ ვიცი, — უთხრა აბელმა. — მაგრამ ამ დილით ხომ არ მოსულა?

— არა, გენაცვალე! — მოწყვეტით მიუგო კაცმა, ხელები ისევ მოხარა იდაყვებში და სირბილი განაგრძო.

აბელი უკან გამობრუნდა. უკვე თეატრში წასვლის დროც იყო, ამ დილით რეპეტიცია ჰქონდა. მაინც მოასწრო სახლში ჩარბენა. კიდევ ერთხელ მოათვალიერა იქაურობა და დაუძახა კიდეც ანის, თუმცა ამჯერად ეს დაძახება გაუბედავი იყო, ხმადაბალი და უიმედო.

მერე თეატრში წავიდა.

შესასვლელში კარისკაცმა შეაჩერა.

— დირექტორმა, როგორც კი გამოჩნდება, ჩემთან ამოვიდესო.

— კარგი, — მიუგო აბელმა, თან გაიფიქრა: „რა უნდა?“.

დერეფანში ასლანი შემოხვდა. ასლანმა გაკვირვებით შეხედა.

— რა დაგემართა?

— არაფერი, — მშრალად მიუგო აბელმა და გულში უსიამოდ გაკეწწლა ფიქრმა, რომ შეშფოთება თურმე სახეზე ეწერა. შეეცადა დამშვიდებულიყო, მაგრამ, ეტყობა, ვერ მოახერხა, რადგან დირექტორის კაბინეტისკენ მიმავალს გედეონ რევია რომ შემოეყარა, ახლა მან კითხა:

— რამე შეგემთხვათ, აბელ?

ჯემალ ქარჩხაძე
ქარაპანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელმა გედეონს შეხედა. ასეთ სერიოზულ გამომეტყველებას მის სახეზე პირველად ხედავდა.

— ანი წავიდა.

გედეონი ისევ ისე სერიოზულად, თვალმოუშორებლივ უყურებდა.

— ეს მოსალოდნელი იყო, აბელ.

დირექტორი მარტო დახვდა. აბელი რომ დაინახა, თავი დაუქნია.

— აქ მოდი. — და როცა აბელი მიუახლოვდა, ხმადაბლა, თითქოს საიდუმლოს უმხელსო, უთხრა: — ქალბატონმა სალომემ დარეკა. რეპეტიციას რომ მორჩება, უსიკვდილოდ შემოიაროს ჩემთანო.

— გმადლობთ, — მიუგო აბელმა და გამოვიდა.

რეპეტიცია ცოტა უყურადღებოდ გაიარა და მთავარმა რეჟისორმა ერთი ორჯერ შენიშვნა მისცა.

რეპეტიციის შემდეგ, სანამ ქალბატონ სალომესთან წავიდოდა, კიდევ ერთხელ შეიარა შინ. გულუბრყვილო იმედი იმისა, შეიძლება ანი დაბრუნდაო, ჯერ კიდევ ფართხალებდა გულის სიღრმეში.

ანი არ დახვდა და მაშინვე უკან გამობრუნდა.

დაღლილი იყო. ფიქრები ეფანტებოდა და ვერაფრით ვერ ახერხებდა ერთ რომელიმე საგანზე შეეჩერებინა. თან რაღაც კომიკურ უგუნურებად ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ დღეს ამდენს დარბოდა.

ჰიშკარი თავად ქალბატონმა სალომემ გაუღო.

— შემოდით, აბელ, — ქალბატონ სალომეს ხმა ნაღვლიანი ჰქონდა, სახე — დაღლილი, გამოხედვა თავშეკავებულად ლმობიერი და ზომიერად მეგობრული, ისეთი, საერთო გაჭირვება რომ ძველ მტრებს შეარიგებს და დააახლოვებს.

ეზოში ორი მანქანა იდგა. ერთი მათგანი — შავი, ფარდებჩამოფარებული „ვოლგა“ ბატონი ვიქტორისა იყო, მეორე, აგრეთვე „ვოლგა“, ოღონდ მწვანე ფერისა, აბელმა გული იცნო.

— ოჰ, აბელ, რა გეშველება! — ამოოიხრა ქალბატონმა სალომემ, როცა ეზო გადაიარეს და ქვის კიბეს შეუყვნენ.

— ანიც გაქრა, — თქვა უცებ აბელმა, ისე რომ თვითონაც არ მოელოდა.

— ნუთუ მართლა? — მსუბუქად გაიკვირვა ქალბატონმა სალომემ. მერე დაუმატა: — თქვენი აზრით, ამას რამე კავშირი აქვს მერისთან?

აბელმა ხორხში უსიამოვნო სიმშრალე იგრძნო.

— არა.

კიბე რომ აიარეს, ქალბატონმა სალომემ მარჯვნივ შეაღო კარი.

— მობრძანდით, აბელ.

აბელი მოზრდილ ოთახში შევიდა, რომელიც, ეტყობა (აქ ყველაფერი, საწერი მაგიდაც, კარადაც, დივანიც, სავარძლებიც რაღაც უცხო ელვარებით ელავდა), ბატონი ვიქტორის სამუშაო კაბინეტი უნდა ყოფილიყო. ოთახში იყვნენ ბატონი ვიქტორი და დათიკო ბარაბაძე. ბატონ ვიქტორს მუქი ლურჯი კოსტიუმი ეცვა. შავი, წვეტიანი ფეხსაცმელები, ფოთლებიანი, ზომიერად ჭრელი პერანგი. ასევე ზომიერად ჭრელი ჰალსტუხი ეკეთა. დათიკო ბარაბაძეს რუხი კოსტიუმი ეცვა და შიგნით — ყელიანი ჯემპრი. ბატონი ვიქტორი დივანზე იჯდა და შეფიქრიანებული გამომეტყველება ჰქონდა. დათიკო ბარაბაძე ფეხზე იდგა, ხელები მკერდზე დაეკრიბა, ცოტა ფერდაკარგული იყო და ცალი თვალი ზომაზე მეტად გაფრობოდა განზე.

აბელის დანახვაზე ბატონი ვიქტორი წამოდგა.

— აა! აბელ! გამარჯობათ! — ხელი ჩამოართვა და დათიკო ბარაბაძეს მიუბრუნდა: — გაიცანი, დავით.

— ვიცნობ, — კეთილმოსურნე კილოთი თქვა დათიკო ბარაბაძემ, თუმცა ხმა ცოტა ჩავარდნილი და მოგუდული ჰქონდა. — ბორდაძეებთან შევხვედ-

რივართ ერთმანეთს, — ამ სიტყვებით ხელი გამოუწოდა.

— დაბრძანდით, — თქვა ქალბატონმა სალომემ.

იმავ წუთს კარი გაიღო და გოგონამ, რომელიც სალონის სტუმრებს ჭიშკართან ეგებებოდა ხოლმე, სინით ოთხი ფინჯანი ყავა შემოიტანა. ქალბატონმა სალომემ გოგონას სინი ჩამოაოთვა, ყავა თვითონვე ჩამოურიგა კაცებს, ერთი ფინჯანი თავისთვისაც დაიდგა და ცარიელი სინი გოგონას დაუბრუნა, რომელიც კართან ელოდებოდა.

ქალბატონი სალომე, ბატონი ვიქტორი და აბელი დასხდნენ. დათიკო ბარაბაძე არ დამჯდარა, თავისი ფინჯანი აიღო და ასე ზეზეურად დაიწყო სმა.

— თქვენ ალბათ მიხვდით, რატომ შეგაწუხეთ, — უთხრა ბატონმა ვიქტორმა აბელს და ყავა მოწრუპა. — წუხელ მერი სადღაც გაქრა. მთელი ქალაქი გადავაქოთეთ, მაგრამ კვალს ვერსად მივაგენით. თქვენ მერის მეგობარი ხართ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ვიცი, თვითონ თავის საუკეთესო მეგობრად გთვლით. ამიტომ ვიფიქრეთ, იქნებ რამე იცოდეთ, იქნებ რამე ისეთი ვერსია გაქვთ, რაც ჩვენ ვერ ვივარაუდეთ. სად შეიძლებოდა წასულიყო? რა მიმართულებით შეიძლება ვეძიოთ?

— დავითს ეჭვი აქვს, რომ ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს, — თქვა ქალბატონმა სალომემ.

— არ მოუტაციათ, — მიუგო აბელმა.

დათიკო ბარაბაძე მკვეთრად შემოტრიალდა მისკენ.

— რამე იცით? იცით, სად არის?

— სად არის, არ ვიცი, — აბელმა ბოლო ყლუპი დალია და ფინჯანი მაგიდაზე დადგა, — მაგრამ, ვისთან ერთად არის, ვიცი.

— ვისთან? — ერთდროულად შესძახეს ქალბატონმა სალომემ და დათიკო ბარაბაძემ. მხოლოდ ბატონ ვიქტორს არ ამოუღია ხმა. იგი ოდნავ მოუტუტული თვალებით დაკვირვებით შემოსცქეროდა აბელს, თითქოს რაღაც ისეთი წაკითხვას ლამობდა, რაც ნათქვამის უკან უთქმელი დარჩა.

— სამსონთან ერთად წავიდა, — მშვიდად თქვა აბელმა.

დათიკო ბარაბაძემ ხელები უღონოდ ჩამოჰყარა. ქალბატონმა სალომემ მსუბუქად შეჰკივლა და ლამაზი თვალები გაუფართოვდა. ბატონმა ვიქტორმა წყნარად იკითხა:

— სამსონი ვინაა?

— ერთი კაცია, რომელსაც ღმერთი სწამს.

— წიგნების მაღაზიაში რომ წვერებიანი გიჟი მუშაობდა? — ისეთი ხმით იკითხა დათიკო ბარაბაძემ, თითქოს დედა შეაგინესო, და სახე უცნაურად აეკრიბა. — ხომ არ გადაირიეთ!

— მოიცა, დავით, — უთხრა ქალბატონმა სალომემ, თუმცა თვითონაც ფერი წაუვიდა. მერე აბელს მიუბრუნდა: — ნუთუ ის სულელური სანაძლეო... თქვენ დარწმუნებული ხართ, აბელ?

— დარწმუნებული ვარ.

ბატონმა ვიქტორმა ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომერი აკრიბა.

— სასწრაფოდ მოძებნეთ ვინმე სამსონ... — აბელს მოუბრუნდა. — რა გვარია?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა აბელმა.

— გვარი არ ვიცით. — განაგრძო ბატონმა ვიქტორმა. — წიგნების მაღაზიაში მუშაობდა... — აბელს კითხვის თვალით შეხედა.

აბელი მიუხვდა.

— მოედანზე.

— მოედანზე. სუროთი მოძებნეთ და სასწრაფოდ გაამრავლეთ. როგორც კი მზად იქნება, შემატყობინეთ. — და ყურმილი დადო.

დათიკო ბარაბაძეს ფერი აღარ ედო. მარცხენა თვალის კაკალი, თითქოს

ჯემალ ჭარჩაძე
ჭარაგანი

თოკზეა გამოპმული და ვიღაც ეწევაო, სულ კუთხეში გაცურდა.

— მოკძებნით. — თქვა ბატონმა ვიქტორმა.

— კაცს ორი შვილი მაინც უნდა გაყავდეს. — ჩუმი ბოღმით, თავისთვის თქვა დათიკო ბარაბაძემ. — ერთს რომ ყელს გამოჭრი, მეორე დაგრჩება.

— დავით! — შეძრწუნებით შესძახა ქალბატონმა სალომემ.

დათიკო ბარაბაძემ რაღაცნაირი უცხო გაკვირვებით შეხედა ქალბატონ სალომეს და თვალი გაუშტერა. მერე თქვა:

— ერთი რომ გყავს, იძულებული ხარ, შენ თვითონ გამოიჭრა ყელი. — ამ სიტყვებით ტელეფონს მისწვდა, ყურმილი აიღო და ნომრის აკრება დაიწყო.

აბელი წამოდგა.

— მე, თუ აღარაფერში გჭირდებით, წავალ. — თქვა ისე, რომ კონკრეტულად არავისთვის მიუმართავს. — დღეს ბევრი საქმე მაქვს.

ბატონი ვიქტორი და ქალბატონი სალომეც ადგნენ.

— გმადლობთ, — უთხრა ბატონმა ვიქტორმა. — და ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის.

დათიკო ბარაბაძემ ხელით ანიშნა აბელს, დამიცადეო, თან უკვე დაიწყო ტელეფონში ლაპარაკი:

— ალო! მე ვარ, სოფო. ნუ გეშინია.. ნუ ფეფდები ყველაფერზე. კი ცოტა რამ გავიგე. — აქ აბელმა გაიგონა, როგორ გაისმა ყურმილში ქალის შეშინებული ხმა: „ცოცხალია?“ — ცოცხალია, ცოცხალი. დამშვიდდი. ცოცხალია და ეტყობა, ძალიან კარგადაცაა. მოვალ და ყველაფერს გეტყვი. წყნარად იყავი და არ ინერვიულო. კი, მალე მოვალ. — დათიკო ბარაბაძე ისეთი უმეტყველო კილოთი ლაპარაკობდა და ისეთი უმეტყველო სახე ჰქონდა, ვერ გაიგებდით, იმასვე ფიქრობდა თუ არა, რასაც ამბობდა. ლაპარაკი რომ მოათავა, ყურმილი დადო და აბელს უთხრა: — ერთად წავიდეთ, მანქანითა ვარ, — მერე ბატონ ვიქტორს მიუბრუნდა: — აღარ გვინდა ძებნა, ვიქტორ.

— რატომ? — თქვა ბატონმა ვიქტორმა. — დავადგინოთ, სად არის. ნუ ჩავერევით, თუ ასე გირჩევენა, მაგრამ თვალყური ვადევნოთ ყოველი შემთხვევისათვის.

— არა, — მიუგო დათიკო ბარაბაძემ. — დღეს-ხვალ ალბათ თვითონ დარეკავს.

— როგორც გინდა.

მასპინძლები ეზოში გამოჰყვნენ სტუმრებს. გოგონაც გამოვიდა, ჭიშკარი გაიღო და, დათიკო ბარაბაძე და აბელი რომ მწვანე „ვოლგით“ გავიდნენ, ისევ მიხუტა.

დათიკო ბარაბაძეს დიდი ხელებით ჩაებღუჯა საკე და თვალგაშტერებით იცქირებოდა წინ. ერთხანს ორივენი ჩუმად იყვნენ. ბოლოს დათიკო ბარაბაძემ თქვა:

— ასე ერთ წამში გენგრევა თავზე კაცს ყველაფერი, რასაც მთელი სიცოცხლე აკოწიწებდი. თქვენ საით წაგიყვანოთ?

— აქვე ჩამოვალ თეატრთან.

დათიკო ბარაბაძემ თავი დაუქნია. მერე განაგრძო:

— შენს ჭკუაზე როგორ ივლის ყველა... დედამიწი ქვეყნის უკეთესს ეძებდა სასიძოდ... აი, თქვენი თეატრიც, — ზედ შესასვლელთან გააჩერა მანქანა.

— გმადლობთ, — აბელმა კარი გამოაღო.

— ქორწილში ხომ მოხვალთ?

ხმის კილოცა და სახეც წელანდელივით უმეტყველო ჰქონდა. ამიტომ აბელს პასუხი არ გაუცია, მარტო ესლა უთხრა:

— კარგად ბაძანდებოდეთ.

თეატრში საქმე არაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც შევიდა. უაზროდ შემოიარა უკაცრიელი დერეფნები და ფოიეები. სადღაც, რომელიღაც ოთახიდან დომინოს ჭახუნი ისმოდა და შესასვლელში კარისკაცი თვლემდა. სხვა არავინ შეხვედრია. მალევე გამობრუნდა უკან და უმიზნოდ გაუდგა გზას. მო-

ედანს რომ მიაღწია, შინ წასვლა დააპირა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, მარცხნივ აუხვია და ქალაქის ბაღში შევიდა. ფერადი ქვებით მოკირწყლული ბილიკის პირას მწვანე მერხზე ჩამოჯდა. გრილოდა და მზის სხივები ეამა.

უცებ გაახსენდა, რომ პირველად სწორედ ამ მერხზე ნახა ანი. აბელს მაშინ იგი გიჟი ეგონა. ყველას ჩვენ-ჩვენი ჭკუა გვაქვს და რა გასაკვირია, ამ ჩვენ-ჩვენი სათვალთვალოდან ერთმანეთი გიჟი გვეგონოს. არც ისაა გასაკვირი, მართლა გიჟები ვიყოთ.

დათიკო ბარაბაძის ნეიტრალური კილო და ნეიტრალური სახე, ეტყობა, კარგს არაფერს მოასწავებდა. წეღან, ქალბატონი სალომეს სახლიდან რომ გამოვიდნენ, აბელი ერთი პირობა დაეჭვდა, იქნებ მერი და სამსონი სულაც არ წასულან ერთად და ეს ხალხი შეცდომაში შემყავსო. იქნებ სამსონისა და მერის გაკრთობა უბრალოდ დაემთხვა ერთმანეთს? ანიც ხომ გაკრა! მაგრამ ეს ეჭვი მაშინვე გაიფანტა, როგორც კი გაიხსენა, რომ, როცა ამ თავის ვერსიას ამბობდა, ისე ღრმად იყო დარწმუნებული მის სისწორეში, რომ ასეთი რწმენა არ შეიძლებოდა მცდარი გამომდგარიყო.

აბელი წამოდგა. ერთხანს ბაღში ვიწრო ბილიკებით იარა. მერე გასასვლელისაკენ გაემართა, ჭიშკარს გასცდა და კვლავ ქვემოთ, მოედნისაკენ დაუყვა ქუჩას.

და უცებ უცხო, მაგრამ უტყუარი, არსებობამდე არსებული ცოდნით მიხვდა, რომ ანის არ შეეძლო არ წასულიყო. როგორც მზეს არ შეუძლია არ ჩავიდეს, ისე ანის არ შეეძლო არ წასულიყო. მან მეტეორივით გადაიქროლა თავის მარადიულ ორბიტაზე, რომელიც ჯერ კიდევ დროის დაბადებამდე იყო მონიშნული, და სრულიად შემთხვევით აბელის ცხოვრების გზა გადაკვეთა. აბელს არ ესმოდა მისი, რადგან იგი სხვა ენაზე ლაპარაკობდა და სხვა ღიმილით იღიმებოდა. ხოლო მისი ცხოვრება ამ ქალაქში მწვირი ცნობიერების ნაყოფია. ანიმ ... ხანი დაჰყო აბელთან, რამდენიც სჭ... დებოდა იმისათვის, რომ მისი ცხოვრების გზა დადაკვეთა, ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასულიყო. მას აბელთან არაფერი ესაქმებოდა. უბრალოდ, რაკი გზაზე შეეჩეხა, გაუღიმა. ეს იყო და ეს. ამიტომ აბელმა გამთენიისას სიზმარი ნახა. ნახა კია? იქნებ სიზმარი არ ყოფილა? ან იქნებ ყველაფერი სიზმარია? იქნებ მერიც სიზმარში გაიქცა სამსონთან ერთად? იქნებ აბელი ახლა სოფელშია და ძველებურ, ხის ოდასახლში გამზეურებულ ლოგინში წევს და ძილში მზის სუნს გრძნობს. მალე ბებია გააღვიძებს, ხაჭაპურის ნაჭერს მისცემს და სამწყესურში გაგზავნის. სამწყესური წყნარი არარსებობის ნეტარი ჰამაკია. მაგრამ ამას არ ვჯერდებით და გული სხვა, ფართო ასპარეზისაკენ მიგვიწევს, სადაც მარტივისა და ბუნებრივის გართულება და გახლეჩვნურება ხდება.

ალიონზე აღმოსავლეთით დიდი, მრგვალი მზე ამოცურდება და ოქროს სხივებს მაღლით გადმოაყრის მოთეთრო ღილას. სხივები გრილ, მსუბუქ, გამჭვირვალე ჰაერში გაიბნევიან, ნარნარად ირწევიან და ხალისიანი სიცილით ელვარებენ. თხის კიკინი, ძაღლების შორეული ყეფა, სოფლის სუნი, მწვანე ბალახზე აბრეშყვიალებული ცვარი, თხმელისა და კაკლის ფოთლების ნელი შრიალი ისეთია, რომ შენი მთრთოლვარე და უსაწყისო არსებობაც ამ თეთრ ღილაშია გახსნილი, ჯერ არ გამოჰყოფიხარ, ჯერ არ გამოცალკევებულხარ, ჯერ არ გამკვრივებულხარ, ამიტომ საკუთარ არსებობას ისე განიცდი, თითქოს არც არსებობა არსებობდეს და არც არარსებობა.

სხვა ყოველივე კოშმარული სიზმარი და კონტრასტული ფონია.

ჯემალ ჭარჩაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერისა და სამსონის გაქცევა ქალაქმა იმავე დღეს შეიტყო. რა თქმა უნდა, არა აბელისაგან, არა დათიკო ბარაბადისაგან, არა ბატონი ვიქტორისაგან, არა სხვებისგან, ვინც თავისი თანამდებობისა თუ ბარაბაძეების ოჯახთან სიახლოვის გამო მოვალე იყო სცოდნოდა ეს ამბავი. ვინც მოვალე იყო ეს ამბავი სცოდნოდა, მან ისიც იცოდა, რომ იგი სიიდუმლოდ უნდა შეენახა. არა. ქალაქს სხვა წყარო აქვს, სხვა არხი, რომელიც იმდენად იდუმალი და უხილავია, რომ ვერავინ იტყვის, მართლა არსებობს თუ არა. იმ კაცს რომ დაუწყოთ ძებნა, ვინც პირველმა გიოგო სიიდუმლო და მერე დანარჩენებს აუწყა, ვერ იპოვით. არა იმიტომ, რომ ძნელი საპოვნელია, უბრალოდ, ასეთი კაცი ქალაქში არ არის. მეტიც: თანამედროვე მეცნიერების ყველა იარაღით რომ აღიჭურვოთ და მეთოდურ კვლევა-ძიებას შეუდგეთ, რათა იპოვოთ ის იდუმალი არხი, სიიდანაც ქალაქი ცნობებს იღებს, სულ მალე ლოგიკა ხელში შემოგადნებათ და იძულებული შეიქნებით განცვიფრებითა და მხრების აჩეჩვით აღიაროთ, რომ არავითარი არხი არ არსებობს. თუ მთლად თავგადაკლული მატერიალისტი არა ხართ, ბოლოს და ბოლოს დაასკვნით, რომ საძიებელი არხი არამატერიალური ფენომენია და ისეთ სფეროს განეკუთვნება, სადაც ლოგიკურ მეცნიერებას ხელი არ მიუწვდება.

ასეა თუ ისე, ქალაქმა ყველაფერი გიოგო და ისეთი სულიერი საზრდოც იშოვა, რომელსაც, ეჭვი არაა, კარგად ჩაატანდა გემოს და დიდხანსაც იმყოფინებდა. მერიმ, ბარაბაძის ქალმა, ლამაზმა, მდიდარმა, ყოვლისშემძლემ, დაპკრა ფეხი და ვიღაც სამსონთან ერთად გაიქცა. ასეთი სენსაცია ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ ხდება.

ამ ფონზე, რომელმაც ყველა ფანტაზია გააღიზიანა, ყველა მუნჯი აალაპარაკა, ყველა დავრდომილი სახლიდან გამოაგდო, ყველა ააფორიაქა და ყველას ჭორაობის საღერღელი აუშალა, ანის გაქრობამ სრულიად შეუმჩნეველად ჩაიარა და ორიოდე შინაურისა და ახლობლის გარდა (როგორიც იყო, მაგალითად, ნანო, რომელმაც დიდად გაიხარა და მყისვე მოუბრუნდა გული აბელზე) ამ ამბისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მერიმ მესამე დღეს დარეკა. უცნაური და საკვირველი ის იყო, რომ, სანამ დარეკავდა, ქალაქში უკვე დაბეჭითებით ლაპარაკობდნენ, სიძე-დედოფალი სადღაც ტაშკენტში თუ ბუხარაში არისო. მართალია, მერიმ სამარყანდიდან დარეკა. მაგრამ ეს ამბავი ქალაქის ტელეპატიურ ნიჭს იოტის ოდენადაც ვერ ამცირებს. ჯერ ერთი, რა დიდი განსხვავებაა ტაშკენტი იქნება, ბუხარა თუ სამარყანდი, ადგილსამყოფელი მაინც დიდი სიზუსტითაა გამოცნობილი, და მეორეც, როცა ქალაქი ტაშკენტზე და ბუხარაზე ლაპარაკობდა, ადვილი შესაძლებელია. გაქცეულები იმ დროს სწორედ ტაშკენტში და სწორედ ბუხარაში ყოფილიყვნენ.

ერთი სიტყვით, მერიმ დარეკა, დედამისს ელაპარაკა და აბელისა და ქალაქის ვარაუდი იმის შესახებ, რომ სამსონთან ერთად გაიპარა, დაუდასტურა. გავთხოვდიო, უთხრა, მე და სამსონს ერთმანეთი გვიყვარს და ერთმანეთთან ბედნიერად ვგრძნობთ თავსო, ეს რომ მეთქვა და დამემშვიდებინე, იმიტომ დავრეკეო, ღღეს სამარყანდიდან მივემგზავრებით და ძებნას ნუ დაგვიწყებთო, მეტს აღარ დავრეკავ. ტყუილად მოლოდინი არ გქონდესო, როცა საჭიროდ დავინახავთ, ჩამოგალთო, აბა, შენ იცი, არ იდარდო და არ ინერვიულოო.

დედა შეჰპირდა, არ ვინერვიულებო, და, ყურმილი რომ დადო, დამბლა

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეცა. ერთი კვირა გონს არ მოსულა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ გადაბარგდა კიდეც იმ უცხო ადგილ, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ნეტარ ქვეყანაში, სადაც ადრე თუ გვიან ყველა გადავსახლდებით.

გასვენებაში უამრავი ხალხი მივიდა.

დათიკო ბარაბაძეს, ისევდაც გამხდარ კაცს, ლოყები სულ მთლად ჩაუცავიდა, სახე ჩამოუგრძელდა და ოაღაცნაირად ბეჩავი გაუხდა, მოიკუნტა, დაპატარავდა, თითქმის მთელი მტკაველი დაიკლო სიმაღლეში. მარცხენა თვალის კაკალი ხომ, გეგონებოდათ, ცხენმა ლაგამი გადაღრღნა და აიწყვეტაო, წავიდა, წავიდა და სულ კუთხეში შეიმალა, თითქმის აღარც ჩანდა. სასაფლაოზე მან აბელი შენიშნა, ენერგიულად მოიშორა აქეთ-იქით ამომდგარი კაცები, რომლებსაც ხელები მკლავებში ჰქონდათ მისთვის ჩავლებული და სერიოზული, ღრმაააზროვანი, ცოტათი კუშტი სახეებით გასცქეროდნენ შორეულ სივრცეს. მოიშორა ორივე და აბელისკენ წამოვიდა. აბელი შეჩერდა და დაელოდა. დათიკო ბარაბაძემ ხელი მკლავში გამოსდო. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ და აბელი გრძნობდა ხალხის მზერას, რომელშიაც შური და მოწიწება ერთმანეთში იყო არეული. ბოლოს დათიკო ბარაბაძემ უგემურად გაიღიმა და თქვა:

— ბოლოს მაინც ყველა კვდება.

ეს შაბლონური ფრაზა რომ თქვა, აბელს ხელი გაუშვა და ისევ დაწინაურდა. წეღანდელი კაცები, ეტყობა, დადარაჯებული იყვნენ, მყისვე ამოუდგნენ აქეთ-იქით და ხელები მკლავებში ჩაავლეს.

დათიკო ბარაბაძემ დიდი ქნელები გადიხადა და ერთი კვირის შემდეგ თბილისს გაემგზავრა. რამდენიმე დღეში ისევ დაბრუნდა, ცოლის საფლაზე გავიდა და, როგორც ამბობენ (ქალაქს საიდუმლო საინფორმაციო არხი აქვს), ატირა.

კიდევ ერთი კვირა რომ გავიდა, ქალაქში ოთხი ჰალსტუხიანი კაცი გამოჩნდა. ოთხივეს ღიპი ედო, ოთხივეს პორთფელი ეჭირა ხელში, ოთხივე ფეხაკრეფილ, გამოზომილი ნაბიჯით დადიოდნენ. ოთხივე ჩამოსვლისთანავე ბატონი ვიქტორის რეზიდენციისაკენ გაემართა.

ქალაქის გული და გონება ჯერ კიდევ ბარაბაძის ქალთან დაკავშირებული მძაფრი შთაბეჭდილებებით იყო სავსე, დიდსა და პატარას ჯერ კიდევ მერისა და სამსონის იდუმალი გაქცევის ამბავი ეკერა პირზე. და აი, ამ დროს, როცა ბევრი რამ იყო სათქმელი, სავარაუდო, დასაზუსტებელი, მოსანელებელი, გახურებულ ტვინში ცეცხლოვანი ნაკადულის ახალი ზვირთი შემოიჭრა: გამოირკვა, რომ ის ოთხი დინჯი, სერიოზული და, თუ ღიპებითა და პორთფელებით ვიმსჯელებთ, დარბაისელი კაცი, რომლებიც ისე მოულოდნელად გამოჩნდნენ, თითქოს ციდან ჩამოცვივდნენ, თურმე კომისია ყოფილა და ამ კომისიას დათიკო ბარაბაძის საქმიანობა უნდა შეესწავლა.

ამას არავინ მოელოდა. მართალია, წინა კვირას აქა-იქ, უაღრესად საიდუმლო ვითარებაში, გაისმა ხმები იმის შესახებ, რომ დათიკო ბარაბაძემ „დუქანი დახურა“, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ამბავი თვითონ მთქმელებს არ სჯეროდათ, და მეორეც, თუნდაც ასე ყოფილიყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამას შეიძლებოდა „კომისია“ მოჰყოლოდა. ამატომ, პირველად რომ გაისმა სიტყვა „კომისია“ დათიკო ბარაბაძის სახელთან ერთად, არავინ დაიჯერა, შურის მიერ შეკოწიწებული ჭორი ეგონათ.

მაგრამ სულ მალე ეჭვმიუტანლად დადგინდა, რომ კომისია სავსებით რეალური რამ მოგლენა იყო, და ახლა თავზარდაცემული ქალაქი გარინდებული და გაოგნებული ადეგნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას.

კომისიამ სასტუმროში დაიდო ბინა, აქვე მოაწყო შტაბი და საქმეს შეუდგა. სამი კვირის განმავლობაში ღიპიანპორთფელიანი კაცები მუშაობდნენ შე-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსვენებლივ და უაღრესად სერიოზულად, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ სამი კვირის განმავლობაში არც ერთხელ არ გაუღიმიათ, არც ერთხელ არ დამთვრალან და არც ერთი წამით ღირსებისა და დისტანციის გრძნობა არ დაუკარგავთ. დაკვირვებული თვალი უთუოდ იმასაც შეამჩნევდა, რომ ფინიშთან ცოტა შეიბერტყნენ კიდეც. კომისია უფრო ხშირად შტაბში იმყოფებოდა და ნაირ-ნაირ სტუმრებს იღებდა. მათ შორის ბევრი ისეთიც ერია, რომლებიც სასტუმროში ფეზშედგმული აქამდე არავის ენახა. ზოგჯერ კომისია ობიექტებზე დადიოდა, ხოლო კვირაში ორჯერ, ჩვეულებრივ, საღამო ხანს, ბატონ ვიქტორს ეწვეოდა სამსახურში და იქ, მასთან ერთად, შუადამემდე იყო ხოლმე ჩაკეტილი.

სამი კვირა რომ გამოხდა, თავიანთი პორთფელები აიღეს და ისევე ერთბაშად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ. წასვლისას უფრო კუშტი სახეები ჰქონდათ, ვიდრე ჩამოსვლისას.

ქალაქმა უკვე იცოდა, რომ ეს შესაფალი იყო, წინასტყვაობა, თავარი სიუჟეტი წინ იდო. და მართლაც, ორი დღის შემდეგ მოხდა ის, რასაც გულში უკვე ყველა ელოდა, თუმცა ხმამაღლა თქმისა მაინც ეშინოდათ: დათიკო ბარაბაძე დაატპატიმრეს.

შემდგომი მოლოდინი აღარ გამართლდა: დათიკო ბარაბაძის გარდა, არავინ დაუპატიმრებიათ, თუმცა საქმეში ჩაბედეული ხალხი ვარაუდობდა, რომ, სულ ცოტა, ათ-თხუთმეტ კაცს დაიჭერდნენ. რატომ გადატაცა ჯოხი მარტო დათიკო ბარაბაძეზე, დიდხანს ვერავინ მიხვდა. მხოლოდ მაშინ მოეფინა ასე თუ ისე, ნათელი ყველაფერს, როცა სასამართლოზე კიდევ ერთი ყუმბარა გასკდა.

სასამართლოზე ბრალდებული მშვიდად იყო, კითხვებზე დინჯად, მკაფიოდ, აუღელვებლად იძლეოდა პასუხებს და თვალიც ოდნავ, მხოლოდ ნორმის ფარგლებში, გაურბოდა განზე. მარტო ერთ კითხვაზე არ გაუცია პასუხი. უფრო სწორად, პასუხი კი გასცა, მაგრამ არა ისეთი მკაფიო და ამომწურავი, როგორც სხვა კითხვებზე იძლეოდა.

კითხვა დაუსვა ბრალმდებელმა, პატარა, მრგვალმა ბრალმდებელმა, რომელსაც ფუნჯრული ხელები მაგიდაზე ეწყო, იდაყვები განზე გაეწია და ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც შეიძლება ჰქონდეს ვარდისფერ გოჭს, რომელსაც სურს ინდაურივით გაიფეხოროს.

— ბრალდებულო ბარაბაძე! სასამართლოსთვის ცნობილია, რომ სიგნალი თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ზემდგომ ორგანოებს თქვენვე მიაწოდეთ. რით შეგიძლიათ ახსნათ ასეთი ნამიჯი?

დარბაზში ერთი კი გადაიარა გაკვირვების ხმამაღალმა ტალღამ და მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ამას მართლა არავინ მოელოდა! თავის მოკვლას შეიძლება კაცმა რაიმე გამართლება მოუძებნონ, თავის დაბეზღება კი სრულიად აუხსნელი და გაუგებარი საქციელი იყო. სამგიეროდ ამით სხვა საიდუმლოს აეხადა ფარდა: ცხადი შეიქნა, თუ რატომ დააპატიმრეს მხოლოდ დათიკო ბარაბაძე. სანამ „ზემდგომ ორგანოებს სიგნალს მისცემდა“, მან იმ ერთი კვირის განმავლობაში, ცოლის დასაფლავებიდან თბილისს გამგზავრებამდე, ეტყობა, გულმოდგინედ და მარჯვედ იმუშავა, რათა სხვა მონაწილეების კვალი წაეშალა და სახრჩობელაში მარტო თვითონ გაეყო თავი.

დათიკო ბარაბაძემ ბრალმდებელს შეხედა და თქვა:

— არ ვიცი, — აქ შეყოვნდა, შუბლი შეიკუმუხნა, თითქოს ახლა ამირებდა იმის გარკვევას, რაზეც აქამდე არ ეფიქრა. მერე ბრალმდებელს თვალი მოაშორა და დარბაზში მიმოატარა მზერა. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ოღონდ ეს არც ქალაქს ეხებოდა და არც დარბაზს. ეს მხოლოდ აბელისთვის იყო მნიშვნელოვანი. დარბაზში რომ მიმოიხედა, დათიკო ბარაბაძემ, იქ აბელი შენიშნა, წამით მზერა მასზე შეაჩერა და, როდესაც მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, სახეზე ძლივ-

შესამჩნევმა, თითქმის მოუხელთებელმა ღიმილმა გადაუბრნა, რომელშიაც ისე უცნაურად იყო შეზავებული წუხილი და შვება, თითქოს ეს ორი განცდა მხოლოდ სხვათა თვალის ასახვევად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, თორემ სინამდვილეში საერთო ფესვიდან იყოს აღმოცენებული და არსებითად ერთსა და იმავე განცდას წარმოადგენდეს. ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. დათიკო ბარაბაძემ ისევ ბრაღმდებელს შეხედა და თქვა: — ალბათ დავიღალე.

დათიკო ბარაბაძეს თხუთმეტი წელი მიუსჯეს. ერთი თვის შემდეგ კი ბატონი ვიქტორი და ქალბატონი სალომე წავიდნენ.

ქალაქი ბეჯითად ცდილობდა დათიკო ბარაბაძის საქმესა და ბატონი ვიქტორის წასვლას შორის როგორმე მიზეზშედეგობრივი კავშირი ეპოვა. ამ თემაზე დიდხანს და ბევრს ლაპარაკობდნენ, თუმცა დადგენით ვერაფერი დაადგინეს და საკითხი იმის შესახებ, მართლა არსებობდა ასეთი კავშირი თუ უბრალოდ გარემოებანი დაემთხვა ერთმანეთს, სამუდამო საიდუმლოდ დარჩა. ფაქტი ისაა, რომ ბატონი ვიქტორი მშვიდად განაგრძობდა თავის საქმეს და მღელვარების არაფერი შემჩნევია, არც გამოძიების პროცესში, არც სასამართლოს მიმდინარეობის დროს და არც შემდეგ, ქალაქიდან წასვლამდე. რაც შეეხება ქალბატონ სალომეს, ისიც რეგულარულად მართავდა სალონურ საღამოებს და ქალაქში კულტურა შეჰქონდა. ეს კია, რომ აბელს ამ საღამოებზე აღარ იწვევდა.

ბატონი ვიქტორი შეცვალა ბატონმა ალექსანდრემ. ეს იყო ერთი ჯმუხი, წვრილთვალებიანი, ბრტყელსახა და მელოტი კაცი, უხეში, მკვეთრი ჟესტიკულაციით, ხორხისმიერი ხმითა და კეთილი გულით. ქალაქში ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა, ამბობდნენ, ხანდახან თეატრში დადისო, თუმცა, ბატონი ვიქტორისაგან განსხვავებით, სცენაზე ამოსული არასოდეს უნახავთ. ნადირობა ჰირის დღესავით ეჯავრებოდა, სტუმრად არავისთან დადიოდა და თვითონაც იშვიათად რომ ვინმე დაეპატიჟნა.

ახალი კაცის მოსვლას, ცხადია, ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა და ცნობისმოყვარე ქალაქიც მოუთმენლად მოელოდა ამ ცვლილებებს. ცოტა რამ მართლაც მოხდა. მაგალითად, გარაყანიძე გაზეთის რედაქტორობიდან გადააყენეს და განათლების განყოფილების გამგედ დანიშნეს, ხოლო იულონ დიდიძე ვანათლების განყოფილების გამგეობიდან დაითხოვეს და გაზეთის რედაქტორად დანიშნეს. გარდა ამისა, იმ ხანებში თეატრში საეჭვოდ ხშირად დაიწყო გამოჩენა კულტურის სახლის დირექტორმა არიოსტო ხოფერიამ, თან ყოველ გამოჩენაზე ამაყი და რაღაცის მანიშნებელი სახე ჰქონდა, მაგრამ ეს ვიზიტები მალევე შეწყდა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც თეატრის დირექტორი პენსიაში გაუშვეს და დირექტორობა მთავარმა რეჟისორმა შეითავსა, რომელსაც ამის შემდეგ „დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი“ დაერქვა.

და კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. იგი ისევ და ისევ მხოლოდ აბელს შეეხებოდა. თეატრში ახალ პიესაზე დაიწყეს მუშაობა და ყოფილმა მთავარმა რეჟისორმა, აწ უკვე დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, აბელს პატარა, ეპიზოდური როლი მისცა, თუმცა ყველა დარწმუნებული იყო, რომ აბელი მთავარ როლზე დაინიშნებოდა, რადგან, გარდა იმისა, რომ სხვა უკეთესი არავინ ჰყავდათ, ეს როლი თავისი ხასიათით ისედაც ზედგამოჭრილი იყო აბელისათვის.

და აბელმა უცვე, სრულიად მოულოდნელად, აღმოაჩინა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, მთავარ როლს მისცემდნენ თუ პატარა ეპიზოდს. ერთი კი გაუკვირდა გულში და ყველაფერი ამით დამთავრდა. ახლა ისიც იცოდა, რომ, რო-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა პრემიერას ითამაშებდა, არც წარმატებასა და წარუმატებლობას შორის იქნებოდა რაიმე განსხვავება და ერთსაც და მეორესაც თანაბარი სიმშვიდით შეხვდებოდა. თუმცა ამ ცოდნიდან შორსმიმავალი დასკვნები არ გაუკეთებია და თავი იღუზიისთვის არ მიუცია. ქებასა და ძაგებას, წარმატებასა და წარუმატებლობას, საკუთარ სიდიდესა და სიმცირეს შორის განსხვავება მხოლოდ კერძო შემთხვევაა, წვეთია ზღვაში და ბევრს არაფერს ნიშნავს, სანამ არსებობს სხვა რიგის განსხვავებები, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა განსხვავება გედეონ რევიასა და კაკო ორჯონიკიძეს შორის, ასლანსა და თეიმურაზ კილაძეს შორის, ბატონ ვიქტორსა და ვანო როსტიაშვილს შორის და, რაც მთავარია, ანისა და ანის შორის.

შესაძლებელია, ანი სწორედ იმიტომ მოვიდა, რომ იმედი ჰქონდა, აბელი მის ორ ბუნებას შორის განსხვავებას წაშლიდა, და სწორედ იმიტომ წავიდა, რომ აბელმა ეს იმედი ვერ გაუმართლა.

ანის გახსენებაზე აბელს ხანდახან მძიმე დანაშაულის გრძნობა უჩნდებოდა. ავად იყო თუ კარგად, მოსწონდათ თუ არა ეს სხვებს, ანის თავისი ცხოვრება მოწყობილი ჰქონდა. იყო თავისთვის, არავის აწუხებდა, სამყოფ ლუკმაპურს შოულობდა და ცრუ იმედებით არ საზრდოობდა. აბელმა თავისი უალაგო გამოჩენით ეს შეფარდებითი, მაგრამ მაინც მშვიდი ყოფა, აუმღვრია, სიმწრით შეკოწიწებული ცხოვრება მოუშალა. სამაგიეროდ კი ვერავითარი საყრდენი ვერ მისცა და ჰაერში გამოკიდებული დატოვა. ძველი ცხოვრება ანისთვის მოკვდა, ახალი კი არ დაიბადა. რა უნდა ექნა? სად უნდა წასულიყო? როგორ უნდა ეცხოვრა?

მაგრამ უფრო ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძველი ინდოეთისა და ჩინეთის ფილოსოფიას უკირკიტებდა და რელიგიურობის გრძნობაში ფსიქოლოგიურ იმპულსებს ეძებდა (ფიქრობდა, სამსონის გაქცევის შემდეგ კი უმთავრესად სწორედ ამით იყო გატაცებული), ეჩვენებოდა, რომ დანაშაული მოგონილი სიტყვაა. სინამდვილეში ანი თავისი გარდაუვალი და ერთადერთი გზით მიდიოდა, აბელი უბრალოდ, ერთ-ერთი რიგითი სადგური იყო, სადაც ცხენებს იცვლიან ხოლმე. ეს კია, რომ ამ სადგურში ანიმ ღრმა კვალი დატოვა. აბელი კიდევ დიდხანს გრძნობდა მის სუნს. შინ დაბრუნებული, კარს რომ აღებდა, კიდევ დიდხანს მოელოდა, რომ სახლში ანის ღიმილი დახვდებოდა, უშორესი სიღრმიდან წამოსული, თვალებიდან გადმოფრქვეული ღიმილი, რომელიც ტუჩის კუთხეებსა და ფოსოებს რომ მიაღწევდა, შესაძლებლობის ზღვარს გადაცდენილი, სიხარულით ავსებდა გარეშოს. დილაობით, ტანთ ჩაიცმეკდა თუ არა, ფეხაკრეფით მიადგებოდა მეორე ოთახს, ფრთხილად, უხმაუროდ გაადებდა კარს, თითქოს ეშინოდა ანისთვის ძილი არ დაეფრთხო, შეიხედავდა და, სანამ ცარიელ საწოლს დაინახავდა, გულის სიღრმეში მუდამ შრიალებდა იმედი, რომ თეთრ ბალიშზე ანის მოკლედ შეკრეპილ თმას მოჰკრავდა თვალს. ამ დილის ჩუმ ვიზიტებს დიდი ხნის განმავლობაში ლამის რელიგიური რიტუალივით ასრულებდა. ხანდახან, კითხვით გართულს, სადღაც, წარმოსახვისა და სინამდვილის ზღვარზე ეჩვენებოდა, თითქოს ანი თავის საყვარელ ადგილას იჯდა ბუხრის პირას, ბუხრისაკენ ზურგშექცეული, და დაჟინებით შემოსცქეროდა.

ანიმ, ეტყობა, იჩქარა. ადრე მოუვიდა მოსვლა. ყოველ შემთხვევაში, თუ ამის გადაწყვეტა მის ხელთ იყო, სჯობდა ცოტა კიდევ შეეცადა. მაშინ აბელი იქნება მზად დახვედროდა. თუმცა სანამდე უნდა ეცადა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი და სამსონი გაბაფხულზე ჩამოვიდნენ, როცა ქალაქში ტყემალი და ალუბალი ყვავდა.

მერი შეცვლილი იყო. გამხდარიყო, დაუშნოებულიყო. ლოყები უგემურად ჩაცვენოდა, თითქოს ასაკიც მომატებოდა. სახეზე რაღაც საწყალობელი გამომეტყველება ედო. მას გაგებული ჰქონდა მთელი ის უბედურება, რაც მამამისის ოჯახს დაატყდა თავს. და, შესაძლებელია, სწორედ ამან იკონია გადამწყვეტი გავლენა იმაზე, რომ მის ბუნებაში ჩაბუდებული მრავალი მიდრეკილებიდან წინა პლანზე სიგონჯე და უსახურობა წამოწეულიყო. მართალია, თვითონ იხტიბარს არ იტეხდა, თავი ყოჩაღად, ენერგიულად, ხალისიანადაც კი ეჭირა, რათა მნახველებში მისი ბუნებისთვის სრულიად უცხო და უჩვეი თანაგრძნობა არ გამოეწვია, მაგრამ ამ გადაჭარბებულ მონდომებაში სერიოზული ბზარი იყო, რომელიც კონტრასტულ ფონს ქმნიდა და კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მის სიბეჩავეს.

სამსონი მშვენიერი იყო. თავზე პატარა. მრგვალი. უზბეკური ქუდი ედო და თავისი ჩვეული, წყნარი, გულკეთილი ღიმილით უმისამართოდ იღიმეზოდა.

სიძე-პატარძალს სადგურზე ასლანი დახვდა. ასლანმა ისინი თავის აპარტამენტში წაიყვანა და რამდენიმე დღე იქ შეიფარა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ცოლ-ქმარი ერთოთახიან კომუნალურ ბინაში ჩაასახლეს.

მერის ადგილი თეატრში თავისუფალი იყო. მართალია, ახალმა დირექტორმა უარი თქვა მის მიღებაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ასლანი კაბინეტში ეწვია და ერთი საათის განმავლობაში იყო ჩაკეტილი მასთან, რომან ადეიშვილმა პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა და მერის მიწვევა გაუგზავნა.

სამსონსაც მაღე გაუჩინეს სამსახური. ერთ მშვენიერ დღეს იგი კვლავ ჩაოდა დახლში. ოღონდ ამჯერად ეს იყო არა წიგნების მაღაზიის, არამედ სპაყლოს დახლი. სამსონი ხორცის გამყიდველად დანიშნეს. იდგა იქ. სასწორთან, თავზე უზბეკური ქუდი ეხურა, რომელიც, რაც ქალაქში დაბრუნდა, მოხდილი არავის უნახავს, თეთრი წინსაფარი აეფარებინა, ხელში ხან პატარა ნაჯახი ეჭირა, ხან დიდი დანა. ხორცს ჭრიდა, ახარისხებდა, ანაწილებდა, ხელები და წინსაფარი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი და მშვიდი მოთმინებით უხსნდა რიგში მდგომ სულწასულ, აყაყანებულ დიასახლისებს, რომ ხორცი როგორაცაა დახარისხებული. ასე უნდა გაიყიდოს, ერთი ნაჭრიდან მოცლა და მეორეზე დამატება მრავალ გაუგებრობასა და არევდარევას გამოიწვევს. რომ უძვლო ძროხა არ არსებობს და, ვისაც ხორცი უნდა, ძვალიც უნდა წაიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი მის, სამსონ თეოსოფის, კისერზე გადატყდება და მას, სამსონ თეოსოფს, საკუთარი ჯიბიდან მოუხდება ფულის დადება, რომ დიასახლისმა დილით კი არ უნდა გადაწყვიტოს კატლეტის გაკეთება და ამ მზამზარეული გადაწყვეტილებით კი არ უნდა წამოვიდეს ხორცის საყიდლად, არამედ ჯერ იყიდოს ხორცი და იმის მიხედვით, თუ რა ნაჭერი შეხვდება, მერე მოიფიქროს კატლეტის გაკეთება აჯობებს თუ ბორშჩის.

რა გაავებულ დედაკაცთანაც უნდა ჰქონოდა საქმე (დედაკაცები კი, ცალკე იმის გამო, რომ მის მიერ შორიდანვე ჩუმად შეგულებული ნაჭერი მის წინ მდგომმა აიღო, ცალკე იმის გამო, რომ დღეს სტუმრებს ელოდა, ცალკე იმის გამო, რომ სახლში მარტო დატოვებულმა პატარა ბავშვმა, ვინ იცის, გაიოვიძა და ტირის, ზოგჯერ მართლა წარმოუდგენლად გაავდებოდნენ ხოლმე), სამსონი ხმას არასოდეს აუმაღლებდა, მუდამ წყნარად, მუდამ გულ-

კეთილი ღიმილით ლაპარაკობდა და ამით გაავებული დედაკაცის გაავებაც არაკეთილ შეურბილებია.

აბელი ერიდებოდა სამსონთან შეხვედრას, დარწმუნებული იყო, რომ სამსონი საჭიროდ დაინახავდა და გატაცებითაც შეუდგებოდა თავისი ახალი შრომითი საქმიანობის გამართლებას, ამ გამართლებისათვის საჭირო მიზეზებს სადღაც, აბსოლუტში მიაკვლევდა და ყველაფერს ისე წარმოადგენდა, თითქოს მან ჯერ კიდევ ბავშვობაში იცოდა, რომ ამა და ამ წელს აქ, ამ საბაყლოს დახლში მოუწევდა ჩადგმა და გამძვინვარებულ დისასახლისების დაშოშმინება. მაგრამ ერთხელ, როდესაც აბელს მაინც მოუხდა საბაყლოში შესვლა (თანაც ისეთ დროს, როცა ხორცი არ იყო და ამიტომ არც მისი მაძიებელი დისასახლისები იყვნენ), მისდა გასაკვირლად სამსონს არაფრის გამარტლება არ უცდია, უბრალოდ, ხორცის დაჭრის ტექნიკასა და მეთოდიკაზე დაუწყო ლაპარაკი, აუხსნა, რომელი ნაწილის დაჭრა სჯობს დანით და რომლის — ნაჯახით, მერე იმაზე ილაპარაკა, თუ როგორ ეჩვევა თვალი აწონას და როგორ შეგიძლია ამ ასპარეზზე ისე დაოსტატდე. რომ, როცა კლიენტი გეტყვის, ამდენი და ამდენი ამიწონეთ, ისე მოჭრა ხორცი, აღარც დამატება დაგჭირდეს და აღარც დაკლება.

— ხომ ძნელი დასაჯერებელია? — დასვა კითხვა სამსონმა და თვითონვე უპასუხა: — ძნელი დასაჯერებელია. თითქოსდა როგორ გინდა, ასე ზუსტად გაზომო თვალლალ? მაგრამ, როცა მთელი სულიერი ენერგია ერთ საგანზეა დაუჯგუბული, ადამიანის „მეს“ პრაქტიკისა და გამოცდილების მეშვეობით შეუძლია სასწაულები მოახდინოს.

აბელი ნირწამხდარი გამოვიდა საბაყლოდან. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც საყრდენი გამოაცალეს, რომელიც ბუნდოვანი და მიუწვდომელი, მაგრამ ყველაფრის განმსაზღვრელი და გამამართლებელი იმედის ბიძგად ეგულებოდა. სამსონი ახლა ჰგავდა თავმომწონე მხედარს, რომელიც სოფლის შარაგზაზე, ყველას თვალწინ, ცხენიდან გადმოვარდა და მტვერში სასაცილოდ აფართხალდა. არადა, რა ამაყად მიაგელვებდა ფრთოსან რაშს უსასრულობის სათავისაკენ, სადაც ეშმარიტება ისე მოუთმენლად ელოდა, როგორც ახალგაზრდა ცოლი ელის ომში წასულ ქმარს. ახლა აბელს ისიც კი ეჩვენებოდა, თითქოს სამსონი იმ ყაიდის შერეკილი იყო, ვინც განზრახ იგიჟიანებს თავს, რათა ამ გზით სხვები ჭკუაზე მოიყვანოს, ვინც ტყაპანით ვარდება წყალში, რათა ნაპირზე მყოფთ, რომლებსაც წყლის შიში ზაფრავთ, ზეიფები მაინც მიაწვდინოს და მათი გახურებული სხეული მაცოცხლებელი წვეთებით ცოტა მაინც დანამოს.

აბელი მიხვდა, თუ რატომ ბეზრდებოდა ისე სწრაფად სამსონის ქადაგება იქ, მაღალი სახლის სხვენზე, და მერე, როცა დაშორდებოდა, რატომ მიუწევდა გული კვლავ ამ ქადაგების მოსასმენად.

არც მერისთან შეხვედრა ეპიტნავებოდა, მაგრამ, რაკი მერი თეატრში დაბრუნდა, ეს შეხვედრა გარდაუვალი იყო. მერი ნერვულად იცინოდა და ცდილობდა ეს ნერვული სიცილი ხალისიან სიცილად გაესაღებინა. აბელი ასეთ დროს ბეჯითად არიდებდა თვალს. მერისთან დამოკიდებულებაში სხვა რამეც იყო გასათვალისწინებელი: ქალბატონი სალომეს წყალობით, ბოლო ხანებში აბელს ისე უყურებდნენ, როგორც ბარაბაძის მომავალ სიძეს, ამიტომ სამსონთან ერთად მერის გაქცევა ნაცნობების თვალში ნიშნავდა აბელის ღალატს. და ახლა ცნობისმოყვარეობას ერთი სული ჰქონდა გაეგო, როგორ შეხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, როგორ განვითარდებოდა მათი შემდგომი ურთიერთობა, იძიებდა თუ არა შურს აბელი და, კერძოდ, იქნებოდა თუ არა ეს შურისძიება იმდაგვარი, რომ ქალაქს ერთ მშვენიერ დღეს სამსონი რქებდასხმული ეხილა.

ყოველივე ეს შემზარავი იყო, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ აბელმა, მისდა გასაკვირვლად, სულ მალე დაინახა, რომ არაგითარ ყურადღებას არ აქცევდა ცნობისმოყვარეთა გადარაჯებულ მზერას.

სამაგიეროდ, როდესაც ისა და მერი ერთი ორჯერ პირისპირ, მოწმეების გარეშე დარჩნენ და გამოიტყვა, რომ არც ერთსა და არც მეორეს სათქმელი არაფერი ჰქონდა, აბელი თანდათან მიხვდა, რომ ამ ქალაქში მარტო რჩებოდა. თითქოს ყველაფერი, რაც აქამდე იყო, იყო გზა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე. ახლა ეს გზა უკვე გაიარა, ქალაქი უკან მოიტოვა და უდაბნოში გავიდა. რაღა თქმა უნდა, სინამდვილეში ყველაფერი მთლად ასე არ ყოფილა. თავი რომ დავანებოთ თეატრს, თავისი რეპეტიციებით, სპექტაკლებით, ბანკეტებით, ანეგდოტებით, ბოჰემითა და მარადიული კურიოზებით, ხომ არსებობდა გედეონ რევია? გედეონ რევია დიახაც რომ არსებობდა და აბელს ყველაზე ხშირად სწორედ მის გვერდით ნახავდით, იქნებოდა ეს სახლში, თეატრში თუ ქუჩაში. მაგრამ აბელს ეჩვენებოდა, რომ გედეონ რევია უკვე იყო არა შორეული და უცნობი შუქურა, რომელიც გაინტერესებს, ცნობისმოყვარეობას გიღიზიანებს და ძლიერი მიზიდულობით გიზიდავს, არამედ ორიენტირი, რომლის იქით ახალი ორიენტირის კონტურები იკვეთება. აბელი და გედეონი ძველებურად საუბრობდნენ, ყავას სვამდნენ, ზოგჯერ კამაში ღამეებსაც ათენებდნენ და თუმცა გედეონი, ეს ბებერი მელა, თავისი გამოცდილებითა და გონებამახვილობით ძველებურად სჯობნიდა აბელს, იგი მაინც უკვე წაკითხული წიგნი იყო, გახსნილი კარტი, გატეხილი სეიფი.

გედეონ რევიას გარდა იყვნენ კიდევ გორდაძეები. ანის გაკრობის შემდეგ, როგორც ვთქვით, ნანოს ხელადვე მოუბრუნდა გული აბელზე. მართალია, თავად აბელს არ მობრუნებია გული, მაგრამ გორდაძეებთან ურთიერთობა მაინც განაახლა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. ერთი იყო ასლანი. ახლა, როცა ქალაქი უკან დარჩა, ასლანი მოულოდნელად უფრო მკფიო და რელიეფური გამოჩნდა და გაცილებით მეტი მიზიდულობის ძალა აღმოაჩნდა, ვიდრე აბელს შეეძლო წარმოედგინა. მართლაცდა, ასლანის ინტელექტი მწირი და ერთსახოვანი იყო, განსაკუთრებით თუ გედეონ რევიას ფონზე წარმოიდგენდით, ასლანის სულიერი ცხოვრება მარტივი და უპრეტენზიო იყო, განსაკუთრებით თუ სამსონის ფონზე წარმოიდგენდით. აბელის ინტერესების სფერო თითქოს აქ მთავრდებოდა. სინამდვილეში კი აბელი, რაც უფრო შორდებოდა ქალაქს, მით უფრო მკაფიოდ ხედავდა ასლანში უცნაურსა და მძლავრ მუხტს, რომელიც მაღალ ინტელექტზე მაღალი და ღრმა სულიერ მისწრაფებებზე ღრმა აღმოჩნდა. ეს იყო რაღაც მეოთხე განზომილება, ბუნების საიდუმლო, რომელიც თავად არ ჩანდა, მაგრამ ყველა სარკეში ირეკლებოდა. მიუხედავად თავისი სიმარტივისა და სწორხაზოვნებისა, ასლანი არსებითად უცნაური კაცი იყო. ჯერ ერთი, იგი არ ემორჩილებოდა დიალექტიკის კანონს და, როცა ირგვლივ ყველაფერი იცვლებოდა, თვითონ უცვლელი რჩებოდა. თავდაპირველად აბელი აუხსნელ ეკონომიურ ბაზისს, რის გამოც ასლანს „ფეოდალს“ ეძახდნენ, თავის გუნებაში ხსნდა იმ მრავალმხრივი ნათესაური არხებით, რომლებითაც იგი დათიკო ბარაბაძესა და ვიქტორ საყვარელიძეს უკავშირდებოდა. მაგრამ დათიკო ბარაბაძე დაემხო, ვიქტორ საყვარელიძის ადგილი ალექსანდრე იაშვილმა დაიკავა, ასლანი კი იგივე დარჩა, იოტის ოდენადაც არ შეცვლილა. მოგვიანებით, როდესაც აბელმა შეიტყო, რომ ასლანი ასეთივე ფეოდალი იყო ჯერ კიდევ ქალბატონი რატატას დროს, ყოველივე იმ გაუგებარ მეოთხე განზომილებას მიაწერა. ასლანი მდინარის ლოდს ჰგავდა, რომელიც ღრმადაა მი-

---

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაში ჩაფლული. როცა მდინარე დიდდება, წვრილ-წვრილ კენჭებს აშლის, მიმოფანტავს და გადაადგილებს, მიწაში ღრმად ჩაფლულ ლოდს კი ვერაფერს აკლებს და ირგვლივ უვლის. მაკრამ ასლანის მიზიდულობის მთავარი წყარო და მისი უცვლელობის მთავარი ნიშანი იყო არა „ფეოდალობა", არამედ ბუნების მკვრივი ერთიანობა, რომელიც მყლავნდება ძალდაუტანებელ სიკეთედ, გაუცნობიერებელ სიმართლედ და მომხიბლავ მიამიტობად. წარბისა და საჩვენებელი თითის ხშირი აწევა და ხაზგასმული მეტყველება, რომელიც კანცელარიის ბეჭედს ჰგავდა, იყო კომიკური და ამაო ცდა იმისა, რომ სხვებივით ყალბი და არაბუნებრივი ყოფილიყო.

მეორე მიზეზი, რის გამოც აბელმა უყოყმანოდ განაახლა გორდაძეებთან ურთიერთობა, იყო ნინიკო. ნინიკო წამოიზარდა და კიდევ უფრო მეტად დაემსგავსა საყდრის ფრესკას. გამხდარი იყო. სუსტი, ოდნავ სევდიანი და ფერიასავით არამიწიერი. ხმა ისევ შორეული ზარის რეკვას მიუგავდა და, როდესაც აბელი გიტარას აიღებდა და ეზოში, სახლის წინ, სამფეხა ჯორკოზე ჩამომსხდარნი წყნარად წამოიწყებდნენ ნაღვლიან მეგრულ ნანას, ირგვლივ კი ბინდი ნელა, უხმაუროდ წვებოდა, სამყაროდან თითქოს ყველა ეჭვი ამოიძირკვებოდა, ყველა კითხვის ნიშანი იშლებოდა, ყველაფერი, რაზედაც ტკენი უჭყლეტია და თავი უმტვრევია ადამიანს, იმდენად მარტივი და ნათელი იყო, რომ ამის სიტყვებით გამეორება ან სხვა რაიმე საშუალებით გადმოცემა სრულიად წარმოუდგენელი ჩანდა. სიკვდილი და სიცოცხლეც კი, ადამიანის ეს უმთავრესი და უმძაფრესი გამოცანა, ასეთ დროს პოლუსების თვისებებს კარგავდა, რბილად და შეუმჩნევლად შედიოდა ერთმანეთში და სამყაროს მრავალსახეობას ერთ განუყოფელ ფოკუსში უყრიდა თავს.

მაგრამ გედეონი და გორდაძეები არ კმაროდნენ იმისათვის, რომ მარტოობის ჭაობის ბლანტ ზვირთებს ჯერ ... წინააღდგომოდნენ. მარტოობის ჭაობი პირს იკრავდა აბელის ირგვლივ, ყოველი მხრიდან მოდიოდა მისკენ და თან მოჰქონდა ყრუ ნაღველი, რომელშიაც, როგორც აუტანელ ღიტნში, პარადოქსულ ჰარმონიად შერეულიყო მღვრიე, უსახური სიამოვნება. ამ მწარე განცდას მთავარი ბიძგი მისცა (ყოველ შემთხვევაში, აბელს ასე ეჩვენებოდა) სამსონმა. სამსონი იდგა მაღალი, აწოწილი, ხორცითა და ხორცის მოსურნე დედაკაცებით გარშემორტყმული, თავზე უზბეკური ქუდი ეხურა, ხელები და წინსაფარი ქონითა და სისხლით ჰქონდა მოთხვრილი და ჩვეული, უაზროდ გულკეთილი ღიმილით იღიმებოდა. ეს სურათი რომ იხილა აბელმა, გედეონ რევია თავისი მწყობრი გონიერებითა და კეთილმოსურნე ირონიით რატომღაც კიდევ უფრო გამაღიზიანებელი გახდა. უფრო უცნაური ისაა, რომ რაც უფრო გამაღიზიანებელი ხდებოდა, აბელი რაღაც გაუგებარი ბიძგის წყალობით, მით უფრო ხშირად დადიოდა მასთან. და რაც უფრო ხშირად დადიოდა, მით უფრო აუტანელი იყო იქ ყოფნა და მით უფრო ეწყდა იქიდან გაქცევა და საკუთარ თავთან განმარტოება, თითქოს საკუთარ თავთან დარჩენილი განმარტოებისგანაც განმარტოვდებოდა. სახლში დიდხანს მაინც არ უდგებოდა გული და ხეტიალს შეეჩვია. დაეხეტებოდა ქალაქში და ქალაქგარეთ. და თუ სადმე ნაცნობს მოჰკრავდა თვალს, ცდილობდა თავი აერიდებინა. ყველაზე ხშირად მედუქნეებისა და ხელოსნების ქუჩაზე დადიოდა. იქ, შუა დაღმართში, ტროტუარზე ჩამოჯდებოდა, საათობით აღევნებდა თვალყურს ჭრელ ხმაურს და ეჩვენებოდა, რომ სამყაროს ცხოვრებაში რაღაც ქრონოლოგიური შეცდომა გაიპარა. ამ დროს ერთნაირი ძლიერი ნატვრით ენატრებოდა ისიც, რაც ათი ათასი წლის წინ იყო, და ისიც, რაც ათი ათასი წლის შემდეგ იქნებოდა.

ზოგჯერ მძაფრად, ტკივილივით წა-

მოუვლიდა სურვილი, ერთ მშვენიერ საღამოს შინ წვეოდა მერისა და სამსონს, ენახა, რა ჰქონდათ საერთო, რაზე საუბრობდნენ, როგორ ძლებდნენ ერთმანეთის გვერდით, როგორ თავსდებოდა საერთო კედლებში შეუთავსებლობა. თუმცა გორდაძეები, რომელთაც ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ მერისთან, ამტკიცებდნენ, ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობენო, აბელს წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს „ტკბილად და ბედნიერად“ მხოლოდ იმ მხარეს ეწერა მედალს, რომელიც ქალაქისკენ იყო მიქცეული.

როცა თეატრში შევიდოდა, აფორიაქება გარეთ რჩებოდა და თავის ეპიზოდურ როლებს მშვიდად თამაშობდა. პირველი გაკვირვება, რაც მისმა უეცარმა ჩამოქვეითებამ გამოიწვია თანამშრომლებშიც და მაყურებლებშიც, თანდათან განელდა და ამ ამბავს მალე შინაურებიც და გარეულებიც მიეჩვივნენ. მუშაობით ძველებურად მუშაობდა. ოღონდ ეს იყო, რომ შედეგს არ დაეძებდა, მაყურებლის აზრი არ აინტერესებდა, რეცენზიებს არ კითხულობდა.

ასე გავიდა კიდევ ორი უღიმღამო ზაფხული.

გვიან შემოდგომაზე გორდაძეების მრავალრიცხოვანი ოჯახი კვლავ გაიზარდა: ნანოს ვაჟი შეეძინა.

ეს მოხდა თერთმეტ ნოემბერს. ოლო თორმეტ ნოემბერს ქალაქმა დაკარგა ადამიანი, რომელზედაც დიდად იყო დამოკიდებული მისი ინტელექტუალური დონე.

თერთმეტი ნოემბრის საღამო და ღამის დიდი ნაწილი აბელმა გედეონ რევიასთან გაატარა. ნანო დილით წაიყვანეს და ნაშუადღევს მორჩა კიდეც. აბელი სწორედ იმ დროს შევიდა სამშობიაროს ფართო ვესტიბიულში, როცა სახეგაბადრული ასლანი მახარობელ ბებია ქალებს ოცდახუთმანეთიანებს ურიგებდა. აბელი რომ შეამჩნია, მისკენ წამოვიდა, მარჯვენა წარბი და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და დაიქუხა:

— მამრია, მამრი! — და აბელს არ დალოდებია, თვითონვე დაეძგერა, გადაეხვია და გადაკოცნა.

ცოტა რომ დამშვიდდა, ეკიმი ნახა, დაწვრილებით გამოიკითხა, რა იყო საჭირო ცოლისა და ახალშობილისათვის, მიღებული დავალება რამდენჯერმე გიმეორა და კარგად დაიხსომა. სამშობიაროდან ისა და აბელი ერთად გამოვიდნენ. გზად რესტორანში შეიარეს, ერთი ბოთლი შამპანური დააქუხეს და ბიჭი დალოცეს. მერე ასლანი მრავალრიცხოვანი დავალების შესასრულებლად წავიდა, აბელი კი შინისაკენ გაუდგა გზას, ხოლო საღამოს გედეონ რევიას ესტუმრა.

— გაიგეთ? გორდაძეებს ვაჟი შეეძინათ, — უთხრა აბელმა შესვლისთანავე.

— ასე თუ განაგრძეს, მალე შეიძლება სათვალავი აერიოთ, — გაიღიმა გედეონმა.

— ეგ არ ვიცი, — აბელი სავარძელში ჩაეშვა. — მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მამაცი ხალხია.

— მამაცი?

— ამდენ ბავშვს გაზრდა არ უნდა?

— გაიზრდებიან.

— რა თქმა უნდა, გაიზრდებიან. განსაკუთრებით, როცა სხვისია და გარედან უყურებ. ზოგს ერთი ჰყავს და იმის გაზრდა უჭირს.

— გორდაძეები სხვა „ზოგში“ შედიან.

— რომელთაც არ უჭირთ?

— რომელთაც არჩევანი არა აქვთ, — და აბელმა რომ ცოტა გაკვირვებით, კითხვის თვალით შეხედა, მოხუცმა ღიმილით განაგრძო: — მე ხომ ყველაფერზე საკუთარი თავმომაბეზრებელი თეორია მაქვს! ჩემი აზრით, აბელ, ხალხი ორ კატეგორიად იყოფა: ერთი ხვალინდელ დღეს ამზადებს, მეორე ხვალინდელი დღისთვის ემზადება.

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

— მზამზარეულ სუფრაზე მიდის?

— არა, აბელ. — გედეონმა თქვა „აარა, აბელ“ და ამან ფრაზას ისეთი ელფერი მისცა, თითქოს ეთქვას: „ცდები, ჩემო კარგო“. — მომავლისთვის მზადება ისეთივე მძიმე შრომაა, როგორც მომავლის მზადება. ვინც მომავალს ამზადებს, ის თავისთვის კი არ ამზადებს მომავალს, სხვისთვის ამზადებს. და თუ ის სხვა არ იქნა, შრომა ფუჭად ჩაუვლის. გორდაძეები მომავლისთვის ემზადებიან.

— მომზადებით ვინ ამზადებს?

— მე ყავას მოვამზადებ — მოხუცი წამოდგა და ნელა, ფოსტლების ფრატუნით გავიდა სამზარეულოში.

აბელს იგი მოტეხილი ეჩვენა. სანამ გავიდოდა, მის ბებრულ ზურგს მისჩერებოდა, მერე თვითონაც გაჰყვა.

— ვინ დაავალა გორდაძეებს მომავლისთვის მზადება? — განაგრძო აბელმა შეწუვეტილი საუბარი.

— თქვენ შეკითხვას კი არ იძლევით, აბელ, დაკითხვას აწყობთ, — მშვიდად მიუგო გედეონმა, თან გრძელტარიანი კოვზით ჯეზვეში ყავა და შაქარი ჩაყარა, მერე ჯეზვე ონკანს შეუშვირა, ავაცო და დაუმატა: — რა ვიცი, ვინ დაავალა. ალბათ წილად ხვდათ. — ამ სიტყვებით გაზქურა აანთო და ჯეზვე შემოდგა.

— ვისგან ხვდათ წილად? — ჩაეძია აბელი.

მოხუცმა ყავას მოურია და თეთრ ულვაშებში ეშმაკურად ჩაიღიმა. აბელისაკენ არ მოუხედავს.

— ვიცი, საით მიგაყავთ საუბარი. გამბედაობასაც გიქებთ. მაგრამ ჩემი მიჩიხვა ადვილი არაა. ამოსავალი პრინციპია რაციონალური, ის კი, რაც თქვენ ბედისწერის სახელით გინდათ მოიხსენიოთ, არის არა ბედისწერა, არამედ უვიცობა. დამაკავშირებელი ძაფები უხილავია და გვგონია, არ არსებობს,— მოხუცმა კიდევ ამოურია ყავას, მერე ჯეზვეს სახელურში მოჭიდა ხელი და უურადღებად იქცა, რომ ყავა არ გადმოსცლოდა. — წვრილმანი გამოვლინებიდან საწყისამდე შორი მანძილია, თორემ, როგორც კი სუფთა ფურცელზე ორ ურთიერთპერპენდიკულარულ ხაზს გაავლებ, უსასრულობა მყისვე კონკრეტულ სახეს იღებს, თავისუფლება კი უკვალოდ ქრება. — გაზი გამოთიშა, ყავას კოვზით ნაღები მოხადა და ფინჯნებში გაანაწილა, მერე ნელ-ნელა დაასხა. ხან ერთ ფინჯანში ასხამდა, ხან მეორეში. — არ არსებობს არც ერთი წერტილი, დატყვევებული რომ არ იყოს და კოორდინატებით არ განისაზღვრებოდეს. აიღეთ თქვენი ფინჯანი.

თავ-თავიანთი ფინჯანი აიღეს და სამზარეულოდან გამოვიდნენ. წინ აბელი მიდიოდა, უკან გედეონი. სამზარეულოს კარს რომ გამოსცდნენ, აბელმა თქვა:

— ეს — როცა ხაზებს გაავლებ. სანამ გაავლებდე?

— ჰოს! — შესძახა გედეონმა. მას ფინჯანი ოდნავ აუყირავდა და ყავა კინაღამ დაეღვარა, მაგრამ ბოლო წამს მაინც შეინარჩუნა წონასწორობა და ყავაც გაადარჩინა. — ხაზის გავლება შექმნა ხომ არაა! ხაზის გავლება ხაზის გათვალნათლებაა.

ამასობაში სასტუმრო ოთახში შევიდნენ, სავარძლებში ჩასხდნენ და ყავის სმას შეუდგნენ.

— და, ცხადია, ეს „ფურცელი“ ყველაფერია. სხვა არაფერი არსებობს.

— სხვა — არაფერი. — გედეონმა ყავა მოწრუპა და ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

— მაშ აზრი რაღად ცდილობს ფურცლის იქით გადასვლას და ისეთი რამის ხილვას, რაც არ არსებობს?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა მოხუცმა. სახეზე უაღრესად გულწრფელი გამომეტყველება ეწერა. — ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად ენდობა შეგრძნების ორგანოებს და იარაღად რიცხეს ხმარობს.

ამ დროს კარმა გაიჭრიალა. ორივემ, გედეონმაც და აბელმაც, თავი ასწიეს და მიაყურადეს. როცა შინ იყო, გედეონი შემოსასვლელ კარს ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუკეტავს ტოვებდა, მაგრამ აბელს არ ახსოვდა შემოხვევა, რომ ამის გამო ვინმე დაუკაკუნებლად შემოსულიყოს.

— მგონი ვიღაცაა, — თქვა აბელმა. ამის თქმა იყო და ხმაც მოისმა:

— გედეონ რევია!

ეს სამსონის ხმა იყო. სტუმარ-მასპინძელი უნებური მოძრაობით წამოდგა სავარძლებიდან და გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს. იმავ წამს კარის ზღურბლზე თავად სამსონიც გამოჩნდა. კეფაზე უნაზებული ქუდი ედო. ტანთ საკორწინო კოსტიუმი ეცვა, რომელიც უკვე გვარიანად შელანძღულიყო. ოღონდ ჰალსტუხი არ ეკეთა. წვერი გაუპარსავი ჰქონდა. თუმცა, შესაძლებელია, ამას გაუპარსავი არც ეთქმოდა. ეს ისეთი სტადია იყო, როცა შემფაცხლის გემოვნებაზეა დამოკიდებული, რას დაარქმევს — წვერგაუპარსავს თუ წვერმოშვებულს.

სამსონი ზღურბლზე შედგა და აბელს შეხედა. ეტყობა, მასთან შეხვედრას არ მოელოდა და ამ გაუთვალისწინებელმა დეტალმა წამით შეაფერხა. მერე ნაბიჯი წინ წამოდგა და დოინჯი შემოიყარა. სახე სერიოზული, ცოტა მკაცრიც კი ჰქონდა.

— გედეონ რევია! — ისეთი ხმით თქვა, თითქოს ღოდს საყრდენი გამოეცალა და კლდეს მოწყდა. — რატომ არ მაღიარებ?! მე ხომ გაღიარებ!

— დაბრძანდი, სამსონ, — მშვიდად უთხრა გედეონმა, რომელსაც უკვე სავსებით გაუარა გაკვირვებამ. — ყავას დალევ?

სამსონს მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ჭუკჭუკობთ ხომ რაციონალურ ენაზე ლოგიკის ბნელ ნაპუპში? — იკითხა ძლევამოსილი დაცინვით.

— თუ დალევ, არ მოგერიდოს, — მიუგო გედეონმა. — ხომ იცი, ყავის მოდუღება ჩემი საყვარელი საქმეა.

— არ მინდა მე შენი ყავა! — ჭირვეულად თქვა სამსონმა. — შენ ის მითხარი, რატომ არ მაღიარებ?

— მაშინ დარბაძანდი მაინც. აგერ, ... დაჯექი, სავარძელში.

— სავარძელში თქვენ დაბრძანდით, ვინც სხეულის ნეტარებას ესწრაფვით, — ამაყად თქვა სამსონმა. — მე აქ დავჯდები. — ამ სიტყვებით დივანზე დაჯდა, მაგრამ წამსვე თოფუაკარავივით წამოვარდა და, თითქოს უკანალში რაღაც შეერჭოო, იმ ადგილს დახედა, სადაც იჯდა. — ესეც სავარძელი ყოფილა! — ზიზღით თქვა. — სკამი არა გაქვს სახლში, გედეონ რევია?

— როგორ არა! სკამსაც გიშოვი.

— არ მინდა! — შეაწყვეტინა სამსონმა. — აი, ყველაზე კარგი აიდგილი. — იატაკზე დაჯდა, მუხლები შემოიკეცა და ზედ მკლავები შემოაწყო. ახლა იგი გედეონს ქვემოდან ზემოთ უყურებდა და აბელს მოეჩვენა, თითქოს ამან რაღაც არსებითიც შეცვალა. — გამეცი პასუხი, გედეონ რევია, რომ გეკითხები: რატომ არ მაღიარებ?! მე ხომ გაღიარებ!

— შენ საკუთარ თავს აღიარებ, სამსონ, და ამიტომ მეც მაღიარებ. მე საკუთარ თავს არ ვაღიარებ და ამიტომ არც შენ გაღიარებ.

— ლოგიკა!.. — ტუჩაბზუებით თქვა სამსონმა. — აწყობილი, ასხმული, დაგვირისტებული. ეგ ლოგიკა რომ გამოგელევა, მერე რაღას იზამ? გედეონ რევია, იცოდე, წიგნებში არ არის ჭეშმარიტება, — დიდი ხელი ასწია და კედლებს შემოატარა.

— არც წმინდა წიგნებში? — გულკეთილი ღიმილით ჰკითხა გედეონმა.

— არა, — ცოტა ყოყმანით თქვა სამსონმა. მერე ყოყმანმა გაუარა და უფრო დაჯერებულად განაგრძო: — არც წმინდა წიგნებშია. მაგრამ წმინდა წიგნები გზას გვასწავლის, ჭეშმარიტების გზას. ჭეშმარიტება გონების საკიკატო არაა. გონება შენი მოურავია, გედეონ რევია, შენ კი მოურავი ბატონად გაიხადე და თვითონ დაუდექი მოურავად. თუმცა, რის მოურავი! მოურავა-

დაც კი არ დადგომიხარ. ადგილ-მამული დაუტოვე იმ შენს მოურავს, მართვა-გამგებლობა ჩაანბარე, შენ კი ბნელ საკნში გამოიკეტე და ძილს მიეცი თავი. მაგრამ ტაუოლად ცდილობ, სულ ერთია, ვერსად დაიმალები! ჭეშმარიტების მახვილი თვალი შედედებულ ნისლშია გახვეული. მაგრამ მალე ცეცხლისმფრქვეველი ხმალი გააპობს ნისლს და ელვარე სინათლე გამოჩნდება. მე შენ გაღიარებ, გედეონ რევია, იმიტომ რომ შენ ამ ფაშვგადმოგდებულ ქალაქზე მაღლა დგახარ. შენ მაღლა დგახარ შენი გონებით, მაგრამ რამდენადაც მაღალია შენი გონება, იმდენად ბრმაა შენი სული. გაახილე სული, გედეონ რევია, და იხილე შემოქმედი! არადა, რა ნათელია ყველაფერი, რა ცხადი, რა მკაფიო! ოღონდ ესაა, სიტყვით არ გამოითქმის. ამიტომ იგივად გეტყვი: ათასობით რადიოს უშვებენ ქარხნები ყოველდღიურად. მილიონობით რადიოა ქვეყანაზე. ყველა ლაპარაკობს, ყველა მღერის, ყველა იჭერს ტალღებს და ყველა გარდაქმნის ელექტროენერგიას რაღაც, სხვა ენერგიად. მაგრამ რა არის რადიო? რა არის რადიოს არსი? სიმღერა და ლაპარაკი? არა. ტალღების დაჭერა? არა. ენერგიის გარდაქმნა? არა. მაშ რა? რადიო არის მისი გამომგონებელი, მისი შემოქმედი. რადიოს არსებობის ერთადერთი ჭეშმარიტება არის ის აზრი, ის იდეა, ის პრინციპი, რომელიც მის შემოქმედშია. შეიძლება არსებობდეს რადიო რადიოს გამომგონებლის გარეშე? არ შეიძლება. პრინციპი ერთია და იგი შემოქმედშია. ამავე დროს, რადიო უთვალავია და ყველა მათგანში არის პრინციპი, როგორც მათი ერთადერთი ჭეშმარიტი სიცოცხლე და არსებობა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპი სათითაოდ ყველა რადიოშია, ეს არ არის სიმრავლე, რადგან პრინციპი ერთია. ამავე დროს პრინციპი არ შეიძლება ერთი იყოს, რადგან იგი უთვალავ რადიოშია. აქ ლოგიკა ხორცმეტია. იქნებ პრინციპი ერთია, მაგრამ მრავლად იყოფა და ყველა ცალკეულ რადიოს წვდება? შეუძლებელია. პრინციპი განუყოფელია. როცა რადიოს დაზიანდება, ის უკვე რადიო აღარ არის, მისი პრინციპი შორდება მას და შემოქმედს უბრუნდება, ოღონდ ამით შემოქმედის პრინციპს არაფერი ემატება, ისევე როგორც არაფერი აკლდება იმით, რომ ქარხნებიდან გამოსულ ურიცხვ ახალ რადიოს სათითაოდ უჩნდება პრინციპი, რომლის გარეშე იგი რადიო ვერ იქნებოდა. აი, ეს არის რადიო. შემოქმედის პრინციპი, იდეა, აზრი, რომელიც არც ერთია და არც მრავალი, არც ნაწილია და არც მთელი, არც არსებობაა და არც არარსებობა. შენ რადიო ხარ, გედეონ რევია, შენ ლაპარაკობ, მღერი, ტალღებს იჭერ, ერთ ენერგიას მეორედ გარდაქმნი. საუბედუროდ, შენი არსებობა შენ სწორედ ეს გგონია. შენ შენი ნაწილების ლოგიკურ და მწყობრ განლაგებაში ხედავ შენს არსებობას. მაგრამ ეს მხოლოდ ქარხნის ხელობაა, ფიზიკური არსებობა, იდეის მექანიკური განხორციელება. რომელი ქარხანა შეგქმნიდა და აგაწყობდა, რომ არ ყოფილიყო შემოქმედის აზრი, შემოქმედის არსში რომ შენი იდეა არ შექმნილიყო? სანამ შენ შეიქმნებოდი, შენი მოდელი არსებობდა, რომელიც შენზე სუფთაა. სანამ შენი მოდელი შეიქმნებოდა, ნახაზი არსებობდა. რომელიც მოდელზე სუფთაა. სანამ ნახაზი შეიქმნებოდა, იდეა არსებობდა, რომელიც ნახაზზე სუფთაა. აი, ეს არის რადიო.

სამსონი წამით გაჩუმდა. გაფართოებული, მოელვარე თვალებით მისჩერებოდა გედეონს და მღელვარებისაგან ოდნავ ქშინავდა.

გედეონმა პაუზით ისარგებლა (ან, შესაძლებელია, მიიჩნია, რომ მოხსენება უკვე დამთავრდა) და თქვა:

— ყავა თუ არ გინდა, ნამცხვარს მოგიტან. მაღაზიისაა, მაგრამ გემრიელია.

აბელს გედეონის მაგივრად შერცხვა და თვალი მორიდებით, ჭურდულად გაეპარა სამსონისაკენ. თავად გედეონი კი ურცხვად გულკეთილი ღიმილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყურებდა სამსონს. მაგრამ სამსონს ყურიც არ შეუბერტყავს.

— მე ნაცხვარს არა ვჭამ. ნამცხვარი შენ ჭამე. და შენს მოწაფეებს აჭამე, თუკი იმათაც კუჭი ჭეონიათ არსებობის ძირი და გულისგული. — წყნარად, ცოტა დაფიქრებით თქვა სამსონმა. მერე წამოდგა, წამოიმართა, ხელები მკერდზე დაიკრიბა და ზემოდან დახედა მასპინძელს. დიდი პირი ჰქონდა, დიდი ცხვირი, დიდი კბილები. თავზე უზბეკური ქუდი ეხურა. — ჭეშმარიტი ადამიანი, რომელიც ფიზიკურ პლანში არ არის გამოკეტილი და სულის თავისუფლებისათვის ზრუნავს, საჭიელს კი არ ჭამს, საზრდოს იღებს, რათა სხეული არ გაანებივროს, არ გააზულუქოს და თავზე არ დაისვას. სხეული ძაღლივით უნდა გყავდეს გაწვრთნილი, ერთგულად გემსახურებოდეს და მცირედით კმაყოფილდებოდეს. სხეული მონაა. მონა კი შემოხვევას ელის, რომ ბატონად გაგიხდეს. ამიტომ გამუდმებული წვრთნა სჭირდება. გრძნობადი სამყარო ცხოკლიტულია, სადაც ჭეშმარიტებაა დამწყვდეული. უნდა გაარღვიო ეს ცხოკლიტული და სული საშვიდობოს გაიყვანო. ამიტომ უნდა დათრგუნო სხეული. ამიტომ უნდა მოსპო და მოიშორო სურვილები, გრძნობადი ცხოკლიტულის ეს ერთგული მცველები. ყველა სურვილი უნდა მოკლა, თუ გინდა მიადგე თავისუფლების კარს.

— იმის სურვილიც უნდა მოვკლა, რომ ყველა სურვილი მოვკლა და თავისუფლების კარს მივადგე? — მიამტურად ჰკითხა გედეონმა.

— შენ გგონია, მაგ იქედური კითხვით ლახვარი ჩამეცი! — დაცინვით თქვა სამსონმა. მისი დაცინვა მკვრივი იყო, სწორხაზოვანი, ბავშვური, ამიტომ თავის მოვალეობას ცუდად ასრულებდა. — სიტყვების კომბინაცია, შენი ფარი და ხმალი, მხოლოდ გონების სფეროში ჭრის, სულიერი არსებობის პლანში კი, საიდანაც მე გელაპარაკები, ძალა არა აქვს. შენი გონებამახვილობა ბერწია და ბლაგვი. გონება ზღვარდადებულია და ყველაფერი, სადამდეც კი მას ხელი მიუწვდება, ასევე ზღვარდადებულია. ხოლო, რაც ზღვარდადებულია, ის ილუზიაა. როცა გონების სამანებს გასცდები და უსაზღვროებაში შედგამ ფეხს, მაშინ დაინახავ, რა უმნიშვნელო, რა წვრილმანი, რა უაზროა გრძნობადი სამყარო. ბუზები და ჭიანჭველები ღმერთის იგავია და ჩვენდა სამაგალითოდაა შექმნილი. საკუთარ სიცოცხლეს უმწყვეს ტკივილად განვიცდით. ჭიანჭველას გავსტრესთ და არავითარ ტკივილს არ ვგრძნობთ. რატომ? იმიტომ რომ სხვა სიმაღლიდან ვუყურებთ და მის ტკივილს ჩვენს ტკივილად ვერ მივითვლით. ეს არის ცვალებადობა, მოძრაობა და შეფარდებითობა. სწორედ ასე უყურებს თავდაღწეული სული უსაზღვროების მარადიული უძრაობიდან ჩვენს ცვალებად, კონკრეტულ, წარმავალ ყოფას. საკუთარი სხეულის სიკვდილი სულისთვის ისეთივე წვრილმანი და უმნიშვნელო ფაქტია, როგორც გონებისთვის ჭიანჭველას გასრესაა. აი, ეს არის თავისუფლება, ეს არის უკვდავება და ჭეშმარიტი რეალობა.

გედეონმა რამდენჯერმე დაუქნია თავი; ამან აბელი გააკვირვა და დაინტერესა.

— მეტიც შეიძლება ითქვას, — დაფიქრებული სახით შეხედა გედეონმა სამსონს. — სხეული არათუ წვრილმანი და უმნიშვნელოა, სრულიად ზედმეტიცაა. სხეული ხელოვნური რამაა, სკაფანდრია, რომელიც სულს იმისთვის დასჭირდა, რომ დროსა და სივრცეს მორგებოდა და კონკრეტულ სამყაროში გამოვლენილიყო. სიცოცხლე და სიკვდილი სკაფანდრის არსებობის ფორმაა და არა სულის. სკაფანდრი გაცვდება და დაიშლება, სული კი ცქვიტად დაუბრუნდება თავის საწყისს, თავის წყაროს. თუმცა ჩემს ნათქვამში ახალი არაფერია, — გაიღიმა გედეონმა. — ეს იგივე რადიოს იგავია, შენ

რომ გვიამბე, ოღონდ ცოტა გადასხვაფერებული და სხვა სიტყვებით გამოთქმული.

სამსონის გაფართოებულ თვალებში აღტაცების ნაპერწკალი დიდი სისწრაფით ინთებოდა და იბეჭუტებოდა, ინთებოდა და იბეჭუტებოდა. სამსონი ვერ მიმხვდარიყო, გედეონი გულწრფელად ლაპარაკობდა, თუ ეს მისი მორიგი ფანდი იყო.

გედეონი იმდენად სერიოზულად ლაპარაკობდა, სიტყვა „ცქვიტი“ რომ არა, შეიძლება აბელიც დაებნია.

თავად გედეონი კი ერთხანს გაჩუმდა, თითქოს ეფექტს ამოწმებსო, მერე თქვა:

— მაგრამ აქ ერთი გადაუღახავი დაბრკოლებაა: როდესაც სასრულოვანის მაგალითით უსასრულოზე ვლაპარაკობთ, ადამიანური არშინით ღვთაებრიობას ვზომავთ, ლოგიკური წანამძღვრებით ირაციონალურის შესახებ ვაკეთებთ დასკვნას, ამით ხომ ფაქტიურად იმას ვემხრობით, ვინც ამტკიცებს, რომ ღმერთს კი არ შეუქმნია ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი.

— მკვეხელი ხარ შენ, გედეონ რეგია! — ნაპერწკლები დაკვეს თვალებიდან სამსონმა და საჩვენებელი თითი თეატრალურად მიაშვირა მასპინძელს. — მკვეხელი და ღვთის მგმობი. ცოდვილი ხარ და მაგ ცოდვების გამო მკაცრად დაისჯები.

— შეუძლებელია, — ღიმილით გაებადრა სახე გედეონს. — ჩემი სული ხომ ამსოლუტის პრინციპია, ერთი, მარადიული, განუყოფელი? როგორ უნდა დაისაჯოს ერთი, მარადიული და განუყოფელი? თუ შენ სხეულს გულისხმობ, სხეული დაისაჯოს; რადიოსა და სკაფანდრს რა მოუვა, ეგ მე რაში მეკითხება!

— არ არის ადამიანის საშველი... — დაფიქრებით და მწუხარედ თქვა სამსონმა. — ქრისტე ღმერთმა შენი გულისთვის ხორცი შეისხა და კაცის სახით მოევლინა ქვეყანას. შენი გულისთვის ეწამა, შენი გულისთვის ჯვარს ეცვა, შენი ცოდვები იტვირთა, შენ კი როგორ უხდი სამაგიეროს...

— ჩემი ცოდვები იუდამ იტვირთა და არა ქრისტემ.

— იუდა ხარ შენ! — ხმას აუმაღლა სამსონმა.

— იუდამ აქცია იესო ნაზარეველი ქრისტე ღმერთად, — მშვიდად მიუგო გედეონმა. — თუ ქრისტე მართლა ღმერთი იყო, სამსონ, მაშინ ჯვარცმა უბრალო თეატრალური სანახაობაა, წარმოდგენა, თამაში, ისეთი, როგორსაც მე და აბელი ყოველ საღამოს ვმართავთ. ეს კაცი კვრიაში ორჯერ კვდება ტიბალტად და მერე, ფარდა რომ დაიხურება, ისევ აბელად აღდგება. ღმერთი თუ ხარ, ჯვარცმა რა დიდი გამოცდაა! გასცდები ჯვარცმას, აამღლდები, ნახევარი მსოფლიო მუხლებზე დაეცემა შენს წინაშე, თუკი ეს რამეში გჭირდება, და ამოდენა ხალხში ერთი არ გამოჩნდება ისეთი, სიკვდილის წინ რომ სინანულის სიტყვები წამოგცდა, ის სიტყვები გაგიხსენოს და წამოგძახოს. იუდამ რაღა ქნას, ან იმ საწყალმა ებრაელებმა, რომლებიც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ „ჯვარს აცუ ეგე! ჯვარს აცუ ეგე!“, რათა იესოს ქრისტედ გადაქცევაში თავიანთი წვლილი შეეტანათ? იუდას გამეცემლობა და ებრაელების სულმოკლეობა რომ არა, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგია არ იარსებებდა. ერთი საბათაი ცევა იყო, სამსონ, რომელმაც მესიად გამოაცხადა თავი და, ეჭვი არაა, გახდებოდა კიდეც მესია, მაგრამ კონსტანტინეპოლის ციხერმა და ზორსმჭვრეტელმა ხელისუფლებმა ჭკუა იხმარეს და სიკვდილით არ დასჯეს. იუდამ კარგად იცოდა, თუ რა მსხვერპლს იღებდა, და გაბედულად მისცა თავი საწყევრად ისტორიას. იუდამ იცოდა, რომ მისი დიდი ცოდვის გარეშე ადამიანი ღმერთს ვერ მოიპოვებდა. და მისცა ღმერთი ადამიანს. ოცდაათი ვერცხლი გულგრილად გადაყარა და „შიშთვილიბა“ მშვიდად, ისე, რომ ერთი სინანულის სიტყვა არ დასცდენია. ჩვენი ყვე-

ლა ცოდვა იუდამ იტვირთა. სწორედ იუდაშია თავმოყრილი ჩვენი ორივე მისწრაფება — ღმერთის გაცემაც და ღმერთის დამკვიდრებაც. რამდენი წმინდანი ჰყავს ქრისტიანულ ეკლესიას ისეთი, ვინც იუდას ფრჩხილად არ ღირდა. იუდა კი არათუ წმინდანად არ შერაცხეს, დღემდე კრულვით იხსენიებენ.

— სატანა! — ისეთი კილოთი შესძახა სამსონმა, გაბრაზებული ბავშვები რომ ერთმანეთს მეტსახელს წამოსძახებენ.

— გიყვარდეს მოყვასი შენი... — მშვიდი ღიმილით შეაგება გედეონმა.

— მოყვასი ხარ შენ?! ამპარტავანო! გულზვიადო! მზვაობაო! შენ მოყვასი კი არა, მტერი ხარ!

— შეიყვარე მტერი შენი... — იმავე კილოთი თქვა გედეონმა.

— კი, როგორ არა, სულში ჩაგიძვრენ! შენნაირები უფალსაც არ უყვარდა.

— მაშასადამე, ვერც უფალი მისდევდა თანმიმდევრულად საკუთარ მოძღვრებას. იმიტომ რომ ეს მოძღვრება არაბუნებრივია. მტრის შეყვარება შეუძლებელია, სამსონ. თუ მტერია, ვერ შეიყვარებ, და თუ შეიყვარებ, მტერი არაა.

— გვმოძღვრავ, მწიგნობაარო?! ქრისტეს ეტოლები, სატანავ?! თავი მოიდრიკე. ამაყი თავი მოიდრიკე. ვინც აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს!

— მეც მანდა ვარ. ხოლო ვინც დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს. ქრისტიანობამ პატივმოყვარეობის სენი ვერ მოიშორა. ბოლოში უნდა დაჯდე იმ იმედით, რომ მასპინძელი შეგნიშნავს და თავში გადმოგსვამს. თავში ჯდომის წყურვილი სოლივითა აქვს ჩაჭედილი ქრისტიანობას.

სამსონმა ნაღვლიანად გადაიქნია თავი. მერე გედეონს მიაჩერდა. დიდხანს უყურა მწუხარედ. ისე მწუხარედ უყურებდა, აბელს არ ეგონა, თუ თვალზე ცრემლი არ მოადგებოდა. ბოლოს წყნარად თქვა:

— ყველა საკუთარ კვალში დგას... არადა, რას არ ვიზამდით! მთებს გადავაბრუნებდით შეერთებული ძალით. მაგრამ შენი სული ჯურღმულშია. — სამსონი შებრუნდა და ნელი, მძიმე ნაბიჯით წავიდა. კართან მოტრიალდა, კიდევ ერთხელ შეხედა გედეონს და უთხრა: სასუფეველს ვერ ეღირსები შენ, გედეონ რევია, — ამ სიტყვებით ოთახს გასცდა და თვალს მიეფარა. ერთი წუთის შემდეგ მოისმა, როგორ გაიხურა კარი.

აბელი გედეონს მისჩერებოდა. გედეონი დაფიქრებული იჯდა, ბუნჩულა სახე ჰქონდა და მოძრავი, მკვირცხლი თვალები.

ბოლოს, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, აბელმა თქვა:

— იქნებ რწმენის ორგანოც არსებობს...

გედეონმა მოხედა.

— კიდევ ხომ არ დაგველია თითო ფინჯანი ყავა?

აბელს სახეზე ნელა გადაურბინა ღიმილმა.

— რატომ არ აღიარებთ სამსონს?

— მოდი, მემუარებს დავწერ. რას იტყვით, აბელ, როგორი აზრია?

— ჩინებული.

— ხვალიდანვე შევუდგები.

— ამაღამ შეუდექით.

— ამაღამ ქაღალდი არა მაქვს.

— ჰოო... თუ ქაღალდი არა გაქვთ, ამაღამ ვერ შეუდგებით. მაგრამ სამსონს რას ერჩით? რატომ ელაპარაკებით წაბლის გემოზე იმის მიხედვით, თუ როგორ იჩხვლიტება წაბლის ბურძგალი?

— იმიტომ რომ მაინტერესებს, მეტყვის თუ არა როდისმე: გაეწსნათ, გედეონ რევია, ეგ ბურძგალი და ისე დავადგინოთ წაბლის გემო. მაგრამ არ მეტყვის. ჩვენ გულები დიდი გვაქვს, თავები კი პატარა.

— რწმენის ორგანო არ არსებობს?

— არა მგონია. რწმენა სხვა რამეა.

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

რწმენა, აბელ, ალბათ ხიდია, რომელიც ჩვენს ზღვარდადებულ არსებობას ჩვენსავე ზღვარდაუდებელ არსებობასთან აერთებს. მაგრამ ამ ხიდს რომ მიადგე, ცხრა ზღვა და ცხრა მთა უნდა გადაიარო. უნდა დაიქანცო, უნდა დაიტანჯო, უნდა დაბერდე. ჩვენ ხშირად სისულელე და ოპტიმიზმი ერთმანეთში გვერევა და ბოლო საფეხურიდან პირდაპირ კიბის თავში გვინდა მოვექცეთ. შუაში კი ათასი საფეხურია. თავის დროზე, სანამ, ბიბლიის პირობითობას რომ მივმართოთ, ადამი შემეცნების ტკბილმწარე ნაყოფს გემოს გაუსინჯავდა, რწმენა ბუნებრივი და თავისუფალი რამ იყო. როგორც კი საგანთა ბუნება ორმაგი გახდა და უსასრულობას წერტილი დაუპირისპირდა, გონებამ საკუთარ ხელში აიღო გამგებლობა და რწმენა თანდათან შევიწროვა. შესაძლებელია, სწორედ ეს არის წყევლა და სასჯელი. ამიტომ სამსონის ფრთხიალი ახლა უაზრო ფრთხიალია, ახლა ინტელექტმა თავის თავი ბოლომდე უნდა ამოწუროს, სხვაგვარად დაკარგულ რწმენას ვეღარ ვიპოვით. ამიტომ უნდა დაიხუროს თეატრები და ამიტომ უნდა გაიხსნას უნივერსიტეტები. ათასსაფეხურიანი კიბე შემეცნების ქანცგამწყვეტი გზაა. სულსწრაფობა არ გვარგია. დღეს შეიძლება რომელიმე საფეხურს გადავახტეთ კიდეც და გაგვეხარდეს, მაგრამ ხვალ უკან დაბრუნება მოგვიხდება, რათა ის გამოტოვებული საფეხური გავიაროთ. უწიგნური, ან მწირი ინტელექტის პატრონი კაცი ჭეშმარიტ რწმენას ვერ მიაღწევს, რომელი ერთი გამოადგა ქრისტეს იმ უბირ, წერა-კითხვის უცოდინარ მებადურთაგან, მოციქულებად რომ აირჩია? მთელი სიცოცხლე მათთან გაატარა, ყველაფერი ასწავლა. იმ კაცს კი, ვინც ჭეშმარიტი მოციქული აღმოჩნდა და ვინც ქრისტიანობა ფიდ რელიგიად აქცია, მასწავლებელი თვალით არ ნახა. რატომ? იმიტომ რომ ის კაცი, დანარჩენი მოწაფეებისაგან განსხვავებით, წიგნიერი და მოაზროვნე კაცი იყო. ცხადია, ქრისტიანობამ სექტანტობის ვიწრო რკალი ჯვარცმის მეშვეობით გაარღვია, მაგრამ პავლე მოციქული რომ არ ყოფილიყო, ასე ფართოდ ვერ გაიდგამდა ფესვებს და ებრაელობის ქერქიდან ვერ გამოძვრებოდა. მაგრამ რელიგიას ერთი დიდი ნაკლი აქვს: ზედმეტად დემოკრატიულია. ამის გამო რელიგიაში ხშირად რწმენას კი არა, თავშესაფარს პოულობენ, სადაც თავიანთ დაუკმაყოფილებელ პატივმოყვარეობას, უწიგნურობის კომპლექსსა და ინტელექტის სიღარიბეს შალავენ. სამსონი ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყია. ყოველ კაცს განვითარების საკუთარი, პიროვნული ბილიკი აქვს, რომელიც ერთ საერთო გზას უნდა უერთდებოდეს. და თუ არ უერთდება, ეს ბილიკი გაუქმებული ბილიკია.

— ის საერთო გზა საითია მიდის?

— აბა, რა ვიცი, აბელ, — გაიღიმა გედონმა. — არც არავინ იცის.

— მაშინ სამსონს რას ერჩით? თუ საერთო მიმართულება არ ვიცით, იფართხალოს თავისთვის ღრუბლებში.

— მიზნის უცოდინარობა იმის უფლებას არ იძლევა, რომ ქვენა გრძნობებს გალიის კარი გავუღოთ. მეზღვაურმა შეიძლება არ იცოდეს ხომალდის კურსი, მაგრამ ის ხომ იცის, რომ ხომალდს უნდა მოუაროს, კაიუტები დასუფთაოს, ვირთხებს ებრძოლოს, დაბზარული ადგილები შეაკეთოს? საითაც არ უნდა მიდიოდეს გემი, მეზღვაურმა მეზღვაური არ უნდა მოკლას და არ უნდა გაძარცვოს. ლეშის სუნი მომაკვდინებელია, აბელ, ზოგნი კი ხომალდის ქიმზე სხედან და არხეინად, როგორც გვჩვეენა, მღერიან: „ქიდეკაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!“ იმდენ ხანს ვიმღერეთ, რომ სიმღერაში კარგად დაოსტატდნენ, სამაგიეროდ, ამასობაში, რისთვის მღეროდნენ, დაავიწყდათ და ლეკვები უპატრონოდ დარჩათ, ვინ დაზრდის ბედის ანაბარა მიტოვებულ ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავებს? მართლა მგლებად რომ დაიზარდონ, მერე რაღა ვქნათ?

— რატომ იღებთ მაგალითებს მარტო მარცხენა ჯიბიდან?

— მარჯვენა ცარიელია. წარსულისკენ კი რაც შეიძლება იშვიათად უნდა გაიხედო. წარსულის ცქერამ გაბრუება იცის.

— სამსონი იქნებ მართლა ბუდიდან გადმოვაძღნილი ბარტყია, მაგრამ ნუთუ მარტო ლეშის სუნი გცემთ და ვარდის სუნს ვერა გრძნობთ?

— ვარდის სუნს? — გაუკვირდა გედეონს. — საიდან მოდის?

— არ ვიცი, შესაძლებელია გორდაძეებიდან.

გედეონი უხმოდ, მაგრამ აშკარა ინტერესით დაიკქერდა აბელს. ერთხანს უყურა, ბოლოს თქვა:

— მაშ, წავალ, კიდევ მოვადუღებ ყავას.

აბელი ნაშუაღამევის ორ საათამდე დარჩა, მეორე დღეს კი, დილის ათ საათზე, კვლავ მიაკითხა, რათა თეატრში ერთად წასულიყვნენ. თერთმეტზე ორთავეს რეპეტიცია ჰქონდა.

მოხუცი, როგორც ყოველთვის, ცოცხალი, მოძძრავი და ხალისიანი იყო. მარჯვედ მიაბაკუნებდა თავის ხელჯოხს და ენერგიულად აქიაქებდა ნაცნობებსა და ახლობლებს. ხან რომან ადეიშვილს მისწვდა, ხან ასლანს, ხან აროილტო ხოფერიას. ბატონი ვიქტორი და მისი მომხიბლავი მეუღლეც გაიხსენა. არც ბატონი ალექსანდრე გამორჩენია.

მოედანს რომ მიუახლოვდნენ და წიგნების მაღაზიას გაუსწორდნენ, სადაც ერთ დროს სამსონი მუშაობდა, გედეონი შეჩერდა და ორივე ხელით ჯოხს დაეყრდნო.

აბელიც შეჩერდა. ადრე აბელს გედეონის ეს ჩვევა — სეირნობისას შეჩერებულიყო და მოსაუბრეც აეძულებინა მასთან ერთად შემდგარიყო — ცოტა აღიზიანებდა. მერე და მერე მიეჩვია. ახლაც, როგორც კი მოხუცი შედგა, ისიც შედგა და მოხედა.

— წუხელ ბევრი ვიფიქრე, აბელ, — თქვა გედეონმა. — და გადავწყვიტე, მართლა დავწერო მემუარები.

წუხელ, როდესაც გედეონმა მემუარების წერა ახსენა, ამ აზრმა ისე გაიარა აბელის ცნობიერებაში, იქ არავითარი კვალი არ დაუტოვებია. ახლა კი ერთბაშად დაინახა დაწერილი მემუარები, წარმოიდგინა, რომ ღამით ბუხრის პირას ზის და გედეონის ცხოვრების ამბავს კითხულობს, და ამან უცნაურად დაიინტერესა და გაახარა.

— მართლა?! წარმომიდგენია, რა სულმოუთქმელად წავიკითხავ.

— ცნობისმოყვარეობა, აბელ, ცნობისმოყვარეობა. ფარდის უკან შეპყეტის სურვილი... თუ მოვახერხე და დავწერე, ეს იქნება საკუთარი თავის გასამართლება. დეტალურად უნდა აღინუსხოს ყველაფერი, რასაც, ჩვეულებრივ, ვმალავთ ხოლმე იმის შიშით, რომ სხვების თვალში მართლა ისეთი არ გამოვჩნდეთ, როგორიც სინამდვილეში ვართ. გაიხსენება ფარდა და სცენაზე გამოვა პატარა კაცის ყველა თვისება. ლიანდაგზე გავლა გიცდიათ ბავშვობაში?

— კი.

— ეს არის ცხოვრება. მთელი სიცოცხლე ლიანდაგზე მიდიხარ და წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობ. ხან ერთ მხარეს გადაგძლევს რაღაც ძალა, ხან მეორე მხარეს. ხანდახან ძლიერი ქარი დაუბერავს და, რა მაგარი ბიჭიც უნდა იყო, მაინც გადაგაგდებს ლიანდაგიდან. მერე, ქარი რომ მიწყნარდება, ისევ ადიხარ და ისევ ცდილობ წონასწორობა შენარჩუნო. ხანაც ჩუმად მიიხედ-მოიხედავ და, რომ დარწმუნდები, არავინ გიყურებს, სწრაფად ჩამოხვალ ლიანდაგიდან და ერთ მოზრდილ მონაკვეთს ასე გაივლი. მემუარების ერთადერთი ღირსება გულახდილობაა. ამას თუ მივაღწევ, იქნებ ვინმეს მართლა გამოადგეს. მე თვითონ მაინტერესებს, როცა ყველაფერი დაიღება სასწორზე, რა დარჩება ჩემგან.

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

მოედანს რომ გასცდნენ და თეატრისაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩაში შეუხვიეს, მოხუცი კვლავ შეჩერდა.

— ქაღალდი მართლა არა მაქვს, — ღიმილით თქვა. — თქვენ აქ დამელოდეთ, აბელ. ვიყიდი ქაღალდს და ახლავე დავბრუნდები. — ამ სიტყვებით ხელჯოხი ასწია და ქუჩის მეორე მხარეს ჯაიშვირა, სადაც მაღაზიას დიდი ასოებით ეწერა: „კულტსაქონელი“.

თუ მემუარების დაწერა გნებავთ, უნდა გადაჯრათ ქუჩა და გადაღმა მხარეს გადახვიდეთ, სადაც „კულტსაქონლის“ მაღაზიაა, მაგრამ, ახლავე დავბრუნდებიო, ნუ დაიბარებთ, რადგან, კაცი რომ ქუჩას გადაკვეთს, მან დანამდვილებით არასოდეს არ იცის, დაბრუნდება თუ არა უკან.

გედეონ რევიამ ქუჩა გადაჯრა, „კულტსაქონლის“ დაღებულ ხახაში გაუჩინარდა და ორიოდე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა საწერი ქაღალდით ხელში. სახეზე ჩვეულებრივი, გულკეთილი და ცოტა ეშმაკური ღიმილი ეფინა. ხოლო ქაღალდის სიმრავლე იმის მაუწყებელი იყო, რომ მემუარებისათვის მასალა ბლომად უნდა ჰქონოდა.

გედეონ რევიამ შუამდე მოაღწია ვიწრო ქუჩას და უეცრად აღმოჩნდა შემაძრწუნებელ სპექტაკლში, სადაც უარყოფითი პერსონაჟის თამაში დაგკისრა.

მანქანამ იკივლა და დაიღრჭიალა.

სამემუარო ქაღალდი მაშინვე ძირს დაცვივდა. პერსონაჟი კი სწრაფად გადახტა უკან და მეორე, უფრო დიდ მანქანას ჩაუვარდა ბორბლებში. მაგრამ, სანამ ჩაუვარდებოდა, მოასწრო ყველაფრის აღქმა და მაყურებლამდე დიდი სიმართლითა და დამაჯერებლობით მოიტანა. ეს იყო უკანასკნელი „შეფასება“. ხელები წინ გაიშვირა იმ ვარაუდით, რომ მისკენ მომავალი მანქანა შეეჩერებინა (კომიკური შტრიხი უარყოფითი პერსონაჟის ხასიათში) და სახე მოეღრიცა. დანარჩენი თვალებით გადმოსცა. თვალებით გადმოსცა გარდაუვალი სიკვდილის შეგნება, კოსმიური პანიკა, აბსოლუტური, ყველაზე დახშული უმწეობა, შებრალებისა და სურდული მუდარა და სევდა, თითქოს უადგილო, მაგრამ მკაფიო, ყოვლის გამმსჭვალავი და, შესაძლებელია, ცოტა მელოდრამატული სევდა.

მეორე მანქანამაც იკივლა და დაიღრჭიალა, მაგრამ როლი უკვე ნათამაშევი იყო.

როდესაც ცალ მუხლზე წამოჩოქილი აბელი მარჯვენა ხელით საკინძეს უხსნიდა, ხოლო მარცხენათი მისი, თავი ოდნავ წამოწეული ეჭირა, მოხუცის გაფართოებული, თითქოს ცოტა გაოცებული თვალები სახეზე ჰქონდა მობჯენილი. მაგრამ ეს თვალები ახლა ისეთი იყო, ვერც კი დაიჯერებდით, თუ მათში ოდესმე აზრის ნატამალი ჰაუნებდა.

დასაფლავებას ლამის მთელი ქალაქი დაესწრო. ასეთ ერთსულოვნებას სამი სერიოზული მიზეზი ჰქონდა: პირველი ის იყო, რომ, გავარდა თუ არა ხმა გედეონ რევიას დაღუპვის შესახებ, ქალაქის თვალში განსვენებულის აქციებმა ერთბაშად აიწია. ქალაქი მოხვდა, რა კაცი მოუკვდა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ მკვდარი გედეონ რევია საზოგადოების ყველა ფენას თანაბრად უყვარდა; ზოგს იმის გამო, რომ სიცოცხლეშიც უყვარდა და პატივს სცემდა, ზოგს იმის გამო, რომ სიცოცხლეში სძულდა და ეშინოდა. მესამე მიზეზი ის იყო, რომ ქალაქს დიდი ხანია აღარ ჰყოლია საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიცვალებული და ეგრეთ წოდებულ საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგებს (რომლებიც, თუ ძირისძირობამდე ჩავდიეთ, მაინც უფრო საზეიმოა, ვიდრე სამგლოვიარო) მონატრებული იყო.

ცხედარი თეატრიდან გაასვენეს. წინა ორ საღამოს სახლში გაიმართა პანაშვიდი, დასაფლავების დღეს კი თეატრის დიდ ფოიეში დაასვენეს. იწვა იქ მარტოდმარტო, როგორც ლახტის ქამარი, და ირგვლივ, წრეზე, განუწყვეტელ ნაკადად უვლიდნენ ქუდმოხდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არაბუნებრივად სერიოზული მოქალაქეები.

სიტყვით გამომსვლელები დამკრძალავმა კომისიამ ორ ნაწილად გაჰყო. სიტყვების ერთი ნაწილი თეატრში წარმოითქვა, ხოლო მეორე ნაწილი — სასიფლაოზე, სამარის პირას.

სასიფლაო საუკეთესო ადგილას იყო გაშენებული, ტყე-პარკის მოპირდაპირე მხარეს, ქალაქის ბოლოში, მაღალი გორაკის წვერზე. პარკთან შედარებით, სასიფლაოს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ გადასახედი ოთხივე მხარეს იყო და ქვეყნის ოთხივე ყურე დიდ მანძილზე ჩანდა. ქვემოთ მდინარე მიედინებოდა და გვერდით ტრიფის ჯალა მისდევდა (მდინარეს თუ თვალს გააყოლებდით და მერე მზერას მარცხნივ გადაიტანდით, გზატკეცილის გადმოღმა აბელის სახლსაც დაინახავდით). მდინარის გამოღმა, გორაკსა და პარკს შორის, დიდ ნახევარწრედ გადაშლილიყო ქალაქი. უკან ვრცელი დაბლობი იყო, შორეული სოფლები, და შორს, ძალიან შორს, მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები. ერთი სიტყვით, ნამდვილი სამოთხე იყო, კაცი უკეთეს ადგილს ვერ ინატრებდა.

მოახლეობული ზამთარი იგრძნობოდა. გვარიანად ციოდა და სუსხიანი ქარი უბერავდა. საზოგადოების ნაწილს უკვე თბილი პალტოები ეცვა, ნაწილი კი (მათ შორის ბატონი ალექსანდრე და ამის გამო ყველა მისი თანმხლები პირი) ჯერ კიდევ თხელი ლაბადებით უმკლავდებოდა სიცივის შემოტევას. ვისაც ომა ჰქონდა, ამ თმას ქარი უწეწავდა.

გედეონ რევია გამზადებული სამარის პირას დაასვენეს და სიტყვების წარმოთქმას შეუდგნენ. სასიფლაოზე სიტყვები წარმოთქვეს ქალაქის კულტურის განყოფილების გამგემ, თეატრის მთავარმა რეჟისორმა, განათლების განყოფილების გამგემ და გაზეთის რედაქტორმა. ყველა მათგანი ლაპარაკობდა ძალიან ნელა, ხმოვნებს (განსაკუთრებით „ე"-სა და „უ"-ს) გაბმით წარმოთქვამდა, რაც გლოვის საზეიმო განწყობილებას ქმნიდა.

პირველი კულტურის განყოფილების გამგე იყო. მან ლაბადის ერთი ჯიბიდან სათვალე ამოიღო, მეორიდან — დაკეცილი ფურცელი, და კითხვას შეუდგა. მისი თეატრალურ-სამგლოვიარო ტონი, რომელსაც გულიდან ამოხეთქილი დარდის შთაბეჭდილება უნდა შეექმნა, ცოტა კომიკურად ჟღერდა იმის გამო, რომ ორატორი ამ „გულიდან ამოხეთქილ დარდს" ქაღალდზე კითხულობდა.

ადეიშვილმა, დიდიძემ და გარაყანიძემ ზეპირად ილაპარაკეს და ამით მსმენელებს პირველ ორატორზე მეტად მოაწონეს თავი.

როდესაც გედეონ რევია ფრთხილად ჩაუშვეს სამარეში და საზოგადოებამ ქალაქისკენ ქნა პირი, აბელმა შენიშნა, რომ სამარის პირას მესაფლავეების გარდა, კიდევ ერთი კაცი დარჩა. ეს კაცი სამსონი იყო. იგი გულხელდაკრებილი იდგა, ერთხანს მდუმარედ, დაფიქრებით ჩასცქეროდა საფლავს, რომელსაც მუყაითად ავსებდნენ ნიჩბებმომარჯვებული მესაფლავეები. ბოლოს ნელა, მძიმედ გადაიქნია თავი, ამოიოხრა და თქვა:

— ეეჰ! გედეონ რევია, გედეონ რევია!..

დასაფლავების შემდეგ საზოგადოების რჩეული ნაწილი ლუდხანისკენ გაეშურა და ჭირის სუფრას მიუჯდა.

მოგგვიანებით, შინ რომ დაბრუნდა, აბელი დიდხანს იდგა ფანჯარასთან და სიბნელეში ჩასვენებულ მდინარეს გასცქეროდა, მერე კი მაგიდას მიუჯდა, ზედ იდაყვებით დაეყრდნო, ხელები ნიკაპზე და ლოყებზე შემოიკრა და ჩამქრალ ბუხარს მიაჩერდა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა რამდენიმე წიგნი, სუფთა ფურცლების პატარა დასტა, წყლით ნახევრად სავსე გრაფინი, მაღალი ჭიქა, კალმისტარი, რომელსაც ექვსი წვერი ჰქონდა და ექვს ფერად

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

წერდა. ნამწვავებით სავსე ნიჟარის საფერფლე. სიგარეტის კოლოფი და კვესი.

დიდხანს უყურა ჩამქრალ ბუხარს თუ ცოტა ხანს, ბოლოს ერთი ფურცელი ახლო მოიჩოჩა, კალმისტარი აიღო, ექვსი წვერიდან ერთ-ერთს გამოაყოფინა თავი და ფურცელზე, ზედა მარცხენა კუთხესთან პაწაწინა შავი წრე შემოხაზა. მერე კალმისტარს წვერი შეუცვალა და შავ წრეს მარჯვენა მხრიდან წითელი ნახევარწრე შემოავლო. ისევ შეუცვალა წვერი კალმისტარს და ახლა, ამჯერად მარცხნიდან, მწვანე ნახევარწრე შემოავლო. მწვანე ნახევარწრე წითელზე უფრო მეტად იყო დაშორებული შავი წრიდან, ამიტომ მისი ბოლოები წითელი ნახევარწრის ბოლოებს კი არ უერთდებოდა, არამედ ოდნავ სცდებოდა. ამის შემდეგ კვლავ შეუცვალა წვერი კალმისტარს და ახლა ზემოდან და ქვემოდან შემოავლო ასევე არათანაბრად დაშორებული ცისფერი და ყვითელი რკალები. ერთხელ რომ მოიღია ყველა ექვსი ფერი, თავიდან დაიწყო. როცა თითოეული ფერის რკალი ხუთ-ხუთჯერ თუ ექვს-ექვსჯერ შემოავლო და ჭრელი წრეც გვარიანად გაიზარდა, ბოლოს ისევ შავი წრე შემოხაზა და მთელი ნახატი შიგ მოაქცია. აქ კალმისტარი ფურცელზე დადო და გარინდებული კვლავ ბუხარს მიაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ ხელახლა მოიმარჯვა კალმისტარი, დიდ შავ წრეზე სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა მიმართულების შემხები ხაზები გაავლო, მერე რკალებს შორის დარჩენილი ვიწრო, ცარიელი ხლჩლების ამოვსება დაიწყო პატარ-პატარა ირიბი ხაზებით. ამასაც რომ მორჩა და ჭრელმა წრემ ასე თუ ისე, დასრულებული სახე მიიღო, მის გასწვრივ, ოდნავ მოშორებით, შავი ფერით დაწერა: „17 ნოემბერი“. მერე ამ „17 ნოემბერს“ დაუწყო დამუშავება. ერთიანის ზედა და ქვედა წერტილიდან ორი, მაღლა და მარჯვნივ მიმართული თანაბარი სიდიდის პარალელური ხაზები გაავლო და ამ ხაზების ბოლოებიც ერთმანეთს შეუერთა ხაზებს შორის მოქცეული არე გასწვრივი პარალელური ფერადი ხაზებით ამოავსო. საბოლოოდ ერთიანმა მოიცულობა შეიძინა და ნახატს დაემსგავსა. ასევე დაამუშავა შვიდიანიც და „ნოემბრის“ ყველა ასოც. მერე ყოველივე ამის ქვეშ ფურცლის თავიდან ბოლომდე ხაში გაავლო და ქვემოთ, მარცხენა მხარეს ისევ დაწერა: „17 ნოემბერი“, ხოლო ამ წარწერის ქვემოთ, იქ, სადაც ჩვეულებრივ, ახალი აბზაცი იწყება, — „შენ“. ახლა ამ „შენ“-ს დაუწყო დამუშავება, თუმცა არა ისე, როგორც წეღან „17 ნოემბერი“ დაამუშავა. „შ“-ს ირგვლივ რამდენიმე სხვადასხვა ფერის „შ“ შემოავლო. ასევე „ე“-სა და „ნ“-ს, მერე ქვეშ ისევ გაავლო ხაზი და ამ ხაზს ქვემოთ უკვე გადაბმული ასოებით და ცოტა გაკრული ხელით დაწერა: „მზით განათებულ შარაგზაზე ორი ჩრდილი გვერდიგვერდ მიცოცავდა“. კალმისტარი ისევ ფურცელზე დადო და ის იყო, კვლავ ბუხარში საცქერად მოემზადა, რომ უცებ გადაიფიქრა, კალმისტარი ხელახლა აიღო და აბზაცით დაიწყო: „როცა ძალიან მოგენატრები, მაშინ მივალო, რომ დამიბარე, იმ წუთიდან მოყოლებული, მუდამ ძალიან მენატრები. შენ ალბათ ამას ვერ ამჩნევ. გგონია, რომ „ძალიან“ ჯერ არ დამდგარა. სინამდვილეში ჩემი ნატვრა თავიდანვე ზღვრამდე იყო მისული, ჩემი ნატვრა ერთიანი „ძალიანაა“ და შეუძლებელია რაიმე მოემატოს. დღეს გედეონ რევია დავასაფლავეთ. ყველა ადამიანი მოკვდავია. რევია ადამიანია. რევია მოკვდავია. ჩრდილი და ჩრდილი გზად მიდიოდნენ. გედეონ რევია დიდი ზარზეიმით დავასაფლავეთ და მერე ლუდხანაში წავედით საქეიფოდ. სამსონი ისევ უშვებს წვერს. თეიმურაზ კილაძე საეკვოდ ცმუკავდა და წრიალებდა საფლავის ირგვლივ. მგონი სიტყვის თქმა უნდოდა და ვერ გაბედა. ალბათ რამე ისეთი სიტყვა ჰქონდა მომზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავის მოწონება შეიძლებოდა. მაგრამ ვერ გაბედა. უნდა გაებედა. ერთმა ჩრდილმა მეორეს უთხრა: „სამყაროო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რეალური სამყაროო არ არის. იგი ოდენ ილუზიაა. რეალური სამყაროს ანარეკლი. ჩვენ ჩრდილი და ეშმაკია ვართ. ჩვენი ნამდვილი სიცოცხლე ფიზიკურ პლანში მიედინება, სამგანზომილებიან სამყაროში, რომლის წარმოდგენა ჩვენ არ ძალგვიძს. როდესაც ეზზე ჩავა და ჩვენ გავქრებით, ჩვეს ეს სიკვდილი ბგგონია. სინამდვილეში ამ დროს ჩვენს შემოქმედს ვუბრუნდებით და ხვალ, ეზზე რომ ხელახლა ამოვა, კვლავ გავჩნდებით. გედეონ რევია ღირსეულად დავასაფლავეთ და მერე ლუდხანაში შესანდობარი ვთქვით. თამადა რომან ადეიშვილი იყო. მაგრამ სულერას ბატონი ალექსანდრე ესწრებოდა. რომელმაც აქ ბატონი ვიქტორი შეცალა, ამიტომ აქცენტი მალე მასზე გადავიტანეთ და გედეონ რევია გულიანად გადადგვვარდა. გზად მიმავალი ორი ჩრდილი ორი ქურდის ჩრდილი ყო. შენ წამით ინათე და მყისვე ჩაქრი. რადგან მე მზად არ ვიყავი საიმისოდ, რომ ელვისთვის თვალი გამესწორებია. წერილს აზრი არა აქვს. რომც წაგიკითხო, ვერ გაგაგებინებ. ჩემი ენა ბრეზნილია, ჩემი სიტყვები გაუთლელი ლოდებია. რა ვუყო...“

ამ ადგილას აბელმა წერა შეწყვიტა, კალმისტარი დადო, წამოდგა და ოთახში ბოლოს ცემა დაიწყო.

თავი ოცდამეხამე

გედეონ რევია უშვილძირო კაცი იყო, ნათესავი არ ჰყავდა და არც მემკვიდრეობაზე განუცხადებია ვინმეს პრეტენზია. ამიტომ დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ხელისუფლებამ კომისია გამოგზავნა, რათა ყველაფერი, რაც განსვენებულს დარჩა, აღეწერა და ასე აღნუსხული სახით მიეღო და ჩაებარებია. აღწერას მოწმეებიც უნდა დასწრებოდნენ და ეს როლი, როგორც ყველაზე ახლობლებს, დაეკისრათ რომან ადეიშვილს, ასლანსა და აბელს. არც კომისიის წევრებსა და არც მოწმეებს ეს მომაბეზრებელი სამუშაო, რომელიც, ეჭვი არ იყო, დიდხანს გასტანდა, არაფრად ეპატრონებოდათ, მაგრამ ბედმა გაუღიმათ და საქმე დაწყებულიც კი არ ჰქონდათ, რომ დაამთავრეს კიდეც. შესაძლებელია, ბედის წყალობის გარდა, აქ თავისი სიტყვა თქვა კომისიის თავმჯდომარის, ხმელ-ხმელი, ჭაღარა, სათვალიანი მოხუცის დიდმა გამოცდილებამაც. თავმჯდომარემ პირველ რიგში პირადი საბუთების მოძებნა მოითხოვა. პირადი საბუთები საწოლ ოთახში, საწერი მაგიდის უჯრაში იპოვეს. საბუთებს გარდა, აქ აღმოჩნდა ორი დაწებებული კონვერტი. ერთის ადრესატი, როგორც ამას კონვერტის წარწერა იუწყებოდა, აბელი იყო, მეორეს კი მკაფიოდ, დიდი ასოებით ეწერა: „ანდერძი“. „ანდერძში“ აღმოჩნდა კანონის ყველა პარაგრაფით გაფორმებული ანდერძი, რომლის თანახმად, განსვენებული თვალ თავის ქონებას აბელს უტოვებდა. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა ზვებით ამოისუნთქეს, აბელს მილოცვის ნიშნად სათითაოდ ჩამოართვეს ხელი და მუშაობა დაამთავრეს.

აბელი სახტად დარჩენილიყო. ...ნუთუ იმ ღამეს ...ცოდა, რა მოელოდა მეორე დღეს?“ გაუელვა თავში, მაგრამ მერე, როცა ...ყოლახლა დაუფიდა ანდერძს და ნახა, რომ იგი მთელი ერთი წლის წინათ იყო შედგენილი, გულში გაეცინა თავის სისულელეზე.

კომისიამ სახლის გასაღები აბელს დაუტოვა და წავიდა. წასვლის წინ ასლანმა მარცხენა ხელი ბეჭზე დაჰკრა აბელს, მარჯვენა ხელის საჩვენებელი

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

თითო და მარჯვენა წარბი მაღლა ასწია და ისე თქვა, თითქოს გამოჭედაო:

— ყუვარდი შენ!

რონან ადეიშვილმა ისე მიულოცა, კაცისშვილი ვერ შეატყობდა, გაეხარდა ეს ამბავი თუ ეწყინა.

მარტო რომ დარჩა თავის უცხო სახლში, ფელს მაშინღა გაახსენდა წერილი. წეიანვე აპირებდა გახსნას, მაგრამ კომისიის თავმჯდომარემ რომ დაუშალა (ჯერ საერთო საქმეს მივხედოთო), ჯიბეში ჩაიდო, მერე კი ანდერძმა სულ გადააავიწყა.

კონვერტში დიდი ფურცელი იდო და ზედ პატარა ტექსტი ეწერა: „იურიდიულად, ბელ, ყველაფერი, რაც ჩემი იყო, ახლა თქვენია, რაც შეეხება მორალურ მხარეს, ეს თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ. გედეონი“.

ეს იყო და ეს.

ბელმა რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი, მერე დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო, ჯამოვიდა, შემოსსვლელი კარი ჩაკეტა და თავისი ძველი, ნაუკლებარი სახლისაკენ გაუდგა გზას.

წერილმა საგონებელში ჩააგდო. გედეონმა მშვენივრად იცოდა, რომ კანონს მხოლოდ იურიდიული მხარე ეხება, პროგზენებას კი — მხოლოდ ზნეობრივი მხარე. ამიტომ კანონს იურიდიული დოკუმენტი დაუტოვა, ბელს კი — ზნეობრივი დოკუმენტი. მაგრამ ეს დოკუმენტი ბუნდოვანი იყო და ბელის ინფიქრალსაც სწორედ ეს ბუნდოვანება წარმოადგენდა. მთავარი აზრი ეკვს არ იწვევდა: ბელს მხოლოდ მაშინ შეეძლო დანატოვარი დანატოვრად ჩაეფალა, როცა მემკვიდრეობის მორალური უფლება ექნებოდა. მაგრამ, რას ნშნავს მორალური უფლება? რამდენადაც ბელმა იცოდა, გედეონ რეგიას ზაობის სფეროში მყარი თეორიული პრინციპები არ გააჩნდა. დღეს რომ ლამი წშინდანობას მოითხოვდა კაცისაგან ხვალ შეიძლება ზნეობის დროშით გარკვნილების თავგამოდებული დაცვა დაქმყო. ბელი ალბათ ამდენს არ იმტკიცებდა თავს და სულაც უარს იტყოდა ამ საჩოთირო მემკვიდრეობაზე, ოღონდ გედეონმა ეს გზა იმთავითვე მოუჭრა, რადგან უარის თქმა უკვე წერილის პასუხი იქნებოდა.

საბოლოოდ, ბევრი ფიქრის შემდეგ, ბელმა გადაწყვიტა, მანამ არ შესულიყო ამ თავის ახალ სახლში, სანამ შინაგანი რწმენა არ გაუჩნდებოდა, რომ ამის უფლება აქვს. ბოლოს და ბოლოს თავად გედეონ რეგიაც ხომ სწორედ ასე აყენებდა საკითხს!

ეს კი გადაწყვიტა, მაგრამ რაიმე ნაბიჯის გადადგმა და პროცესის შეგნებულად დაჩქარება გულშიაც არ გაუვლია. პირიქით, ამ მხრივ გედეონ რეგიას სიკვდილის შემდეგ კატასტროფულად იწყო უკან-უკან სვლა. სმას მოუხშირა, კითხვას მოუკლო, სახლი ერთთავად არეული ჰქონდა, ორჯერ ქუჩაში ჩხუბი ატეხა, წვერს მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე იპარსავდა. ერთადერთი ოჯახი, ვისთანაც ჯერ კიდევ ჰქონდა მისვლა-მოსვლა, გორდაძეების ოჯახი იყო. მემკვიდრეობით მიღებულ სახლში ერთხელ მივიდა, რამდენიმე წიგნი წამოიღო, სახლი კარგად დაკეტა და მიატოვა. წიგნები წამოიღო, მაგრამ წაკითხვით არ კითხულობდა. ხანდახან აიღებდა, გადაშლიდა და ისევ მიაგდებდა. რაღაც რომ აწუხებდა, გრძნობდა, მაგრამ რა აწუხებდა, არ იცოდა. ზოგჯერ, ორ კვირაში ან თვეში ერთხელ, ძველ უბანში გაიარ-ია, სადაც ხელოსნებისა და მედუქნეების რიგი იყო, და იქ მართლა ეუფლებოდა რაღაცნაირი შვების, სიხარულის, თავისუფლების განცდა. ერთხელ იქ სასადილოშიც შევიდა და, მეარენესთან ერთად, კარგად გამოიბრუჟა. ხშირად სიარულს ვერ ბედავდა, „შინოდა, ის უცხო განცდა არ გაუფერულებულიყო და არ გამქრალიყო.

ასე გავიდა ზამთარი. გაზაფხულის ერთ საღამოს კი მოხდა, ვერ ვიტყვით, რომ განსაკუთრებით უცნაური და მოულოდნელი, მაგრამ გვარიანად მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბავი.

გვიანი საღამო იყო. ბელი შინ დაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდა და ჩვეულებისამებრ მიადგა ფანჯარას, საიდანაც ბინდში ჩაფლული მდინარის ცქერა უყვარდა, რომ უეცრად კარზე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით! — უკან მიუხედავად დაიძახა აბელმა და რატომღაც (თავადაც ვერ მიმხვდარიყო, რა სისულელის წყალობით) გაიფიქრა: „ალბათ ულკება იქნება“.

კარი რომ გაიღო და დაიხურა, მაშინღა მიიხედა.

ოთახში სამსონი იდგა. მაგრამ ასეთი უჩვეულო სამსონი აბელს ჯერ არ ენახა. ხაკისფერი ხალათი ეცვა და ხაკისფერი მაღალ, ტყავის ჩექმებში ჩატანებული შარვალი. აბელს ეს ჯერ სამხედრო ფორმა ეგონა და გაოცებისგან პირიც კი დააღო, მაგრამ, კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, ასეთ შთაბეჭდილებას, უბრალოდ, ჩექმები და შარვალ-ხალათის ფერი ქმნიდა. მარცხენა მხარზე სამსონს ნახევრად სავსე ზურგჩანთა ეკიდა. მხოლოდ თავზე ეხურა განუყრელი უზბეკური ქუდი და წვერი ჰქონდა გრძელი, როგორც გაპარსვამდე.

— გამარჯობა! — თქვა სამსონმა და ზურგჩანთა ძირს დადო.

— გამარჯობა, სამსონ! — აბელის გაკვირვებას ჯერ კიდევ არ გაეკლო. — ეს რა გაცვია?

— ცუდია?.. სუფთა ბამბაა. სქელი, გამძლე. აი, ნახე! — და მარჯვენა ხელის ცერითა და საჩვენებელი თითით თვითონვე მოსინჯა თავისი ხალათი.

— დაბრძანდი, სამსონ. — სკამი გამოუწია აბელმა. — მიდიხარ სადმე?

— კი. იქ მივდივარ. — ცოტა იდუმალი, ცოტა საზეიმო კილოთი უპასუხა სამსონმა და საჩვენებელი თითი ზემოთ აიშვირა.

აბელი დაიბნა. „თუ თავის მოკვლას გულისხმობს, ზურგჩანთა რად უნდა?“ — გაიფიქრა გაკვირვებით მერე გამბედაობა მოიკრიბა და ჰკითხა:

— სად იქ?

— საცა საჭიროა.

— დაჯექი, — მეტი ვერაფერი მოახერხა აბელმა.

სამსონმა უხმოდ გააქნია თავი უარის ნიშნად. მერე უთხრა:

— მას შემდეგ, რაც გედეონ რევია მოინელეს, ამ მახინჯ ქალაქში შენნაირ ერთადერთი კაცი, ვისთანაც დალაპარაკება შეიძლება. ამიტომ გამოვიარე. შენ უნდა იცოდე, აბელ, რომ რაც ჩამიდენია, ყველაფერი ღვთის ნება იყო, და რასაც ჩავიდენ, ყველაფერი ღვთის ნება იქნება. იმიტომ რომ მე სხვა არაფერი ვარ, თუ არა ღვთის ნების აღსრულება. ვინც ღმერთის უმისოდ ცხოვრობს, ამას ვერ გაიგებს და ბევრი რამ შეიძლება საეჭვო და საჩოთირო მოეჩვენოს. შენ, თუკი მოინდომებ, გაიგებ. მე ახლა მივდივარ, რადგან ჩემი წასვლის ჟამმა დაჰკრა. თუ ღვთის ნების აღმსრულებელი ხარ, დროდადრო დადგება ისეთი პერიოდი, როცა ადამიანებს უნდა განერიდო, უნდა წახვიდე სადმე, ან ტყეში ან მთაში, ან უდაბნოში და რამდენიმე წელიწადი დაჰყო იქ, რათა შენი მომავალი მისია გაარკვიო. მე ტყეში ვამჯობინე წასვლა. აგერ იქ, — სახლის მარცხნივ კუთხისკენ გაიშვირა ხელი სამსონმა. — სოფლებს გადღმა, უღრანი ტყეა. ყოფილხარ როდისმე?

— არა. — თავი გაიქნია აბელმა.

— იქ ერთი მღვიმეა. განდეგილისთვისაა ზედგამოჭრილი. იქ მივდივარ.

აბელმა შეხედა და თვალი თვალში გაუყარა.

— მერიმ იცის?

სამსონმა თვალი აარიდა და განზე გაიხედა.

— ეს საქალო საქმე არ არის. შენ, თუ გინდა, უთხარი. ახლა კი წაველდი. ეცოდე, აბელ, ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს. აბა, მშვიდობით! — ამ სიტყვებით ხელი გამოუწოდა და გაულიმა თავისი ფართო, ქეთილი, გულუბრყვილო ღიმილით.

აბელი კიბემდე გაჰყვა, მერე შინ შემობრუნდა, შუქი ჩააქრო, რათა თვალს უკეთ გაერჩია, გარეთ რა ხდებოდა, და

ფანჯარას მიადგა. სამსონი მალე გამოჩნდა. გზატკეცილზე გავიდა და მარცხნივ გაუხვია. მიდიოდა მტკაცე, ჯარისკაცური ნაბიჯით, რომელშიაც რაღაც გარდაუვალი, საბედისწერო სიამაყე იგრძნობოდა. სანამ თვალს არ მიეფარა, აბელი ფანჯარასთან იდგა და გასცქეროდა.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. დილით იბანავა, წვერი გაიპარსა, თმა ლამაზად დაიფარცხნა, თავისი საუკეთესო კოსტიუმი ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. რეპეტიციის დაწყებამდე ჯერ დიდი დრო იყო, მაგრამ მაინც გაჩქარებული ნაბიჯით აუყვა ვიწრო ქუჩას. ჰაერში გაზაფხულის სუნი იდგა, ატმისა და ტყემლის ყვავილები მზეზე ლამაზად ელვარებდნენ და ქალაქს ცოტა საზეიმო ელფერი დაჰკრავდა.

აბელმა მოედანს მიაღწია, თეატრის გადასახვევს ისე გასცდა, არც კი მიუხედავს, ზემოთ წავიდა, ბაღი გადაიარა და კულტურის სახლს მიადგა.

მოხუც კარისკაცს სკამი გარეთ გამოეტანა და დილის მზეს ეფიცხებოდა.

— დირექტორი აქ არის? — ჰკითხა აბელმა.

— კი, — მიუგო კარისკაცმა და სკამზე შებრუნდა, რათა ახლა მეორე გვერდი მიეშვირა მზისათვის.

აბელმა მინის მაღალი კარი შეაღო, დერეფანში მიმოიხედა, ალაბედზე წავიდა მარჯვნივ, თან ოთახების კარებზე წარწერებს აკვირდებოდა. მალე მიაგნო დირექტორის ოთახს. კართან წამით შეჩერდა, მერე შეაღო და შეიხედა.

— შეიძლება, ბატონო არიოსტო?

არიოსტო ხოფერიამ კალმისტარს დაავლო ხელი და თავი მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებში ჩარგო, მაგრამ, სანამ ასეთ საქმიან იერს მიიღებდა, აბელმა შეამჩნია, რომ მანამ უაზროდ მისჩერებოდა ჭერს.

— მობრძანდით! — თავაუღებლად თქვა არიოსტომ.

აბელი შევიდა და მიესალმა:

— გამარჯობათ.

— გამარჯობათ, — ისევ თავაუღებლად მიუგო არიოსტომ, კალამი მაგიდაზე მიანად გაუსვ-გამოუსვა ფურცელს და მერიღა მოხედა. — გამარჯობათ. — გაიმეორა კიდევ ერთხელ და, აბელი რომ ახლოს მივიდა, არ წამომდგარა, ისე გამოუწოდა ხელი.

აბელმა ხელი ჩამოართვა.

— თქვენთან სერიოზული საქმე მაქვს, ბატონო არიოსტო.

— დაბრძანდით, — დაბოხებული ხმით და ცოტა შემწყნარებული კილოთი უთხრა არიოსტომ, კალამი ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთხელ გაუფხაჭუნა ქაღალდს, მერე ფურცელზე დადო და საბოლოოდ მოემზადა მოსასმენად. — გისმენთ.

— რასაც ახლა გეტყვით, შეიძლება ცოტა უცნაური გეჩვენოთ. მაგრამ, რა უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, ნაჩქარევ გადაწყვეტილებად ნუ ჩამითვლით. მე ამაზე ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე.

აბელის სერიოზულმა, ცოტა არ იყოს, მძიმე ტონმა, არიოსტო როლიდან ამოაგდო. მან გულწრფელი ინტერესით შეხედა სტუმარს და ბუნებრივი კილოთი ჰკითხა:

— რა იყო?

აბელი წამოდგა, სკამი მაგიდის ქვეშ შესწია და ორივე ხელით საზურგეს დაეყრდნო.

— მე მხოლოდ ერთხელა ვარ ნამყოფი თქვენს ოჯახში, მაგრამ ზოგიერთი რამ იმდენად თვალშისაცემია, რომ მაინც შევამჩნიე...

არიოსტომ გაკვირვებით ამოხედა, წამით ფერმა გადაჰკრა, თითქოს რაღაცის შეეშინდოთ, მერე წამოდგა და ახლო მივიდა აბელთან.

— მოხდა რამე?

ეს ისეთი კილოთი იკითხა, რომ აბელი იძულებული შეიქნა სასწრაფოდ დაემშვიდებინა:

— არა, არა. არაფერი, — მერე ისევ ნელა, დაფიქრებით განაგრძო: — გარეშე კაცის საქმე არ არის ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ... უნდა მაპატიოთ. ის

სიტუაცია, რაც თქვენს ოჯახშია... მე ვგულისხმობ დედათქვენსა და თქვენს მეუღლეს... მთლად ჯანსაღი არ არის.

— ვინ გკითხავს შენ ჩემი ოჯახის სიტუაციას?! — ხმას აუწია არიოსტომ და თვალები ავად დაებრიალა.

— არავინ. მაგრამ მე ვლაპარაკობ თქვენს ქალიშვილზე. ასეთი ვითარება, ასეთ გარემოში ცხოვრება...

არიოსტოს სახე ცოტა დაუგრძელდა. ახლა მის ხმაში წეღანდელი სიავის მაგივრად ურუ ნაღველი იყო:

— სად წავიყვანო?..

— მე წავიყვან.

— რაა? — არიოსტომ ვერ გაიგო და პირდაღებული და თვალებგაფართოებული მისჩერებოდა აბელს.

— მთელი ჩემი სიცოცხლის ერთადერთი აზრი ის იქნება, რომ მოვუარო და ვემსახურო. თქვენთვის რომ...

საკუთარ თავზე რომ არ გამოეცადა, აბელი ვერაფრით ვერ დაიჯერებდა, ამ სამოცი წლის კაცს თუ ასეთი ელვისებური რეაქცია ექნებოდა. გაშლილი ხელი ისე მოხვდა ყბაში, არც კი შეუმჩნევია, საერთოდ თუ დაიძრა ეს ხელი ადგილიდან. მეორე წამს არიოსტომ, წეღან რომ აბელი იჯდა, იმ სკამს წამოავლო ხელი. სკამი არიოსტოს ზურგს უკან ნელ-ნელა იწევდა მაღლა და იმ დროს, როცა იგი ვერტიკალურად აღიმართა თავს ზემოთ, აბელი სწრაფად გავიდა და კარი გაიხურა.

კარისკაცი თვალდახუჭული ნეტარებდა მზეზე.

„რაც ამ ქალაქში მირტყეს, — ნაღველიანად გაიფიქრა აბელმა, ჭუჭაში რომ გამოვიდა. — ამდენი მთელ სიცოცხლეში არ ურტყამთ ჩემთვის“.

წუხელ აბელმა მართლა ბევრი იფიქრა და, როგორც თვითონ ეგონა, ყველაფერი აწონ-დაწონა. თავიდან ფიქრი ტყე-ტყე მიმავალ სამსონს ედგა კვალში, მერე ნელ-ნელა ჩამორჩა, ღობეყორეს მოედო და ერთხანს უგზოუკვლოდ იხეტიალა, სანამ ბოლოს და ბოლოს ახალ საგანს არ მიადგა. ეს [illegible] საგანი თვითონ აბელი იყო. აბელმა წინ დაიდო აბელი და გულდასმით, ოღონდ ცოტა ნერვიულად, შეუდგა მისი შესწავლას. ყოველი მხრიდან ჩხრიკა და უკირკიტა, ნაწილ-ნაწილ დაშალა და ეს ნაწილები სათითაოდ ზომა და წონა. არ დაუტოვებია არც ერთი კუთხე და არც ერთი კუნესული. ვინ არის ეს აბელი? რა უნდა? რის მაჭისია? სამსონს ამ კითხვებზე გაცემული ჰქონდა პასუხი. სამსონმა იცოდა, ვინ იყო სამსონი. სხვა საქმეა, რამდენად სწორია ეს ცოდნა. მაგრამ ამის დადგენა შეუძლებელია და, რაკი შეუძლებელია, არცა აქვს აზრი. მთავარია, შენთვის იპოვო პასუხი. რწმენაა მთავარი აბელი მთელი ღამე დაძაბული ეძებდა თავის პასუხს და გამთენიის ხანს თითქოს იპოვა კიდეც. გამთენიის ხანს, როცა მდინარის თავზე რუხად ირიყრაყა, აბელი მიხვდა, რომ მისი ჭეშმარიტი დანიშნულება არის თავგანწირვა, საკუთარი თავის სრული გაცემა, საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმა. ღამე და დღე ადამიანზე ფსიქოლოგიურად სხვადასხვანაირად მოქმედებს და ის, რაც ღამე ურყევი ჭეშმარიტება და სერიოზული აღმოჩენა გეგონია, დღის სინათლეზე სრულიად კარგავს ფასს, მაგრამ აბელი დარწმუნებული იყო, მის მიგნებაზე დღისა და ღამის ფსიქოლოგიური ცვალებადობა ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებდა. და იმ დროს, როცა ჭეშმარიტება აღმოჩენილ იქნა და თავგანწირვის კონკრეტული მისამართიც დარჩა საპოვნელად, მეხსიერების ღრმა კუნჭული გაიხსნა და ცნობიერებაში ამოცურდა ერთხელ, დიდი ხნის წინ, უკლებას მიერ ნათქვამი („შესაძლებელია, სრულიად დაუფიქრებლად წამოსროლილი“) ფრაზა. აბელს ნათლად მოაგონდა, როგორ ღრუტუნებდა არიოსტოს ქალაშვილი და რა მონდომებით ჭრიდა თეთრი ქაღალდიდან პატარ-პატარა მოცეკვავე კაცუნებს. ფანტაზია აუფაფიდა და არიოსტოს სახლში ნანახმა ამ სურათმა აბელის სახლში გადმოი-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ნაცვლა. აბელის წარმოდგენაში მთელმა მისმა მომავალმა ცხოვრებამ ამ სურათის ირგვლივ მოიყარა თავი. შეუნელებელმა ზრუნვამ, ალერსმა, სიყვარულმა, მთელი მისი სიცოცხლის ერთი საგნის ირგვლივ თავმოყრამ, ანუ, როგორც სამსონი იტყოდა, მთელი სულიერი ენერგიის ერთ საგანზე დაუნჯებამ, ყოველისმომცველმა სურვილმა, ლოცვის სიღრმემ და სიწმინდემ ნაყოფი გამოიღო და აი, ერთ მშვენიერ დღეს არისტოს ქალიშვილმა მაკრატელს ხელი გაუშვა, კაცუნების გამოჭრას თავი დაანება, ცნობიერებაში აზრის სინათლე შემოიჭრა და... და ეს ღმერთის შესაფერისი საქციელი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ღვთაებრივ საქციელს შეუძლია არაოსტის საბრალო ქალიშვილი ადამიანად აქციოს. და მხოლოდ თავგანწირვა თუ შეგვაძლებინებს ამას, რადგან მხოლოდ თავგანწირვას შეუძლია გაამართლოს ის წვრილ-წვრილი სისაძაგლეები, რომლებსაც ნებით თუ უნებლიეთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩავდივართ. გამთენიის ხანს აბელი ასეთ დასკვნამდე მივიდა და გადაწყვიტა, დილითვე ენახა არაოსტო. სამწუხაროდ, დაძაბული ფიქრითა და ღამისტეხით დაღლილმა გონებამ საქმის მხოლოდ რომანტიკული და სენტიმენტალური მხარე გაითვალისწინა და სრულებით ვერ გაუწია ანგარიში რეალურ ვითარებას. ხოლო არაოსტო, რომელსაც, ცხადია, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა აბელის თეთრად გათენებულ ღამეზე, მტკივნეულ ძიებაზე და მოწამებრივი გზების ზნეობრიობაზე, რეალური ვითარების იქით საერთოდ არ იყურებოდა. აბელმა იცოდა, რა უნდა ეთქვა არაოსტოსთვის, როგორ უნდა ეთქვა, რა ტონი აერჩია, რა სიტყვები ეხმარა და რა სიტყვებს მორიდებოდა. იცოდა, როგორ უნდა ეხსნა თავგანწირვის ლოგიკური პარადოქსი, როცა საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვის სიცოცხლეს გადაარჩენ და თითქოს ამით არაფერი იცვლება, მხოლოდ გადაადგილება ხდება: ვინც უნდა დაღუპულიყო, გადარჩა, ვინც უნდა გადარჩენილიყო, დაიღუპა. ლოგიკის პოზიციიდან ასეთი თავგანწირვა უაზრობაა. სინამდვილეში კი ამ თითქოსდა უაზრო გადაადგილების შედეგად გამოიყოფა დიდი ზნეობრივი ენერგია, რომელიც სიოსავით გადაიქროლებს, მთელ სამყაროს შემოივლის, ყველას შეეხება და ყველგან რაღაც კვალს დატოვებს. ასეთი იყო აბელის ფორმულა, მაგრამ ამ ფორმულამ გამიცდას ვერ გაუძლო, რადგან არაოსტოს თავისი ფორმულები ჰქონდა. აბელი მიხვდა, რომ მისი თავგანწირვა საკმარისი არ იყო. თავგანწირვა თურმე ორმხრივ აქტიურობას მოითხოვს. შენ, შესაძლებელია, მზად იყო მსხვერპლის გასაღებად, მაგრამ, თუ მსხვერპლის მიმღებიც არ იქნა მზად, ისე ზნეობრივი აქტი ვერ განხორციელდება.

„აქ რაღაც შეცდომაა, — გაიფიქრა აბელმა. — ამ შეცდომას მოძებნა უნდა“.

ამ დროს ვიღაც ხმამაღლა მიესალმა და ფიქრის ძაფი გაუწყდა.

აბელმა ახლოა შენიშნა, რომ თურმე უკვე თეატრში შესულიყო, ხოლო ის ვიღაც, ვინც საკუთარ თავს მოსწყვიტა, იყო კარისკაცი, ყველასთან შეთამამებული ახალგაზრდა ბიჭი.

— აბელს გაუმარჯოს!

— ა! გამარჯობა, სერგო.

— აღრე მოგვიდა მოსვლა.

— ჰო — მიუგო აბელმა და სწრაფად გაეცალა.

კარისკაცის ბრტყელმა, კედელივით სწორმა სახემ, რომელზედაც ერთადერთი ამობურცული ადგილი იყო პაწაწინა, კონუსის ფორმის ცხვირი, და უტიფარმა, ურცხვად თავდაჯერებულმა მზერამ გაუგებარი კავშირის წყალობით, თითქოს კიდევ უფრო გამოაცალა ნიადაგი აბელის წუხანდელ ნაფიქრსა და ნაცოდვილარს, ყველაფერი ეჭვის ქვეშ დადგა, დანიშნულებაც, თავგანწირვაც, ზრუნვაც და სიყვარულიც, რაზედაც აბელი ასე სერიოზულად იმტვრევდა თავს. იქიდან ახლა ეგოიზმის

ფარული და დამცინავი ღიმილი იმზირებოდა, რადგან კაცმა არ იცოდა, რა უფრო უკეთესი იყო არიოსტოს ქალიშვილისათვის, ბნელი გონების ხაროში უზრუნველი ყოფნა, სადაც სამყარო თეთრ კაცუნებში იყო თავმოყრილი და კმაყოფილი ღრუტუნებდა, თუ აზრის ნათელი სხივი, რომელსაც უთვალავი მწვავე ტკივილი მოაქვს თან.

სარეპეტიციო ოთახში არავინ იყო. აბელი კუთხეში მიჯდა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. გაზაფხულის ზეცა უფრო მომწვანო იყო, ვიდრე ღურჯი, და ამ მომწვანო თაღზე, თეთრში რომ ცოტაოდენი წითელი შეერევა, ისეთი ფერის ვიწრო და მოგრძო ღრუბელი ზანტად დაცურავდა.

აბელს, შესაძლებელია, ჩასთვლიმა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, როცა საკუთარ თავს დაუბრუნდა, ოთახში მერი დაინახა. მერი მოპირდაპირე მხარეს იჯდა, გრძელთასმიანი ჩანთა მუხლებზე ედო და აბელს შემოსცქეროდა.

აბელმა დაბნეული მზერა მოავლო მერის და თქვა:

— წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუცევია, სიყვარულს უშენებია. ძვირფასო მერი! როდესაც საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნდი, ცოტა შეფერთხილი ჩანდი, ცოტა მოტეხილი, ცოტა სიბერეშემოპარული, და, ვისაც შენი ნორჩი სილამაზე ჯერ კიდევ ნათლად ახსოვდა, გულისტკივილითა და ნიშნის მოგებით ადარებდა ერთმანეთს წარსულსა და აწმყოს. ახლა კი, როგორც ჩანს, მშობლიური ქალაქის ჯადოსნური ზემოქმედების წყალობით, კვლავ ძველებურად მშვენიერი ხარ.

მერის ძარღვი არ შეტოკებია, თითქოს აბელის სიტყვები არც გაუგონია.

— არ გიძინია წუხელ?

— არა, — თავი გაიქნია აბელმა. — მთელი ღამე არიოსტო ხოფერიას ქალიშვილზე ვფიქრობდი.

მერის ახლა კი გაეცინა, ოღონდ შეეცადა ამ სიცილში ნაძალადევი ინტონაცია შეეტანა, რათა ეგრძნობინებია, რომ მისი ხუმრობა გონებამახვილურობით მაინცდამაინც ვერ გმოირჩეოდა.

— სერიოზული საფიქრალი ვაგჩენია, — უთხრა მერე.

— სერიოზული საფიქრალი ბევრი მაქვს, — მიუგო აბელმა — უსერიოზულესი კი მათ შორის ის არის, რომ მერი ბარაბაძე, ამ ქალაქში ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი ადამიანი, აგერ უკვე ორ წელიწადზე მეტია ჯათხოვილია და ის უმთავრესი ცვლილება, რაც ამ ფაქტთან დაკავშირებულ საქმიანობას აუცილებლობის გზით უნდა მოჰყვებოდეს, ჯერ კიდევ არ ჩანს. რას ფიქრობდა ეს გაუგებარი უმოქმედობა? ვერ აგვარებთ შენ და სამსონი შაამომავლობის საკითხს?

— ვერა, — თქვა მერიმ, თვალი გაუსწორა აბელს და ყინულივით ცივი ღიმილით დაუმატა: — ხომ არ დაგეხმარებოდი?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდი სოფლის...

მახსოვს გრძელი ხეივანი,
ასი კოხტა ალვა,
თვით სოფელი — სხარტი ტანის
ერი მარდი ავლა.
არ ფერი არ ამღვრევდა
მწუხრის იდილიას,
გაკამტვერდა ჩვენი სევდა,
გაეხარეთ ფრრიად.
მნატრება მშვიდი სოფლის
ი ალმამო წყნარი...

იქაურებს ცოტაც ჰყოფნით,
არ იციან ვალი.
იქაურებს ცა მაღალი
მიუღიათ ჭერად,
ალალია კაცი, ქალი,
ნათელი აქვთ მზერა,
არ უკრთებათ ღამით ძილი,
ცოდვა-მადლის სჯერათ,
და დგებიან... თითქოს დილით
სიზმრებს აჰყენენ ფერადს.

რად ხდება ასე

ემომჯდარა და ჭიკჭიკებს ჩიტი,
ეტი ყველასთვის ირჯება, მაგრამ, —
ბევრისთვის იგი ვერაფერს იტყვის,
ბევრის სმენა კი მის სმენად დადნა.
ნარნარად უყლის ნიავი რტოებს,
ყველას თვალთა წინ ირწევა ტოტი,

ბევრს ეს სინაზე გულგრილსა სტოვებს,
ბევრს ამ სურათზე ცრემლები მოსდის;
არავინ იცის რად ხდება ასე,
არავინ იცის რად ხდება ასე...
რა ეშველებათ მტირალა ნაზებს,
ანდა — გულგრილ და უცრემლო
მქისეთ.

შენი უდარდელობა

როგორც ფერად მდელოთა
ელობაა ჭრელობა,
ეგრეც — უდარდელობა
ირის შენი ხელობა.
მენთვის ერთი ფასი სძევს
ბნელეთსა და მზიანს,
ითი სავსეს გახვალ ხევს, —
ვერც შენიშნავ იას.

არასოდეს გკონია
მოლოდინი — საზრდო...
ის ვერ აგიყოლიებს,
რაიც ნაღდად ნაზობს,
არ გაჰყვები მდელოებს
ყვავილებით ნაწერს...
შენი უდარდელობა
გულზე დარდად მაწევს.

ჩვეულებრივი ისტორია

წყენა, დაშორება, მიტევება,
ხალვა, სულთქმა-ეშით ხადილი...
თავზე დატეხილი მისტერია,
ხელები — ვედრებად გაწვდილი...
ჩვეულებრივი ისტორია, —
არაჩვეულებრივად განცდილი.

ყოფა გარდასულის მოგონებით —
არცათუ მთლად ვარდის ფერია...
მარტო გარდასულის მოგონებით
ყოფა მეტისმეტად ძნელია,
თუმცა... რა ხდება დ. რასა ჰკვდები.
ეს „არ ახალია, ძველია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყენა, დაშორება გისენია,
ჰგონებ — ჩათავდი და მოისრე...
დგახარ — დაწვრილებით იხსენიებ,
ზიზარ — მოსაგონარს მოისევ...
ბევრი ამდაგვარი გისმენია,
ბევრსაც ამნაირსვე მოისმენ.
თავზე დატეხილი მისტერია,
ხელები — ვედრებად გაწვდილი...
ჩვეულებრივი ისტორია, —
მაინც შენეულად განცდილი.

თუ დამეძინა

რადგანაც ეს დღე ჩათავდა, მორჩა,
აღარას ვჩივი დღეს სახვალიოდ...
აწ ღირს საწოლზე დავაგდო ხორცი
და სული ფერად სიზმრებს გავრიო.
დღისით ოცნებით კი ვიკვებები,
მაგრამ სიზმარი მაინც სხვა არი;
ყველა ოცნება არის ბებერი,
ხოლო სიზმარი — გულის ხმა არი.
ვიშორებ სხეულს, საწოლზე ვაწვენ,
რომ სულს სიზმრებით დავუტკბო
თვალი, —
ეგ არის, ცხადს თუ როგორმე გავცდი,
თუ დამეძინა რაიმე ძალიან.

●

გადაჩითული მინდორი,
აკრეფილული მინდორი,
ღიღილოები დიდრონი, —
ხასიათსაამინდონი.
ამ ყვავილებით, ნაირფრით,
მიწა გვიმძღვანებს გუნებას,
იყუჩე, ყველა ყვავილი
თავისას გეჩურჩულება...
სულიერები არიან.
ძე-კაცის სულსაოხები...
ჩვენ კი გვწამს, საოცარია,
ფეხქვეშ გვიგია ნოხები.
აქა-იქ მოჩანს ნახირი
და ითელება ნოხები.
ნოხებზე თავებდახრილი
მიაბიჯებენ ძროხები, —
მათთვის ფერადი მინდვრები
პური არი და ჭამადი...
მათთვის საკვებად ითელება
ეს ყვავილები თამამი, —
რა საოცარი რამ არი. —
ეს სულიერი ნოხები
არის პური და ჭამადი,—
ყვავილებს ჭამენ ძროხები,
ყვავილებს ჭამენ ძროხები.
ვაი, საბრალო ყვავილი...
ძროხებით ანაოხრები
ყვავილით მწადის ბღავილი.

და... მასთან ბრძოლა

პა, შემოდგომამ გამოფინა ჭრელაჭრელები,
დაუზარებლად გამოფინა უშქარი ფერ...
ამგვაოად ჰფერენ სიბერეში გადასულები
ქალები კაბებს, რომ სიბერეს დარიონ ხელი.
შემოდგომაა სიბერეში შესული ქალი.
გულისმომკვლელი სევდა ახლავს ორივე მაოგანს,
ეგ არის, რაგინდ ფერადები იფარონ ფარად,
ერთი სიბერეს ვერ წაუვა. მეორე ზამთარს.
...მოდის სიბერე, ქვეყნად ყოფნის დღეებს რომ გვითვლის
და მასთან ბრძოლა, ველზე ქარის დევნაა თითქმის.

ნუგზარ შატაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ნოველა

ო

ქალი: მაგათ ჯიშსა და ჯილაგს ნუ მასწავლით — ჯადოს გაუკეთებდა, თორემ ეგრე როგორ იქნება, ქა, ვერ უყურებთ, ერთთავად სულელივით იკრიუბაო! იცოდეთ, რკინის ქალამანს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს დავიჭერ, ხელმწიფემდე ვივლი და სამართალს მაინც ვიპოვნიო!

ერთ მშვენიერ დღესაც ეს ჩვენი ქორა ხვანთქარმა დაიბარა კანტორაში: საჩივარია შემოსული შენზე — სოლომნიანთ ქვრივსა ჰყვარობსო. ქორამ ქუდი მოიხადა, იმ ქუდიანი ხელით კეფა მოიქექა და თავმჯდომარეს გაღიმებული მიაჩერდა.

— ჰო, რას მიყურებ, მართალია? — შეუბღვერა ხვანთქარმა.

— რა ვიცი. კაცო, კატამ მეფეს შეხედაო და...

— ბიჭო, შენა ვირის ტვინი ხო არა გაქ ნაჭამი, დ-გავიწყდა წვრილშვილი?!

— არა, მაგრამ კატამ მეფეს შეხედაო და რა ვიცი...

— აიჩემე ეხლა აბა. კატამ მეფეს შეხედა და მეფემ — კატასო, — გაჯავრდა ხვანთქარი. — შენ რასაც გეუბნებიან, კარგა დაუგდე ყური, — მაგიდაზე სალოკი თითი დაუკაკუნა, — აიკარი ხვალიდან გუდა-ნაბადი და მთაში გაჰყევ ფერმის გამგესა, თორე ხო იცი!

— მთაში რა მინდა, კაცო!

— რაც გინდა. შენთვისა მცალიან ეხლა? — დღე ერთია და საჩივარი კიდევ ათასი!

— ვინა ჩივის, კაცო, ვინა ჩივის, ნალხო! — ისეთი ხმით იბდავენ ქორამ, რომ შეშინებული თავმჯდომარე წამოხტა და სკამი გადაბრუნა, — ჰაი, დედას გიტირავ, კაკაანთ ქალო, დედასა! — გულზე მუშტი დაიბრაგუნა და ისე გამოგლიჯა კარი, რომ თავმჯდომარის მაგიდაზე კოხტად დალაგებული ქაღალდები მაღლა აცვივდა, ჰაერში გაიფანტა და მთელ ოთახს ფარფატით მოეღო.

ქორა კი უკვე ორღობეში მირბოდა. იმის დანახვაზე ტალახში ჩაწოლილი ტახი დაფრთხა, ჯაჭვი გაწყვიტა და ჰაკვირილით დაეშვა თავქვე, სანეხვეზე მოგუფუფული ქათმები კრიახით შეფრინდნენ ყორეზე და მერეც კარგახანს კაკანებდნენ გულდახეთქილები, დომბურის ჭრელმა ნაგაზმა კი კუდი ლაჯებში ამოიჩარა და ღობის დარანში დურთა თავი.

კაკაანთ ქალი ბოსტანში ჩაცუცქულიყო, ხახვის კვლს მარგლავდა.

— რა გინდა, ქალო, რას გადამეკიდე, აღარ დამანებებ თავსა! — მესერს მიაწყდა ქორა.

— უი, ქა, — მუხლებზე კაბა ჩამოიქაჩა და საკინძეზე ხელი იტაცა იმან — ხატმა ხო არ შეგაშინა, ბიჭო?!

— ჰაი, ხატი და ღმერთი გაგიწყრეს, შე ეორების გუდავ, შენა!

— დაიცა, დაიცა, ქორავ, მე ვერა მხედავ აქა! — კაკაანთ ქალის ქმარიც იქვე ყოფილიყო, ვაშლებს სწამლავდა თურმე. ხურგიდან აპარატი მოიხსნა, მიწაზე დადგა და ქორასაკენ წამოვიდა.

— ვალიკო, უთხარი რამე შენს დედაკაცს, თორემ უსიისხლოდ არ გათავდება ჩვენი საქმე!

— რას ამბობ, ე?! რას ამბობს, დედაკაცო!

კაკაანთ ქალი წამომდგარიყო, ხილაბანდს ისწორებდა.

— რად დაძვრება მელასავით კანტორაში და რად დაავქვს საჩივრები!

— რას ამბობს-მეთქი, დედაკაცო!

ეხლა კი გაწიწმატდა კაკაანთ ქალი, დოინჯი შემოიყარა:

— ჭირსა და სიკვდილს ამბობს თავის თავისთვისა. ვერ უყურებთ, ამ უნამუსოს, ამ ქალების მუჭუჭს, რო ყველა თავისნაირი უნდა გახადოს. მე რა მომჩივანი მნახა, ეა?! რაში მეკითხებით ან შენა და ან კიდევ ის შენი კაჩპა, რო კარზე მეჭრები, მეხიც ორთავეს დაგცემიათ!

— რა გინდა, ქალო, რა გველი შეგიწვი. განა არ ვიცი, ემაგ საქმეს შენს მეტი არა კაცი არ იზამდა!

ნუგზარ შატაიძე
ორი ნოველა

— ხალხოო! — დაიწივლა კაკაანთ ქალმა. — არ გეყურებათ, რას იძახის, რეებს მაბრალებს ეს გაოხრებული, ესა! დამაცადე, დამაცადე, მაშ მე ქალი არ ვიყო, შენ თუ სოფლის ბაირაღი არ გიგზადო!

— შედი, ქალო, შინა! — დაიღრინა ვალიკომ და ყვითელი ღოჯები გამოაჩინა.

— უიმეე!!! არა, ვალიკო, არა, გენაცვალე, ეგ რა ღირსია, რო მაგის უნამუსო ჭკუას ავყვე. წამო, შემოგვალე, წამო!

ქორამ ერთხანს კიდევ უყურა შინისაკენ მიმავალ ცოლ-ქმარს, მერე ერთი გემოზე შეიკურთხა და ჩქარი ნაბიჯით დაეშვა თავქვე.

შუაღამე კარგა გადასული იყო და გვარიანადაც ბნელოდა, როცა სოლომნიანთ ქვრივის ჭიშკარში ფრთხილად შეიძუტრწა კაცის ხმახი ლანდი, ეზო გადაკვრა, ქვის კიბე ფეხაკრეფით აიარა და აივანზე გამომავალი ფანჯრის მინაზე ჩუმად მიაკაკუნა. ოთახში სინათლე აინთო და სარკმელი რბილი, ვარდისფერი შუქით განათდა. ცოტა ხნის მერე კი, ღამის სიჩუმეში, გასაღების ჩხლაკუნი და კარის ჭრიალიც გახმიანდა.

ის იყო, კაცი ღია კარში გაუჩინარდა, რომ ქვემოთ, ორღობეში, კაკლის ჩრდილს ახლა ქალის ლანდი გამოეყო, სოლომნიანთ ლამაზი ქვრივის განათებულ სარკმელს მუშტი მოუღერა და გაჩქარებული დაადგა აღმართს. მიდიოდა ბნელ ორღობეში, ხან სად ჩაუვარდებოდა ფეხი და ხან კიდევ სად, მაგრამ სულაც არ ეპუებოდა სიბნელესა და უგზოობას. ეგ კი არა უფრო და უფრო უჩქარებდა ნაბიჯს და ბოლოს სირბილზეც გადავიდა.

ალბათ უკვე მიხვდი, მკითხველო, ვინ იყო ის დედაკაცი. დიახ, კაკაანთ ქალი გახლდა!

სულ მალე გამოცოცხლდა მიძინებული სოფელი — სახლებში შუქები აინთო, ისმოდა კაცების დუდღუნი, ქალების მორიდებული სიცილი, ძაღლების ყეფა და გამოფხიზლებული ბავშვების უღროო, ხრინწიანი ყივილი. კაკაანთ ქალი ერთი ეზოდან მეორეში დარბოდა, ცალი ფეხი რომ აქა ჰქონდა, მეორეთი უკვე იქით მიალაჯებდა, გაკაპასებული იქნებდა მუშტებს და ხმაჩახლეჩილი ხაოდა: რა დროს ძილია, გენაცვათ, ქვეყანა თავზე გვექცევა. როდემდის ვუცქიროთ მაგათ უნამუსობას — ლაფში მოგვსვარეს, სოფელი წაგვიბილწეს, გარეთ აღარ გამოგვეყოფა თავი. წავიდეთ, მივუცვივდეთ, შარაზე გამოვაპენოთო!

ბოლოს, მთელი სოფელი ვერა, მაგრამ ერთი აითოდე ცნობისწადილტანილი. შალმობურდნული ქალი და იმათ ადევნებული თითო-ოროლა ხელფარნიანი კაცი მაინც მოაქუჩა, სოლომნიანთ ქვრივის სახლისკენ გაისტუმრა და თვითონ ქორას ცოლს მიუკაკუნა კარზე.

იმას ისედაც არ ეძინა — თვალებდაჭყეტილი იწვა სიბნელეში, ამიტომ მაშინვე წამოხტა, ბამბაზიის ხალათი მოიცვა, კარი გააღო და უღროო სტუმრის დანახვაზე გულს შემოეყარა:

— რა უბედურებაა ჩემს თავსა, ქალო!

— ქორა სადა გყავს?

— ვიმე, მთაში წავიდა დილას, რა იყო, ადამიანო!

— შე საცოდავო, შენაა, — მიუტირა კაკაანთ ქალმა და ფრჩხილებით ლოყა ჩამოიგაზა. — მთაში კი არა, სოლომნიანთ ლამაზი ქვრივის კრუჟავიან ქვეშაგებში ბუღრაობს!

— უწინამც დღე დამლევია! — წარბები შეყარა ქორას დედაკაცმა.

— რა გიყო, შე საწყალო, — ახლა თავპირში წაინშინა მუშტი კაკაანთ ქალმა, — ბევრი ვუშალე, ბევრი ვემუდარე, მაგრამ არა ქნეს, ქალო, მთელი სოფელი შეიყარა, ორივენი უნდა ჩავქოლოთო!

— ვაი, ჩემს მოსწრებას, ვაი, შერცხვენილო ოჯახო! — იძახდა ქორას უბედური ცოლი და თან ფათა-ფუთით იკრავდა ხალათის ღილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკაანთ ქალი წინ გაუძღვა იმას და სიბნელეში ორივენი სოლომნიანთ ორღობისკენ გაჩქარდნენ.

იქ უკვე შეყრილიყო ხალხი — იდგნენ და ვარდისფერი შუქით განათებულ ფანჯარას შესცქეროდნენ. დედაკაცების დანახვაზე შეჩოჩქოლდნენ. უკან დაიხიეს კაკაანთ ქალს მიაცქერდნენ. ქორას ცოლი გამტკნარებული, აბუზული გაჩერდა მოშორებით, ღობის ჩრდილს შეეფარა.

კაკაანთ ქალი, რაკი მიხვდა, ჩემს სიტყვას ელოდებიანონ, შეფიქრიანდა, გუნებაში საკუთარ თავს გაუწყრა — ნეტავ ეს ქორას ცოლი რაღად მინდოდა აქო, მერე ხალხში შეერია და ისიც სოლომნიანთ ქვრივის განათებულ ფანჯარას მიაცქერდა.

— რა ვქნათ, ქალო, — წასჩურჩულა მაშომ, ბაწაწკის დედაკაცმა, — როდემდე ვუყურთო ეგრე.

სიბნელეში ყველამ აქეთკენ მოიწია, კაკაანთ ქალთან შეჯგუფდნენ. ის კი გრძნობდა, როგორ ნელა-ნელა ცივდებოდა, რანაირად უგრილდებოდა გული. ეხლა რატომღაც სულ ზედმეტად ეჩვენებოდა თავისი წეღანდელი ფაფხური, რაღაც საკვირველი შიში შეჰპარვოდა და ხმას ვერ იღებდა.

— არ გესმის, ადამიანო, მუჯლუგუნი უთავეზა ისევ იმ მაშომ, — ეგრე როდემდინ ვიდგეთ-მეთქი!

— მოვიცადოთ, მოვიცადოთ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა კაკაანთ ქალმა და ქორას ცოლისკენ გაიპარა თვალი.

— რაღას უნდა ვუცადოთ, ეე?! — გაბრაზდა მეველის კეტივით აყლარწყული, ფილანდელარაყგამოყოლილი პიტუა, — ამ შუადამისას რომ წამოგვყარე და აქ გვაკავკავებ, ის ხო არა გგონია შენა!

— ნეტა ვინ გეხვეწებოდა, წამოდიო! — ხელი აუქნია კაკაანთ ქალმა.

— ბიჭოს?! შენ არ იყავ, სულთამხუთავივით რო დამადექი თავზე!

— კარგით, ჭა, კარგით, რა დროს ეგ არი!

უცებ ყველანი გაჩუმდნენ და სოლომნიანთ ქვრივის ფანჯარას მიაჩერდნენ.

— იქ უკვე ჩაქეროთ შუქი, აივანზე ეს ფარანი ანთეთ, — ბნელე ჩამოწოლილიყო.

კარგა ხანს გაუგრძელდათ დუმილი, მერე ვიღაცამ ჩაიფრუტუნა და გუგულაანთ ქალმა იმ ჩაბნელებულ ფანჯარას ქოქოლა მიაყარა:

—აი, ჩასკდით, ჩასკდით, უნამუსოებო!

პიტუა წაკუზულიყო, მიწაზე ხელების ფათურით რაღაცას ეძებდა და როცა ერთი დიდი, მუშტისოდენა ქვა იპოვა, წამოდგა და ფანჯარას გაუწყრა. სიბნელეში გაისმა შუშის ძსხეროვის ხმა, ქალის კივილი და უცებ ისეთი გნიასი და აურზაური ატყდა, რომ სოფელში ძაღლები აღაფრთოვანდნენ. კაკაანთ ქალები ეზოსკენ მიწევდნენ, კაცებმა ფარნები მიანთეს ივანეს.

— იქიდან მოუარეთ, იქიდან, — ყ�eროდ ხმაჩახლეჩილი პიტუა, — იქიდან მოუარეთ-მეთქი არ გაგვეპაროს!

რამდენიმე ქალმა ფარანები აკიდა დახმარებით, სახლიკან. ბოსტნისკენ გაიკვლია გზა. სახლს შემოუარეს და დაინახეს, რომ სიბნელეში ვიღაც გარბოდა.

— აქ არი, აქ არი, ხალხო! — დაიწივლა მაშომ.

— დაიჭით, არ გაუშვათ!

ქალები გაქცეულს გამოეხსნენ, რომელიღაც გუშინდელ მორწყულ კაკალში გაუსხლტა ფეხი და კომბოსტოებში წაიქცა, დანარჩენებმა ზედ ღობესთან მიუსწრეს. საწყალს [illegible] მაღალ მესერზე იჩაჩხებოდა, მაგრამ [illegible] ფეხებში და ძირს ჩამოიღლა. [illegible] ვიდენ ... ხვებიც, წაქცეულს ზედ დაეცხრნენ და დაუწყეს ჯგვლემა. კაცი ფართხალებდა, წამოდგომას ცდილობდა. მაგრამ გაცოფებული ქალები არ აცლიდნენ, ვისაც როგორ შეეწალა და როგორც ეხერხებოდა, ისე იურიდა გულის ბუხარს — სცემდნენ. ფრჩხილებით თავ-პირს აკაწრიდნენ. ტანსაცმელს

ნუგზარ შატბაძე
[illegible] ... ელა

ახევდნენ და თან შემზარავი ხმით გაჰკიოდნენ.

მოორბინა ჰიტუამაც, ცემა-ტყეპის ეშხში შესულები გაჭირვებით მიფანტ-მოფანტა, საწყალი კაცი წამოაყენა და სახეში ფარანი მიანათა, მერე უკან მიიხედა და კაკაანთ ქალი რომ დაინახა, უთხრა:

— მოდი აბა, ქალო, აქა!

იმან ორიოდე ნაბიჯი კი გადმოდგა, მაგრამ მუხლებში სისუსტე იგრძნო და გაჩერდა.

— ვინ არი ესა, იცნობ? — ჰკითხა ჰიტუამ და ხაფანგში გაბმულ მელასავით თვალებდაელმებულ კაცს ისევ შეანათა ფარანი.

ეჰ, იცნო, როგორ არ იცნო — ვალიკო გახლდათ, იმისი პატიოსანი ქმარი. უყურა საწყალმა, უყურა და მერე სადაც იდგა, იქვე ჩაკუნტდა. სხვები მდუმარედ დასჩერებოდნენ — ყველას დაავიწყდა ნაცემ-ნაბეგვი, თავბრუდასხმული სისხლიანებული ვალიკო და ისიც, რაკი დრო იხელთა, ფეხაკრეფით, ჩუმად გაეცალა ხალხს, გზაზე გავიდა და სამშვიდობოს რომ დაიგუა თავი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა.

ყურადღება არავის მიუქცევია, ისევ კაკაანთ ქალს დასჩერებოდნენ, მერე ნელ-ნელა დაიშალნენ, გადავიდნენ სოლომნიანთ ქვრივის გადაჯეგილი ბოსტნიდან და გულდამძიმებულებმა თავიანთ სახლებს მიაშურეს. როდის-როდის ადგა ისიც, გზაზე გალასლასდა, — იქ მარტო ქორას ცოლიღა იდგა, ელოდებოდა და როცა იმან რაღაც ფარული სიამაყით გადახვია ხელი, მკერდზე მიიხუტა და ალერსიანად უთხრა: რას იზამ, ქალო, ნათქვამია — სიბერემდე სიკაჩლეო, მაშინ კი ამოუჯდა გული და საცოდავად აზლუქუნდა.

დ ა რ დ ი

ის იყო ბოლო მწკრივსაც აუარა ნიკამ, ვაზის შესაწყაბილი აპარატი მოიხსნა, ძირს დადგა და ცივი წყლით გაპილუმებული ლტრა მოიარღარღა, რომ ქსილისის მხრიდან ერთი უშველებელი, ჩაშავებულ-ჩაბოროტებული ღრუბელი დაიძრა, გზადაგზა გაიზარდა, მერე ლურჯად ჩაბინდული ქედებიდან სხვებიც გამოიყოლა და დოსტოღრივ გამოსწია სოფლისაკენ.

ვაზებში ჩურჩულით გაირბინა ნიავმა, ფოთლები ააშრიალა და წვიმის მძაფრი სურნელი დააყენა. ნიკამ უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, შაბიამნისფრად შეღებილ ზვარს თვალი მოავლო, მერე წინდები წამოკრიფა, ჯიბეში ჩაიჩურთა, ცარიელ აპარატს დასწვდა, შიშველი ფეხები რეზინის ჩუსტებში წაჰყო და თავქვე დაეშვა.

კაკალთან ჯერ არ იყო მისული, რომ ელვამ, საშინელმა გრუხუნმა შეაზანზარა მიწა და მაღლიდან ტკაპა-ტკუპით წამოვიდნენ წვიმის მსხვილი წვეთები. შეიყუჟა კაკალქვეშ, აპარატი თვის მომცრო ზვინთან დადგა, ზედ ჩამოჯდა და ვენახს იქიდან გაჰხედა.

აქამდე გაჩახჩახებული, განათებული გარემო ახლა ერთბაშად მომრუშხულიყო, ჩამობინდულიყო არე-მარე, ზოგჯერ ღრუბლებში გაკლაკნილი ელვა თუ გაანათებდა. წვიმდა, ალმაცერად უყაყუნებდა და თითქოს სული ჩაიდგაო, ჩურჩულებდა ვენახი, ხმაურობდა, იქაურობა ათასნაირ ხმებს აევსო — ისმოდა შიშინი, ქაფმორეული ნიაღვრების ჩხრიალი, წვიმის ჩქაფუნი და კიდევ რაღაც უცნაური, შორეული გუგუნი.

ნელ-ნელა კაკლის ხშირ ფოთლებშიც ჩამოატანა წვიმამ, ცივი, გამქვირვალე წვეთები რბილად ეცემოდნენ ნათიბში, წინწკლებს ისროდნენ. ჰაერში სველი მიწის თბილი ოხშივარი დატრიალდა. ვენახის თავზე მძიმედ გადაიფრინა დაქიებულმა ოფოფმა, ფშატებს გადასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდა და წვიმის სქელი ფარდის მიღმა აღიჩინარდა.

ავდარს კი ბოლო არ უჩანდა, აღარა ხუმრობდა ის დალოცვილი ღმერთი, ცა ფეხად ჩამოჰქონდა. ვაზებს ფურწერით გასდიოდათ შაბიამნიანი წყალი, მიწა წამლისფრად შეიღება.

იჯდა ნიკა და გამტკნარებული გასცქეროდა ვენახს, უყურებდა როგორ ერთბაშად ეყრებოდა წყალში იმდღევანდელი ნამუშევარი, რანაირად ირეცხებოდა და რის ვაინაჩრობით შეწამლული ვაზი და ნელ-ნელა უსივდებოდა გული.

ჩამუქებულ ცაზე კი კვლავინდებურად იკლაკნებოდა ელვა და დედამიწას შემზარავი გრუხუნი არყევდა, ვენახიდან გამოვარდნილმა ნიაღვრებმა კაკალქვეშ დიდი ტბორი დააყენეს — აცახცახდნენ ვაზები, უცნაურად დაიკვნესა კაკალმა და ნიკასაც რეჩხი უყო გულმა — ფათაფუთით დაიკარწახა შარგლის ტოტები, ღობეზე მიყუდებულ ბარს მისწვდა, გუბეში გატოპა და მუხლამდე ტალახში შეერია.

ვაშლებთან რომ ავიდა, ზემოდან წამოსული წყალი ფეხებში დაეტაკა, ცოტას გასწყდა არ წააქცია. — გზიდან ჩანჩქერივით გადმოქუხდა ღვართქაფი, ვენახში ქვა-ღორღი გადმოჰქონდა და ვაზების მწკრივებს გაგიეგებული კაეჩიივით თქვრავდა, ერთი მოზრდილი ეტი უკვე წაელმა კიდეც და ამის დანახვაზე ნიკას ყელიდან უცნაური, შემაძრწუნებელი ხვილი აღმოხდა.

აფთარივით ავარდა გზაზე, არხს დაეძგერა, შიგ გაეკიდნი ჩანჩხვარი და დიდი ლოდები ნაპირზე ამოყარა, წყალს გეზი უცვალა, მაგრამ მთებიდან დაძრული ნიაღვარი უფრო და უფრო იზრდებოდა, ძალას იკემდა — ვიწრო ორღობეში მდინარესავით მოქშეოდა აზავთებული, ყალყზე შემდგარი ღვარცოფი, ბურბუშელასავით მოატივტივებდა ძირიანად მოგლეჯილ ბუჩქებს, გზაში ხერგავდა, გუბდებოდა, ერთ ადგილზე დაბრუნებული დამწყვდეული ნაღირივით ბრდღვინავდა, იმუქრებოდა და ქვეყნიერებას წალეკვას უქადდა.

სასოწარკვეთილი შესაქცეროდა ნიკა ამ მზაკვრულ ჯვებირს, ახლა იმას სულ ხუთიოდ წუთიც რომ გაეძლო, ორღობეში უზარმაზარი საგუბარი გაჩნდებოდა და მთელი ის იმოდენა წყალი ღვთის რისხვასავით დაატყდებოდა მზვარეზე ჩაფენილ ვენახს. გზაზე გატოპა და ხერგილს ბარის პირით მიაწვა, მერე ერთ დიდ, ბორჯღლებიან კუნძს დაებღაუჭა. უეცრად წყალმა იხუვლა, წელში შეუვარდა და წააქცია. ერთხანს უაზროდ იქნევდა ხელ-ფეხს, მერე, როგორც იქნა, წამოიჩოქა, წამოდგა და მიიხედ-მოიხედა: საგუბარი დაცლილიყო, მაგრამ ნიაღვარი კიდევ დიოდა.

ისევ ვენახში გადახტა, იქ მეორე ეტიც წალეკილიყო... თავგანწირავთ ეკვეთა ღვართქაფს — ნაკადულები დააკეთა, წყალი დაჰყო, დაანაწევრა, დაწრიტა. გვიანღა მიხვდა, რომ წვიმის გადაეღო, ოდნავღა ციცქლავდა, ღრუბელი გადახსნილიყო და იქიდან საამდე იცქირებოდა ლაქვარდისფერი ზეცა. ნიკა ბარის ტარს დაეყრდნო, გახვითქული შუბლი სველ მაჯას გაუსვა, ახლა ხევიდანღა ისმოდა წყლის ხაფი ყეფა.

ცოტა რომ შეიქაქანა, წაქცეული ვაზები წამოაყენა, სარი ხელახლა შეუყენა, დაჩიჩქვილი, ტალახიანი ლერწი ზედ აახვია, მერე დაღლილი და ფეხებდამძიმებული ჩაბარგანავდა კაკალთან, ცემენტის ავზს სახურავი ჰახადა, შიგ ჩაიხედა. კიდევ ბლომად დარჩენილიყო შაბიამნის ხსნარი, ჯოხით ამოურია, მერე აპარატი მიიტანა და გაავსო...

კარგად იყო მოსაღამოვებული, როცა ნიკა ვენახის შეწამვლას მორჩა, თავი აიღო, შაბიამნით გადალურჯებულ ზვარს კმაყოფილი მზერა მოავლო და მაშინღა იგრძნო, როგორ დაღლილიყო. კარგა ხანს იდგა ეკრე, სახეგანთებული იცქირებოდა გარშემო და ხე-

ნუგზარ შატაიძე
ოჩი ნიველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდა, როგორ ჩადიოდა მზე, რანაირად ბრიალებდნენ ვაზები; ესმოდა სოფელში მობრუნებული საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა; ჭრძნობდა წვიმის წყლით გაყიებული მიწის საამო სურნელს და დაღლილსა და გამოფიტულ რაღაც უცნაური ძალა ავსებდა.

ბარემ ეზორბოდა ,მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, აბა აქ ხომ არ გაათენებდა — ეურევე, ცარიელ აპარატაკიდებული გავიდა ვენახიდან და ატალაზებულ ბილიკს დადგა. ძლივს მიჰქონდა ტყვიასავით დამძიმებული ფეხები, მოშჭვარულ ხელებს მიიქნევდა და მოგრალიკივით მიბარბაცებდა გზაზე.

ბინდდებოდა, როცა თავისი ეზოს ჭიშკარი შეაღიალა, საჩეხში შევიდა და — დედაკაცო! — დაიძახა.

კიბეზე ვიშვიშით ჩამობზრიალდა ნიკას ცოლი, თავით ფეხამდე შაბიამანში ამოკერილული ქმრის დანახვაზე მუხლებში წაბიზნა ხელები და სამზარეულოში შექოთქოთდა.

ნიკამ იქვე, საჩეხშივე გაიძრო ტანსამოსი — გამხდარი და გაძვალტყაევებული ახლა უფრო საკოდავი სანახავი შეიქნა და როცა ქალმა ცხელი წყლით სავსე ვედრო და ტაშტი გამოიტანა, მორჩილად დაჯდა სკამზე. ცოტა ხნის მერე კი, უკვე კარგად დაბანილ-დავარცხნილი, ივანეზე გაშლილ სუფრას მისჯდომოდა, ლობიოს ჯამში პურს წვრილად იფშვნიდა და საღამოს სიმშვიდეში ვასაკას გაბმული კრუალი და დოლ-გარმონის შორეული ხმა ესმოდა.

— უი, მომიკვდეს თავი! — ლოყაზე ხელი შემოირტყა ოთახიდან ივანეზე გამოსულმა ქალმა, რომელიც დაინახა. რომ იმის ქმარს მაგიდაზე ლობიოს ამოლოკილი ჯამის გვერდით დაედო თავი და ეძინა.

— ნიკა, ნიკა! არ გესმის, კაცო, აქ სად დაგიძინია, შე-საკოდავო. უნდა გასცივდე და დამილუპო ოჯახი არა? ადექი აბა, გენაცვალე, გაშლილია ლოგინი, ადექი!..

ნიკა შეიშმუშნა, გამოფხიზლებულმა ცოლს მხარზე გადასდო ხელი და გაჭირვებით წამოდგა. ქალი იღლიაში შეუჯდა, ცალი ხელი წელზე შემოხვია, ოთახში შეიყვანა და ტახტზე დასვა.

თავი ექნერგებოდა საწყალ ნიკას, თვალს ვერ ახელდა. ისევ ცოლმა გახადა, დააწვინა და საბანი დაახურა.

მაშინვე იგრძნო საკუთარი ლოგინის სიტკბო, კედლისკენ გადაბრუნდა, მოიკუნტა. გამხმარი, ცივი მუხლისთავები ნიკაპთან მიიტანა და უეცრად ისევ დანახა ვენახში გადმომავალი ნიაღვარი, წაქცეული, საკოდავად წალამული ვაზები, აქაფებული მორევი ჯებირს ანგრევდა, ჭუჭყიანი წყალი გადადიოდა თავზე და ახრჩობდა, პირს ქვიშითა და ქვა-ღორღით უვსებდა...

ცოლი კი საბანში ფუთნიდა, ნიკა გრძნობდა იმის ნაჯაფარ, მზრუნველ ხელებს, გულში ნელ-ნელა ეღვრებოდა საამო სიობო და როცა კვლავ ჩაესმა გარმონის შორეული ჭყვიტინი და დოლის ბაგაბუგი, ყრუ, ჩახლეჩილი ხმით იკითხა:

— ბიჭი სად არი...

— არსად, გენაცვალე, — სასწრაფოდ მიუგო ქალმა, — ამხანაგებში გადავდიო, ახლო-მახლო იქნება სადმე. დაიძინე, აბა, დაიძინე...

გაიტრუნა. სასიამოვნოდ უბეჟუოდა დაღლილი სხეული, სახსრები სტკიოდა. გრძნობდა როგორ ნელ-ნელა კარგავდა წონას, რანაირად მიფარფატებდა ძილის საუფლოში და როცა უკანასკნელად დალუნდა აქაფებული მორევი. ავად აკოჩრილი წყლის ნიაღვარი და დოლ-გარმონის ხმაც ჩაესმა, უცნაური, ყოვლისწმალეკი დარდი შემოაწვა გულზე. მაგრამ ისე უეცრად გადააფარა ფრთა ძილის ანგელოზმა, რომ ვერ მიხვდა. ველარ გაიგო, რა იყო, ან რა ადარდებდა.

dspace.nplg.gov.ge

დავდა, როგორ ჩადიოდა მზე, რანაირად ბრიალებდნენ ვაზები; ესმოდა სოფელში მობრუნებული საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა; გრძნობდა წვიმის წყლით გაჟეჟებული მიწის საამო სურნელს და დაღლილსა და გამოფიტულს რაღაც უცნაური ძალა ავსებდა.

ბარემ ეზარებოდა ,მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, აბა აქ ხომ არ გაათენებდა — ეგრევე, ცარიელ აპარატაცდებული გავიდა ვენახიდან და ატალახებულ ბილიკს დაადგა. ძლივს მიჰქონდა ტყეიასავით დამძიმებული ფეხები, მომჩვარულ ხელებს მიიქნევდა და მოგრალვივით მიბარბაცებდა გზაზე.

ბინდდებოდა, როცა თავისი ეზოს ჭიშკარი [illegible]ალა, საჩეხში შევიდა და — დედა-კაცო! — დაიძახა.

კიბეზე ვიშვიშით ჩამობზრიალდა ნიკას ცოლი, თავით ფეხამდე შაბიამანში ამოკრეფილი ქმრის დანახვაზე მუხლებში წაბიზნა ხელები და სამზარეულოში შექოთქოთდა.

ნიკამ იქვე, საჩეხშივე გაიძრო ტანსამოსი [illegible]გამხდარი და გაძვალტყავებული ახლა უფრო საცოდავი სანახავი შეიქნა და როცა ქალმა ცხელი წყლით სავსე ვედრო და ტაშტი გამოიტანა, მორჩილად დაჯდა სკამზე. ცოტა ხნის მერე კი, უკვე კარგად დაბანილ-დავარცხნილი, აივანზე გაშლილ სუფრას მისჯდომდა, ლობიოს ჯამში ჰურს წვრილად იფშვნდა და საღამოს სიმშვიდეში ვასაკას გაბმული კრუალი და დოლ-გარმონის შორეული ხმა ესმოდა.

— უი, მომიკვდეს თავი! — ლოყაზე ხელ[illegible]შემოირტყა [illegible]თახიდან აივანზე გამოსულმა ქალმა, როცა დაინახა. რომ იმის ქმარს მაგიდაზე ლობიოს ამოლოკილი ჯამის გვერდით დაედო თავი და ეძინა.

— ნიკა, ნიკა! არ გესმის, კაცო, აქ სად დაგიძინია, შე-საცოდავო, უნდა გასცივდე და დამიღუპო ოჯახი არა? ადექი აბა, გენაცვალე, გაშლილ[illegible]გინი, ადექი!..

ნიკა შეიშმუშნა, გამოფხიზლებულმა ცოლს მხარზე გადასდო ხელი და გაჯირვებით წამოდგა. ქალი იღლიაში შეუჯდა, ცალი ხელი წელზე შემოხვია, ოთახში შეიყვანა და ტახტზე დასვა.

თავი ექანდრებოდა საწყალ ნიკას, თვალს ვერ ახელდა. ისევ ცოლმა გახადა, დააწვინა და საბანი დაახურა.

მაშინვე იგრძნო საკუთარი ლოგინის სიტკბო, კედლისკენ გადაბრუნდა, მოიკუნტა, გამხმარი, ცივი მუხლისთავები ნიკაპთან მიიტანა და უეცრად ისევ დანახა ვენახში გადმომავალი ნიაღვარი, წაქცეული, საცოდავად წალმული ვაზები, აქაფებული მორევი ჯებირს ანგრევდა, ჭუჭყიანი წყალი დადაღიდოდა თავზე და ახრჩობდა, პირს ქვიშითა და ქვა-ღორღით უვსებდა...

ცოლი კი საბანში ფუთნიდა, ნიკა გრძნობდა იმის ნაჯაფარ, მზრუნველ ხელებს, გულში ნელ-ნელა ეღვრებოდა საამო სითბო და როცა კვლავ ჩაესმა გარმონის შორეული ჭყვიტინი და დოლის ბაგბაგი, ყრუ, ჩახლეჩილი ხმაც იკითხა:

— ბიჭი სად არი...

— არსად, გენაცვალე, — სასწრაფოდ მიუგო ქალმა, — ამხანაგებში გადავიდა, ახლო-მახლო იქნება სადმე. დაიძინე, აბა, დაიძინე...

გაიტრუნა. სასიამოვნოდ უბეჟუოდა დაღლილი სხეული, სახსრები სტკიოდა. გრძნობდა როგორ ნელ-ნელა კარგავდა წონას, რანაირად მიფარფატებდა ძილის საუფლოში და როცა უკანასკნელად დალაბდა აქაფებული მორევი. ავად აკოჩრილი წყლის ნიაღვარი და დოლ-გარმონის ხმაც ჩაესმა, უცნაური, ყოვლისწამლეკი დარდი შემოაწვა გულზე. მაგრამ ისე უეცრად გადაფარა ფრთა ძილის ანგელოზმა, რომ ვერ მიხვდა, ვეღარ გიგო, რა იყო, ან რა ადარდებდა.

ჯანო ჯანელიძე

ჯანო ჯანელიძეს 50 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია, მრავალთასიან მკითხველთან ერთად გულითადად ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

ვედრება

ტოგო ბეჭვაიას

მივალ დაღლილი და თან ვღიღინებ:
„ღმერთო, ეს თასი უნდა ამივსო,
რასაცა გასცემ, უკან მიიღებ, —
არაფერს მაძლევ სამარადისოდ.

მომეც გაფრენად მზე — ოქროს
ფრთები,
რომ ეთერ-ქალი ჩემს კოშკს ვაღირსო,
დაგიბრუნებდე, როცა მოვკვდები, —
არაფერს ვითხოვ სამარადისოდ.

მომეც შეძლება ამირანისა,
დევების ჯოგში მეც ვიხალისო
და ერთგულება ლაბა ხარისა,
არაფერს მაძლევ სამარადისოდ.

მომეც წყლის ძალა, მომეც მგლის
მუხლი
და საგანძური ფირუზ-ლალისო,
სიხარულს მომცემ, გაშორებ წუხილს, —
არაფერს ვითხოვ სამარადისოდ.

ამივსე სული ია-ვარდებით,
რომ სიხარული ჩემს ხალხს ვაღირსო,
დრო მოვა, მაინც შენ ჩაგბარდები, —
არაფერს მაძლევ სამარადისოდ.

მკერდი მიგავდეს კლდესა და ფიქალს
და მცველი ვიცო შენი კარისო.
რასაცა მაძლევ, უკანვე მიგაქვს, —
არაფერს გასცემ სამარადისოდ“.

მივალ დაღლილი და თან ვღიღინებ:
„ღმერთო, ეს თასი უნდა ამივსო,
რასაცა მომცემ, უკან მიიღებ, —
არაფერს ვითხოვ სამარადისოდ“

წერტილი

თქვი ყველაფერი, რაც სულს აწუხებს,
რაც გულში ხინჯად და სევდად ჩაგრჩა,
რაც მიმწუხრისას გიჭერს მარწუხებს
და შენი სულის დაფხრიწა ფარჩა.

ზეცას გაბედე, რა მზე ბრდღვიალებს
და უგალობე ცას და განთიადს,
თქვი, რაც ამქვეყნად განაღვლიანებს,
თქვი ყველაფერი, რაც სიმართლეა.

თქვი, ვიდრე მზე და სიცოცხლე გიყვარს,
თქვი, თორემ ბოლოს ძლიერ ინანებ,
თქვი, სხვა ფასი აქვს პოეტის სიტყვას,
თქვი, რომ ცხოვრება არის მდინარე.

და ამ მდინარის შენ ხარ მენავე,
დღეს რასაც ხედავ, ხვალის მტკვრია,
თქვი, ამ ცხოვრებას როგორ ედავე,
თქვი, რაც შიგ სულში ჩაგიტევია.

თქვი, შენზე კარგად, აბა, ვის ესმის,
ამ წუთისოფლის ფარსი და ფასი?!..
თქვი, მხოლოდ თქმაა პოეტის წესი,
თქვი, ოღონდ დროზე წერტილიც დასვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

წინ აღმართული ოთხი კედელი
ერთსახოვანით მიცქერის სახით
და შეუმჩნევლად ისე ვბერდები,
ერთხელაც ვეღარ ავიჭერ მაღლით.

ვიღაც მომძახის: „ირულ-ირული!..“*
და კვლავ ჭრიალებს სიზმრის კარიბჭე,
და ეს წვრილმანი ყოველდღიური
მე ახალ-ახალ ტკივილს მანიჭებს.

მაინც ვერ გაველ კუთვნილ წრის მიღმ
და კედელს ღიმილს ხმალივით ვახლ
ღმერთი კი ძერწავს საჩემო ნიღაბს
არარაობის უწყინარ სახით.

სიზმრის სამოსი

როს იდუმალი ნათელი მთვარის
დაეფინება მთვლემარე ბაღებს,
მეც სევდიანი, ოცნებით მთვრალი
ვთვლემ და სიზმართა კარიბჭეს ვაღებ.

და ვრჩებით ორნი და სივრცეს
ვერთვით,
მდუმარებაა ჩვენი მფარველი
და რაც გაჩენის დღიდან ვერა ვთქვით,
მას ამბობს მთვარის თეთრი თაველი.

ვიღაცას უხმობს ჭრიჭინობელა
და ძლიერ ნაცნობ მოტივს გამოსცემს
და შენც მთვლემარე ჩურჩულებ ნელა:
„ნუ შემომაცლი სიზმრის სამოსელს!..“

●

ცხოვრებამ ლაბა ხარივით რქაში
ისევ ჩამაბა ფრთხილად ბაწარი
და საპარადო დახვეწილ მარშით
მწვრთნის და გატანას სვრელის
მასწავლის.

ამ დროს აფეთქდა აპრილი ბაღში
და მკერდს გათქვირულს მიშვერს
ვარდები...
ჯანდაბას იქეთ დიდება, ტაში,
მე ტყვედ სიყვარულს ისევ ვბარდები.

●

ის პირველობას ისევ იჩემებს,
შენ სევდიანი კვლავ მარტო დახვალ,
თუმც ვარსკვლავები ძველ წყლულს
გირჩენენ,
მაგრამ უფრო მეტს გიჩენენ ახალს.

ის ძველებურად არისხებს ზარებს,
ალმე — ცოტა და ხმაური — მეტი,
შენ ახალ ამჭარს ვერ დაემგზავრე
[illegible] ბოლება არც ძველის გეთქმის

ის ისევ ეძებს მიზეზთა მიზეზს
და გადაიქცა ასე ქადაგად,
ახალ მეგობრებს იძენს და იძენს,
მაგრამ ძველთაგან მეტი დაკარგა.

იგი ახალი ცხოვრებით ცხოვრობს,
შენ კი ძველთანაც კამათობ, დაობ
და რომ მიყვარხარ,
მხოლოდ და მხოლოდ
შენი ამგვარი ცხოვრების გამო.

* ირულ [illegible] — ირბინე-ირბინე; [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუღარ ამავსებთ კვლავ საყვედურით,
ჩემო შვილებო და ჩემო ცოლო,
ყველა თავისი ნიჭით, გუმანით,
თავისი გზით და ცხოვრებით ცხოვრობს.

მეც ჩემი გზა მაქვს გრძელი თუ მოკლე
და ამ გზას დღემდის მივყვები მტკიცედ.
ამ გზაზე ბევრი პოეტი მოჰკლეს,
ცა კი, რაც ხდება, ზედ მკერდზე იწერს.

იწერს და შემდეგ,
დიდიხნის შემდეგ
გამოჰფენს მზეზე ფერთა ედემად
და დაინახავს ბრბო იმის შედეგს,
რაც კვდება, მაგრამ აღარ ბერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექცია

(ჯანსუღ ჩარკვიანს)

მრავალნაირი კოლექცია არსებობს ქვეყნად.
შენ მეგობრების კოლექციას აგროვებ დღემდე.
ამ კოლექციას უპირისპირებ კოლექციის კიდევ ერთ სახეს:
ხანჯალზე ხანჯალს,
თოფზე თოფს და
დანაზე დანას აწყობ თაროზე.
ეს იარაღი სხვადასხვა დროის,
სხვადასხვა ხალხის,
სხვადასხვა ხელთ გამოკვეთილი,
სხვადასხვა წლებში გისახსოვრეს.
თუმცა ყველა შენს ხმალს თავსი ქარქაში აქვს,
ყველა ხანჯალს — თავისი სატევარი,
ყველა თოფს — თავისი ლულა,
ყველა დანას — თავისი ორნამენტი —
ისინი ჰგვანან უმოქმედო ეკლესიის მოწყენილ ხატებს.
ამიტომ, როცა მეგობრებს სპირდება, —
ალესულ სიტყვას მტერს ახვედრებ როგორც იარაღს,
და რადგან ფარი არ გააჩნია შენს კოლექციას —
საკუთარი მკერდით იცავ მათ სიკეთეს.

ივლისი

შეთანხმდნენ დრონი უხსოვარი საუკუნის წინ
და პაემანი დანიშნეს, ამ წლის ივლისში:
დაფარფატებენ დაწინწკლული ფრთებით პეპლები
და ენძელებიც ისე მსუბუქად გაჰკვრიან მიწას,
რომ საცაა თავს აიწყვეტენ
და ისინიც პეპლებივით იფარფატებენ...
მარტიც, აპრილიც და მაისიც ივლისში დადგა.
შეჭარხლულია ფანჯრის მინები
და ყინულის მსხვრევის მჭახე ხმა
სამედიცინო ხელსაწყოების ჩხაკუნს გაგონებს.
აპობენ ჰაერს წერაქვები და ჩაქუჩები.
მიწაც და ზეცაც გადაიქცა ვეება სანგრად...
დეკემბერიც და იანვარიც ივლისში დადგა.
გამკვრივებულა მტევანივით სავსე სხეული,
მსხმოიარე ვაშლის ტოტებს ჰგავს თეთრი მკლავები.
ხოლო სითეთრე ხის ძირისა — ხელოვნურია:
იგი შეწამლეს ჭიებისაგან თავდაცვის მიზნით.
მაგრამ სურნელი ნაყოფისა მაინც მძაფრია
და გამოდგება ადამ და ევას ცდუნებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგრძნობ, სხეული მტევანივით რომ მეწურება
როგორ იღვრება მოთმინების უძირო ქვევრში,
ცხელი აგვისტო სულმოუთქმელად
ხვრეპს ჩემს ტკბილ ბადაგს...
ო, შემოდგომაც ივლისში დადგა!
ეს ზაფხული სხვა ზაფხულს არ ჰგავს,
რადგან ივლისიც,
თავად ივლისიც,
ყველა ივლისი ამ ზაფხულის ივლისში დადგა.
რა ხდება, ნეტავ რას მოასწავლებს დროთა აღრევა,
რა ფერს, ან რა ჯგუფს განეკუთვნება ვეღური სისხლი,
რომელიც ახლა განსჯის უნარს სრულიად მიკარგავს
და ემზადება საბედისწერო ჭრილობისათვის.
უნდა დავმარცხდე, რადგან თვით გამარჯვებაც
განწირულია, დაღუპვას უდრის.
.მზე გულში მიკრავს
და სალოცავი ერთი სანთლის დანთებას მიშლის
ხანძრის გაჩენის უსაზღვრო შიშით...
ვაითუ, სიცოცხლე ჩემი სანთლისაც მზეს მიემატოს
და როგორც წვეთით, უკანასკნელით სავსე ფიალის —
ლავასავით ამოხეთქოს უბედურებამ,
ბედნიერებას რომ ნიშნავს ჩემთვის!
როგორც კოშკიდან მზეთუნახავი,
შანდალში დგას და უხმოდ მიწვევს ჩემი სანთელი.
ლოცვა მწყურია! აუნთებლად როგორ ვილოცო...
უნდა შევთხოვო ყველა წმინდანს, უნდა შევთხოვო
ამ თავდაყირა სიყვარულის ფეხზე დადგომა.
ცახცახებს ხელი ასანთები... მზეს ვუთალატე,
მორჩა! საკმევლის დადგა სურნელი!
ახლა საცაა სანთლს ალი გადაედება
მზემოკიდებულ ქალაქის მკლავებს,
სადაც შენა ხარ, სუნთქავ, იღწვი, ცას აფერადებ!
შენც გაგანათებს უეცარი ეს გაელვება
და გაძნელდება იმის გარჩევა
ვინ ვის გადასდო სიყვარული,
ვისი ბრალია, ანდა, სულაც — ვისი სიკეთე,
რომ ხანძარვით აბრიალდა სულც, სხეულიც!
აბა, დაიწყო ტკაცა-ტკუცი უნეტარესი.
ახლა ორივე ცის უდაბნოს შევუერთდებით.
შედგება ჩვენი სიყვარული — ჩვენი ზეიმი,
შევეწირებით წლების წინათ დათქმულ პაემანს
ამ წლის ივლისში — ამ ქალაქის შუაგულ წრეში.
ჩვენ დავივიწყებთ, მაგრამ ფერფლად გადაქცევამდე
უკანასკნელი ამბორისთვის წამოვიწევით
და იმ წამიდან კვლავ დაწესდება
საბედისწერო შეხვედრა ჩვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასამნის ხუთი ხურნელი

პალატაში იასამანი შემოიტანეს,
ავადმყოფ ქალებს გაუბრწყინდათ თვალები და:
პირველი ქალი: ო, შემოიკრა სიცოცხლის სურნელი!
მეორე ქალი: ჩემთვის ამ სურნელს
ბავშვობა მოაქვს —
ზედ ფანჯარასთან იასამნის
სუნთქვა მესმოდა!
მესამე ქალი: ჩემთვის ამ სურნელს
სიყვარულის სურნელი აქვს —
მახსოვს, სულ პირველ პაემანზე
იასამნის ხე იდგა მოწმედ...
მეოთხე ქალი: ჩემთვის ამ სურნელს
ღალატის სურნელი აქვს —
როცა გავიგე, რომ მეუღლე მღალატობს თურმე,—
ყველა ქუჩაზე იმ დღეს ტოტები იასამნისა
გამომწვევად თავს იწონებდნენ.
მეხუთე ქალს ხმა არ ამოუღია,
მან საბანი წაიფარა სახეზე და ამოიოხრა:
მისთვის ეს სურნელი ნიშნავდა სურნელს
სიკვდილისას —
რა ხანია გაზაფხულობით
შვილის საფლავზე იასამნის თაიგულს აწყობს —
მისი ვაჟი სწორედ მაისში დაიღუპა,
როცა ჰყვაოდნენ იასამნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ანთაძე

პიროსპიმი რეფლექსები

ვარიაცია ე. ოლბის თემაზე

მოთხრობა

...თუთიყუშების ქოვეთმა გამომაღვიძა ადრიანად, ერთი გნიასი აეტეხათ თავიანთ გალიაში, ბავშვების ოთახის კარი კი ღია იყო.

„ვინ დატოვა კარი ღია, რა უბედურებაა?! კვირადღესაც არ დაგაცლიან ძილს“, კვიფიქრე.

— დახურეთ ეგ კარი, ან ეგ გალია გადაადგეთ სანაგვეში, — დავიძახე ნახევრად მძინარემ.

არავინ გამომპასუხებია, ფრინველებმაც კი ხმა გაკმინდეს. მხარი ვინაცვლე და ძილის შებრუნება დავაპირე. ერთხანს ჩამთვლიმა კიდეც.

„სად არიან ნეტავ?“ გავიფიქრე უცებ და თვალი გავახილე. ცოლის საწოლი ცარიელი იყო, სახელდახელოდ მილაგებული.

— ე, არ გესმით არც ერთს?! — დავიყვირე.

პასუხად ერთ-ერთი თუთიყუში შემეხმიანა.

—სად გაიკრიბნენ ყველანი?“

საწოლში წამოვჯექი, მერე ისევ ბალიშს მივესვენე.

გათავებული იყო, — რაკიღა გამომეღვიძა ძილს ველარასგზით შევიბრუნებდი. გული ზომივიდა: საკმაოდ გვიან დავწექი და მთელი კვირის გამოუძინებელს, ამ სულელი თუთიყუშების წყალობით აღარც ნანატრი დილის ძილი დამცალდა.

გავბრაზდი — ჩიტებზეც, ცოლ-შვილზეც და საკუთარ თავზეც, პირველ რიგში საკუთარ თავზე, რადგან წინა ღამით სულ უაზროდ ვიჯექი თითქმის ორ საათამდე და მთვრალების ქაქანს ვუგდებდი ყურს. „თქვენ რაც გინდათ, თქვით და...“ — დიასახლისის საყვარელი ფრაზა გამახსენდა და წუხანდელ თანამეინახეებსაც გავუგულისდი.

— თქვენ რაც გინდათ, თქვით, და, მე ხელოვნებას ყველაზე მაღლა ვაყენებ! — სწორედ ასე ბრძანა დიასახლისმა და ვინაიდან მანამდე საუბარი ფეხბურთის ეხებოდა, ამ განცხადებამ ჩვენს შორის უხერხული პაუზა გამოიწვია.

რეჟისორმა პაუზით ისარგებლა და ჭიქები შეავსო. უფრო სწორად ჭიქებით ისარგებლა უხერხული პაუზის ამოსავსებად.

— მდა! — ესღა თქვა მწერალმა.

მე არაფერი მითქვამს.

— ოლბის ბოლო პიესა თუ წაიკითხეთ? — საუბრის თემა შემოაგდო რეჟისორმა.

— შესანიშნავია, — იტაცა მწერალმა, — გენიოსურია.

— რა პიესა? — ყასიდად ვიკითხე მე.

— რაღაც გრძელი და უცნაური სათაური აქვს, ვერადა ვერ დავიხსომე, — რეჟისორის ნაცვლად მიპასუხა დიასახლისმა.

„ყურმოკრული აქვს სადღაც, ეტყობა“, დავასკვენი.

— მე ყველაზე მეტად „ზოოპარკი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომწონს. — თქვა მწერალმა, — გენიალური რამეა.

— შენ ხომ იცი, ხუთი წელიწადია, მინდა დავდგა და თავი ვერ მოვაბი, — გამოეხმაურა რეჟისორი.

— რა საინტერესოა. ვინ უნდა ათამაშო? — გამოცოცხლდა დიასახლისი.

რეჟისორმა პასუხად თავისი ჩანაფიქრის მოყოლა დაიწყო და სინანულის ვრძნობამ შეშიპყრო. იმას კი არ ვნანობდი, რომ დასახელებული ნაწარმოები წაკითხული არ მქონდა, რის გამოისობითაც საუბრის მსვლელობა სრულიად გაუგებარი გახდა ჩემთვის, არამედ საერთოდ: აქ რომ ვიყავი, ამ უაზრო ოთახში, უაზრო სიტუაციაში და დროს ფუჭად ვფლანგავდი. სმით მე არ ვსვამდი. დავლევდი და კიდევ მომიწევდა სიარული მაკასა და გულზე ხელწავლებულს. არადა, სამივენი — მწერალი, რეჟისორი და დიასახლისი გვარიანად შეჭეიფიანებულები იყვნენ და აღტაცებით ლაყბობდნენ საკმაოდ რთულ საგნებზე, ლაპარაკობდნენ საქმეში ჩახედულად, საინტერესოდ, მაგრამ მე არ მაინტერესებდა...

— თვით პიესა ოდნავ მისტიკურია, — ამბობდა რეჟისორი, — წინასწარმეტყველური ფატალიზმის აშკარა ელემენტებს შეიცავს, რაც, ჩემი აზრით, უნდა მოიხსნას და ყველაფერი ყოფით, რეალურ პლანში გადაწყდეს...

ფანჯარას გავხედე.

გარეთ ისევ წვიმდა.

რეჟისორმა წამით შეწყვიტა ლაპარაკი — სიგარეტს მოუკიდა. დიასახლისმა ამით ისარგებლა და ჩაურთო:

— რატომ მოგვიწყინე, პეტრე? ეტყობა, არ გიყვარს ოლბი.

— როგორ არა, როგორ არა, ძალიან მიყვარს. — ვიუარე. „როგორ ჩამიჭერა, მეგონა ლაპარაკს უსმენდა. ჭალს რა გამოეპარება“, გავიფიქრე და შევეცადე ყურადღებადქცეული მსმენელის სახე მიმეღო.

მწერალმა ჭიქა ასწია და რეჟისოროს ჩანაფიქრის წარმატებული ხორცშესხმა უსურვა.

ჭიქა მეც ავწიე, მაგრამ არ დამალეოდა

საუბარი მაღალ მატერიებზე გაგრძელდა. ვიგრძენი, თანამეინახეების ინტელექტუალური ლაქლაქის ატანა აღარ შემეძლო.

საათს დავხედე. პირველს გადასცილებოდა.

„წავედი“, გავიფიქრე, მაგრამ ბარე თხუთმეტი წუთი კიდევ გავიდა, სანამ წამოდგომას და ჩემი სურვილის განცხადებას მოვახერხებდი.

— დაიცა, რა, ნახევარ საათში ჩვენც მოვდიოართ, — მითხრა სასმლისგან თვალებაელვარებულმა მწერალმა, — მანქანით გაგიყვან.

„აბა, ბიჭო, შენ დაგამტვრევინებ თავს, გახეთქილი მთვრალი ხარ“, გავიფიქრე.

— არა, არა. ფეხით მინდა გავლა.

— ამ წვიმაში? — გაუკვირდა დიასახლისს.

— რა მოხდა მერე? ქოლგა ხომ მაქვს.

— რახან არ იშლი, ერთი დაგვილიე და თავისუფალი ხარ, — გამიშვა რეჟისორმა და ჭიქა მომაწოდა.

— ჩემს წასვლას, თქვენს დარჩენას. — ვთქვი, — მაპატიეთ, ასე რომ ავიჩქარე, მაგრამ ცოლი ალბათ მელოდება. არ მეგონა, თუ ასე შემაგვიანდებოდა. კარგად იყავით, ხალხო.

— ცოლ-შვილი ჩვენც კი გვყავს, ძმაო, — ჩაილაპარაკა რეჟისორმა.

იმის ხათრით, რომ თავს იოლად დავაღწევედი იქაურობას, დაუფიქრებლად გადავკარი, ჭიქა დავდგი და გამოვედი, დიასახლისი წინკარში გამომყვა, ლაბადის ჩაცმაში დამეხმარა.

ქოლგას წავავლე ხელი.

— გმადლობთ, კარგად იყავი, — დიასახლისს ლოყაზე ვაკოცე.

— ნუ დაიკარგები შენებურად. — მომაყოლა ქალმა.

გარეთ წვიმდა.

ქოლგა გავშალე.

„არ უნდა დამელიო“.

„არ უნდა დამელია ის ბოლო ჭიქა წუხელ“, ვიფიქრე, საბანი გადავიძარ

და წამოვდექი. კუჭის წვას ვგრძნობდი. მშიოდა.

ფეხები ფლოსტებში წავყავი და საპირფარეშოსკენ წავფრატუნდი. გზად კატენიას გადავწყდი — წვიზზე გამეხახუნა და ლამის წამაკლია. მსუბუქი პანღური ვუთავაზე.

საპირფარეშოდან სააბაზანოში რომ მივდიოდი, კატა ისევ წამებლანდა ფეხებში.

„ფუჰ, შენი პატრონი!“ გავიხსენე ცოლ-შვილი. კატა ქნოდა, ეტყობა, იმასაც შიოდა.

გულმოსულმა კიდევ ერთხელ გავიხსენე ცოლ-შვილი (ბავშვებს რაღას ვერჩოდი?), როდესაც სამზარეულოში წუხანდელი ვახშმის ნარჩენებს, ყავისნალექთან ფინჯნებს, გასარეცხი ჭურჭლით სავსე მაგიდას, ცარიელ მაცივარს, განჯინას, გაზქურაზე ჩამწკრივებულ ლამაზ ქვაბებს ჩამოვუარე და საუზმის მსგავსი ვერაფერი ვიპოვე.

„ნეტავ სად გაიკრიბნენ ამ დილით!“ გავიფიქრე და საწოლ ოთახში დავბრუნდი. ჩავიცვი, გავიპარსე, დავივარცხნე. შემდეგ გარეთ გავიხედე მოღრუბლული დღე იდგა. ერთსახლე უმიზნოდ ვუმზერდი საწოლის თავთით ჩარჩოში ჩასმულ განსვენებული მშობლების სურათს, მერე წინაკარში გავედი, ლაბადა მოვისხი, ქოლგა ავიღე. გასვლის წინ შევამოწმე, მქონდა თუ არა საფულეში რამე (ცოტა მეჩიდებოდა), ჯიბეში ტროლეიბუსის ტალონები მოვიძიე, ერთხელაც ჩამოვუარე შუქ, წყალ და გაზს, გულდასმით გამოვაკეტე კარი და, ასე და ამგვარად, უსაუზმოდ დარჩენილი ოჯახის კაცი იმ კვირა დილით სასაუზმოდ გავემართე.

. . . .

უცნობი ადამიანების შემთხვევითი შეხვედრა არცთუ უჩვეულო და იშვიათი მოვლენაა: სადღაც, რატომღაც შეხვდები კაცი კაცს, შესაძლოა გამოელაპარაკო კიდეც, მერე კი შენ ალოთას წახვალ, ის — ბალთას და განშორება ხელმეორედ შეხვედრის ფრიად მცირეოდენ შესაძლებლობას შეიცავს.

შემოდგომის მოღრუბლულ კვირა დილას პავლოვის უკაცურ ქუჩაზე, ხეებგაყვითლებული სკვერის წინ ვიდექი და ტრანსპორტს ველოდი, რომ სამიოდე გაჩერების იქით მღებარე პატარა კაფეში წამესაუზმა.

საკმოდ უსიამოვნო საკითხზე ვფიქრობდი: ვცდილობდი დამედგინა, მართლა მღალობდა ცოლი, თუ მხოლოდ მეჩვენებოდა. ასეთი არასახარბიელო ფიქრის მიუხედავად, თავს, როგორც ყოველთვის, მშვიდად, გაწონასწორებულად ვგრძნობდი.

გაჩერებას ვიდაც კაცი მოუახლოვდა. ერთი კი გავხედე უნებურად და მყისვე დავუბრუნდი ჩემს საფიქრალს. რამდენიმე წუთი კიდევ გავიდა.

უცებ მომესმა თუ მომეყურა: რაღაც მითხრეს. შეეტრიალდი და კითხვის თვალით მივაცქერდი ათიოდე ნაბიჯზე მდგომ კაცს, რომელიც ჩემკენ იყურებოდა.

— ბრძანეთ რამე? — ვკითხე.

უცნობმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და ზრდილობიანად გაიღიმა. ხალვათად ეცვა: გულმოხსნილი ჯემპრი და ჯემპრს შიგნით თითქოს არაფერი ყოველ შემთხვევაში, მრგვალად მოჭრილი საყელოდან მოშიშვლებული კისერი მოუჩანდა. თვალი ავარიდე და ქუჩას გავხედე. ცარიელ, გამხმარი ფოთლებით მოფენილ ტროტუარზე გაჩერებისაკენ ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა მორბოდა — მხრეგბანიერი, ჩაფსკვნილი, დაკუნთული, სპორტული პიჟამო და ... ყედები ეცვა, ნელა მორბოდა, მძლავრად, მობილიზებულად, ღრმად სუნთქავდა, მისი თითრეული კუნთი მოძრაობდა, თუმცაღა ტანი მოდუნებული ჰქონდა. ეს ერთი იმთვანი იყო, ვინც ჩვენს ქუჩასა და მიმდებარე სკვერში დილაობით დარბიან ხოლმე ჯანის გასაკაჟებლად.

„ფიზკულტურელი“ გაჩერებას მო-

მიხეილ ანთაძე
პროფესიონალ რეფლექსები

უახლოვდა. ქოშინით ჩაირბინა ჩემსა და ჯემპრიან კაცს შორის. ამ უკანასკნელმა ინტერესით თუ გაოცებით მიადევნა მზერა მის ღონიერ, კუთხოვან ზურგს.

მე კი იმ მიმართულებით გავიხედე, საიდანაც არც ტროლეიბუსი და არც ავტობუსი ჯიუტად არ ჩანდა.

უცებ წვიმამ დასცხო, მოსხეპით წამოუშინა კოკისპირულმა. სასწრაფოდ ქოლგა გავშალე. წამში დასველდა ქუჩა და დიდი სისწრაფით ჩამოვლილმა მანქანამ უთოზე გავარდნილი წვეთივით ჩაირბიშიწა.

უცნობს გავხედე და მის დანახვაზე გამეღიმა: კაცი ისე გალუმპულიყო, ეტყობოდა, თავის შეფარებასაც ალარსად აპირებდა — რაღა აზრი ჰქონდა. იმანაც გამიღიმა.

ხელი ავწიე და უცნობს ქოლგის ქვეშ ადგილი შევთავაზე. იმასაც ბევრი არ უფიქრია, სასწრაფოდ მოირბინა და გვერდში ამომიდგა, თან მადლობის ნიშნად თავი დამიკრა.

— ეს პავლოვის ქუჩაა, არა? — მკითხა, ალბათ უფრო იმიტომ, რომ კეთილ შემფარებელთან გამოლაპარაკების ზრდილობა მოითხოვდა.

— დიახ, პავლოვისაა? — დავუდასტურე მე.

— ალბათ, დიდად გაკვირვებული დარჩებოდა, — თქვა მან.

— ბატონო?

— იცით, რაზე ვფიქრობდი, — მითხრა უცნობმა — გაოცდებოდა-მეთქი, ეს ამბავი რომ გაეგო... მაწასადამე, ეს ქუჩა პავლოვის სახელს ატარებს, გამოჩენილი მეცნიერის, ფიზიოლოგიის პატრიარქის, რომელმაც, იცით ალბათ, ძაღლის ყბაზე გაკეთებული ფისტულის საშუალებით პირობითი რეფლექსები აღმოაჩინა. ჰოდა, დიდად გაკვირვებული დარჩებოდა-მეთქი, ეს ამბავი რომ გაეგო.

— რა ამბავი? — მაინც ვერ მივხვდი მე.

— ის ამბავი, რომ ამ ქუჩას მისი სახელი ჰქვია, — ღიმილით განმიმარტა უცნობმა.

— აა, — გავიგე როგორც იქნა, ჯიბიდან სიგარეტი და ასანთი ამოვიღე. — იქით პატარა ქუჩაა, კუტუზოვის სახელს ატარებს... ხომ არ მოსწევთ? — მოსაუბრეს კოლოფი გავუწოდე.

— არა, ბიჯო, — იუარა უცნობმა, — იცი, რა? შენც გირჩევ თავი დაანებო.

ეს მოულოდნელი ფამილარობა არ მესიამოვნა, უხერხულად ვიგრძენი თავი. არცთუ მკაცრი, მაგრამ საკმაოდ ოფიციალური ტონით ვუთხარი:

— მაპატიეთ, მაგრამ, ვგონებ, ჩვენ არც იმდენად ვიცნობთ ერთმანეთს, რომ თავს ნება მივცეთ „შენობით“ დაგელაპარაკოთ, — და სიგარეტს მოვუკიდე.

უცნობი საშინლად შეწუხდა, აილეწა და საწყალად მომიბოდიშა:

— უჰ, მომტევეთ, ბატონო, ჩემი უტაქტო საქციელი. ათას ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე.

— არაფერია, ჩემო ბატონო, — ვუპასუხე. ვერ გამეგო, დამცინოდა ეს კაცი, სულელი იყო თუ მართლა მებოდიშებოდა ფამილარობისთვის. შეეხედე და მივხვდი: არც სულელი იყო, არც დამცინოდა. კარგი კაცი ჩანდა.

— რა შესანიშნავი ქართულით მეტყველებთ, — განაგრძო მან, — თავს დავდებ, მწერალი ბრძანდებით.

— მწერალი არ ვარ, — ვიუარე, — თუმცა მწერლებს კი კარგად ვიცნობ.

— მაშასადამე, თითქმის გამოვიცანი. ალბათ, სადმე რედაქციაში მუშაობთ. ხომ გამოვიცანი?

— დიახ, — ვუპასუხე და წვიმის მიღმა ტროლეიბუსი დავლანდე.

უცნობმა კი ქუჩის მოპირდაპირე მხრისაკენ გაჯაჭნია თავი, სადაც ტროტუარის გაყოლებაზე მთელი გზა გადაეთხარათ და შეუმჩნეველად ისევ „შენობითზე“ გადავიდა:

— ამიხსენი ერთი, თუ ძმა ხარ, რას თხრიან ასე გაუთავებლად?

— რა ვიცი, — მხრები ავიჩეჩე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკიღა ამასობაში ტროლეიბუსიც ჩამოდგა, უცნობს მოვუბოდიშე, — მაპატიეთ, — თავზემოდან ქოლგა ავაცილე, დავკეცე და დავიძარი.

— გინდა გითხრათ, რასაც თხრიან? — მომაყოლა წვიმის ქვეშ დარჩენილმა უცნობმა მხიარულად.

— რას? — ვკითხე და წინა ბაქნის კიბეზე შევაბიჯე.

— მაყუთს, — მომაძახა მან და დამშვიდების ნიშნად თავი დამიქნია.

ტროლეიბუსში შევედი, წინა სკამზე მოვთავსდი, ქოლგა დავფერთხე და გვერდით მოვიდე.

. . .

მიღოღიალებდა, მიფრატუნებდა ცარიელი ტროლეიბუსი პავლოვის ქუჩაზე. სარკმელთან ვიჯექი და წვიმას გავყურებდი. ზედ ყურთან ვიღაცამ წამაყმუვლა. შემკრთალი მოვტრიალდი: ამაზრზენი შესახედაობის ყრუ-მუნჯი მათხოვარი მომდგომოდა და მოწყალებას მთხოვდა. ხურდა ამოვიღე და გამოწვდილ ხელისგულზე დავუგდე.

მერე ისევ ქუჩას გავხედე, წუთიც არ იქნებოდა გასული, მომეჩვენა, თითქოს მათხოვარი ისევ დაბრუნდა — ვიღაცის მზერა ვიგრძენი. მოვბრუნდი — რას ვხედავ — ის ჩემი ქოლგისქვეშა მეზობელი დამდგომია თავზე და გულიანად მიცინის, აქაო და, აი, მეც აქა ვარო.

გავუღიმე.

— ვიფიქრე, მაინც არსად მივდივარ-მეთქი და წვიმაში დგომას ისევ ტროლეიბუსში ყოფნა ვარჩიე. ჰოდა, ამოვედი რაღა, — ამიხსნა მან. — უკან ჩამოვჯექი და გიყურებდით, იმ უბედურს ფული რომ აჩუქეთ, მერე მე მომადგა, მე კი, სამწუხაროდ, ხურდა არ აღმომაჩნდა. დიახ.

მე არაფერი მქონდა სათქმელი, არც არაფერი მითქვამს.

— გული გაგიწყალეთ, არა?

— არა, სრულებითაც არა, — ვუთხარი მე.

— რაღა არა, მოგადექით და სისულელეებს ვჩქმახავ.

— არა. რატომ?

— თქვენ თავაზიანობის გამო უარობთ, სულაც არ გეპიტნავებით.

— რატომ არ მეპიტნავებით?! დაბრძანდით, — სარკმლისკენ კიდევ უფრო მჭიდროდ მივიჩოჩე.

მორიდებულად ჩამოჯდა ჩემს გვერდით.

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— თუ იცით, მაინც რა აღმოაჩინა პავლოვმა?

— აჰ, ჰო, თქვენ პავლოვის შესახებ მეუბნებოდით არა წეღან. კარგად არც კი მახსოვს, კერძოდ, რა აღმოაჩინა.

— არ წაგებთ, თუ ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოს გადახედავთ, — ისეთი იდუმალი ხმით მითხრა, მართლა დამაინტერესა, — თქვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში ასეთი სახელმძღვანელოები ალბათ მოიპოვება, არა?

— მე მგონი, რადაც ლიტერატურა კი უნდა მქონდეს, მაგრამ... — დაბნეული გაჩლდით.

— აჰა, მაშასადამე, ბიბლიოთეკა მართლაც მდიდარი გქონიათ, თუ შეიძლება მითხარით, თქვენ უფრო ხშირად ყიდულობთ ხოლმე წიგნებს თუ თქვენი მეუღლე?

— ხან მე, ხან ის, — შეკითხვით გაკვირვებულმა ვუპასუხე.

— ესე იგი, გამოვიცანი, — ცოლი გყოლიათ, — აღფრთოვანდა ის.

— მაგას რა გამოცნობა უნდა, — ვერ მივხვდი აღფრთოვანების მიზეზს.

— რატომაც არ უნდა გამოცნობა. თქვენ კი გამოიცნობთ, მყავს თუ არა ცოლი?

— ალბათ, ვერ გამოვიცნობ.

— აი, ხომ ხედავთ, არც ისე ადვილია გამოცნობა. მე კი იმასაც შემიძლია მივხვდე, რომ თქვენ ორი პატარა ვაჟკაცის მამიკო ხართ.

— არა. ორი კი მყავს, მაგრამ გოგოები არიან.

მიხეილ ანთაძე
პირობითი რეფლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საინტერესოა. მე არასოდეს მყოლია არც ცოლი, არც შვილი, — სინანულით მითხრა, — ალბათ არც არასდროს არ მეყოლება. მაგრამ, აი, დარწმუნებული ვარ, რომ მყოლოდა, ბიჭის ყოლას სულ იოლად მოვახერხებდი.

მეწუნა.

— მაგითი რის თქმა გინდათ?

გაეცინა და ამ გაცინებით კიდევ უფრო მეტად გამაღიზიანა. შეურაცხყოფილმა სარკმელს გავხედე და დავდუმდი. პავლოვის გადამკვეთი ერთერთი შუკა გარდიგარდმო გადაეთხარათ. სპეკტანსაცმელიანი მუშები ასფალტს აღლვევდნენ და ჰნევმატური ბურღის რახრახი ნაწვიმარ ქუჩებს აყრუებდა.

წვიმას შეუმჩნეველად გადაეღო.

ჩემს მოსაუბრეს გავხედე. გულმარილად მიყურებდა, ოდნავი დარცხვენით, დამნაშავე ბავშვივით, მშობლებთან შერიგება რომ უნდა. გული მომეშალა.

— კიდევ მითხარით რამე თქვენს ოჯახზე, — მთხოვა.

— ეჯობებს, პავლოვის აღმოჩენას მივებრუნდეთ, — ვუთხარი, — მე ეს უფრო მაინტერესებს...

— მართლა? ეგ ძალიან კარგია. მაპატიეთ, ასე რომ გაგიშინაურდით. მე ერთი მარტოხელა კაცი ვარ და ქვეყანაზე ხმის გამცემი არავინ მყავს. რატომღაც მგონია, თქვენც ასე უნდა იყოთ...

— მე? არა, პირიქით...

—პირიქით? ჰო, თუ პირიქით, მაშინ მით უკეთესი. ბედნიერი კაცი ყოფილხართ.

„დიდი ბედნიერებაა პირდაპირ. იმფენი ხმის გამცემი მყავს, სად დავემალი, აღარც კი ვიცი“, გავიფიქრე. ალბად ხმამაღლა არაფერი მითქვამს. მან კი განაგრძო:

— მე კი ისე ბომეწონეთ პირველი დანახვისთანავე. იმწამსვე ვიფიქრე: აი, ადამიანი, ვისაც შეიძლება ბოლომდე გჯენდო, ყველაფერი გაუზიარო...

— დარწმუნებული ხართ, რომ არ ცდებით? — ვუთხარი ამგვარი გულწრფელობით მონადირებულმა.

— დარწმუნებული ვარ და, მართალია, პირიქით, მითხარით, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩვენ დაახლოებით ერთნაირად ვცხოვრობთ. თუმცა თქვენ ჩემსავით მარტოხელა არა ხართ.

— ჰო, — ამოვიხვნეშე, — თქვენ წარმოდგინეთ, ცოლიც მყავს, შვილებიც...

— მართალაც შესაშურია. ალბათ თქვენი მეუღლე კარგი მეგობარია, თუმცა მე მგონია, ოჯახს ათასი სიძნელე და პრობლემა აქვს, არა?

— დიახ, რა თქმა უნდა, ათასი რამ არის მართლაც...

— ხშირად ალბათ სულ უმნიშვნელო საკითხი საშინელი უთანხმობის საგნადაც შეიძლება იქცეს, ასე არაა?

მე თავი დავუქნიე და გამახსენდა, როგორ ვიჩხუბეთ მე და ჩემმა ცოლმა კატების გამო. მე ძაღლი მინდოდა, იმას — კატები. შვილებმაც დედის მხარი დაიჭირეს და თავისი გაიტანეს, მერე კიდევ ის აუტანელი ეუთიეუუბები შემოასახლეს...

— შვილები კი... რამხელა ბედნიერებაა. რა ხნისანი არიან?

— თორმეტისა და ათის.

— მოსწრებიხართ. უმცროსი დებივით გეყოლებიან.

— დიახ, დიახ.

— მაგრამ რამე რომ იყოს, ყოველთვის დედის მხარეს დაიჭერენ, ასე არაა?

გამეცინა. თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობდა.

— მერე კიდევ სიდედრი, — განაგრძო მან — სიდედრი თუ გყავთ, გირჩევთ საუზმისას ყოველთვის თქვენი ხელით გაუმზადოთ ხოლმე ბუტერბროდები, შეაჩვიოთ.

— რატომ?

— ერთხელაც, დარიშხანს რომ შეაყოლებთ, ეჭვს არავინ მიიტანს თქვენზე.

გადავიხარხარე. მხიარული კაცი იყო ნამდვილად, სასიამოვნო მოსაუბრე.

— ასე რომ, — განაგრძო, — მე თუ ჩემი უცოლშვილობა მაწუხებს, თქვენ თქვენი სიძნელეები გიჭირებთ საქმეს. მოკლედ, ბარიბარში ვართ, დარწმუნებული ვარ, მეგობარი არ გეყოლებათ.

— ოცამდე მეგობარი მყავს, თანამშრომლებს თუ არ ჩავთვლით.

— ყველასთან კარგი ურთიერთობა გაქვთ? არა, ნუ დაიტრაბახებთ, — არ მაცალა ხმის ამოღება — ოც კაცთან ნამდვილ მეგობრობას ვერავინ მოახერხებს.

მე წინაღამინდელი ინტელექტუალური სჯა-ბაასი გამახსენდა: „თქვენ რაც გინდათ, ისა თქვით, მე კი ხელოვნება...“

— როგორ გიფხრათ, ყველასთან ერთნაირი არა... ყველას თავისი ადგილი აქვს.

— სამსახურში? სამსახურში კარგი კონტაქტები გაქვთ? არც ინტრიგები, არც შუღლი?

— უმაგისობაც არაა. ანდა სად გინახავთ ისეთი სამსახური, რომ...

— სად მსახურობთ.

— ლიტერატურული ჟურნალის რედაქციაში.

— ხელფასი გყოფნით?

მე გავიღიმე.

იმანაც გაიღიმა, შეკითხვისთვის მომიბოდიშა.

ამასობაში ის გაჩერებაც მოახლოვდა, სადაც უნდა ჩავსულვიყავი.

— მაპატიეთ, ახლა უნდა ჩავიდე, — ვუთხარი, ქოლგას ხელი დავავლე, იმან გამატარა, — კარგად ბრძანდებოდეთო, — დავემშვიდობე და რაკიღა ტროლეიბუსი უკვე გაჩერდა, ჩასასვლელს მივაშურე.

— ბუტერბროტები არ დაგავიწყდეთ, — მომძახა ერთობ ნაღვლიანი ღიმილით.

მე ხელი დავუქნიე.

. . .

სასაუზმეში შევედი.
საშინლად მშიოდა.
ბიფშტექსის მეტი არაფერი ჰქონდათ. ავიღე ბიფშტექსი, ჩაი და ნაცხეცხარი. ვიტრინასთან დავჯექი. სასაუზმეში ჩემს გარდა, მებუფეტეს ჩათვლით, სულ სამი-ოთხი კაცი იმყოფებოდა.

ვჭამდი. ნაწვიმარი ქუჩისკენ არც ვიცქირებოდი. სუსტი კაკუნი მომესმა. თავი მოვატრიალე და დავინახე. ჩემი ახლად შეძენილი ნაცნობი მოსდგომია ვიტრინას, ცხვირი მინაზე მოუჭყლეტია და მხიარულად მეკრიჭება. „რას გადამეკიდა ეს კაცი“, ვიფიქრე და ხელი დავუქნიე.

მანიშნა, შემოვალო. შემოდი, თუ გინდა-მეთქი, მხრები ავიჩიჩე.

შემოვიდა, ტამეყუდა თავზე.

— იცით, დამენანა აწყობილი მუსაიფის შეწყვეტა. ვიფიქრე, საქმე მაინც არაფერი მაქვს-მეთქი, შემდეგ გაჩერებაზე ჩამოვხტი და აქეთ წამოვედი. ჰოდა, აი. გიპოვეთ კიდეც.

ჩემს ბიფშტექსს დავხედე და ვუთხარი:

— იცით, პირდაპირ, გულახდილად რომ გითხრათ, არც მაინცდამაინც აწყობილად ვიმუსაიფებთ. რაღა დაგიმალოთ, ცოტა არ იყოს, არ მსიამოვნებს ამგვარი საუბარი. ეს დაკითხვას ჰგავს: სულ ჩემზე და ჩემზე რაღაცებზე ვლაპარაკობთ. თქვენ არ ისაუზმებთ?

— არა, გმადლობთ.

— დაბრძანდით მაინც.

— აუჰ, ნახე, ნახე, რა სახე ჰქონია! — თქვა მან.

— რა თქვით? — გამიკვირდა და ავხედე. ვიტრინის მიღმა იცქირებოდა თვალგაშტერებული. იქ, ქუჩაზე, სასაუზმის წინ ახალგაზრდა ქალი იდგა. მეტად თვალში საცემი, მიმზიდველი გარეგნობისა იყო და გამოწყობილიც ისე გახლდათ, კაცი თვალს ვერ მოაცილებდი. ჩვენკენ იცქირებოდა და ვიფიქრე, ჩემს მოსაუბრეს უცქერის-მეთქი თვალებში, მაგრამ მერე კი მივხვდი, რომ ვერა გვხედავდა: ჩვენ ბნელში ვიყავით და ნამიანი მინა გვფა-

მიხეილ ანთაძე
პიროპითი რეფლექსები

რებოდა. ქალი, ეტყობა, თავის ანარეკლს უცქერდა ვიტრინაში და უღიმოდა. მერე შეენიშნე, გვერდით საბავშვო ეტლი ედგა და შიგ ჩვილი იწვა. ქალმა ერთხელაც გამოიხედა „ჩვენკენ“, შემდეგ კი თავის ბავშვიანად გაქრა ჩვენი თვალთახედვიდან.

მე ისევ ჩემს ბიფშტექსს მივუბრუნდი. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, ან რა მეთქვა. მშვიდად გავნაგრძე ჭამა.

— რახან თქვენ ასე გსურთ, მოდით, ვეცადოთ და საუბარი უფრო სასიამოვნოდ წარვმართოთ. სკოლაში მათემატიკას როგორ სწავლობდით?

— მათემატიკას? არა მიშავდა რა.

— მეტს აღარაფერს გკითხავთ. აი, დაუკვირდით ასეთ რამეს: თუ მათემატიკა ოდნავ მაინც გახსოვთ, იოლად მოგაგონებთ, რომ დადებითი რიცხვისა და უარყოფითი რიცხვის ნამრავლი უარყოფითია, უარყოფითისა უარყოფითზე — დადებითი, დადებითისა დადებითზე კი, თავისთავად ცხადია, დადებითი იქნება. ხომ მიმიხვდით: „ა“ გავამრავლოთ „ბე“-ზე უდრის „ცე“-ს, „ა“ მინუს „ბე“-ზე უდრის მინუს „ცე“ს, ხოლო მინუს „ა“ მინუს „ბე“-ზე უდრის პლუს „ცე“-ს. ასე არაა?

— დიახ, დიახ, — გაოცებით შევყურებდი, თან ლუკმას ვღეჭავდი.

— არა, თვალებზე გატყობთ, კარგად აღარ გახსოვთ არსი. წარმოიდგინეთ დადებითი რამ, ვთქვათ — სიცოცხლე. სიცოცხლეს თუ სიცოცხლეზე გავამრავლებთ, ისევ სიცოცხლეს მივიღებთ, არა? მოდი, ასე გამოვთქვათ: სიცოცხლის სიცოცხლე იქნება სიცოცხლე.

— დიახ.

— ახლა სიცოცხლე სიკვდილზე გავამრავლოთ — სიკვდილი ხომ „მინუს სიცოცხლეა“. ვთქვათ ასე: რა იქნება სიცოცხლის სიკვდილი? რა ფქმა უნდა, სიკვდილი. მაგრამ რა იქნება სიკვდილის სიკვდილი? რასაკვირველია, სიცოცხლე. ხედავთ, რამხელა რამაა მათემატიკა?!

— რა მოგახსენოთ, ეს მოსაზრებები მართლაც საინტერესოა, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით რა ფასეულობას წარმოადგენს, ამაზე ვერ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეტყვით.

— მოდი, რა, თავი დაანებეთ ამ ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს, — შემეხვეწა იგი, — ასე ხომ იმ შემთხვევაში ლაპარაკობენ, როცა, ჩვეულებრივ, საკითხის არსს ვერ სწვდებიან და სურთ თავი საქმეში ჩახედულ ადამიანად გააყოონ. მე სრულიად უბრალო რამე მინდა გკითხოთ: აი, როგორ გგონიათ, ადამიანი კეთილისა და ბოროტის ჯამია თუ ნამრავლი.

ბიფშტექსის ღეჭვა განვაგრძე და ჩავფიქრდი:

— ჯამი? არა, ჯამი რომ არაა, ფაქტია. თუ ასეთი კლასიფიკაცია აუცილებელია, ნამრავლი უფროა.

— მეც მანდა ვარ. მაშინ, ზემოთქმულიდან გამომდინარე რა გამოდის, იცით? ადამიანი, რაგინდრა კარგიც არ უნდა იყოს, ბოლო-ბოლო მაინც ცუდია, რადგან პლუსისა და მინუსის ნამრავლი საბოლოოდ მინუსია.

— ალბათ ეგრეა, — ვთქვი მე და საათს დავხედე.

— გეტყობათ, მათემატიკა მაინცდამაინც თქვენი საყვარელი საგანი არ ყოფილა. დამავიწყდა: თქვენ ხომ ლიტერატორი ხართ, მე კი წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება დღეს ლიტერატურაში ჩვენში, საზღვარგარეთ. მოკლედ ხომ ვერ მეტყვით ,რა ხდება?

— მე თუ მკითხავთ, არც არაფერი, — ბიფშტექსი მოვამთავრე. თეფში განზე გავწიე და ჩაი მივიჩოჩე, — იქნებ ჩამომჯდარიყავით, ჩაიზე დაგპატიჟებთ, — ვუთხარი.

— არა, ნუ შეწუხდებით. ნამდვილად არ მინდა. თუ ნებას დამრთავთ, ფეხზე ვიდგები. ასე მირჩევნია.

— ნება თქვენია.

— იცით, სანამ თქვენ შეგხვდებოდით, რამდენი ვიარე? ორ-საათნახევარი ვიარე ფეხით. საშინლად დავიღალე. გლდანიდან აქამდე მოღწევა უფრო ძნელია, ვიდრე მოსკოვში, ან თუნდაც ტაშკენტში გაფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გლდანში ცხოვრობთ? — კკითხე და ნამცხვარს ვუკბიჩე. როგორც მოსაღოდნელი იყო, საშინლად უგემური აღმოჩნდა.

— არა, გლდანში დროის მოსაგებად წავედი. სანამ პავლოვის ქუჩაზე მოვიდოდი, ფიქრი იყო საჭირო, მე კი ყველაზე უკეთ მაშინ ვაზროვნებ, როცა გზაში ვარ. მაინც რატომ გეგონათ, რომ გლდანში ვცხოვრობ. განა თქვენთვის უბანს მნიშვნელობა აქვს? მაგალითად, თუ კაცი ვაკეში ან რუსთაველზე ცხოვრობს, ის კულტურული კაცი იქნება? გლდანში კი პლებსია, პროვინცია? ასე მიგაჩნიათ?

— არა, სრულებით არ მივიჩნევ ასე.

— მე სოლოლაკში ვცხოვრობ, ძველ სახლში — საერთო სამზარეულოთი და სათავსებით. ოთხ ოჯახს, თუ ჩემს თავსაც ჩავთვლი, ერთი სამზარეულო და ერთი საპირფარეშო გვაქვს. ჩვენს სართულზე სამი ორ-ორ ოთახიანი ბინაა. ერთი ბინის ერთი ოთახი ჩემია, მეორე ოთახი — აზიზასი. აზიზა ქურთია, ხელობით — მუშა, მოწოდებით — ქურდი, უფრო სწორად, ქურდყოფელი, ქურდის უფლებაჩმორთმეული, რადგან, თუ არა ვცდები, სასჯელის მოხდისას, იქ, სადღაც, საბადოებზე, ისე არ მოიქცა, როგორც ქურდს შეშვენოდა, რისთვისაც ძალიან მკაცრად დაისაჯა.

— მეორე ოროთახიანში გურულების ოჯახი ცხოვრობს, სოფელ რაღაცყვათიდან, — განაგრძო მან. — ზუსტად არ მახსოვს. ქმარს ლეონი ჰქვია და თითქმის ყოველ ღამე ცემით კლავს ცოლს — ლუბას, რადგან ლუბამ უკვე ოთხი გოგო გაუჩინა ლეონას, ლეონას კი, გინდა თუ არა, მემკვიდრე სურს, რის გამოც თვრება და იმის მაგივრად, რომ ღამღამობით ის აკეთოს, რაც ამქვეყნად ვაჟის მოვლინებას ესაჭიროება, ცოლს ცემს და აგინებს. ლუბა ხმას არასოდეს იღებს, სამაგიეროდ, მათი ოთხი ქალიშვილი გამაყრუებლად წიოკობს და მოსვენებას არ გვაძლევს არც მე, არც საწყალ აზიზას და არც მის შეგობარ ყმაწვილკაცებს. წარმოგიდგენიათ?

— წარმომიდგენია, — ვთქვი მე.

— მესამე ოროთახიანი კი, იცით, ვისია? აი, თქვენი რედაქციის მახლობლად რომ დაწესებულებაა, მის უფროსის დისშვილის თუ ძმისშვილის, რომელიც, რა თქმა უნდა, ამ საგიჟეთში არ ცხოვრობს, რადგან შესანიშნავი ბინა აქვს აქ, სადღაც თქვენ-კენ სახლობს თავისი ლამაზი ცოლშვილითურთ და ვერაფრით ვერ გამიგია, რაში სჭირდება ის ჩვენი ოროთახიანი, ან რატომ არ აქირავებს. თუმცა, მე მგონი, საიმისო გაჭირვება არა აქვს, რომ გააქირაოს, თანაც ერთი ზედმეტი ბინა ვის აწყენს? ასე თუ ისე, ფაქტია: გამოკეტილი აქვს თავისი საკმაოდ ნორმალური ავეჯით მოწყობილი ორი ოთახი და კვირაში ორჯერ თუ შემოივლის ხოლმე ნაირნაირი ქალების თანხლებით. უფრო იშვიათად მისი ცოლიც გამოჩნდება ხოლმე და არც ის არის არასოდეს მარტო. წარმოგიდგენიათ?

— წარმომიდგენია, — ვთქვი.

— თქვენ კი გიკვირთ, რატომ აგეტორღიალეთ ასე უცნაურად. ასეთი მეზობლები მყავს და საკვირველი არაფერია, თუ მათთან საერთო ენას ვერ ვპოულობ.

— მაგაში მართლაც არაფერია უცნაური, — ჩემი გაცივებული ჩაი გავიხსენე, მოვსვი, — უცნაური ის არის, რა გაჩერებთ იქ, რატომ არ გამოიცვლით საცხოვრებელს?

— ეგრე ადვილი გგონიათ საცხოვრებლის გამოცვლა? მე არც რედაქციაში ვმუშაობ და არც... თქვენ რა თანამდებობა გიჭირავთ?

— განყოფილების გამგე ვარ.

— ჰო, არც განყოფილების გამგე ვარ. მე მხოლოდ ერთხელ, ისიც კარგა დიდი ხნის წინ ვიყავი ერთი პატარა განყოფილების უფროსი ერთ დიდ დაწესებულებაში. ერთ თვესაც ვერ გავძელი. საკმაოდ საინტერესო ამბავია:

მიხეილ ანთაძე
პირველი რეფლექსები

მოკლედ, სრულიად ახალგაზრდა კაცს თანამდებობა ჩამაბარეს და მეც თავი დიდ ვინმედ წარმოვიდგინე. პირველ დღეს, როდესაც სამსახურში მივედი, გუშაგმა, თუ რა ჰქვიათ მაგათ, ვატჩორომა საბუთი მთხოვა. მე კი ჯერ არ მქონდა საბუთი — ჩვეულებრივ პირადობის მოწმობაზეა ლაპარაკი. რა საბუთი, რის საბუთი, მე აქ განყოფილების გამგე ვარ-მეთქი. გამგე-გუშგე მე არ ვიცი, უსაბუთოდ არ გაგატარებო, მიპასუხა იმ უზრდელმა. გავბრაზდი, მაგრამ შევეცადე თავი ხელში ამეყვანა. ვენაცვალე, ღმერთო, რჯული, აქა ვმუშაობ, თან განყოფილების გამგე ვარ და ძალიან გთხოვ გამატარე-მეთქი. გინდ განყოფილების გამგე იყავი და გინდ პაკისტანის პრეზიდენტი, მე უსაბუთოდ ამ კარებში კაცს ვერ გავატარებო. ჩემო ოჭრო-მეთქი, ვუთხარი, ჯერ ახალი კაცი ვარ, გუშინ დამნიშნეს და საბუთი ჯერ არ მოუციათ, ჩემი ბრალი ხომ არ არის-მეთქი, არც ჩემი ბრალიაო, მითხრა, როცა მოგცემენ, მაშინ გაგატარებ, ახლა, თუ ძმა ხარ, აქ ნუ ამყუდებიხარ ცხვირწინ, წადი, გაიარეო. ეგრე ნუ მელაპარაკები თორემ ინანებ-მეთქი. რას მემუქრები, ვინ მიგდიხარო. განყოფილების გამგე ვარ-მეთქი, ვიყვირე. აბა, მე საიდან ვიცი, აქ ყველა ვიგინდარას შეუძლია მოვიდეს და დამიწყოს: ესა ვარ, ისა ვარ, წადი რა, თავი დამანებეო. წესიერად მელაპარაკე და გამატარე-მეთქი და გავიქაჩე. მეცა და ხელი გადამიგრიხა, თან შემეხვეწა: მეც ახალი კაცი ვარ, მითხრეს, უსაბუთოდ ნურავის გაატარებ და ვერ გაგატარებო. დევივით კაცი იყო, ხელი კინაღამ მომტეხა. ცრემლები მომერია. გავიქეცი და ავტომატიდან დავრეკე განყოფილებაში (საგუშაგოს ტელეფონი მოშლილი იყო), მოკლედ, იმ დღეს ჩამოვიდნენ განყოფილებიდან ჩემი ახალი ხელქვეითები, გაურკველობა გაარკვიეს და შემიყვანეს. რა ჩემი ბრალია, ძმაო, მე რაც მევალებოდა, ის გავაკეთეო, მომიბოდიშა გუშაგმა, მაგრამ ბოდიშის კილოზე შევატყვე, სულაც არ იმტკუნებდა თავის თავს და სულაც-�маа-ბოდიშ მიაჩნდა თავისი ვირული საქციელი საბოდიშოდ. ტუტუცი ხარ-მეთქი, ვუთხარი ბოლოს. შემომხედა და თვალებში ეწერა: გაჩვენებ ჩვენ ორში ვინ უფრო დიდი ტუტუციაო. იმ დღეს დაწესებულებიდან რომ გამოვედი, ის აღარ იდგა კარში, ცვლა მოსულიყო და მოხუც გუშაგს არაკ კი შევუნშნივარ. მეორე დილითაც იგივე მოხუცი მორიგეობდა. ამასობაში საშვი გამიმზადეს, წითელი ფერისა იყო, ღერბიანი, შიგ ჩაებეჭდათ: განყოფილების გამგეო, მაშ... მესამე დღეს მივედი სამსახურში და ვხედავ, ჩემი ავმტერი გუშაგი დგას კარში, ესალმება შემსვლელ თანამშრომლებს. დამინახა. დავინახე. გავუღიმე. გამიღიმა. უნდა გავიაროო და... არ გადამიდგა წინ?! „თქვენი საშვი“, მეუბნება. სისხლი თავში ამივარდა, მაგრამ ნერვები მოვთოკე და ჯიბიდან დავაძვრე ჩემი წითელი ღერბიანი, ავაფარე ცხვირზე. თავაზიანად, სერიოზულად ჩამომართვა, ყურადღებით გასინჯა, ერთი სახეშიც შემომხედა, დამბარუნა მოწმობა და, მიბრძანდითო, ცივად მითხრა. გავიარე .ვერაფერი ვერ ვუთხარი, მაგრამ გულზე კი გავსკდი. არაფერია, ამიერიდან ხომ იცის, რომ საშვიცა მაქვს და განყოფილების გამგეცა ვარ-მეთქი. რა გგონიათ, ჰა? არა, თქვენც არ მომიკვდეთ: გადის კიდევ ორი დღე და ისევ მაჩერებს, თქვენი საშვიო, მეუბნება და ისე მიყურებს, თითქოს პირველად მხედავდეს. ერთნაირად ამაკანკალა. რა-მეთქი, — ვკითხე. რადა, საბუთი მაჩვენე, საბუთი, თუ აქ მუშაობ, რით ვერ გაიგე, ასეთი წესია— შემოსცლისას მოწმობა უნდა წარმოადგინო. ბრაზისაგან კინაღამ ენა დამება .შე კაი კაცო, ჩემს წინ ხუთმა კაცმა გაიარა, აგერ ახლაც ხალხი შემოვიდა, არავისთვის არაფერი გითხოვია, ეგ სადაური წესია-მეთქი! შენ სხვას რას დაეძებ, მაგათ ვიცნობ და ვენდობი, შენ შენს თავს მოუარეო. მე რა, არ მიცნობ-მეთქი? გიცნობ, არ გი-

ცნობ, სხვაგან, აქ კი სახელმწიფო და-
წესებულებაა და საბუთი მანახეო. არ
განახებ-მეთქი . არ მანახებ და, არ გა-
გატარებო. აქ კი საბოლოოდ დავკარგე
მეტყველების უნარი. არადა, არ შემე-
ძლო მის წინაშე თავის დამცირება.
მოვტრიალდი და შინ წავედი. შინ იმ-
ხანად შედარებით მშვიდი სიტუაცია
იყო: აზიზა იჯდა, გურულები მორიგ
შვილს ელოდნენ და იმედოვნებდნენ,
რომ ბიჭი შეეძინებოდათ. მთელი ის
დღე და მომდევნოც ფიქრში გავატარე.
მესამე დღეს, მივედი თუ არა სამსახუ-
რში, ჩემმა „ძმამ“ ჩვეულებრივ გზა
გადამიღობა და საბუთი მთხოვა. ვაჩვე-
ნე მოწმობა ცივად, ოფიციალურად და
შევედი. პირდაპირ დირექტორის კა-
ბინეტს მივაშურე, შევედი და ვეუბნე-
ბი: მე, მართალია, ახალი კაცი ვარ,
მაგრამ თუ გნებავთ აქ მუშაობა განვა-
გრძო, ის გუშაგი უნდა მოაშოროთ-მე-
თქი, რატომო, გაიოცა დირექტორმა.
ყველაფრის წვრილად მოყოლა ზედ-
მეტად მივიჩნიე და ვუთხარი, შემაგინა-
მეთქი. როგორ თუ შეგაგინაო, აღშფო-
თდა დირექტორი, ეგდა მაკლია, ჩემს
დაწესებულებაში კარისკაცებმა გა-
ნყოფილების გამგეებს აგინონო, და იმ
დღესვე მოხსნა სამსახურიდან ის ჩემი
ძმიკო. მეგონა, მოვისვენებდი. თქვენც,
ალბათ, ასე გგონიათ. ჰე, არაფერი შე-
გეშალოთ — მომადგა მისი ცოლი, მო-
მიყარა შვილები, ატირდა, დამიჩოქა,
დამეშუქრა, დამწყევლა, გამლანძღა,
მოკლედ, ერთი კვირის განმავლობაში
მოსვენება არ მომცა, სახლში მივარდე-
ბოდა, ქუჩაში მხვდებოდა ის აშარი —
კინაღამ გამაგიჟა. მივედი ისევ დირე-
ქტორთან, შევუტანე განთავისუფლე-
ბის განცხადება და ვთხოვე ის გუშაგი
აღედგინა. დირექტორმა გიჟად ჩამთ-
ვალა და ორივე თხოვნა შემისრულა.
ახლა მე თვითონ ლამის გუშაგად ვმუ-
შაობ და, აბა, მითხარით, როგორ, რა
გზით მოვახერხებ ბინის გამოცვლას,
აკი მკითხეთ, რატომ ცხოვრობ ასეთ
საშინელ მეზობლებშიო, ჰოდა, აი, მეც
გიპასუხეთ, ცოტა ვრცლად კი მომივი-
და .ალბათ, თავი შეგაწყინეთ, არა?..

ცარიელი ჩაის ჭიქა გვერდზე გადა-
დგი და სიგარეტი გავაბოლე.

— არა, ეს ყველაფერი საკმაოდ სა-
ინტერესოა, — ვუთხარი, — საინტე-
რესოა, ადრე სად ცხოვრობდით, ასე
ვთქვათ, სანამ... — იმ გუშაგის ამბავმა
არანაკლებ გამართო, ვიდრე მეზობლ-
ებისამ — მთხრობელის ენაწყლიანობ-
ისა თუ ენერგიული მეტყველების მე-
ოხებით ძალიან ხელშესახებად წარმო-
მესახა და თავიდან არ ამომდიოდა ქუ-
რდაყოფილი ქურთი, ხმაურიანი ოჯახი
და შემთხვევიდან შემთხვევამდე გა-
მოკეტილი ცარიელი ბინა. როგორ გა-
ნსხვადებოდა მისი საცხოვრებელი ჩემი
თუთიყუშებიანი აპარტამენტისგან. თუ-
მცა საერთოც ბევრი იყო და სწორედ
ამ საერთოს შეგრძნობამ ამაფორიაქა.

— ადრე სად ვცხოვრობდი? — მას
რატომღაც გაეცინა, თითქოს გამბიარ-
ულდა, — იცით, ადრეც იქ ვცხოვრო-
ბდი, ყოველთვის იქ ვცხოვრობდი.

— როგორ? — ვერ გავერკვიე მე.

— ისე, უბრალოდ. ეგ სახლი ჩვენი
სახლი იყო, ჩემი, დედაჩემის და მამა-
ჩემის. ექვსივე ოთახი ჩვენი იყო, სამ-
ზარეულოც და სათავსოებიც. მაგრამ,
იცით, ჩვენს ოჯახში ისეთი ტრაგედია
დატრიალდა, ათიანი წლების მუნჯი კი-
ნოფილმის სიუჟეტად . გამოდგებოდა.
მამაჩემს გრძელი ენა ჰქონდა და ამის
გამო რამდენიმე წლით ჩრდილოეთში
გაისეირნა. მე მაშინ ჯერ კიდევ სკო-
ლის მოსწავლე ვიყავი. სანამ მამა არ
იყო, ჩვენს სახლს ერთი სამხედრო შე-
მოეჩვია — დედილოსთან მეგობრობ-
და. როდესაც ყინული იძრა და იმპრე-
სიონიზმი მისაღებ სიტყვად იქცა, მა-
მაც დაბრუნდა შინ. საშინელი დამთხ-
ვევა მოხდა: მამა მაინცდამაინც იმ
დღეს დაბრუნდა, როცა დედა და ის
სამხედრო არ ელოდნენ. მამამ ჯერ ის
სამხედრო გამოასალმა სიცოცხლეს,
მერე დედილო და ბოლოს თავის თა-
ვიც მიაყოლა. წარმოიდგინეთ, რა

მიხეილ ანთაძე
პროზაიკი რეფლექსები

მდგომარეობაში ჩავვარდი, როცა სკოლიდან დავბრუნდი და სამი ადამიანის გაფშეკილი გვამი დამხვდა შინ.

იგი მხიარულად მიამბობდა ამ ამბავს, ნერვიული, უაზრო სიცილით.

— ხედავთ, ახლა მეღიმება კიდეც, ამ საშინელებას რომ ვიხსენებ. არც ღირს სერიოზულად და დაწვრილებით ამ ამბის მოყოლა. იმ წელს სკოლა დავამთავრე და თანდათანობით გავყიდე ჩვენი დიდი სახლი — ჯერ იმ კაცის დისშვილს მივიყიდე ორი ოთახი, მერე გურულების ოჯახი გამოჩნდა, ბოლოს აზიზა და მისი შეყვარებულები. მოკლედ, ახლა ერთადერთი ოთახიღა დამრჩა და იმ ოთახშიც თავს უცხოდ ვგრძნობ, თუმცა ამ ბოლო ოთახსაც სიამოვნებით გავყიდდი, მაგრამ სადღა ვიცხოვრო?..

გული მომიკვდა. მის ნაამბობზე ჩემი განსვენებული მშობლები გამახსენდა. მამა ძლივსღა მახსოვს — ხუთი წლის ვიყავი, ომში რომ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. დედა უკეთ მახსოვს, მომაგონდა, როგორ გადავბარგდით ქალაქიდან სოფლად, რადგან იმ საშინელ გაჭირვებაში თავს ვეღარ შეინახავდით. დედას საყვარელი კი (შემდგომში მისი მეორე ქმარი — ჩემი მამინაცვალი) რაიონში იმდროისთვის შეძლებულად ცხოვრობდა. ამ დავიწყებულმა მოგონებამ რაღაც უსიამოვნო, შემაწუხებელი ამიფუთფუთა სულში.

— იცით, ჩემმა შშობლებმაც ნადრევად მიმატოვეს, — წამოვიწყე. მე, მაგრამ ამან არ მაცალა:

— თქვენ ძალიან კარგი კაცი ხართ, — მითხრა, — ვხედავ, თანამგრძნობი გული გაქვთ და მოდით, ნაღვლიან რამეებზე ნუ ვილაპარაკებთ. სჯობს ერთმანეთი გავიცნოთ.

— პეტრე, — ვუთხარი და ხელი გავუწოდე.

— მოხარული ვარ. მე რიკოს მეძახიან. სრული სახელი ქრისტოფორე მქვია. რიკო შემოკლებული ქრისტეფორიკოა.

გამეცინა.

— იცი რა, ჩემო პეტრე, ეს ყველაფერი მონაჩმახია იმასთან შედარებით, რაც ამჟამად მაწუხებს და მტანჯავს. გინდა გულწრფელად გითხრა, რა აჩის ეს?

მსიამოვნებდა ამ კაცთან საუბარი. თანაც არსად არ მეჩქარებოდა. მეორე სიგარეტს მოვუკიდე.

— მე მართლა რიკო მქვია. ეს, ვეფიცები, ნამდვილად სიმართლეა, მაგრამ სხვა დანარჩენში, რაც აქამდე ჩემს თავზე გითხარი, ბევრი ტყუილიც გავურიე. ალბათ სხვაგვარად ვერც მოვახერხებდით ასე საინტერესოდ გვემუსაიფა. აი, მე გითხარი, უცოლო ვარ-მეთქი. ვიცრუე. ცოლი მყავს და მოლატობს კიდეც. აბა რა! ჰო, თუ არ ვცდები... არა, რა თქმა უნდა, არა ვცდები... აბა რას უნდა ნიშნავდეს მთელი რიგი ფაქტორებისა... ჰო, პეტრე, ეს, რა თქმა უნდა, დღესავით ნათელია... ეჭვით დაბრმავებული არასოდეს ვყოფილვარ და არც ახლა ვარ... ისე, ყველაფერი იმ ბარდაგის ბრალია — ჩემი ცოლის სამსახურზე ვამბობ, დაწესებულება კი ჰქვია... მე თვითონ მოვაწყვე იქ. ახლა ვნანობ, ნეტავ არ მეშოვნა-მეთქი ის დაწყეველილი ადგილი... საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ასე მოხდებოდა... ახლა მინიტრობა რომ შესთავაზო ჩემს ქალბატონს, იმაშიც კი არ გაცვლის თავის სულელურ სამსახურს. აბა თავის გოგოებს ხომ არ ჩამოშორდება... ჰმ, გოგოები... თავაშვებული ქალების კამპანიაა — მთელი დღე ლაქლაქებენ, ლაქლაქებენ, ლაქლაქებენ და ერთადერთი კონკრეტული, რაც ამ ლაქლაქის შედეგად დგინდება, ის ადგილი, სადაც საღამოს შეიყრებიან, რათა იქ, რომელიმე მათგანის სახლში ან სხვა ვინმესთან გაწყობილ სუფრასთან განაგრძონ ლაყბობა... ან რა გაემტყუნებათ ოცი-ოცდაორი წლის გოგოებს... ჩემს ცოლსაც, ეტყობა, იმათი ტოლი ჰგონია თავი, თუმცა არც ოცდათორმეტი წლის ქალს ჰქვია შუა ხნის მანდილოსანი ისიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოა, ლაწირაკი და ალბათ სრულებით ვერ გრძნობს ასაკობრივ განსხვავებას თავის თავსა და თავის უმცროს კოლეგებს შორის... სისტემატურად იგვიანებს შინ, მერე კი მოპყვება: ამასთან ვიყავი, ამასთან ვიყავი, იმის დაბადების დღე იყო, ამის ბავშვის ნათლობა, ისე უბრალოდ შეეყვევით, თუ ასე ძალიან გაინტერესებს, შენც მოსულიყავი, გაცილებით სჯობია შენი მარაზმატიკი მეგობრების ინტელექტუალურ სჯა-ბაასსო, მეუბნება ხოლმე... ალბათ, მართალს ამბობს — ახალგაზრდების ინტელექტუალური სჯა-ბაასი ყოველთვის სჯობია სოლიდური ასაკის ინტელექტუალების სჯა-ბაასს, მაგრამ, პრინციპში, ორივე ერთნაირი მარაზმია... რამდენჯერ ვყოფილვარ მა-გთან კამპანიაში, მაგრამ დიდი განსხვავება არ შემინიშნავს: იქაც გაუთავებლად მოდური გვარების ბრახაბრუხი, იგივე „იზმები“ და ოდნავ მეტი ხალისია, ოდნავ უკეთ იტანენ სასმელს, ვიდრე ჩვენ... ეს არის მთელი სხვაობა.. ყველაზე საგულისხმო, რაც მათ კამპანიაში აღმოვაჩინე, ბიჭებია: ძალიან კარგი ახალგაზრდები, ჭკვიანები, კარგი ოჯახიშვილები, ზრდილნი, განათლებულნი, ნიჭიერები, მაგრამ ახალგაზრდები, პეტრე, იმდენად ახალგაზრდები, რომ თითოეული მათგანი სიამოვნებით დაგვდგამს რეტს და თქვენც... ლაქლაქი ლაქლაქად, მაგრამ მარტო მაგით ხომ არ ამოიწურება მათი „მეგობრული“ წრის მოღვაწეობა... ჰმ, რა დიდი აღმოჩენა ამას უნდა — რეიანი ვარ. არა, მართლა მშვენიერი ბიჭები კი არიან... სამსახურშიც ზშირად აკითხავენ თავიანთ „გოგოებს“ — არაერთხელ შემხვედრიან იქ... მოკლედ, მეგობრობენ... მეგობრული წრეა... რა გინდა — იშოვეს ბიჭებმა მყუდრო საროსკიპო სახელმწიფო დაწესებულებაში... ერთი იმითგანი საგანგებოდაც კი გამაცნო ერთხელ ვიღაცის პანაშვიდზე... აი, რიკო, მითხრა, ეს ის სოსიკოა, მე რომ გეუბნებოდი ასეთი და ასეთი კარგი და ჭკვიანი ბიჭია-მეთქი... მზრუნველი დეიდის ტონი ჰქონდა ამ ბიჭის მაგალა... სოსიკომაც ისე ბუ ... შემომხედა თვალებში, ისეთი სუფთა მზერა მომაგება და ისეთი ამბით ჩამომამართვა ხელი, ცხადი შეიქმნა: ჩემთვის ამ უმნიშვნელო გაცნობას მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არადა, სიტუაცია სულაც არ მოითხოვდა მისგან ასეთ ალალ მზერას... ცხადია... ახლა კიდევ სხვას ეტუკვი, პეტრე. ტელეფონი! რეკავ და რეკავ! რას უნდა ნიშნავდეს სხვას? ალო, ალო, ვყვარი. ხმას არავინ იღებს. საკმარისია ის მივიდეს ყურმილთან, იმწამსვე აპიკჭიდებიან — როგორა ხარ, სად დაიკარგე, ჰა-ჰა-ჰა, ჰი-ჰი-ჰი,... — თანაც ისე ლაპარაკობს, ვერა და ვერ მიხვდები, ვის ელაპარაკება. იცის, რომ გამოკითხვას არ დავუწყებ. ჩემი ხმის გაგონებაზე კი ტელეფონი მუდამ ფუჭდება, ვითომ ხმა არ გამოდის... არა, თუმცა ერთხელ კი დამელაპარაკა ვიღაც ბიჭი — უგონოდ მთვრალი იყო, ენას უკიდებდა. მკითხა, შინ თუ არისო. არა-მეთქი, არ გახლავთ შინ... ეჰ, ჩემო პეტრე, ახია ჩემზე რა მეგონა, თორმეტი წლით უმცროს ქალს რომ ვირთავდი. თითქოს დიდი სხვაობა არ არის — ოცდაათი წლისა ვიყავი, ის კი თვრამეტისა იყო... მაგრამ უნდა გამეთვალისწინებინა, ოცდაათსა და თვრამეტს შორის რომ თორმეტია, ის სხვაა და ორმოცდაექვსსა და ოცდათოთხმეტს შორის — კიდევ სხვა. რა უნდა ვქნა, აბა მითხარი?! ანდა რა საჭიროა, რომ რამე ვქნა? აურზაური ავტეხო? სრული უაზრობაა და უარესის მეტს ვერავითარ შედეგს ვერ გამოიღებს. ვთქვათ და, საკუთარ ეჭვებში დავეჭვდე, იქნებ ვცდები, იქნებ ტყუილად მგონია რაღაც-რაღაცები და ცილს ვწამებ... მერე და, რა? გამოვიძიო? გამოვჭრიკიო? ჩავსაფრდე? ვიჯაშუშო? ყური მივუგდო? რა საბაზრობაა, არა? იქნებ ვეცადო ურთიერთობა გამოვასწორო ცოლთან, ქცევის რა მეთოდიკა მიშველის, თუ ძმა ხარ,

მიხეილ ანთაძე
პროფესორი, რეფლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული მეთოდიკა შევიმუშავო... რა საშუალებებით გამოასწორება უიმედოდ გაფუჭებულ ურთიერთობას... ჩვენ ხომ უცხოები არ გავმხდარვართ ერთმანეთისთვის, რომ ხელახლა აღმოვაჩინოთ ის, რაც ოდესღაც გვაკავშირებდა... პირიქით ჩვენ იმდენად დავახლოვდით, რომ აღარ გვ[illegible]ინტერესებს ერთმანეთი. ახლა შევიცვალო? ახლა გავხდე მკაცრი ქმარი? ცოლს ხელი მოვუჭირო? არა, ასეთ სისულელეს საკუთარ თავსაც ვერ ვაკადრებ... ერთადერთ რამეს შეუძლია საქმის შემობრუნება, შემოტრიალება... უფრო ზუსტად, ერთადერთ რამეს შეეძლო აქამდე არ მიეყვანა საქმე, მაგრამ ის ერთადერთი რამე დროს შეუქცევად, მოუბრუნებლად მიაქვს: დავიხარჯე... ცხოვრებამ დამხარჯა... მეორე კაცს არ ვიცნობ, ასე ადრე რომ დაწყებოდა ეს ოხერი... თუმცა რა ვიცი, ვის როდის ეწყება... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ორმოცდახუთი წლის ასაკში მომიკაკუნა სიბერის მკაცრმა სიმპტომმა... რას იზამ, ბუნების კანონიაო, დამაიმედა ექიმმა, დამშვიდდიო. საიდან მოიტანა, რომ მშვიდად არა ვარ. სიმშვიდის გარეშე წამითაც ვერ წარმომიდგენია სიცოცხლე... ჩემი სიმშვიდე, ჩემი ხსნაა, პატრე... ერთადერთი, რაც გამაჩნია, სიმშვიდეა-მეთქი, კინაღამ ვუთხარი ექიმს... კიდევ კარგი, არ ვუთხარი — გიჟი ვეგონებოდი. სიმშვიდე ყველაფრის საშველია, პატრე, კაცს მოვკლავ და არავის მივცემ უფლებას ის დამირღვიოს. ცოლ? განა გასამტყუნებელია ახალგაზრდა ქალი ომის გამო, რომ გმირობა არ შეუძლია. ახალგაზრდა, სისხლსავსე ქალი ქმრის ხათრით თუ სიყვარულით თავს რომ დაიბერებს და თავის ქალურ ბუნებას უარჰყოფს, ჩაკლავს. განა ეს გმირობა არ არის? მერე მაქვს მე უფლება გმირობა მოვთხოვო ვინმეს? ანდა გავამტყუნო, რატომ გმირობას არ სჩადიხარ-მეთქი? არა... მთავარია სიმშვიდე და რწმენა, რომ რაც ხდება, ამაზე უფრო კარგი არაფერი შეიძლება მოხდეს, უარესიც კი — თავზესაყრელად. ჰოდა, [illegible]ერი უნდა იყო კაცი, რომ ასეთ[illegible] და იცოდე, რომ უკეთესის შესაძლებლობა მაცდუნებელი ილუზიაა მხოლოდ და სხვა არაფერი. გაყრა! რამხელა სისულელეა! რატომ? რისთვის? ერთადერთი, რაც ცოლქმრის გაყრას მოჰყვება, ბავშვის სულის დამახანჯვებაა, მეტი არაფერი. ახლა შენ ისიც იცი, რომ შვილიც მყავს. თავიდან არ მითქვამს შენთვის.

ამ საშინელი აღსარებით გაოგნებული ვიჯექი და არც კი ვიცი, რა მემართებოდა... ეტყობა, შემატყო, რომ მისი ლაპარაკით გაბრუებული და გათანგული ვიყავი, ამიტომ ხუმრობაზე გადავიდა:

— ისე, მართალი გითხრა, ყველაფერი სიდედრის ბრალია, უსიტყვოდ რომ ზრდის ბავშვს მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ქალიშვილმა სამსახურში ილაქლაქოს და აომა-დაომა იხტუნოს... უჰ, მაგის სისხლი გაშრა, მაგისი... იმიტომ გითხარი, სიდედრს დარიშხანი უნდა შეაპამო-მეთქი, წეღან ტროლეიბუსში...

ვეცადე ღიმილი არ დამეკარგა, აღელვება არ შემემჩნია და დავიწყე:

— იცი რა, ჩემს აზრით, ეს პრობლემები... — მაგრამ არ დამაცალა, ხელი ამიქნია და მითხრა:

— თუ ძმა ხარ, ნუ დამიწყებ ჭკუის სწავლებას, თითქოს შენ ჩემზე უკეთ გქონდეს საქმე. დაგინახე თუ არა, იმწამსვე ვიფიქრე, აი კაცი, ვისაც ცოლი, რა თქმა უნდა, ღალატობს-მეთქი.

დამცეცხლა .თითქოს ამას ველოდი: წამოვხტი, სიგარეტი საფერფლეს დავასრისე და მოსაუბრეს შევუღრინე:

— იცი რა, საზღვარს ნუ გადახვალ. და, საერთოდ, დამანებე თავი, თუ შეიძლება, — კაფედან დამდუღრებულივით გავვარდი, ვითომ დიდად შეურაცხყოფილი ვიყავი, ნამდვილად კი რიკოს გულთამხილაობამ შემაშინა (აკი გითხარით, რაზე ვფიქრობდი, გაჩერებაზე რომ ვიდექი) მისმა აღსარებამ სული ამიწრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომედევნა, ისევ იმ გაწუწულ, თავგაზიან კაცად ქცეულიყო, მავედრებელი თვალებით შემომცქეროდა და ათას ბოდიშს მიხდიდა, თუმცა ისე რომ თავს არ იმცირებდა, თავი ერთხელაც არ დაუმცირებია, პირდაპირ, ვიეკაცურად თხოულობდა პატიებას **უტაქტობისათვის**:

— მაპატიეთ, არ მეგონა თუ გეწყინებოდათ, ტუტუცი ვარ, ეს რა გაკადრეთ, დიდი ბოდიში.

— არაფრის.

— არა, მეტს აღარ ვიზამ. რა სისულელეა. ნუ დამტოვებთ, პეტრე, ძალიან გთხოვთ. აი, ჩემი მეზობლების ამბავმა დაგაინტერესათ. მე კი რატომღაც ვფიქრობდი, ის უფრო დაინტერესებს, ქალებთან რა ურთიერთობა მაქვს, ან იმ აზიზას საზიარო ერთოთახიანში ცოლშვილს როგორ ვინახავ-მეთქი.

— არ მაინტერესებს, — მივუგე და შინისაკენ მოკლე გზით გადავუხვიე, მოზრდილი სკვერი უნდა, გადამეჭრა ბილიკ-ბილიკ.

გავუყევი ნაწვიმარ წითელ ხვნეულს, დაბურულ ხეებს შორის, ის კი მომდევდა და ძანამდე მიხდიდა ბოდიშს, სანამ გული არ მომილობ.

— კიდევ მოგიყვები რამეს, პეტრე, ნუთუ აღ. გაინტერესებს?!

—ასეთ ლაპარაკს სჯობია მითხრათ, რა აღმოაჩინა პავლოვმა და თავი დამანებეთ. რას გადამეკიდეთ!

— პავლოვზე ბოლოს მოგახსენებთ. იმიტომ კი არა, რომ ენა მექავება, უბრალოდ, მინდა უკეთ გაგაგებინოთ ყველაფერი.ამიტომ, ხუთი წუთი კიდევ დამითმეთ, თუ შეიძლება... ვნებავთ, სხვა მეზობლებზეც გიამბობთ, ანდა...

სკვერში განმარტოებით მდგარი სკამძელი შევნიშნე, სველი კი იყო, მაგრამ ვგრძნობდი, ამ კაცს თავს ასე იოლად ვერ დავაღწევდი, თანაც, რაღა დასამალია, სიბრაზემ და აღელვებამ გადამიარა და მაინტერესებდა, კიდევ რას მიამბობდა.

— მოდი, ჩამოვსხდეთ, — შევთავაზე. — წყნარად მიამბეთ, თორემ ვატყობ, მაინც ვერსად გაგექცევით.

ჩემმა წინადადება გაახარა.

— დაბრძანდით, — მითხრა, მე დავჯექი. ის არ დამჯდარა, პირდაპირ მოხსნა გუდას პირი:

— ცოლზე ხომ გიამბეთ, ახლა ორიოდე სიტყვა ლიაზეც მინდა გითხრათ. ლია ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი ქალია, ასაკით ჩემი თანატოლი. მასთან ქავშირი ჩემი დაქორწინების გამო ხუთი წლით შევწყვიტე მაგრამ მერე თანდათანობით კვლავ აღვადგინე და ურთიერთობა ძველ კალაპოტში ჩავაყენე. ლია თავისი ასაკისათვის შეუფერებლად ტანხმელი, მიმზიდველი, სათნო, გონებაგახსნილი, მოკლედ, ყოველმხრივ სრულქმნილი ქალია, ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ნამდვილი ქალი. ის, ვინც ყველაზე უკეთ მიცნობს, ყველაზე უკეთ მიგებს და ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც მე მინდა .მაგრამ საქმე ისაა, რომ ახლა საერთოდ აღარ მინდა ლია. აი, რატომ: მთელი ჩემი ცხოვრების გამოცდილებით დადასტურდა, რომ ლია ერთადერთი ქალია. ვინც ჩემს გვერდით უნდა ყოფილიყო მუდამ, ასე არ მოხდა. ცხოვრებამ გაუმთელებელი ბზარი გააჩინა ჩვენს შორის. ერთმანეთთან მხოლოდ ნაქურდალი ურიერთობა გვაკავშირებს. მე კი აღარ შემიძლია ნაქურდალი ურთიერთობის გაგრძელება .აღარაფრად მჭირდება, ზედმეტ ტვირთად მექცა ის, რაც, სადაც სამართალია, სასიამოვნო ტვირთი უნდა ყოფილიყო.

ვიჯექი სველ სკამძელზე და რიკოს ვუსმენდი. უცად საიდანღაც ნაბიჯების ტაკატაკუკი მოსწვდა სმენას. ორივემ ერთდროულად ავიხედეთ და რასა ვხედავთ, — ჩვენი „ფიზკულტურელი“ არ მორბის კუნთების თამაშით, სწორედ ის, ქლოშინით რომ ჩაგვირბინა, სანამ პირველ სიტყვას ვეტყოდით ერთმანეთს, მორბის, მოარხევს მხარ-ბეჭს, გვიახლოვდება, სახე ოფლით დაცვარვია, გზადაგზა მკლავებს აქნევს, ავარჯიშებს,

ერთი-ორი მუშტიც უთავაზა სივრცეს. ჩვენს სიახლოვეს შეჩერდა — კედზე ზონარი შეხსნოდა, დაიხარა და კარგა ხანს იკრავდა. ჩვენც ვუყურეროდით და ველოდით, როდის გაუყვებოდა თავის გზას. ცოტა არ იყოს, გამომაფხიზლა იმისმა გამოჩენამ, საათს დავხედე. ფიზკულტურელმა, როგორც იქნა „შეიკრა ზონარი, მეორე კედზეც შეისწორა, მერე გაიმართა, ჯერ ადგილზე ხტუნვა დაიწყო, მერე კი დაიძარა და მალე ნაწვიმარ ნაძვებს შორის გაუჩინარდა, ერთხელაც არ გამოუხედავს ჩვენკენ, არც კი შეუმჩნევია ჩვენი არსებობა, რიკომბოლომდე მიაღევნა თვალი და მომიბრუნდა:

— ჰო, თუ ჩემთვის ყურის გდება მოგწყენდა, შეგიძლიათ წახვიდეთ.

ბარემ კი მინდოდა, მაგრამ სადღა უნდა წავალ-ეს-ეს-ეს

ლმე ამ ბოლო დროს, რაც მაფიქრებენებს, რომ მას ჩემზე გაცილებით ღრმა სტადიაში გადასვლია ბუნებით აუცილებელი ავადმყოფობა. კოტემ შვილინობასა და უშვილობაზე განავითარა მოსაზრებები, შეეხო ქურთების მრავალშვილიან ოჯახებს, ქებითა და ოდნავ შურით მოიხსენია ისინი. უშვილობა კოტეს ძველისძველი სატკივარია და პირველად არ ლაპარაკობდა ამ თემაზე. იცი, პეტრე, აუტანელად მეჩვენება ძმაკაცების ლაყბობა, მით უფრო რომ, თავად წვეთიც არ დამილევია. კარგა ხნით მივატოვე: მაპატიეთ, ბიჭებო, თევზებს დავაპურებ და დაგიბრუნდებით-მეთქი. თევზები ჩემია, ჩემს ცოლსა და ქალიშვილს კი ძუძუნა ჰყავთ, სუფთა სისხლის ფოქსტერიერია, ქალი, მელიის მსგავსი საოცრად ალერსიანი არსება, რომელიც სულს მიხუთავს გაუთავებელი კუდის ქიცინით, ხელებიანლოკავით და სიყვარულით აღსავსე წკმუტტუნით. ვერ ვიტან ძაღლს, მაღიზიანებს მისი მოუსვენრობა, მეჩვენება, რომ ეს ცხოველი მუდმივად ანაგვიანებს, ბილწავს სახლს, ჰაერს და, საერთოდ, ჩემს არსებობას. ამ ძაღლის თუ ცოლ-შვილის საწინააღმდეგოდ აკვარიუმი და დეკორატიული თევზები შევიძინე, მათ მივიჩნევ იდეალურ ცხოველებად, რადგან არაფერს არ სვრიან, არ იყეფებიან, არ ხმაურობენ და არც ფეხებში ედებიან ვინმეს. ნაშუადღეს ცოლი მოვიდა შინ და ხალისით შეუერთდა დიმიტრისა და კოტეს აქტუალურ დისპუტებს. მერე ქურდებზეც ილაპარაკეს — მარტო ჩვენს სადარბაზოში ოთხ მეზობელს გაუტეხეს ბინა და რაც კი რამ ებადათ, პირწმინდად გაიტანეს. მე შინიდან ისე არ გამოვალ, ბინა სამჯერ რომ არ შევამოწმო საკეტი. ეს ჩემი სიფრთხილე თუ შიში, ცოტა არ იყოს, თვითონვე მაკვირვებს, რადგან თავი ისეთი კაცად მიმაჩნია, რომელსაც ქონება არაფრად უღირს. მაშ რაღას ეუფრთხი? ალბათ იმას, რომ თუ გამქურდავენ, ამით ცხოვრების ჩვეული მდინარეა დამერღვევა, ატყდება ფაციფუცი, საჭირო შეიქმნება რაღაცა-რაღაცების ხელახლა შეძენა, მე კი ამგვარი ქარტეხილების მეშინია, გესმის პეტრე; სამსაუკუნიც ანალოგიური განცდა მაქვს. ისიც მოგიტყუე, გუშაგად ვმუშაობ-მეთქი. შენი არ იყოს, მეც რედაქტორი ვარ და ერთთავად ვშიშობ, რომელიმე ინტრიგანმა თანამშრომელმა რაიმე არ მიხიმანოს. ვის რა შეუძლია კონკრეტულად, წარმოდგენა არა მაქვს, რადგან ჩემზე კეთილსინდისიერი და ერთგული მუშაკი მეორე არ მოიძებნება ჩემს რედაქციაში, მაგრამ ხომ შეიძლება, რაიმე უნებლიედ შემემშალოს, რაიმე ისეთი გამომეპაროს, გამომრჩეს მხედველობიდან, ანდა, უბრალოდ, შარი მომდონ, ხაფანგში გამაბან. კერძოდ, რისი შიში მაქვს, არ ვიცი. ზოგადად მეშინია რევიზიების, კომისიების და ინსტანციების... ანდა კომასი — ჩემი კოლეგის, რომელსაც მთავარი რედაქტორობა უნდა და ვერ წარმოუდგენია, თუ შეიძლება არსებობდეს რედაქციის ისეთი თანამშრომელი, იგივე მიზანი რომ არ ამოძრავებდეს ამიტომ კობა უკლებლივ ყველას თავის კონკურენტად გგვთვლის, პირველ რიგში კი მთავარ მტრად მე მივაჩნევარ. წლების განმავლობაში ვერასდიდებით ვერ შევასმენე, რომ არავითარი კარიერისტული მისწრაფება არ გამაჩნია. რაც მეტს ვცდილობდი ამაში კობას დარწმუნებას. მით უფრო მეტ ეჭვს ვიწვევდი მასში. გაუთავებლად მექიშპება, მეინტრიგანება, მკბენს და ნერვებს მიშხამავს. მაგრამ რა დროს კობაა, რა დროს ძმაკაცების დისპუტები ანდა საბაზანოს მოშლილი ონკანი, როცა საკუთარი შვილი... ამას წინად თეატრში მყავდა, სპექტაკლი საკმაოდ საინტერესო იყო. მაგრამ ორიენტი უგულისყუროდ ვუცქერდიოთ: მე მას ვაკვირდებოდი, ის — დარბაზში მსხდომ ხალხს. დიდი ხანია შევაჩნიე, პეტრე, რომ გოგონას იმაზე მტკად, რაც სცენაზე, წიგნში, არენაზე და საერთოდ ხელოვნებაში ხდება,

მიხეილ ანთაძე
პიროგოეთი რეფლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალური ადამიანები უფრო ინტერესებს — ვინ ზის დარბაზში, ვის რა აცვია და ასე შემდეგ. ხასიათის ეს თვისება ჯერ კიდევ მაშინ შეენიშნე, როდესაც სამი წლის ბავშვი პირველად წავიყვანე ცირკში. ახლა უკვე აღარც კი მაკვირვებს შეილის უყურადღებობა სპექტაკლის მიმართ. ერთი პერიოდი იყო, ზღაპრებსაც კი ვუამბობდი, წიგნებსაც ვკითხულობდი, მაგრამ ვერა და ვერ შევიტანი ასეთი რამეებით ბავშვის დაინტერესება და მივანებე თავი. თავის მხრივ, იმანაც აღმოაჩინა, რომ მე სრულებით არ მიტაცებს მისი კლასელებისა თუ ეზოს ბავშვების ამბები მოსმენა: ვინ ვის მოსწონს, ვინ ვის ვერ იტანს, ვის რა უყიდეს, ვინ რა თქვა, ვინ ვის ეჩხუბა... იმანაც მიანება თავი ჩემთვის ამ საინტიუსო წვრილმანების მოყოლას და რა ხანია უკვე ჩვენი ურთიერთობა შეეხოს ვეიდან შემოხვევამდე თეატრსა თუ კინოში წასვლით შემოიფარგლა. სპექტაკლიდან ფეხით დავბრუნდით შინ და მთელი გზა თითქმის არაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის. მხოლოდ ორი გამოლაპარაკება: ჯერ იყო და, როცა სიგარეტს მოვუკიდე, დამრიგებლური ტონით გამომიცხადა: უკვე დროა პაპიროსის წევას თავი დანებეო, სულ მაგის ბრალია, რომ ავადმყოფობ, შენს ადგილას ჯანმრთელობას გავუფრთხილდებოდი. ისიც მოგატყუე. პეტრე, არ ვეწევი-მეთქი. ვეწევი, როგორ არ ვეწევი, მაგრამ დღეს არ მინდა მოწევა. იმ დღეს კი შვილს არაფერი ვუპასუხე, სიგარეტიც, რა თქმა უნდა, მოვწიე. მერე მითხრა, ჩემს კლასელს ბებია მოუკვდა, მინტერესებს, მე რომ მოვსწრებოდი ბებიის სიკვდილს, როგორ ხასიათზე დავდგებოდი როგორი გრძნობაა ნეტავ ახლობლის სიკვდილიო. რა სისულელეებს ამბობ-მეთქი, გავეუწყენი. აქვე უნდა გითხრა, პეტრე, შობლებზე რაც გიამბე, მართალი გიამბე, არ მომიტყუებიხარ. კარგად ნამდვილად არსებობს და ერთხნობას საშინლად ამირ-დამიარია ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, მუდამ ცდილობდა ნერვები მოეშალა ჩემთვის. გავენადგურებინე, დავემარცხებინე. საშინელი ვინმეა: წვრილი, შავი ულვაში ისე აქვს ზედა ტუჩზე მიგლესილი, თითქოს ჭარბი სისხლის გამოსაწოვად. ორი წუთიელა მიუკრავს სიტყვას ისე არ იტყვის, რაიმე მზაკვრული ქვეტექტი რომ არ ამოუფინოს. პირველ შეხვედრისანვე, როდესაც მუშაობა დავიწყე, გესლიანი კამათი ამიტეხა. მართალი რომ გითხრა, არც მეგონა, რომ ახალ სამსახურში დიდი პატივით და ალერსით მიმიღებდნენ, მაგრამ ასეთ მტრულ შეხვედრასაც, არ ველოდი. პირველ დღეებში საფიქალი გამიჩინა აგრესიულად განწყობილმა კოლეგამ — ახალ სამსახურზე უარის თქმაც კი მაფიქრებინა ერთხანს. მერე იყო და, გაუთავებელი კამათი ამიტეხა ოთახში მაგიდების განლაგების თაობაზე. იმდენი ქნა, თავისი მაინც გაიტანა. რედაქციაში არავის უყვარს კობა, მაგრამ ასეთი მტრობა, ჩამთან რომ ჰქონდა პირველ ხანებში, არაკისთან არასეროს არ ჰქონია. ეს ქიშპობა მთელი წელი გრძელდებოდა, მეც თავიდან წინააღმდეგობას ვუწევდი. მაგრამ მერე და მერე დავიღალე. განვიზრახე მიმტოვებინა სამსახური, მაგრამ კობასაც ხომ ეს უნდოდა. დიდი ბეჭბისა და განსჯის შემდეგ ისევ შემრთგებლობით პოლიტიკა ვარჩიე. გადაეწყვიტე დავახლოვებოდი კობას, შინ მივიპატიჟე, საკანგებოდ გაუმასპინძლდი. სუფრასთან გულახდილად, კეთილმოყვარულად ვისაუბრეთ, თითქოს საერთო ენაც გამოვნახეთ. სტუმარი დიდად ნასიამოვნები დამრჩა, მაგრამ ერთი კვირაც არ გასულა, კობამ მთავარ რედაქტორს ენა მიუტანა, თითქოს მე მეთქვას, როდის მოგვაცილებენ მაგ კრეტინსო. არადა, სინამდვილეში კობას მეგობრულად კავეხუმრე, ჩვენი მთავარი რედაქტორი პენსიაზე რომ გაეა, უეჭველად, მის ადგილს შენ დაიჭერ-მეთქი. მთავარმა რედაქტორმა ამითვალწუნა და სამსახურში დაგვიანებისათვის საყვედური გამომიცხადა. მოკლედ, ისევ გამიჩნდა საფიქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლად შეეიეულე კობა, აღარ ვიკოდი, რა მენენა. კიდეე რამდენჯერმე ეკადე უზიაკი კოლეგის გულის მოგება, მაგრამ ყოველთვის ერთნაირად დამთავრდა ეს მცდელობა: კობა იღიმებოდა, პატივისცემას იფერებდა, თანამოაზრედ და ლამის მეგობრად აცხადებდა თავს, ზურგს უკან კი ყოველ წუთს სისაზიზღრებეებს სჩადიოდა. გადაწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ალმეკეეთა ეს ამბავი. ავიღე და ყველაფერი შეულამაზებლად, გულახდილად ვუთხრე მთავარ რედაქტორს. მთავარმა რედაქტორმა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ჩემდამი საკმაოდ კეთილად იყო განწყობილი, კობას განკუხადების დაწერა და სამსახურიდ დატოვება შესთავაზა. კობამ სახალხო კონტროლში იჩივლა. ატყდა გამოძიება, მე ვინანე ჩემი საქციელი და დიდხანს მქენჯნიდა სინდისი აიუთარი ენატანიობის გამო. სანამ სპეციალური კომისია საქმეს არჩევდა, ყველაფერი გავაკეთე კობას დასახმარებლად, შეეაალო იყო, უარი ვთქვი, ყველაჩემს პირველ ვერსიაზე, რამდენადაც ფერი შეეარბილე და საქმე იმით დამთავრდა, რომ მთავარმა რედაქტორმა იაეე მე გამომიცხადა საყვედური: ტყუილად რას მამამუნებდაო. კობამ შეინარჩუნა ჩემი მეოხებითი თავიანი ადგილი, რომელიც ჩემი მეოხებითვე კინალამ დაკარგა. დახმარება კობამ არაფრად ჩამაგდო, მტრობა კი არ დაივიწყა და მას მერე უფრო ჩამიდგა კოიტაში. მე კი, როგორც ოქნა, ვიპოვნე გამოსავალი, ვაი ასეთ გამოსავალს, — კობას ონებს საერთოდ აღარ ვაქცევ ყურადღებას, არც ნერვებს ვხარჯავ, არც ვკაკრობ და არც არაფერი. ასე გრძელდება ცხოვრება, რომელსაც პატარა აზრსა და პატარა იმედს სიმშვიდე და მხოლოდ სიმშვიდე აძლევს... მაგრამ, პეტრე, აი გიყურებ თვალებში და ვხედავ: შენც იკი — სიმშვიდე არაა გამოსავალი, რადგან ამ სიმშვიდეს რაო�d მთავარი აკლია, და ის მთავარია სიკეთე, ის მთავარია საშველი. უნდა ვიპოვო საშველი, ამიტომაც არ ჩქარობ წუხელ, ამიტომ წავედი გლდანში, მეოხ იქიდან — აქეთ და ამიტომ ეფიქრობდ ამაზე, თუ რა აღმოჩენა პავლოვმა და რა ვერ აღმოაჩინა, რას მიხვდა, რა ისწავლა ადამიანმა და რას ვერ მიხვდა თუ ვერ ისწავლა. გენიმ, პეტრე, საშველი უნდა მივაგნო, მაგრამ მარტო მე ერთს არ შემიძლია. ეს დაიხსომე, რომ მარტოს არ შემიძლია და მისმინე. საშველი უნდა იპოვო ამიტომ... საშველი უნდა იპოვო მაშინ, — რიგო უკიდურესად დაიიაბა, ანერვიულდა და წინასწარმეტყველის ალტყინებით დამაყარა ალტყვები, თან პირდაპირ თვალებში მიეკერდა: — საშველი უნდა იპოვო მაშინ, როდესაც ყოველად გაიაკვირად ჰქვია სახელი ქუჩას, რომელზეკე, შესაძლოა. ერთმანეთს მე და შენ შევხვდეთ. როდესაც პირობითი რეფლექსები აღმოჩენილია, საშველი კი დავიწყებულა. როდესაც იმდენს ეწევი, რომ აუნთქვა გიჭირს, მაგრამ მაინც ეწევი, რადგან ვერ ხვდები, რიისთვის უნდა დაზოგო თავი. როდესაც ქუჩები გადათხრილია და განძის მაძიებლები თავისას პოულობენ, როდესაც მათხოვარს ვერაფერ მისცემ, ანდა უარესი: მისცემ, მაგრამ ზიზღით შეხედავ, როდესაც ბიჭი გინდა, მაგრამ გოგოები ყავს, რადგან ლეოიი ვქვია და ცოლს აგინებ ღამღამობით. როდესაც მარტოობა გალავს და ხმის გამცემებს კი აღარ იკი სად დაემალო, როცა პოობლემაა ძაღლი თუ თევზი და აკვარიუმში ხარ გამომწყვდეული, სიდღრი კი საკვებს გიყოს წყალში და გაჩვევს, როდესაც ოც კაცთან მეგობრობ და ერთად მსჯელობთ მრავალშვილიანობის საკითხებზე, როდესაც ხელფასს კობას პურმარილებში ხარჯავ, სიკეთეს ბოროტებაზე ამრავლებ და ძსოფლიო ლიტერატურაში შენთვის საინტერესო არაფერი არ ხდება, როცა ლეოიას ქალიშვილების წოოკობას კარ შეგიძლია დიდაკცის დისშვილი გამოკეტილ ცარიელ ბინაში დაიმალო, როდესაც გუშაგი საშუს გაიხოკს და შენ

ბიხვილ ანთაძე
პირიბიისი რეფლექსები

კი არ გაქვს. ან არ კუნდა უჩვენო, [illegible] შენი თავი დიდი კაცივ გგონია, როცა სკოლიდან ბრუნდები შინ და [illegible] ... ეს ... ბა, ... ერთი ... შენი. სამხედრო პირის საყვარელი, მეორე კი: ენაგარეული და გაუბედავი ბიჭი ლელი — მამაშენია და ორივენი ერთად ... ტოვებენ შეუბრალებლად, რის გამოც განსაუბარი სოსიკო სიამოვნებით დაგადგამს რქებს, ხოლო ლიას დაკარგავ, რადგან არასოდეს გირბენია კუნთების გასაკაჟებლად, როდესაც მეზობელს, ღვინოზე რომ გეპატიჟება, არც კი იცნობ და ფეხებზეც გკიდია, რადგან დიდად არც იმას ეპიტნავები, როდესაც საბაზაზანში ონკანი ხრიალებს და ოცი წელია ბიჭებს სასმელი მოაქვთ და სვამენ, შენ კი ძალი გგდება ფეხებში და ანაგვიანებს შენს არსებობას, როდესაც კარს გმანავ, რათა სიმშვიდე ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ასეა.

ლამის ატირდა კაცი:

— იმედი გამიცრუე, პეტრე, — ხელი ჩაიქნია და წამოდგა, — თუმცა ასეც უნდა ყოფილიყო. ე-ეჰ, შენცა ყოფილ-ხარ რაღა, — გახუმრება სცადა და რამდენიმე ნაბიჯით გამშორდა, — ჩემი-სთანა სულელი მეორე არ დადის თბილისში, — ჩაილაპარაკა ბოლოს.

ფაცებ სინდისმა ამაწრიალა: ვიგრძენი, რომ საშინლად ვაწყენინე ამ კაცს. თითქოს რაღაც მოვპარე.

— რა მოგვიდა, შე კაი კაცო, — ვუთხარი, — რას მებუტები. მართლა კი არ გითხარი, გეხუმრე. მშვენიერი მოთხრობები გამოგვა, დაწერე და თუ არ დაგიბეჭდო, კაცი არ ვიყო.

ისე შემოტრიალდა, თითქოს მათრახი დამეტყვა ზურგზე. გაოცებული სახე ჰქონდა:

— კარგი რა, არ გინდა — შემომეხვეწა, — რაც გინდოდეს ის მითხარი, ოღონდ მაგ ფარისეველობას შეეშვი შენი ნუგეში მე არ მჭირდება. დაგიშავე რამე?

— რა უნდა დაგეშავებინა? — ისევ ავარიდე თვალი.

— არა, თუ დაგიშავე რამე, შე კაი კაცო?

— არაფერი არ დაგიშავებია.

— არა, მაინც რა დაგიშავე, რა გი თხარი ასეთი? — ჩამაცივდა.

— არაფერი არ გითქვამს არც ისეთი, არც ასეთი. — შევატყვე ბრაზი ერეო-და.

— აჰა, არაფერი არ მითქვამს?! ესე იგი, სამი საათია არაფერს არ ვამბობ, არა?

— როგორ არა, ბევრი საინტერესო რამ მიამბე. მე მგონი, სადღეისოდ საკმარისია. — ვუთხარი და საათს დავხედე, — რაღა დაგიმალო და, შინ ვარ წასასვლელი.

— აჰა, შინ ხარ, წასასვლელი? — დამკონავად მითხრა, — ცოლ-შვილში?

— ეგ რა კოლაა?! გავბრაზდი მე.

— დიდი ბოდიში, მაგრამ გთხოვ კიდევ ორი წუთი მაჩუქო, თუ შეგიძლია.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ვუთხარი და წამოვდექი.

წინ გადამიდგა და გულით მთხოვა.

— მართლა ძალიან გთხოვ, ყველაფერს გაფიცებ, ცოტა კიდევ დაიცადე.

— არა, მეჩქარება.

— სად გეჩქარება? — გზას არ მაძლევდა, ნუ წახვალ, გთხოვ.

— უნდა წავიდე.

— დაიცა.

— არა, უნდა წავიდე, უნ-და წავი-დე, — დამარცვლით ვუთხარი, მტკიცედ, გადაწყვეტილად.

— არ შეგიძლია ათი წამით გაჩერდე. სულ ათი დათვლა, — ჩამებღაუბა ის.

— ათი წამი შემიძლია, თუ გინდა, თხუთმეტი იყოს, — ვთქვი და საათს დავხედე, — აი, დაიწყო: ერთი, ორი... — წამზომის ისარს მივაყოლე თვალი.

მერე მას შევხედე სახედაძაბული იდგა, თითქოს რაღაცის მოფიქრებას ლამობდა საჩქაროდ მერე სწრაფად დაიხარა, მიწიდან ტალახიანი კენჭი აიღო, ხელში შეათამაშა და წყნარად მითხრა:

— ერთ რამეს გეტყვი აი, ხომ გაგაჩერე თხუთმეტ წამს. ესე მსურდა და იმიტომ, ახლა კი გიბრძანებ ჩქარა აქედან მოუსვი, ორ წამს გაძლევ. ეგრე მსურს და იმიტომ. აბა, ცოცხლად! — ფეხი მიწას დაჭკრა და კენჭი მესროლა.

— აბა, აბა, — დავიღრინე, — წესიერად!

— მოუსვი-მეთქი ჩქარა, — შემომყეფა, — თვალით არ დაგინახო-მეთქი, ვის ვეუბნები.

— ვაჰ, — გავიკვირვე, ვიგრძენი სიბრაზე ცეცხლად მეკიდებოდა, — შენ ვინ გეკითხება, ეგრე რომ მაგდებ.

— არსადაც არ წავალ, — ანჩხლად ვთქვი და ისევ სკამძელზე დავეშვი.

— ვინ მეკითხება.

დაჯექი თუ არა, მივხვდი: ფანდზე წამოვეგე. მივხვდი, მაგრამ არ შეეიმჩნიე.

— ახ-ა, რახან დაგსვი, ბარემ გეტყვი, რომ მეცნიერება პაკლოვმა [illegible]

თი და უპირობო რეფლექსები აღმოაჩინა, რეფლექსები, რომლებიც შენისთანა ცხოველების სიცოცხლეს განაპირობებენ. საწუწუნად არ გეუბნები, შენისთანა-მეთქი. ჩემს თავსაც ვგულისხმობ, იმიტომ რომ რეფლექსებით ვცხოვრობთ მე და შენ, ის კი დაგვავიწყდა, რომ ადამიანს ადამიანი სჭირდება, სიყვარული, მოყვასის სიყვარული. დაგვავიწყდა, პეტრე, რადგან პირობითი რეფლექსების მოძრაობაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. გაიგე თუ ისევ იმ ლუნრად დარჩი, რაც იყავი...

— ნუ ილანძღები და ბავშვურ მორალს ნუ მიკითხავ, — ბრაზითა თუ რაღაც სხვა გრძნობით აკანკალებულმა ვუთხარი, — ყველაფერი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ არ მინდა და არ ვიგებ. არ მაინტერესებს, მორჩა და გათავდა.

— იმიტომ, რომ ფისტულა გაქვს ყბაზე. შე უბედურო.

— გაჩუმდი! ვიყვირე.

— რატომ?

— შენი საქმე არ არის. ორი წამ გავიდა, ადექი და მოუსვი, ჩქარა, ჩქარა, ცოცხლად, — და ხელი მკრა.

წამოვიჭერი.

—ხელები დაიმოკლე, — შევუყეფე.

— კრეტინი ხარ.

— შენ გიჟი ხარ, ვიღაცა ხარ, — ვუთხარი, — რა გინდა, რას გადამეკიდე.

— მე ვარ გიჟი?

— შენ ხარ, აბა ვინ. მომადექი და მთელი შენი ნაგავი მე გადმომაყარე, თითქოს ჩემი არ მყოფნიდეს. ჰო, ეგრეა. მართალი ბრძანდებიან. ვთქვათ, ეგრეა. მერე და რა? მარტო შენ გაწუხებს ამ ქვეყნად რაღაცა? მარტო შენ ხარ? მომდგომიხარ და შველას მთხოვ. მე რა გიშველო, ჩემი თავი გამჭირვებია.

— მინდა რომ მისმინო და გამიგო.

— მე შველას არ გთხოვ.

— აბა რა, ჯანღაბ გინდა ჩემგან?

— სამი საათია გისმენ, კიდევ რაღა გინდა?

— სამი საათი მისმინე და ერთ შეში წყალი გადაასხი ყველაფერს. შე საცოდავო, შენი საშველი არ იქნება, თორემ მე კიდევ რაიმეს მოვახერხებ.

— რატომ არ იქნება ჩემი საშველი, რატომ? — ვიყვირე.

— რომ გითხრა, მაინც ვერ გაიგებ

— იქნებ გავიგო. ამიხსენი.

— კარგი. ყური დამიგდე. აი, გელაპარაკე, ყველაფერი გითხარი, ყველაფერი გასაგებია შენთვის. შენ კი დგები და მიდიხარ, მტოვებ, იმიტომ, რომ თევზივით გინდა იცხოვრო, მე კი ხელი შეგიშალე. იმის მაგივრად, რომ რაღაცა მოიმოქმედო...

— რა უნდა მოვიმოქმედო? სისულელეა და მეტი არაფერი.

— ჰოდა, ამიტომ გეუბნები, შენი საშველი არ იქნება, შე რქიანო, — მითხრა და შემომცინა.

— მოკეტე.

— არა, მაინც რა არიფი ყოფილხარ. წადი, ხომ მიდიოდი, რატომ აღარ მიდიხარ? ხომ გითხარი, წადი-მეთქი. არ წახვედი, როგორ თუ მაგდებსო და გამიძალიანდი, გიჭაჩე. სასაცილო ხარ, პეტრე შეგობრულად გეუბნები.

— შენ კი უზრდელი ხარ. მორჩი ლანძღვას, თორემ...

— რა თორემ? იქნებ მცემო კიდეც. ეგეც შეგიძლია?

— თუ არ გაჩერდები, გცემ და მეტსაც გიზამ.

— რას მიზამ, მომკლავ? — განცვიფრებული იყო, — მომკლავ კიდევაც?

— ცემით მოგკლავ, — ვუთხარი. მაძაგძაგებდა აღელვებისაგან.

— ცემით ვერ მომკლავ, — მითხრა და ჯიბიდან დანა ამოიღო, ღიმილითა და ცნობისწადილით გაშალა და გამომიწოდა, ბავშვს რომ მიაწვდიან სათამაშოს, აბა ენახოთ, როგორ მოიძარჯვებსო, — აჰა, მიდი, მომკალი. იქნებ მაშინ მაინც გაიგო რამე ქვეყნად, შე კობას ულვაშო. შე საწყალო. ჰა, შეგიძლია ჩემი მოკვლა? დაიჭი ეს დანა.

ლეონონმა გამომაფხიზლა. ტკან დაკიბიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამ გადაგრია, შე კაი კაცო, ბავშვი ხომ არა ხარ, მოაშორე ეგ დანა, რას სულელობ.

— არა, კი არ ვსულელობ, მართლა მაინტერესებს, მომკლავ თუ არა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს. მომკლავ, რომ გითხრა, მე რომ გითხრა, რადგან შენ თვითონ არ მეუბნები, რომ შენისანა კაცს ცოლ-შვილი გინდ ჰყოლია, გინდ არა, რადგან ყველა ფეხებზე ჰკიდია, საკუთარი თავის გარდა. ჰა? მომკლავ, რომ გითხრა: მთელი შენი სიცოცხლე შიში გალავს, ინფაქტი ან კიბო არ დამემართოსო და მაინც ქაჩავ სიგარეტს. იმიტომ რომ თან მხდალი ხარ, თან უნებისყოფო, ჩასვრილი და უსუსური. ჰა?

— მორჩი, გეყოფა!

— არა, არ მეყოფა. გაიგონე, სიმართლეს გეუბნები. ხომ გინდოდა ბიჭი, მაგრამ არ გამოგვიდა, რადგან შენც ლეოიასნაირი ხარ. ოცამდე მეგობარი მყავსო. რის მეგობარი, რა მეგობარი. შენ ხომ მოჭნარებით კედები მეგობრების ლაპარაკზე, შენ რა იცი, რაა მეგობრობა, შე ფისტულავ, ან რა ლიტერატორი გგვია, პეტრე, როცა აზრზე არა ხარ, სიკეთე რა არის და არც გაინტერესებს, იმიტომ რომ გშია და ჩაი გინდა, იმიტომ რომ ნაბუშარი ხაო და მშობლებმა ადრე მიგატოვეს, მეზობლები შენ არა გაყავს და წვიმის გეშინია, იმიტომ რომ პირობითი რეფლექსებით ცხოვრობ. მიდი, ბიჭი ეს და მომკალი, მაინტერეს ებს აქანდეც თუ მივა შენი თავმოყვარეობა, შენი გამოთაყვანებული... შემაგინა და დანა ფეხებთან დამიდგო.

— გაჩუმდი, შე... შე... — ენა დამება.

— მოდი, მოდი, რაღას უდგეხარ. ძალა აღარა გაქვს? ჩაი გინდა? რად მიდიოდი ამ დილით სასაუზმეში? რაო, სახლში არ გაჭმევენ? არ გიკლის ცოლი, შე ძუძუმწოვარო? რატომ მოგიკლის — ალბათ ვინმე სოსიკოსთან კოტრიალობს ლოგინში...

— გაჩერდი, შენი! — ვიყვირე, დავწვდი დანაა და გავექანე.

— დაიცა, მჯერა, რომ... — დაიწყო, მაგრამ არ დავაცალე, მთელი ძალით მოვუქნიე და დანა მუცელში გავუკარი, ერთხელ, მეორედ, მესამედ. — შენი... შენი... — ვყვირიდი და ვურტყამდი. გაოცებული, თუმცაღა მშვიდი სახე ჰქონდა. განცვიფრებით მიყურებდა, ყვირიოდა, ავნებდა. სისხლი რომ შემომესხა სახეში, მაშინღა გაჭრერდი და... ვერც აგიხსნიდი, ოაა ვგრანობდი, სანამ მიწაზე იკრუნჩხებოდა და ხრიალებდა... ალბათ არც არაფერს არა ვგრძნობდი, სანამ უსაშველო შიშმა აო მომიცავ... ის კი გაყუჩდა, უკვე მკვდარი მეგონა. ცივმა ოფლმა დამასხა, ვიგრძენი, რომ მეც ვკვდებოდი, შიშით ავივსე, თუმცა შიშთან ერთად რაღაც უფრო დიდი და საშინელი რამ წამოვიდა შიგნიდან, წამოვიდა და სამ სიტყვად იქცა, სამ სიტყვად აგუგუნდა თავში: ეს რა ჩავიდინე, ეს ოა ჩავიდინე. ეს რა ჩავიდინე... ეს სამი სიტყვა მაზანზარებდა. რიკომ კი ნელა გაახლა თვალი და მშვიდად შემომხედა. ტკივილისაგან დამანჭულ სახეზე ღიმილი გაკაცოდა.

— ეს რა ჰქენი, პეტრე? — დაიჩურჩული, — ეს რა ჰქენი, ჰა? რამ გაგაგიჟა, პეტრე. ვაი... — ისევ წამოუარა ტკივილმა — იცი, რა ცივი იყო და თან რა ცხელი... არა, ახლა გაცხელდა, თავიდან ძალიან ცივი იყო... — ისევ დახუჭა თვალები. მეტად აღარც გაუხელია.

— რიკო! — ჩავძახე, — რიკო, — მივფოფფდი მასთან, ძალიან ფრთხილად ავუწიე თავი და მუხლებზე დავიდე, — რიკო, — ვეძახდი, შიგნით კი ისევ მიგუგუნებდა: ეს რა ჩავიდინე, ეს რა ჩავიდინე!..

უცებ მან ისევ დაილაპარაკა, უფრო ხმამაღლა და გარკვევით:

— ბიჭო, პეტრე, მეც შენსავით ჩასვრილი და უნებისყოფო ვარ. მეც რეფლექსებით ვცხოვრობდი ყოველთვის და დიდი ხანაა ამაზე ვფიქრობდი. ამ დილითაც. ლოგინიდან რომ მოვდი-

მიხეილ ანთაძე

პირობითი რეფლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდი... მივხვდი, ახლა კი არა, დიდი ხანია, მაგრამ წუხელ მაინც რატომღაც ნათლად მივხვდი: უნდა საშველი ვნახომეთქი. ადრეც მივმხვდარვარ, გამოვსულვარ და ვერ მიპოვნია. წავალ შორსმეთქი, გადავწყვიტე და ამხელა გზაზე ვიპოვი-მეთქი. მთელი გზა ტყუილად ვიარე და თითქმის შინ მობრუნებული, შენ შეგხვდი. შენ რომ დაგელაპარაკე, მაშინ არ მიფიქრია ამაზე. ეაკმა რომ თქვას, არც ვაპირებდი შენთან ლაპარაკს, შენ თვითონ მომიტრიალდი და რაღაც მითხარი. მერე მეც დავინტერესდი და ვკადე, აბა რა გამოვა-მეთქი.+ აი რა გამოვიდა... ხედავ, რა გამოვიდა, პეტრე. ამას როგორ ვიფიქრებდი... შე, საწყალო პეტრე, ეს გინდოდა?.. მე ხომ გითხარი წელან, მე ჩემს თავს მივხედავმეთქი, თურმე როგორ უნდა ამხდომოდა... შენ რა გეშველება. დაგიჭერენ... ეაცის ცოდვა აიკიდე... მაგრამ ხომ ვიცოდი, პეტრე, ხომ იპოვე საშველი. გაგიმართლა, — თითქოს გაიცინა, თვალები არ გაუხელია. ბოლოს ძლივს გასაგონად თქვა: — თურმე რა ყოფილა ჩემი საშველი...

მე მის სახეზე დახედვის მეშინოდა. ეზლუქუნებდი: რიკო! რიკო! და გონებაში ისევ „ეს რა ჩავიდინე“ მიტრიალებდა. სკვერის ბილიკზე კი ჩვენი „ფიზიკულტურელი“ გამოჩნდა ისევ. როდესაც მოგვიახლოვდა, ჩვენმა უცნაურმა პოზამ შეაჩერა. ალბათ, ჩემს ხელებსა და სახეზე სისხლიც შენიშნა. კითხვის თვალით მომაჩერდა შორიდან. მგონი ხელითაც მკითხა, რა მოხდაო, მაგრამ მე მისთვის არ მცხელოდა. მხოლები აიჩეჩა და შემოდგომის ფოთლებით მოფენილი ნაწვიმარ ბილიკს სირბილით გაუყვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე — მიწის მატლი. რკილი. ნახშირი.
საფლავი. ჯვარი. მწუხრი. წყვდიადი.
ბურანი. ლული. ცხადი. სიზმარი.
შუადღე. ღამე. და განთიადი.

მე — ჩრდილის ჩრდილი. ფერფლი.
არარა.
ღრუბელი. თოვლი. ქარი. ხარება.
ფრთები. შორეთი. შუქი. კამარა.
ბაღი. გრანიტი! და უკვდავება.

არაგვის ცისკარს ჰგავდი, მარიამ!

მინდვრად ეყარა ლალი, ალმასი,
ქვეყნის ოქრო და ვერცხლი, მარიამ,
შორით მოჩანდა სვეტი არმაზის, —
ვით უკვდავება ჩვენი, მარიამ!

სდიოდათ ტყეებს თაფლის სურნელი
სოფლის ოთხივე კიდით, მარიამ,
მზეზე შრებოდა სველი ღრუბელი,
ვით უცოდველი კრავი, მარიამ!

ცრთოდნენ ლერწმები, როგორც
მხევლები
თეთრი მდინარის ჯალით, მარიამ,
თითქო ღადარში მედო ხელები
ამ გაზაფხულის პირზე, მარიამ!

მაისის ვარდის ჰქონდა სინაზე
შენს ახალგაზრდა სხეულს, მარიამ,
ყველა ლამაზი ქალის ჯინაზე
არაგვის ცისკარს ჰგავდი, მარიამ!

„ჩელას“ ავტორს — პავლე აკობიას

ვერ ააგე ვერცხლის კოშკი,
ვერ გამართე ბროლის ბინა,
შენმა მოთქმამ ბალღობიდან
ბევრჯერ ცრემლი მაღვრევინა.
გაჩენიდან წყლულზე გედო
სუროსფერი მრავალძარღვა...
და ოდიშის მწარე ბედზე
კვლავ მომტირი გულსაკლავად.
წერდი... ხევდი... ლოცულობდი...
გვერდით გედგა სავსე დოქი,
ზამთარ-ზაფხულ მწირის დარად
გეცვა ღრუბლის ახალოხი.
ჭერტდი... თელემდი... მარტვილობდი...
ყურს უგდებდი ღამის შრიალს,
ყონდიდელი ბერის დარად
ჰგავდი სოფლის მაფშალიას.
შემომაჭკნა ტანზე ხორცი,
ვერ მიპოვო ტანზე ხრბილი,

შენი მუნჯი სტრიქონებით
ვარ სიყრმიდან დაწყევლილი.
მინდა გულზე მივიხუტო
მოცახცახე შენი ლექსი,
ზურგისძვალი გაგიმთელო
აბედით და კაჟის კვესით.
მინდა ახლოს მოვიწიო
შენი სიტყვის მწიფე ტოტი,
ბალახივით მოგეფერო
და გაგითბო პეშვით ლოდი.
თაფლის ნაცვლად შხამი გასვეს,
ვით რგებია მრავალს წინათ,
და მაცხოვრის კარის უკან
მნათესავით მარტო გძინავს.
მე სხვაგვარი ბედი მერგო,
ვით მომღერალს გაჩენიდან,
მაგრამ შენი ოქროს ჩანგი
კვლავ მომძახის დარჩელიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

შენ ხარ ვენახი! — მითქვამს ათასჯერ,—
სატრფო, მიჯნური, დია მზრუნველი,
როგორც ბესიკის მეცხრე მაჯამას
აგდის სასახლის ვარდის სურნელი.

ისმის ეკვდერით ისევ ოსანა,
ზარით, გალობით მიდის სოფელი,
ვით ახალგაზრდა გვირგვინოსანი
ვარ თვალუდგამი განძის მფლობელი.

ცაა აპრილი დილის ალმასით,
დილა სამოთხის არის ალალი,
წამკიდებია გულზე ხანძარი,
ვარ ზღვასა ზედა ფეხით მავალი.

ისმის ეკვდერით ისევ ოსანა,
ზარით, გალობით მიდის სოფელი,
საამბიონო შენ ხარ სანთელი,
სენაკსა შინა შუქად მკრთომელი.

•

უცებ შემოკრეს ძელსა მთავარსა,
უცებ დაღამდა,
უცებ გათენდა,
თითქო ავარდა ცაში ქარვასლა,
შემოეხვია მუმლი სპარსელთა.

თავგანწირული ისმის ყიჟინა,
ფართა და ხმალთა არის ზრიალი,
სისხლის გუბეში გდია დილიდან
მთვარე მოწყლული, ვეფხვისბწკლიანი.

ბანზე შემოდგა ცეცხლის მამალი, —
ქართა, გრიგალთა მაცნე, მოზარე,
აღალს მიჰყვება მწკრივად აღალი,
ალაჰის, ბუდას, ქრისტეს მოსვლამდე.

დგას გახრჩოლილი კვამლით კედელი,
ვით გარდასული ბრძოლის ნიშანი,
თავგაჩეხილი ყრიან მხედრები
კახეთის მზეში, მტვერში, ქვიშაში.

•

არ ვარ ჰერეთი საქსონიისა
და არც ქვეყნის ბედს მკითხავს არვინ,
მე ხელზე მიდევს, როგორც თილისმა,
ჩემი მამულის კვნიტი მარილი.

არ ვარ პოეტი ქვეყნად განთქმული,
უცხო მიწის და განძის მნახველი,
არ აკერიათ გულზე ვარდივით
სოფლის დედოფლებს ჩემი სახელი.

მე არ ვარიგებ აზრებს, თქმულებებს,
არ ვედავები შთამომავლობას,
მე მხოლოდ ლექსებს ვამბობ ცოტნეზე
და შენი გულის ვიცი წამლობა...

მე არ მივყვები უცხო ჭარავანს,
მე ისევ ისე ვრჩები ოდიშით,
მე ერთხელ მინდა შევკრა კამარა
და მერე მშვიდად მოვკვდე ლოგინში.

•

მე რომ მომცა: ორთაჭალა,
ტაბახმელა, წყნეთი, მტკვარი,
მეც შენსავით გავხდებოდი
საქართველოს ამირბარი.
მე ერთგული მონა ღვთისა
და მოძღვარი სამი ძმისა,
სიყრმიდანვე დაჭრილი ვარ
შენი სიტყვის ალმასითა.
ვიცი: მწარედ დაგაფიქრებს
ჩემი ლექსი უმწიფარი,
ვინც ბოლოში უნდა იდგეს,
ის წინ ღგას და ის წინ არი.
უცხო თვალის დასანახავ
აჩხრიალებს ურცხვად ბაბას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამაჭუას ძველი ჟინით
აბლაბუდას ქსოვს და ლამბავს.
დანა კბილებს აღარ მიხსნის,
აღარ მათრობს უძოს ძმარი.

ვარ მაისის არაგვივით
სამი კვირა უძინარი.
და ნაპირზე გამოგდებულს
მასხამს წვიმის ცივი თქეში,
სული სარკის ნამსხვრევევით
კვლავ გადამაქვს თვიდან თვეში.
შუბლზე იის კონასავით
მიდევს ღრუბლის სველი ჩრდილი
და წინაპრის ცხელი სისხლით
მაქვს პერანგი შეღებილი.

. . . . . .

მეც წამოვალ მალე იქით,
ვით წასულა დღემდე ბევრი,
მეც ჩამყვება წვიმასავით
სამარეში სატრფოს ცრემლი.
მეც მავანის ბედი მელის,
მეც ხვიჭით მაქვს უბე სავსე,
და ბებერი ჯაგლაგივით
მივჩინდრიკობ სოფლის გზაზე.

ვლადიმერ ჯოლოგუას

მითხარ, ჩემო გულისწორო,
თავი როგორ მოგაწონო?!

მითხარ, სხივო ალმაცერო,
ასე ბრუნდად სანამ ვწერო?!

როდის ვხნა და
როდის ვთესო,
როდის შევკრა ურმის ფერსო?!

როდის ვფქვა და
როდის ვთიბო,
როდის გაგიმაგრო ლიბო?!

როდის ვთქვა და
როდის ვჭვრიტო,
ჩემო არზუმელო ჩიტო?!

როდის ვჭრა და
როდის ვკერო,
როდის აფრინდება წერო?!

მითხარ, ცაო,
მითხარ, ხმელო,
ჩემო სანთელ-საკმეველო?!

მითხარ, რა ვქნა,
როდის ვნახო,
ჩემი საძვლე, სამოსახლო?!

კოტეტის სიკვდილი

მორჩა...
მიწას მივაბარეთ
შენი ცივი ცხედარი,
მოდიოდა თოვლი, წვიმა, —
დარის ორი მხედარი.
მოგაყვებოდა ასაბია
ვარდის ასი კალათით
თეთრი ბროლის სასახლიდან
სასაფლაოს კარამდე.
— რატომ... რისთვის?
— რატომ... რისთვის?
კითხულობდა სოფელი,
მთელი კვირა წყაროსავით
თვალი მქონდა სოველი.
მთელი კვირა თოვლის ჩიტი
იჯდა ზამთრის რტოებზე,

. . .

გული ყორნებს შევაჭამე,
სული ძვირფას პოეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შადიმან შამანაძე

●

ვერაფრით გავიხსენე:
რა ერქვა ყვავილს,
რომლის გვერდითაც ჩაიმუხლე,
რათა, კი არ მოგეწყვიტა,
ფესვებიანად ამოგეღო...
მე ნაძვს ვიყავ მოფარებული,
პატარა გირჩებს გიმიზნებდი,
მაგრამ გირჩი ხელშივე შემრჩა,
რადგან მეწვია შთაგონება,
ანუ წინათგრძნობა ლექსისა,
სადაც იმ ყვავილისთვის
უნდა შემედარებინე,
რომლის გვერდითაც ჩაიმუხლე,
რათა, კი არ მოგეწყვიტა,
ფესვებიანად ამოგეღო...
და რომლის სახელიც
ვერაფრით გამიხსენებია.

●

სიყვარულს ღმერთმა აშოროს ბაჟი,
მაგრამ მე მაინც ვალად დამედო —
საზღაურში და განშორებაში
ვიპოვო ხოლმე რაღაც საერთო.

ჩემი ვალია — ავდგე, ვიარო,
მიტყლაშუნებდეს წვიმის საფანტი
სახეში, როგორც სამგიერო,
როგორც იმ გრძნობის გადასახადი.
შევიდე. დავჯდე. დამზრალს და სოველს
შემომთავაზონ ფინჯანი ყავა
თანამშრომლებმა, რომლებიც ქსოვენ.
ანდა ჭორავენ მავანს და მავანს.

აწონასწორებს ყველაფერს ბედი,
შლის და ასწორებს ყველა ფერს თალხი.
ახია, შუბლზე ჩამორბის წვეთი,
მერე ლოყაზე. ახია, ახი!

საქმიანი წინადადება

ალუბლის ხეო,
მე მოგიძღვნი
უნარს ლექსების გამოთქმისას,
შენ აყვავების ნიჭი მიბოძე.

ჩვიდმეტში უკვე გაბუსხული გქონდა
ტუჩები.
ოცდასამში კენწეროზე წაგეცხო
საღებავი.
ოცდარვა მარტს — ორშაბათ დღეს
დილიდან თეთრად გამოანათე.

აპრილია და მოიკაზმი დედოფალივით.
აპრილია და სისხლი გიდუღს,
თავბრუ გესხმის,
გულს გეზიდება...

მარადისობა ერქვა შენს ზამთარს,
გასცდი დეკემბრის საუკუნეებს,
იანვრის ხუთგზის გამყინვარებას,
თებერვლის ახალ წელთაღრიცხვას,
გამოხვედი, გამოაღწიე.

ო, მე რომ წამით მაგრძნობინა ეგ
აღტყინება,
მეორედ მოსვლის სიხარული,
კვდომის, გაქრობის არადჩაგდება...
ო, მე რომ ახლა ერთი წამით შენს
გულში დამსვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამქერის ნაცვლად — ლურჯი კორდია,
გამოამეღვენა გაზაფხულმა ნეგატივები,
ემზადებიან საღვართქაფოდ ლეგა
ტივები,
ჩქარობენ,
ცაზე საქმიანად მიდი-მოდიან.

აესხა მძივი:
ცა — ფირუზი, მიწა — გიშერი,
მზეთუნახავმა ამოყვინთა თითქოს
კაბიდან,
ჩამოიბანა ზამთრის ქაფი და
ახლა შხაპის ქვეშ როკავს შიშველი.

გაზი: მქისე და ბურისმაგვარი
ელაციცება საგნებს,
სხეულებს.

იქ, სადღაც შიგნით დაემკვიდრა
უცხო მეუფე,
იქ, სადღაც ფსკერზე,
რაღაც მანქანით.

რა ანათემამ,
რა ღვთის რისხვამ გვიწია ნეტა?
ის უცხო სხივი, უხილავი —
ალფა თუ ბეტა
გვიღრღნის გულ-მუცელს,
ღმერთმა უწყის რა გვემართება?

რა გვჭირს? რა გვინდა?
რა გვაწუხებს? გული რად გვიწუხს?
რად ვერ ველევით სილამაზეს —
ჟანგიან მარწუხს?
რატომ ვივიწყებთ:
რატომ ვიწყებთ ისევ თავიდან?

პაროლი

„ვისაცა სტკივა, მას მახვილიც
უჭირავს ხელში“.
მ. წიკლაური.

მე ეს ბილიკი ანდერძით მერგო
გამოვიარე მთები, ხევები.
გამოვაღწიე აღთქმულ ახომდე.
ყველა იქ დამხვდა —
ორივე მუხლზე ჩაჩოქილი,
ზურგს უკან ხელებგაბაწრული
გავიძრე ტანისამოსი, დავკეცე და
ბალახზე მივალაგე
(ამ შარვალ-კოსტუმს რომ ვიკერავდი,
დედა მეუბნებოდა, ახლა ცოლიც უნდა
შეგრთოო...)

შემოვიწყე ზურგზე ხელები.
მეც მივედი. მეც ჩავიჩოქე.
დიდად არავის მოუქცევია ყურადღება,
ისხდნენ და იხრუკებოდნენ
იმან, ვის გვერდითაც მოვხვდი,
ერთი გადმომხედა უინტერესოდ და
„პაროლიო?“ — თვალებით მკითხა.
როგორც მასწავლეს, ისე ვუთხარი:
„შე უბედურო,
რა ტანჯვაში ყოფილხარ თურმე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამქერის ნაცვლად — ლურჯი კორდია,
გამოამჟღავნა გაზაფხულმა ნეგატივები,
ემზადებიან საღვართქაფოდ ლეგა
ტივები,
ჩქარობენ,
ცაზე საქმიანად მიდი-მოდიან.

აესხა მძივი:
ცა — ფირუზი, მიწა — გიშერი,
მზეთუნახავმა ამოყვინთა თითქოს
კაბიდან,
ჩამოიბანა ზამთრის ქაფი და
ახლა შხაპის ქვეშ როკავს შიშველი.

გაზი: მქისე და ბურისმაგვარი
ელაციცება საგნებს,
სხეულებს.

იქ, სადღაც შიგნით დაემკვიდრა
უცხო მეუფე,
იქ, სადღაც ფსკერზე,
რაღაც მანქანით.

რა ანათემამ,
რა ღვთის რისხვამ გვიწია ნეტა?
ის უცხო სხივი, უხილავი —
ალფა თუ ბეტა
გვიღრღნის გულ-მუცელს,
ღმერთმა უწყის რა გვემართება?

რა გვჭირს? რა გვინდა?
რა გვაწუხებს? გული რად გვიწუხს?
რად ვერ ველევით სილამაზეს —
ჟანგიან მარწუხს?
რატომ ვივიწყებთ:
რატომ ვიწყებთ ისევ თავიდან?

პაროლი

„ვისაცა სტკივა, მას მახვილიც
უჭირავს ხელში“.
მ. წიკლაური.

მე ეს ბილიკი ანდერძით მერგო
გამოვიარე მთები, ხევები.
გამოვაღწიე აღთქმულ ახომდე.
ყველა იქ დამხვდა —
ორივე მუხლზე ჩაჩოქილი,
ზურგს უკან ხელებგაბაწრული
გავიძრე ტანისამოსი, დავკეცე და
ბალახზე მივალაგე
(ამ შარვალ-კოსტუმს რომ ვიკერავდი,
დედა მეუბნებოდა, ახლა ცოლიც უნდა
შეგრთოო...)

შემოვიწყე ზურგზე ხელები.
მეც მივედი. მეც ჩავიჩოქე.
დიდად არავის მოუქცევია ყურადღება,
ისხდნენ და იხრუკებოდნენ
იმან, ვის გვერდითაც მოვხვდი,
ერთი გადმომხედა უინტერესოდ და
„პაროლიო?“ — თვალებით მკითხა.
როგორც მასწავლეს, ისე ვუთხარი:
„შე უბედურო,
რა ტანჯვაში ყოფილხარ თურმე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ამირეჯიბი

მოცალეობის ჟამს, ანუ გარეთ რომ თოვდა და შინ თბილოდა

მოთხრობა

ქალი და კაცი ნახევრად ფარდაგადაწეული სარკმლიდან ღამეს გასცქეროდნენ. ხეების ქვედა ტოტები ჯერ ისევ შავად ჩანდა, ზედა ტოტებს კი კანტებივით დატყობოდა თოვლის თეთრი ზოლი. ელექტრობოძის ნათურასთან ფიფქების ისეთი კორიანტელი იდგა, თითქოს მხოლოდ იმ ერთადერთ ადგილას თოვდა. გარეთ ცოდა. ისინი თბილ ლოგინში იწვნენ, მთელი დღე იწვნენ, ხან მუსიკას უსმენდნენ, ხან ლიმონიან ჩაის სვამდნენ, ხან კი ბაუჩებულები, თავ-თავიანთ საფიქრალს ფიქრობდნენ.

— ლევან, აბა თუ იცი, დღეს რა რიცხვია? კარგად დაფიქრდი...

— ცამეტი.

— მეტი არაფერი?

— ცამეტი თებერვალი. ჰოო...

— ჩვენი ახალი წელია, ზუსტად მახსოვს, შარშან, ცამეტ თებერვალს გავიცანით ერთმანეთი.

— რა ყბედია, ამას რა გაუძღებსმეთქი, ვიფიქრე. ლამის დამენანა, ჩემი აშენებული კედელი შენ რომ უნდა მოგეხატა.

— რატომღაც დავიბენი და...

— ჰო, ეგ შენი თვისებაა, როცა დელავ, ბევრს ლაპარაკობ, რატომ ჩაიცინე?

— მაშინ მე უკვე ვიცოდი შენი ზედმეტი სახელი და, გარდა იმისა, რომ ვდელავდი, ალბათ შემეშინდა კიდეც, მაგრამ იღლიაში ვაკა-ფშაველას და ლონდონის თითო ტომი დაგინახე და დავმშვიდდი. მიამბე, რა, რატომ გეძახიან გიგს. ერთბაშად შენი ლაპარაკი მომენატრა, თანაც ხომ უნდა ვიცოდე, რას ველოდო გიგისაგან. მომიყვები?

— სულ უბრალო რამეების გამო.

— მომიყევი, ლევან...

— კარგი, რახან არ მეშვები... ჯერ კიდევ ბავშვობისას შემარქვეს ეგ სახელი. ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი, ჩვენთან, სოფელში, ერთი ქალი რომ ჩამოსახლდა პატარა გოგონათი, დედაჩემს დაუშვებობდა და მალე ჩვენს სახლში ვინც კი მოვიდოდა, ყველა ამ ქალის სახელს ახსენებდა. ერთხელ გავიგონე. ქალმა უთხრა დედაჩემს: მარო, დასავით მიყვარხარ, მაგაზე აღარ მელაპარაკო, ერთმანეთს ნუ ვაწყენინებთო. ჩვენთან მომსვლელები თურმე მთხოვნელები და მაჭანკლები იყვნენ. ბოლოს მაინც გატყდა ქალი და ჩვენივე კარის მეზობელს მიეხოვდა. დიდი, ღონიერი კაცი იყო. დედა ჰყავდა ლოგინად ჩავარდნილი, ეტყობა, ქალმა იფიქრა, დედამისს რომ მოვუვლი, ჩემს შვილსაც შეიყვარებენო. ცოტა ხნის მერე რამდენჯერმე მივასწარი იმ ქალს, თვალცრემლიანი ელაპარაკებოდა დედაჩემს. ერთხელ უთხრა, ბავშვს ვერ იტანს, ამბობს, თვალებში ვატყობ, ვძულვარო. ახლაც თვალწინ მიდგას გოგონას ნაცრისფერი, სევდიანი თვალები. სულ ერთად ვთამაშობდით. სოფლის ბოლოში ჯაგნარი იყო. ერთხელ მელიის სორო ვნახე და გოგონას მოსაყვანად წავედი, მინდოდა მისთვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვენებინა. იმ კაცის მეშინოდა, ჩუმად მივიპარე სასლთან და ფანჯრიდან შევიჯყიტე, დავინახე, მამინაცვალი თავზე დასდგომოდა კედელთან დაჩოქილ გოგონას, სახესთან მუჯი მიეტანა და რიგრიგობით შლიდა თითებს. ეს რამდენიაო, ნეკს აჩვენებდა, ერთიო, — პასუხობდა ბავშვი, არათითს მიამატებდა — ორიო, შუთითს — სამიო, ცრემლს ყლაპავდა გოგო. სალოკს — ოთხიო, ბერათითს — ხუთიო, სწორად პასუხობდა. ისევ მომუჯა კაცმა ხელი, მერე მარტო ბერათითი აჩვენა, ეს რამდენიაო, ხუთიო, — ბავშმა. ხუთიო!!! დაიღრიალა მამინაცვალმა, რამდენჯერ გითხარი, ერთიაო. ხელი დასარტყმელად მოუღერა, რადგან კაცი მაინცდამაინც ნეკიდან იწყებდა და ბერათი ამთავრებდა, ბავშს „ხუთი“ ბერათითის სახელი ეგონა. ხელი რომ მოუღერა, მე დავიყვირე. კაცმ ელდანაკრავებულმ შემობრუნდა, ყვირილზე ბოსტნეულიანი ფეხშიშველ მერხს, ისე უყურებდა. ისე დეიდა ნატო და დედაჩემი გამოქანდა- ნენ. რა საოცარია, ოცდაათი წლის მანძილზე პირველად ამ წამს გამახსენდა იმ ქალის სახელი. არ ვიცი რას ვგავდი, ორივემ მე დამიწყო მოფერება და დამშვიდება, ის კი, ვისაც უნდა მოფერებოდნენ, გულგახეთქილი იცქირებდა ფანჯრიდან, გარეთ გამოსულის ეშინოდა. მე თითები გავშალე და მოყოლა დავიწყე. კაცი ჩემს ზურგს უკან დამდგარიყო და გოცებული სახე მიეღო. მერე ხმადაბლა, ტკეცნით თქვა: ბავშს მიხედეთ, გაგიქდაო და ზანტი ნაბიჯით გაუყვა ორღობეს. მალე ხმა გავარდა, ქალი გაიპარაო. მოუკიდია ბავშვისათვის ხელი და წასულა.

ასე, თვრამეტი წლის ვიქნებოდი, ჩემი შორეული ნათესავის ქორწილი იყო სოფელში. ნამალევად პატარძლის და მიყვარდა. ეტყობა, თავის მოწონების მიზნით იმაზე მეტი დავლიე, ვიდრე შემეძლო და შემეფერებოდა. დავთვერი. უცბად თვალში ის კაცი მოახვდა, იმ ბავშვის მამინაცვალი. ერთ პატარა ბიჭთან ჩამუხლულიყო, სახესთან ხელი მიეტანა და თვლას ასწავლიდა. ყურებში საკუთარი სისხლის შხუილი გავიგონე, ვეცი კაცს და ისე [illegible] ზოგავად ვცემე, ხევგაღმა სოფელში გადასულა მისი ღრიალი. მიჩივლა. ვერ ვთქვი, რატომ ვცემე, რომც მდომოდა თქმა, იმ გოგონას სახელი აღარ მახსოვდა. წელიწადი ვიჯექი.

გავთავისუფდღი. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე გამოცდები, სამშენებლო ფაკულტეტზე ჩავირიცხე. სამი გოგონა სწავლობდა ჩვენთან. ერთერთს ალბათ იმაზე შეუხედავი ეგონა თავი, ვიდრე სინამდვილეში იყო, არ გვეკარებოდა, მაინცდამაინც არც ჩვენ ვეძალებოდით. პირველივე სემესტრის ბოლოს გამოჩნდა, რომ ყველა ჩვენგანზე მეტი ნიჭი და ჯაუა ჰქონდა. მისი კონსპექტები ხელიდან ხელში გადადიოდა. სხვა ლექტორებისაგან განსხვავებით, პარტიტურიის ლამაზი ლექტორი ინუშშიაც არ აგდებდა, როგორც ერთ [illegible] ბერმეტ მერხს, ისე უყურებდა. ისე [illegible] ერთად გავდიოთ ამ კაცთან. რიგრიგობით გვეკითხებოდა. დავიწყებდით პასუხს, მე — ბორძიკით, ვეი-ვაგლახით, ის — სხაპასხუპით, ლაზათიანად. გამოგვართვა ბოლოს მატრიკულები და სამიანები ჩაგვიწერა. მე სიხარულით ვცქმუტავდი, ერთი სული მქონდა, გარეთ გავსულიყავი, იმათ კი ასეთი დიალოგი გამართეს: „მომზადებული მაქვს, პატივცემულო“. „ერთი დღის ნასწავლში კარგ ნიშანს ვერ დავწერ“. „არა მაქვს ერთ დღეში ნასწავლი“. „აქ ტლიკინს სჯობია, სახლში ჩახვიდე და ეგ კოფთა გაირეცხო“. გოგო გაწითლდა, თვალებში ცრემლი მოაწვა. უსუფთოობა არასოდეს შეგვინიშნავს, ახლაც პირისფერი ზემოწელი ეცვა, სუფთაც იყო და ლამაზიც.

— რატომ კადრულობთ-მეთქი, პატივცემულო, — ვუთხარი ლექტორს.

— მადლს მადლიერების გრძნობა სჭირდება საპასუხოდ და არა ვირის წიხლიო, — სამიანი დამაყვედრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც მაგას დაგაკლებდით, აქ რომ არ ვიყოთ-მეთქი.

მოკლედ რომ ვთქვა, მოაწყო ისტორია, ტყუილი და მართალი ერთმანეთში აურია და იმდენი ქნა, ჩემი თავი, როგორც გიჟი, ისე გაარიცხვინა ინსტიტუტიდან.

ორი წლის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით აღვედგინე ინსტიტუტში. დავამთავრე. მუშაობა დავიწყე. კაი ხანი მშვიდად ვცხოვრობდი.

ერთ-ერთ დაბაში სასტუმროს ვაშენებდი. იქვე, მოსახლესთან ვიდექი ბინად. ქმარი სიმთვრალეში ცოლს აყვედრებდა ხოლმე, განათხოვარი ქალი შეგირთეო, ვერ ვიტყვი, ქალი ლამაზი იყო-მეთქი, მაგრამ აუცილებლად კი შეამჩნევდა კაცი, მაღალი ყელი ჰქონდა, საკინძე მოხსნილ კაბებს ატარებდა, თეთრ ყელზე მსხვილი, შავი გიშრის მძივი ეკეთა და ძალიან უხდებოდა. ერთხელ ფეხსაცმელი შემომერღვა და შუადღისას სახლში მივედი გამოსაცვლელად. დედა-შვილს ტირილი მოესმა გვერდიდან. ფანჯარაზე, ჩემი ოთახის მხრიდან შალი იყო ჩამოფარებული, რატომღაც ოდნავ გადავწიე. ბავშვი კალთაში ეჯდა დედას, ხელები კისერზე შემოეხვია და მკედრზე მიხუტებოდა. მამაშენი მომკლავსო, ქალი ამბობდა, თუ მთვრალი მოვიდა, არც მომისმენსო. არა, დედიკო, ჩემი დედიკოო, მე მომკლას, მე დამაბრალეო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ქალმა უთხრა: ერთადერთი შვილი ხარ, არ გაგიმეტებს, ასე ვუთხრათ, ვითომ მაგიდიდან აიღე, ბავშვებში წაიღე სათამაშოდ და იქ დაგიწყდაო, იმას გაუწყდეს სიცოცხლის ძაფი, ის მოყვა იმ მანქანის ქვეშო, — ვიღაცას წუეცლიდა ქალი.

მშენებლობაზე დავბრუნდი. ერთი შოფერი კაცებში ჩამდგარიყო და როხროხებდა: კაბინიდან ხელი გადავუყავი და მძივები შემრჩა ხელშიო, კოკაც გაუტყდაო. იმ მამაძაღლსა, კაცო, იმ ბალღსა, ისეთი გინება სცოდნია, ერთი გაგეგონათ, დედა როგორ შემოკურთხაო. მუშებმა დამინახეს და ოავ-თავიანთ სამუშაოზე წაიზლაზნენ. მეც დღე მომეშლაბა. იმ შოფრის ბოღმა მკლავდა. საღამოს თითქოს კმაყოფილი ვიყავი, რომ მოვითმინე და შარში არ გავები, მაგრამ იმდაგვარ შვებას ვგრძნობდი, ორივე ფეხსაცმელი საშინლად რომ გიჯერს და მხოლოდ ერთს გაიხდი.

სახლის პატრონი საღამოს მთვრალი მოვიდა. ეზოში მარგილი დაეძარო და შინ შემოიყოლა. კართანვე დაიღრიალა, დედაკაცო, დედაჩემის ნაჩუქარი მძივი რა უყავიო. ბავშვი ატირდა, მეო, მამიკო, ბავშვებში წამყვა და დავკარგეო. ტყუი, შენი ასე და ისეო, ამ მარგილით ნეკნებს დაგიმსხვრევთ ორთავესო. ქალმა იკივლა, გვიშველეთო. ბავშვი ეხვეწებოდა, ნუ დაგვხოცავ, მამიკო, რომ გავიზრდები, ვიმუშავებ და ახალს ვუყიდი დედიკოსაო. მეტი არაფერი მახსოვს, იმის გარდა, მილიცია რომ მოვიდა. ქალმა მითხრა, სხვის საქმეში რატომ ერევი, ახლა ხალხმა უნდა იკოროს, ვითომ ქმარმა შენთან მომატანა, გიჟი ხარ, ვიღაცა ხარ, არამკითხე მოამბეს არ იცი რა ემართებაო? ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი და აკი კიდევ ორი წელი ვკრიფე მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ასე უბრალო რამეების გამო შემარქვეს ზედმეტი სახელი და შემიშინეს შენი თავი, — ღიმილით დაასრულა კაცმა და გაჩუმდა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალი უფრო მიეკრა და ჰკითხა:

— ლევან, კიდევ რომ გჭონდეს მაგისთანა შემთხვევა, ისევ ასე მოიქცევი?

კაცი კარგა ხანს დაფიქრდა და მერე უპასუხა:

— არ ვიცი, შენგან მოშორება ორი წლით კი არა, ორი დღითაც არ მინდა, მაგრამ...

ქალს გული სიამაყით აევსო, თვალები — ცრემლით.

— ყავა გინდა?

— მინდა, გაიანე, მინდა. შენი ხელით გაკეთებული ყველაფერი მინდა.

ქალი ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ფა-

რდა ბოლომდე გადასწია. კაცმა თვალი გააყოლა ვარდისფერპერანგიან ქალს. მისი ლამაზი სხეული ეამაყა. მერე ფიფქებს გახედა, მინას რომ ასხდებოდნენ და დნებოდნენ, რატომღაც შეენანა ფიფქები.

ქალმა ყავა მოიტანა. საწოლთან მდგომ სავარძელში ჩაჯდა და თქვა:

— ჩემთან შედარებით ანგელოზი ყოფილხარ, ლევან. მეც მომინდა გიამბო ჩემი ნაცნობ-ნათესაობა რად მეძახის ქარაფშუტას, არასოდეს მოვყოლივარ, ახლა მომესურვა რატომღაც.

— არ გინდა, გაიინე, ნუ მოყვები.

— არა, კი არ მოგიყვები, შეკითხვაზე გიპასუხებ. ასეთი კარგი ქალი რატომ არ გათხოვდიო, რომ მკითხე. არა, მართლა, ხომ გაინტერესებს, „ასეთი კარგი ქალი“ რატომ არ გავთხოვდი?

— კი, საოცარია.

— ჰოდა, მოგიყვები.

ქალმა ფანჯრისკენ გაიხედა, ისევ ბარდნიდა. ქვედა ტოტებიც უკვე იფარებოდა თოვლით.

— ასე რომ ითოვოს, შეიძლება სახლიდან ვეღარც კი გავიდეთ და მაისამდე დათვებივით ბუნაგში გამოვიკეტოთ, ხომ იცი, ხშირად აქ მაისშიც თოვლია. ლევან, როცა მოკვდები, ასი წლის შემდეგ, რად უფრო მოგინდება მოსვლა — ფანტელად თუ ლეღვის ფოთლად? ყველაზე ლამაზი ამ ქვეყანაზე ხომ ფიფქები და ლეღვის ფოთლებია!

კაცს გაეცინა:

— რატომ მაინცდამაინც ლეღვის ფოთლები, იქნებ... ენძელა!

— ეე, ლევან, გეტყობა, არ გინახავს ლეღვის ხე ოქტომბერში, იმხელა ფოთლები რომ უყვიოლდება! ღამე რომ დაინახო, გეგონება, ციდან ვარსკვლავები ჩამოსულან, ერთად შეყრილან და ბაასობენო. დილით თუ დაინახავ, მოულოდნელად ნაბიჯს გაგიშეშებს — ისეთი ლამაზია. ნამდვილი მზეთუნახავი. საღამოს — განსაკუთრებით თუ დაღლილი ხარ, მისი ცქერა ისე გამშვიდებს და გესაღბუნება. როგორც დედის ლოყა ავადმყოფობის დროს. მაგრამ. იქნებ მართალი ხარ, უმანკო ენძელა ხომ სილამაზისა და სითბოს სიხარულია ხავს...

— მე არ ვიცი, რას ინახავს ფერწასული ენძელა, ისე, კარგად თქვი, გნებდები, ლეღვის ფოთლები მირჩევნია. მოდი, ჩამოწექი, შეგაცივდება. ცოდვა გამოტეხილი სჯობია და, ის უფრო მაწუხებს, აი, აქ (კაცმა მხარი ასწია), შენი თავი რომ არ მიდევს.

სავარძლიდან ლოგინში ისკუპა. კაცმა საბანი დაიფარა აკისკისებულ ქალს.

— ნამდვილად ქარაფშუტა ხარ, ნათლიას ვერ დავიმდურები.

— აბა, ვიწყებ!

— აბა, დაიწყე!

— პირველად, ოცი წლის რომ ვიყავი, მაშინ გადავწყვიტე გათხოვება, მაგრამ ისეთი ამბები დატრიალდა, ჩემი თავისთვის ვეღარ მოვიცალე, უფრო სწორად, სინდისმა ნება არ მომცა. ჩემი ნიშნობის მეორე კვირას, იმას, ვისაც ცოლად უნდა გავყოლოდი, ნადირობისას თოფი გაუვარდა და ჩემი სიყრმის მეგობრის, ლელას საქმროს მარჯვენა მკლავი შეაწირა. მართალია, მილიციაში არავინ გაქცეულა, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და ერთმა საბედისწერო წუთმა ოთხი ადამიანის ბედნიერება იმსხვერპლა. მე განცდებისა და შთაბეჭდილებებისაგან გრძნობა ისე გამიხუნდა, ისე განურჩეველი გახდა ჩემთვის ყველაფერი, რომ ვეღარ მივხედი, რატომ მიყვარდა. მაშინ ალბათ თავის მართლების მიზნით ვუთხარი ჩემს თავს, თუ არ იცი, რისთვის გიყვარს ადამიანი, გამოდის, არ გიყვარს-მეთქი. რაღაცნაირი უხერხული ვითარება შეიქნა, ყველაფერი მოსაწყენი გახდა ჩემთვის და ჩემი ნებითა და სურვილით ერთმანეთს დავცილდით. ფეხმძიმედ ვიყავი, იმან არ იცოდა. მახსოვს, ჩემს მშობლებს რომ ვუთხარი. ბავშვის გაჩენას ვეპირებ-მეთქი. ჩაის ვსხვამდით. ჯერ მამაჩემი ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ვითომ მოსაწევად. ათჯერ მაინ,

---

ბანანა ამირეჯიბი
ეროცალეიბის ქამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკრა ასანთი, ხელები უკანკალებდა. მერე დედაჩემი შევიდა საბაბაზნოში და ონკანიდან თქრიალით ჩამოუშვა წყალი, ალბათ ტირილის ხმის ჩასახშობად. შემდეგშიც არც ერთი სტყვა არ უთქვამთ. გავაჩინე ბაჩანა და თერთმეტი დღისა უკვე ხელიდან მეცლებოდა, ორივე ფილტვის ანთება დაემართა, ერთ ღამეს ჟანგბადის კარავში დააწვინეს. რვა საათი წელში არ გავმართულვარ, მოღუნული ჩავყურებდი, არ გამმთრჩეს, სუნთქვას როდის შეწყვეტს-მეთქი. მეორე მეც თავის მოკვლას ვაპირებდი. იმ დღიდან დაჩჩემდა წელის ტკივილი, დიდხანს ფეხზე ვეღარ ვდგავარ. ღმერთმა გვიშველა ორივეს, ღმერთმა და დედაჩემმა, თავი გადადო ბაჩანასათვის, პალატაში აღარ შემოუყვანია, საავადმყოფოს ეზოში სკამზე ეძინა ორივეს, ჰაერზე მოარჩინა. ეს პირველი და უკანასკნელი ავადმყოფობა იყო ბაჩანასი, უკვე ჩვიდმეტი წლისაა. მიდიოდა დრო, ბევრს ვხატავდი, ორჯერ სურათების გამოფენა მოვაწყე. ეს პატარა კარ-მიდამო შევიძინე, მინდოდა ბაჩანა მთლად ქალაქელი არ ყოფილიყო, სოფელი ჰყვარებოდა. ერთხელ, ბაჩანა ხუთი წლის იქნებოდა მაშინ, ცირკიდან მომყავდა. ტროლეიბუსში სკამზე ჩამოეძინა. უცბად საოცარი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეშმაკმა ქეჩოში ჩამაყარა ხელი და აქეთ-იქეთ მიმომახედა. ტროლეიბუსის ბოლოში ერთი ახალგაზრდა კაცი შეენიშნე, ჩემკენ იყურებოდა. გული შემიქანდა რატომღაც. კისერი ისე გავიშვშე, ერთხელაც აღარ გამიხედავს მისკენ. ჩასვლა რომ დავაპირე, ბავშვის გალვიძება დავიწყე, თან ყურში ვეჩურჩულებოდი, გაიღვიძე, ამხელა ბიჭს ხელში ხომ არ აგიყვან-მეთქი. ის იყო ჩავიღუნე მის ასაყვანად, ვიღაცამ დამსწრო. ის კაცი იყო. ნუ სწუხდებით-მეთქი. ცივად ვუთხარი. არა, ქალბატონო, არ ვწუხდები, შეჩვეული ვარო. ბაჩანას ორივე ხელი კისერზე შემოეხვია, თავი მხარზე დაედო მისთვის და უკვე ტკბილად ეძინა. მაშინ პირველად დამწყდა გული, მამა რომ არ ჰყავდა. მეტროში ჩავედით. ბავშვი კალთაში ჩამისვა, თვითონ გასასვლელ კართან დადგა, ჩემს პირდაპირ. მე რატომღაც წარბებამდე ჩამოფხატული ნაქსოვი ქუდი მოვიხადე, იმწუთში არ მიფიქრია, მაგრამ მგონია იმიტომ, რომ კარგად დავეინახე. მოკლე, ყავისფერი „კოკბოიკა" და ჯინსის შარვალი ეცვა. გრძელი ფეხები ჰქონდა, შავგვრემანი სახე და მკაცრი გამომეტყველება. დიდხანს მახსოვდა. ქუჩაში ხალხის თვალიერება დავიწყე, იქნებ სადმე კიდევ დავინახო-მეთქი. ალბათ განგებას უნდოდა და, ორი წლის შემდეგ ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს. ლელა ვახსენე წეღან, ჩემი სიყრმის მეგობარი, ბაჩანა კვირაში სამჯერ დამყავდა ლელასთან. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, ტოლებივით თამაშობდნენ, წიგნებს ათვალიერებდნენ, სახლს ყირაზე აყენებდნენ, ამასობაში ლელა ფრანგულ სტყვებს ასწავლიდა. ლელა იმ სახლს ყიდდა, სადაც ჩვენმა ბავშვობამ გაიარა. გული მწყდებოდა ძალიან, მაგრამ ამბის გასაგებად მაინც წავედით მე და ბაჩანა. რომ შევედით, ელდა მეცა, სავარძელში ის იჯდა! მივესალმე და დავჯექი. კარგა ხანს მიკანკალებდა გული და ხელები. თვალები ამიჭრელდა. რამდენიმე წამს ყველაფერს ნარნჯისფრად ვხედავდი, შემდეგშიც მუდამ ასე მემართებოდა. ჩემი ნარისჯისფერი-მეთქი, გულში ასე შევარქვი. ბაჩანა აიყვანა, ეს რამხელა ბიჭი გაზრდილხარ ორ წელში, სკოლაში ხომ არ დადიხარო, უკვე ეკითხებოდა. თქვენ როგორ ბრძანდებით, ქალბატონო, კარგად-მეთქი. ლელას გაუკვირდა, ნაცნობები ყოფილხართო. იმან ერთი კონიაკი ამოიტანა გასტრონომიდან, ლელამ საჭმელი შეაშველა. ვისაუბრეთ, სახლამდე მიგვიყვანა მე და ბაჩანა. მეორე დღესვე დამირეკა და მითხრა, რომ ერთმანეთს ორი წლის წინ, დეკემბერში შევხვდით, და რომ ყოველთვის ვახსოვდი და მეძებდა. ტელეფონით ლაპარაკი დადხანს გრძელდებოდა. დღეში ორ-ორ საათს ვლაპარაკობდით. ძა-

ლიან ლამაზად იქცეოდა. მაგალითად, არ გავიდოდა არც ერთი საღამო, ყვავილები რომ არ გამოეგზავნა. მამაჩემი მეხუმრებოდა, ნამდვილად მამულაშვილის ბაღის ყარაულიაო. მალე სახლშიც მოვიდა და ჩემს მშობლებს გაეცნო. გონებაცოცხალი, კარგი შესახედავი იყო და ჩემი მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთმანეთი გვიყვარდა და გადაწყვეტილიც გვქონდა მალე ხელი მოგვეწერა. შენი „მალე“ აღარ მთავრდებაო, მებუზღუნებოდა. ერთხელ ქალმა დარეკა და შეხვედრა მთხოვა მეტად აუცილებელ საქმეზე. შინ მობრძანდით-მეთქი. იმისი ყოფილი ცოლი აღმოჩნდა. ატირდა, მიყვარსო, შერიგების იმედი არა მაქვს დაკარგული და გთხოვ, როგორც ქალიქალს, და-დას, ნუ იზამ, ცოლად ნუ გაპყვებიო, ჩემს ბიჭს მამას ნუ წაართმევო. შევნიშნე, ცოტა ზედმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდა, თან მეორე ოთახისკენ აპარებდა თვალს, იქ ჩემი მშობლები იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ მოვკვდი. ათი წუთი არ გასულა ქალის წასვლიდან, ის მოვიდა და ჩემს დედ-მამას ოფიციალურად თხოვა ჩემი ხელი. შემოვიდა თუ არა, პირველად იმაზე დამწყდა გული, თვალები რომ აღარ ამჭრელებია, ჩვეულებრივი დავინახე. ლაპარაკობდა ჩვენს სიყვარულზე და იმაზე, რომ მე ვაგიანებდი, მაშინ როდესაც აჩქარება იყო საჭირო. სახეზე ოფლი გადასდიოდა და ღელავდა. მე ვუყურებდი და რაღაც ძალიან მაკვირვებდა. შევნიშნე, ჩემგან, როგორც ხევებიდან ნისლი, ნელ-ნელა მიცურავდა და იწყწებოდა ძველი გრძნობა პატივისცემისა, იბზარებოდა იგი, როგორც მიწა გვალვის დროს და მის ნაცვლად შემოდიოდა ახალი გრძნობა-სიბრალულისა, იცი, როგორი სიბრალულისა? აყვავებულ ხეებს შორის ერთ აუყვავებელს რომ დაინახავ, შეგებრალება, მაგრამ იცი, რომ ზედმეტია და უსარგებლო. დაიმკვიდრა თუ არა საბოლოოდ ადგილი სიბრალულმა, უცბად მივხვდი, რაღაც უჭირდა! არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ ღმერთის წინაშე, მაგრამ საკუთარ თავთან, დაც ეს ძალიან ცოტაა, ცამდე მართალი ვარ. ვერ გამოგყვები-მეთქი ცოლად, რომ ვუთხარი, არც გახარებია. არც სწყენია. წახვალ, მოკვდები, არ წახვალ, მაინც მოკვდებიო. ზღაპრებში რომ არის ხოლმე, თითქოს იმ აზრით იყო მოსული. წავიდა! ხუთი წელიწადი, ორი ათასამდე დღე დამჭირდა, რომ იმის გახსენებაზე გული არ მტკენოდა. მაშინაც ფეხმძიმედ ვიყავი, არც იმან იცოდა. ბაჩანას გულისთვის, მარტო რომ არ ყოფილიყო, ღვიძლი ადამიანი ჰყოლოდა გვერდით, როცა მე დავტოვებდი ამ ქვეყანას, გავაჩინე სოფიკო. დამადების დროს ფეხი ამოვარდნია თეძოდან. კინაღამ გავგიჟდი, ლეკან, რა ცოდვაა კოჭლი ადამიანი, განსაკუთრებით გოგო. ახლა თამაშირიანი სოფიკოთი გავიწმავე თავი. იმასაც ვუშველე, სოფიკო ანლა თორმეტისაა. უნდა ნახო როგორ ცეკვავს ყინულზე. ისე მოხდა, ერთი წლის შემდეგ ის მართლა დაუბრუნდა თავის ცოლ-შვილს. მერე შემოხვევით გავიგე, ცოლისთვის უთქვამს, ის მიყვარს, შენ მეცოდები, ღმერთს მივანდოთ ეს საქმეო. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ქალი მოვიდოდა ჩემთან.

ასე გავაჩინე ორი შვილი, ჩემი ჰური და წყალი.

ქალმა იგრძნო, ვერ მოახერხა გადმოეცა ყველაფერი ისე, როგორც სინამდვილეში იყო. უკმარისობის გრძნობა დარჩა, ინანა კიდეც, რად მოვყევიო. ფანჯრისკენ გაიხედა, თოვა შემწყდარიყო, გარეთ უმოძრაობას დაესადგურებინა, ოთახში ციოდა.

— ხომ გითხარი, არ მოყვე-მეთქი, ახლა ცუდ გუნებაზე დადექი. კაცმა იგრძნო, რომ ქალისთვის რაღაც უნდა ეკითხა: — ბავშვებმა როგორ იციან?

— ორივე კაცს შეკითხვაზე ვუპასუხე, რომ ბავშვი მისი არ იყო. აღვილად დაიჯერეს, განსაკუთრებით მომდევნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის გამო. ლელამ შეთხზა მითი: მაგათი მამა საზღვარგარეთ მსახურობს. იშვიათად უხდება ჩამოსვლა, მოსკოვში ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს. რასაც ვყიდულობთ, ყველაფერს მამა უგზავნით. როდისმე ალბათ ჩამოვა ან შეიძლება არც ჩამოვიდეს. მამაჩემი ძალიან უყვართ და დიდად არ განიცდიან უმამობას. ახლაც იმან აიტორღიალა ორივე, ბორჯომში წაიყვანა. სოფიკო გაგვიცივდა და არდადაგებზე ვერსად წავიყვანეთ, აიჩემა ჰაერის გამოცვლა უნდათო. ორი დღეა სკოლას აცდენინებს. ჩემმა მშობლებმა ალბათ აღიარეს, რომ არანორმალური ვარ, მაგრამ, ხომ იცი, მაინც თავისი ცუდი ურჩევნიათ, სხვის კარგს.

— გგვანან ბავშვები?

— ამბობენ, რომ ძალიან...

ქალი ადგა, ცისფერი ღაზლი მოიგდო მხრებზე, სარკესთან მივიდა და თმის ვარცხნა დაიწყო. უცბად ხელი ჰაერში გაუშეშდა, თვალები აუჭრელდა, თითქოს პაწაწინა ოქროსფერი ბურთულები მოცურავდნენ და სარკის ზედაპირზე აგრძელებდნენ ქაოსურ მოძრაობას. იგრძნო, მესამე შვილის გაჩენაც მოუწევდა, გაელიმა და გაიფიქრა: სამი შვილი — ჩემი პური, წყალი და ჰაერიო. რა თქმა უნდა, ახლაც არაფერი უთქვამს. კაცს საშინლად არ უნდოდა ამ დღის გაფუჭება, სარკეში მისი ღიმილი დაინახა, გაუხარდა და ხმამაღლა არც მას უთქვამს რამე, ისე გაიფიქრა, გიჟს მხოლოდ ქარაფშუტა შეეფერებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დღესასწაული...
ორგუბით მთვრალი მაისი,
აფეთქებული ცის გუმბათი
თავდავიწყებით,
გაწეწილ თმებით მორბენალი
თბილი წვიმები,
ჩამოიცალა და გადილია.

მე ზღვა სიყვარულს
ვეღარ ვიტევ,
ვეხლები ნაპირს,
ჰორიზონტს წაშლის
ფიქრის თოლია...

დღეების იქით,
წლების იქით,
დანთებულ იმედს
ამოაბრწყინებ დასასრულიდან.
თუ ვებრძვი ნაპირს,
ჩემს სურვილზე ვიყავ მაღალი,
გრიგალი დაცხრა, სიჩუმეზე
დავარდნილ სივრცით...

მიყვარხარ ღამევ,
დუმილის ფსკერო,
ეს ცრემლი მთვარით
სხივებუტყვი სიხარულია.

●

ნუთუ ეს ღამეც
განთიადით ფერს შეიცვლიდა,
მე მზედ აღმომხდა
კვნესა გულიდან.
გალიბრდა მწუხრი, ჯულიეტა,
აღარვის სჯერა
ცრემლის მომგვრელი სინანულის,
ვინ მომიხსენებს?

რაღა მოგითხროს
შლეგის სიმუნჯემ
ბრძენის პროფილით,
შხამივით მწარე ღიმილის მეტი...

ამ ჯოჯოხეთს რომ გამაცილებ
რას უნდა შემრთო,
შენ თუ არ გკითხე
სად დევს იმედი.

●

გ. კაპანაძეს

დაჰყეფ უფსკრულებს,
მრისხანე ფრთები
სიმაღლის შიშით გაფითრებულ
ცას შელევია
და იღვენთება მზე,
მზის ნამცეცით,
გაძარცვულია ჟამი,
ჟამიდან...
ნუგეშის ფარდა

სიყვარულით დაგაწყნარებდა?
გაშმაგებული
მიწადქცეულ
ცრემლზე ზრუნავდი...
მოვერცხლილია სიყვარული
გესლის ხავერდით...
წვიმს,
ნათლის სვეტზე
წვალობს და წრიალებს ღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვას ადგა ნისლის
მსუბუქი ბოლი,
ზღვა ირწეოდა,
ვარსკვლავებით ფეხმძიმე ღამე...
მე მოველ შენთან,
შენთან და ზღვასთან,
მე სივრცეებით გრძნეული კაცი.

მე შეგიყვარე, მივეც სახე
თავნება ქაოსს
და გავაქვავე სასოწარკვეთა...
აშრიალებდა სანაპიროს
თეთრი შლეიფი
და ჩაგვესმოდა
მაგნოლიის მწვანე ვედრება.

მე მოგიხმობდი,
მე ღამეულ ფსკერზე განთხმული,
ჩემი სურვილი
მტვერი ტიალი...
იბადებოდა
აფროდიტა მარტოსულობით,
მარტოსულობა — მიამიტი ჩემი
მხეკალი...

თავდავიწყებით გავიცალე,
მბორგავ ზღვის ჭაკებს
ქანცი გაართვა
მთვარის ულაყმა.
რამდენი წყევლა დავიტიე,
რომ სიყვარული
სიყვარულივით მიმეთრია
გულის კარამდე.
შენ დამამარცხე
რა მალე ჭკნება, ცრუ მარადმწვანე
დიდების დაფნა
და წყევლად ქცეულ მოლოდინის
ურჩი დღეები
ჩემ სამსხვერპლოზე
ელვამ დაღადრა.
და ვდუმვარ შენთან
შენთან და ზღვასთან
მე სივრცეებით სნეული კაცი.

●

დაუსაზღვრელი
სივრცეზე დროის
უქარქაშოა მზის გაელვება...

სამრეკლოები ამოჩრილა
ქალაქის თავზე,
ტანჯვის ფასია ყველა მიზანი...

რამდენ მოლოდინს მტვერი დაედო,
თავგზა დაკარგა
ყოფნის ზღაპარმა...

შენი სიცოცხლე,
ნოსტალგია ჩემი თვალების
სიყვარულისთვის ვინც გაიმეტა,
ქარს გაატანა
მუხის ფოთოლი...
მარცვლის ფუნქციამ სრულად
იტვირთა,
ყოველ-აზრი და მისი მცნება...

ბევრი უარე პანდორას ყუთს
ასგზის ვეცადე,
ვერ ჩამოვგლიჯე კუპრის კარები...

ოცნებაშივე თვალშეუბამი
ცეცხლოვანია მზეთუნახავი...

ტყემ აიკშია ფოთლების ცვენა.
ფიქრი ამაღლდა ფიქრით ზეცამდე...

იქით მილიონ საუკუნეთა
ღველფზე მძვინვარი,
ერთადერთია ის გაზაფხული.

ნუთუ მშვენიერ
შენით იყო ის ყოველივე,
ო, რა სასტიკი გახდა უფალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბვირაბში

თეთრად გადაგლესილ უღელტეხილზე შეეყინებული სკოლის დირექტორი მიაბიჯებს, მალიმალ ისრესს უზარმაზარ, ექვსიანვით დაკოსებულ ცხვირს და ფიქრობს: „ეს ერთი ზამთარიც გავა და, ჰაიდა, ტურფა სოფელო, წავა შენი აბესალომი... მეყოფა რაი ცხოვრებაც ამ ხალხს შავსწირე. მე რო აქ არ დავრჩენილიყავ, ეხლა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიქნებოდი... არა, დოცენტი... მაიცა, კაცო, დოცენტი კი არა, დოქტორი. შეიძლება აკადემიკოსიც ვყოფილიყავ. აბა, როგორ შავსწირე ოქროს წლები ამ ერთჯერდიან ცხოველებსა: ამებებსა, ქალამანებსა და ფოსტალებსა... პატივს კი მცემენ. მაღმერთებენ კი, მაგრამ მემრე რაი. ბუნებრივიცაა, ვინა ჰყავთ ჩემზე უფრო პაციესაცემი, ამათ კი არა, აგერ უღელტეხილის მეტეოროლოგიურ სადგურში რო შავიარე, იმათ როგორი პატივი მცეს. იმათაც კიდევ იციან, ვინა ვარ... აბ, როგორ დაგლუპე, ნიჭიერო თავო, როგორ ჩაგამყაე სოფელში...“

აბესალომი გორაკს თავზე მოექცა და გაკვალულ დაღმართს ჩააყოლა თვალი.

— აჰა, ეს ერთი ამებაც აქ შამხვდა. ის ერთი „ამება“ იაგორაა. აბესალომის თანასოფლელი და მეზობელი, ზურგზე ტომარა მოუგდია და ბუდისკენ მიმავალი მშრომელი ჭიანჭველასავით ნელა მიჰყვება გზას.

იაგორა გვირაბში შედის, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი აბესალომიც მალევე ეწევა და ანგლობის ხასიათზე დამდგარი, ხმაშეცვლით ესალმება იაგორას.

— გამარჯობა, იაგორ!

იაგორა ახლომხედველია, თანაც გვირაბში თითქმის ბნელა და ამიტომ ვერა სცნობს დირექტორს, ტომარას მეორე მხარისკენ ინაცვლებს და თვითონაც უბრუნებს სალამს წამოწეულ მგზავრს.

— როგორ ხარ, იაგორ? — ისევ ხმა შეცვლით ეკითხება აბესალომი და საკუთარ ხუმრობაზე ჩუმად ქირქილებს.

— კარგა, კარგა, მაგრამ, რო ვერ გიცან? — ჩერდება იაგორა და ცდილობს როგორმე გაარჩიოს მოსაუბრის სახე.

— ვერც მიცნობ. სნოველი ვარ, ხაიკაშვილი გაბო.

— ჰოო... მე თოთელი ვარ.

— ვიცი, ვიცი, გამიგია შენზე.

— რაი გაგიგია? — ინტერესით ჩერდება იაგორა.

— გამიგია, რო კარგი კაცი ხარ, მშრომელი და პატიოსანი. იმიტომ გამიხარდა შენი დანახვა.

— რამსიგრძე გვირაბია, კაცო? — ამბობს პასუხად კმაყოფილი იაგორა.

— მაშ, მაშ... ეს რას დროს ჩაიკეტა გზა-ტიალაი... ეგ რაიღა მაგიკიდებია ზურგზე?

— ფქვილია.

— ფქვილისთვი გადაიარე, კაცო ამ შუა ზამთარში მთა?

— ფქვილისთვი კი არ გადავიარე, შვილისთვი გადავიარე და ფქვილიც გამოვაყვალე ხელსა.

— ჰოო... ამბობს აბესალომი: —

თოთელს ვის ვიცნობ კიდევა, იცი? თქვენი სკოლის დირექტორი როა, აბესალომი. იცნობ?

— აბესალომსა? — ოხრავს იაგორა. — აბესალომსა როგორღა არ ვიცნობ. ჩემი კარის მეზობელია... კარგი ვინმე კი გცნობია.

— რაიო, რაიო? —უკვე საკუთარი ხმით ეკითხება აბესალომი, მაგრამ იაგორა ვერ ხედება. დირექტორი ჩერდება, დოინჯს იყრის, რაღაცას ზომავს გუნებაში და ისევ იცვლის ხმას.

— რაი, გონჯი კაცია?

— გონჯზე გონჯი, — წყნარად და მტკიცედ ამბობს იაგორა და ახველებს, ხმას იწმენდს.

— არ მეგონა, კაცო?! — „უკვირს“ დირექტორს. — შახედავ კაცია, და...

— შენ ეგა თქვი, ბევრს მოატყუელებს მაგის შესახედაობა. ეგრე კი შინაც უვარგისია და გარეთაცა.

— ჰმ! ჰმ! — მუქარით ამბობს დირექტორი.

„როგორ გაუკვირდა, — ფიქრობს იაგორა. — ვინ იცის, რაი ვაკაცი ეგონა“,

— სოფელჩი როგორი სახელი აქვ?

— როგორი სახელი ექნება? — ცხარობს იაგორა, — სოფელი შენ ბრმა ხო არ გგონია? შეიძლება ჩუმად იყოს, მაგრამ სუყველაფერს კარგა ხედავს, არც ავი გემეკარება და არც კარგი... დიდი ვინმე კი ჰგონია თავი აბესალომასა: შამაწყობს ზურგზე ხელებსა და დადის გაყინჩული, დალაპარაკებასაც არ ჰკადრობს ხალხთანა, თუ მთვრალი არაა. სულ გვამადლის, რო ჩვენთან ცხოვრობს, მაგრამ, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ოღონდ ეგ წავიდეს სოფლიდანა და... სალმრთოს გადავიხდით... კაცმა ეგრე როგორ უნდა იცხოვრა, რომ შენივე მშობელი ხალხი ნატრობდეს შენს გადაკარგვასა... სულ კი ვუღიმით და ვეფერებით, გულბოროტია, გულბოროტი და ეგეთი კაცი არ უნდა გადაიმტერა, შენც ფრთხილად იყავ მაგასთანა... წელიწადში თოჯერ არ შაივლის სკოლაში, ხუთ გაკვეთილს არ ჩაუტარებს მოწაფეებსა... ეხლაც სადღაცაა გადაკარგული, გული არ ეტყ[illegible] გება სოფელში. მოვა, უზნეო მამალი ხო გინახია, წიწილებს რო ერევა [illegible] არ აცლის აკენკასა, ეგრე ეგ აუკენკს ინტერნატის პატარებსა სარო-საბადებელსა, დასახურ-დასაგებელსა და გადაიკარგება ისრივ სადღაც... დიამბეგად გვიზის სოფელჩი, დიამბეგადა, პატრონი კი არა ჩანს. წესით, მასწავლებლისაგან უნდა აიღან პატარებმა მაგალითი. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს თავის საქციელითა პატიოსნება და კაიკაცობა. არ დავიღუპებით მაგას რომ მიჰბაძანან?! გასივდა გული მაგის ცქერითა, გასივდა. ერთი ერთზე გამოვიდეს სადმე უკაცრიელ ადგილასა, მე ვიცი, მაგრამ... ცხო მე რაი ვუყო, სოფელმა რაი უყოს, დანიშვნა ვინ გვკითხა მაგისი, რო მახსნა შეგვეკითხან?

— მაშ ერთი ერთზე რო გამოვიდეს, კი იცი, რასაც უზამ, არა? — ეკითხება გააფთრებული დირექტორი.

— ჰო, — შშვიდად პასუხობს იაგორა: — მოწმე არ უნდა იყოს იქა, ისაა მთავარი... მაგრამ ვინ მამცემს მაგის ბედსა... შენ რაი მაგივიდა, შენ... — და ვეღარ ამთავრებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ გვრაბიდან იაგორა გამოდის, თავიდან-ფეხამდე ფქვილშია ამოგანგლული, ტომარას, იხსნის და დღის სინათლეზე ითვალიერებს შიგ ჩარჩენილ ფქვილს, — ორისამი ჰურის სამყოფიღაა დარჩენილი. იაგორა ფქვილს იფერთხავს ტანსაცმლიდან, ტომარას უკვე იღლიაში იჩრის და კმაყოფილი სახით მიჰყვება გაუკვალავ გზას.

დირექტორი კარგა ხნის შემდეგ გამოდის გვირაბიდან, ისიც ფქვილშია ამოგანგლული სახელიშემოგლეჯილ პალტოს ითვალიერებს, დასისხლიანებულ ცხვირ-პირს თოვლით იწმენდს და თეძოზე ხელშემოდებული, კოჭლობა-კოჭლობით მიჰყვება იაგორას გაკვალულ გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცარქმქმია

ელენემ წერილით გაიგო დუშეთში მოსაგარიშეთა კურსებზე სასწავლებლად წასული დის გათხოვება. შეტყობინების ბარათი ნაკუწებად აქცია, კედლიდან დედის სურათი ჩამოხსნა, მაგიდაზე დადო, მიუჯდა და ხმამაღალი მოთქმით ამცნო უმცროსი შვილის ორმოცდამეხუთე წლისთავზე, „აცუნდრუკების", „უკითხავად" და, „ვინ იცის — ვისზე" გათხოვების ამბავი. მერე მშრალი ტილოთი გაწმინდა სურათი, იმავე ტილოთი შეიმშრალა კრემლები, შუბლზე აკოცა ჭაღარა, დაღლილსახიან ქალს და ისევ კედელზე ჩამოჰკიდა.

კვირის თავზე ახალყოილნიც ეწვივნენ. ელენემ ფანჯრიდან მოჰკრა თვალი ფოლორტაში მომავალ სიძე-ბატარძალს, სასწრაფოდ შესტირა დედას თავისმომჭრელი შვილის მოსვლა და სტუმრებს ეზოში გაეგება. სიძე დანახვისთანავე არ მოეწონა. ძღივს მოათრევდა ფეხებს მელოტი, მედიდური სახის ჩია კაცი. უხალისოდ ჩამოართვა ხელი უფროს ცოლისდას და ეზოკარი დაწვრილებით მოათვალიერა. გათხოვილ დას ისევ ისეთი მოკრძალებული და მორჩილი იერი ჰქონდა და ელენეს კიდევ ერთხელ ძალიან გაუკვირდა მისგან მოულოდნელი საქციელი.

სადილმა დუმილში ჩაიარა. გათხოვილს ლაპარაკი ერიდებოდა გაუთხოვარ დასთან, სიძეს მუდმივად ჰქონდა ყბები გამოტენილი, ხოლო ელენე იმდენ რამეზე ფიქრობდა, სალაპარაკოდ არ ეცალა, მაგალითად, აინტერესებდა, როგორ შეძლო ამ მოჩვენებამ მისი დის გასულელება, რატომ ეცვა სიძეს, სულ ცოტა, ორი ზომით მაინც დიდი კოსტიუმი. როგორ იტევდა ამდენ საჭმელს ეს ერთი ბეწო კაცი და ასე შემდეგ...

ნასადილევს სიძემ, რომელსაც შაქრო ერქვა, სკამი გაიტანა ეზოში, ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მოწყენილი შეავლო თვალი სოფლის წინ ცადაზიდულ სალ კლდეებს.

ელენე ფანჯარასთან გაჩერდა. სიძეს დაუწყო თვალიერება. მერე ისიც გავიდა ეზოში, მივიდა ზედ შაქროს ცხვირწინ დაყრილ ქვებთან და დანგრეული ყორის ამოშენებას შეუდგა, თან ცალი თვალი სიძისკენ გაეპარა.

შაქრომ ფეხების წყობა შეცვალა, ელენეს გადახედა და დაამთქნარა,

ელენე უზარმაზარ ქვას დაეჭიდა, კვნესისთ ასწია და ძლივს შედო ყორეზე.

— ეგრე არა, უნდა დაამტვრიო, მაშინ უფრო ადვილი იქნება, — დაარიგა შაქრომ.

— მართლა?! — გაუღიმა ელენემ.

— შენ როგორი ღობე გაქვს, კარგი?

შაქრომ პასუხი არ დაუბრუნა. სწორედ იმწუთას დაინტერესდა კლდის მარჯვენა ქიმზე შერჩენილი თოვლით და გაელმებული თვალებით დაუწყო ცქერა.

ელენემ თვი მიანება ქვებს. საჩეზში შეგვიდა, წერაქვი აიღო, გამოვიდა და ეზოს კუთხეში დიდი ხნის დაწყებული საკარტოფილე ორმოს ამოთხრა განაგრძო. კარგ ხანს თხრიდა, მერე თავი ასწია და შაქროს გახედა. სიძეს მოსწყენოდა კლდეების ცქერა და თავჩაქინდრული თვლემდა.

ელენემ წერაქვი დაადგო, გაალმასებული წამოვიდა, შაქროს გვერდი აუარა, სახლში შევიდა და თეფშების რეცხვით გართული ფანჯარასთან მიაპორწიალა:

— აბა, გახედე?

— ვისა, ელენე? — შეეშინდა მაროს.

— ვისა და, ეგე მაგ საგონჯეთსა, კაცუნიასა, შაქრიასა.

— რაი გინდა, ელენე, ზის თავისთვის, გიშავებს რასმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეტი რაიღა უნდა დამიშავას, ჩემო მარო, დიდი თამარქალი არც შენ მყვიხარ, მაგრამ ეგე მაგას როგორღა გაჰყევ, მაგ სამამთხრელოსა. მითხარ ერთი, ვინ არის, რაის მაქნისია, სახლი აქვს? მუშობს სადმე?

მარომ ამოიოხრა და თავი გააქნია. ტყუილის თქმა არ შეეძლო.

— ერთი ბოსელივით გადახურული რაიღაც აქვ, დედა ჰყავ და ორნიც ჩვენ ვცხოვრობთ იქა.

— კასტუმი თავისი აცვია?

მარომ ისევ ვერ შეძლო ტყუილი. თავი გააქნია.

— მაშ, გაღგიედი, ადამიანო? დაიღუპე თავი? მთელი შენი ცხოვრება შრომასა და პატიოსნებაში ჩამაჰგალე და ეგე მაგ უქნარაისთვის? ვინ და რამ აგირია ეგრე გონება?

— ჩემი დიასახლისი გედემეკიდა, იმის ნათესავია, მამატყუილა, მშრომელი, კარგი კაციაო, ოჯახი რო გინდაო, უპატრონოდ რო არ მაჰკვდებიო,

— ეე, ეგეთ პატრონს სულ უპატრონობა არ ეერჩივნა, შე კაი ადამიანო? აქაც რო გადმააბრძანე? არ გესირცხვებოდა მაინცა, გვერდზე რო მასდევდი? — თანდათან ვაფთრდა ელენე.

მარომ პირველად ნანახივით შეათვალიერა ქმრის მოკუნტული მხრები და თავი ჩაქინდრა.

— დაგიბრმავდა, განა თოლები? დაგიბრმავდა და ვეღარ დაინახე, რას მისდევდი, კაცსა თუ ქერით გატენილ ტიკინასა. ვაი, შენ კი დაგაყარე მიწა, შენა, როგორც შენ მე თავი მამჭერ ემ სიბერეჩი. იპოვნა პატრონი და თანაც როგორი პატრონი, თვითონ სპატრონებელი უპატრონო!

ელენე მცირე ხანს დადუმდა, ჩაფიქრდა, თავი გადაქნ-გადმოაქნია, კრიტიკული მზერით აათვალ-ჩაათვალიერა დის შებერტყილი სხეული და მოულოდნელი კითხვა დაუსვა:

— ლოგინჩი?

— რაი? — ვერ მიხვდა მარო.

— ლოგინჩი როგორიღაა, ლოგინჩი?! იქაც ტიკინასავით დევს?

მარო გაწითლდა, გაფითრდა, მთლიანად მისიკვდილდა სირცხვილისაგან და ძლივს ამოილუღლუღა:

— რას მეკითხები, ელენე, რასა? არ გეცხვენიან?

— კიდევ მე უნდა მცხვენოდეს, განა? კიდევ მე? — აკვირდა ელენე. ოთახიდან გაიჯრა, ისევ საჩეხში შევარდა, ქორივით დაეტაკა უზარმაზარ, ძვალივით გამკვრივებულ-გასლიპინებულ კუნძს. რის ვაი-ვაგლახით გამოაორია და გრუხუნით დაახეთქა შაქრიას გვერდზე. შაქრია ეტყობა, სიზმარს ხედავდა, გაღიმებული სახე შიშით შეეცვალა, თვალები დააჭყიტა, ცოლისდის დანახვაზე დამშვიდდა და ისევ ჩაქინდრა თავი. ელენეს ზედაც არ შეუხედავს სიძისთვის, ისევ ისეთი სისწრაფით გაქანდა საჩეხისაკენ, ცულიც გამოარბენინა და ხათაჯახუთი აუყენა ჯიკს.

შაქრიამ თავი ასწია, თვალით გაზომა ცულით შემოხაზული სივრცე, წამოიწია და სკამიანად გადაჩოჩდა მოშორებით.

ელენემ თვალი გააყოლა სკამს, ცული დაავდო, ისევ ისეთი ვაი-ვაგლახით დაეძიგილავა კუნძს, შაქრიას სკამის მახლობლად დაავდო, მოტრიალდა, ცული აიღო და საქმე განაგრძო.

— გვერდიდან. შემოურტყი, ელენე, გვერდიდანა, ხო ხედავ, ეგრე არაფერი გამოდის, — ოროიდე სიტყვა გაიმეტა შაქრიამ და ისევ გაიჩოჩა.

— მაშ გვერდიდან შამოვურტყა, ნაცარქექიავ, არა? წელში გაიმართა ელენე. — ადექ ეხლა, შაქრიავ, ვიდრე ეს ცული ორივე გვერდიდან არ შამამირტყმია შენთვი და დაადექ შენ გზასა. უბედურ დედაშენსაც ეყოფა შენი ცქერა, ჩემი დაც რო არ გააუბედურა. აგრაი, იმ ბილიკს რო ხედავ, კლდეს გვერდს აუვლი, გახოლ სამხედრო გზაზე, დეეგდები ავტობუსჩი და წეეთრევი შენს სამყოფელჩი. მეტი რაიღა გინდა, მადლობელი არა ხარ, რო ცოცხალს გიშობ?

სამადლობელოდ შაქრიამ ზანტად

მოიქექა თავი. ელენეს გასაკვირად წყენის ნატამალიც არ დასტყობია სახეზე. ოღონდ ეგ იყო, ცალი თვალი კი გააპარა პატარძლის ფანჯრებისკენ, მაგრამ ნაცოლარის დის ავი მზერა იგრძნო და მაშინვე გასწორდა, ჩამავალ მზეს შეშფოთებით გახედა, რაღაცა თქმა თუ თხოვნა დაამირა, ცუღლის დანახვაზე ისევ გადაიფიქრა, შეტრიალდა და მომჩვარული ნაბიჯით დაადგა გზას.

შკუდმართი

ძუბარას გარდიგარდმო გაუდვია ჯოხი მუხლებზე, ხელები დაბამბული ქუთუტკის კალთებქვეშ შეუწყვია გასათბობად და მოწყენილი ჩაჰყურებს ხეობაში ვერცხლისფრად დაკლაკნილ გზას.

— გამარჯობათ, ძია კაცო! — უკვე მეორედ ესალმება თავზე წამომდგარი მიხეილი, ძლივს ითქვამს სულს, ჰალსტუხი მოუღეღია, ლაბადისა და კოსტიუმის ღილები შეხსნილი აქვს.

ძუგარა ამთქნარებს და ქვის სროლით აფრთხობს ხრამისკენ წასულ ძროხას.

— საკითხი, რომელმაც თქვენთან მომიყვანა, მეტად მტკივნეულია! — ნესტოები უთრთის უყურადღებობით შეურაცხყოფილ მიხეილს, ჯიბიდან სიგარეტს იღებს და ნერვულად სრესს. — გესმით თუ არა, ძია კაცო?!

„ჩემს მუხლებზე გაიზარდა, ჩემს მუხლებზე... რამდენჯერ ძროხებჩიც გამამყვანია... მიშიკო ექვინა მაში, მიშიკო-ძუგარა ქირქილით ათვალიერებს მიხეილს და გვერდზე აფურთხებს.

— თუ გტკიოდა, აქ რასღა მბარდი?.. — ეკითხება თვალებმოჭუტული.

— თქვენ კარგად იცით, რაც მტკივა მე! — ხმას უმაღლებს და სიგარეტს უკიდებს მიხეილი.

— რომელი ექიმი მე მნახე... რომელი ექიმი მე მნახე, თუ გტკივა? — იოცებს ძუგარა. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს მიხეილის სუფთად გაპარსულ, ალაღლაქებულ სახეს და ისევ გვერდზე აწიტებს.

— ძროხა! ძროხა!

— ძროხა გტკივა? — თვალებს აჭყეტს ძუგარა — ძროხაო?! ეგეთი სატკივარიც არსებობს?

— თქვენ გადაჩეხეთ მამაჩემის ძროხა!

— აა... ჩვენ აგვიყვანია მამაშენის ძროხა ხელში და გადაგვიგდია კლდეზე, არა? ვის ჩვენნა?! ქვეყანამ იცის, ქვეყანამ, რომ მე მარტუაი ვაძოვებ ძროხასა, მე...

— მართალი ხარ, მართალი, — ტუჩებს, დაცინვით წელავს მიხეილი. — რა იცი შენ კულტურული მიმართვის, რა იცი შენ „თქვენობის...“

— ჩვენებისა? ჩვენებისა რაი ვიცი? — მხრებს იჩეჩავს ძუგარა. — რაი უნდა ვიცოდე ჩვენებისა? ძრიალ კარგა არიან ჩვენები, ძრიალ კარგა!

— კაცო, შენ ნორმალური ხაარ? — ცოფდება მიხეილი.

— მაგის გასაგებად ამახვე ამ მწვერვალზე? მაგის გასაგებადა? — დფფანჩულ, მთლად გათეთრებულ წარბებს აერთებს ძუგარა, — აბა, მაშ თუ გაინტერესებს, იცოდე, რომ მე ძრიალ ნორმალური ვარ.

— ბოლოს და ბოლოს მიპასუხე, რაფერ გადმოაგდე ის ძროხა! — ყვირის მიხეილი.

— აა... რა ფერი იყო ის გაინტერესებს? შავი იყო, შავი, შავი,... შენ არ უნდა იცოდე შენი ძროხის ფერი? — ბრაზობს ძუგარა. — მე უნდა გასწავლა, განა? მე უნდა გასწავლა?

— კაცო, როგორ გაგაგებინო?! — უკვე ხმა უკანკალებს მიხეილს, — რავა გადმოაგდე ის ძროხა, რავა?

გულო კოზიაშვილი
ეროტიზოგები

— რვაო? ნამუსი აღარ არის აჰუ, კაცო?! — ხელს მუხლზე ირტყამს გულნატკენი ძუგარა. — ერთი გადავარდა ის ოხერტიალი და სოფელჩი აღარ მაყენებთ, რვა რო გადავარდნილიყო, მაში რასღა მიზამდით? ჰა? რვაო, რვაო... ხელად შვიდი არ მიუმატა? აჰუ, კაცო?!

— მე დღესვე მივდივარ თბილისში, — თითის ქნევით თქვა მიხეილმა. — იმხელა დაწესებულება ჩემს იმედზეა და არ შემიძლია დარჩენა, ამიტომ ამოვედი აქ და გაფრთხილება — რავარც გადმოადგე ის ძროხა, ისე გადაუხადე მისი ღირებულება მამაჩემს. არა და... — მაშა, მაშა, მანამდე ნურას სჯამს მამაშენი, — აქირქილდა ძუგარა, — ზუსტად რვისას გადავუხდი, ზუსტადა, ერთისასაც არ გამოვაკლებ.

— და საერთოდ, ეგ საკენკი შენს შვილიშვილებს დაუყარე, — თითის ქნევით განაგრძო მიხეილმა. — უკუღმართო! ბნელო... ბნელო! მე შენსავით კონსერვატორი არც ვყოფილვარ და არც ვიქნები არასოდეს!

— თქვენსას მაიკითხე კონსერვები ეხლა, თქვენსასა, მეტი მაინც აღარა გექნებათ რა საქმელი, ერთი ძროხა გაყავდათ და ისაც გადმაგივარდათ, ისაცა. ნათელო... ნათელო! — მიაძახა ძუგარამ და ხითხითით ჩააყოლა თვალი ბილიკზე ფორთხვით ჩამავალ მიხეილს, — სიარულიკ რო დაგვიწყებია, სიარულიცა... უბედურო... ძროხას მწყემსი აგდებს კლდეზე, მწყემსი, ჰა?!

— მეე, — შეკუნტრუშდა ძუგარას ფეხებთან ნახირს შეკედლებული თიკანი, — მეე...

— მამაძაღლო შენა! — ხელი აუქნია გაბრაზებულმა ძუგარამ, ჯოხი ისევ გარდგარდმო გაიღო მუხლებზე, ხელები ქურთუკის კალთებქვეშ შეილაგა გასათბობად და თვალებმოწკურული დააჩერდა სამხედრო გზაზე სათამაშო ავტოგებივით მიმოფანტული, აღმადაღმა მქროლავ მანქანებს: „ნეტა რას დაწანწალებს ეს ხალხი... რას სძებნიან, რო სძებნიან.. ამდენ ძებნაჩი თავისიც რო ეკარგებათ, თავისიცა?! ნეტა ლენ მშვენიერი ბალღები... მოვლენ და ვეღარ გაიგებ, რაის ჯიშისები არიან... აქაურად ლაპარაკსაც რო აღარ ჰკადრობს ზოგიერთი?! ფუი, სუფეველზე ძრიალ ეგეთი კაცი მეჯავრება, ეგეთი...“ ძუგარამ ამოიოხრა, ქვემოთ ბილიკზე წერტილივით მიმავალ კაცს დაუშტერდა და ჩაფიქრდა: „კონსერგს მიმსგავსებული რო იყო, მარტო ის ვერ გავიგე, ისა... კონსერვისტარიო თუ რაიღაცაო... მააშ, სულ დაღუპული კი არაა ნასწავლი კაცი.... შეიძლება შამაგინა კიდეცა და მე კი ვერ მივხვდი, ჰა?!“

ერთი თვის შემდეგ მიხეილმა რაიონულ სასამართლოში იჩივლა, ძუგარას სამჯერ მოუვიდა უწყება, სამჯერვე წეკო გაახვია შიგ და გააბოლა. მეოთხედ უკვე გაბეზრებული გამომძიებელი ამოვიდა სოფელში. ვილისი მთის ძირას გაიჩერა, წყენით გახედა ამომავალი მზისკენ დაძრული ნახირს და ღამის ატირებული დაადგა ბილიკს.

ძუგარამ წყნარად მოუსმინა აყვირებულ გამომძიებელს, ხბოს ტყავისაგან შეკერილი ქვაბურა ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და თავი დამნაშავის იერით ჩარგო დაბამბულის საყელოში. ვინაიდან გამომძიებელმა თავჩაქნდრული და დამორცხვებული ძუგარასაგან ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგონა, იქვე დაჯდა, თვითონვე შეადგინა ოქმი, რომელშიც ძუგარა გამოიყვანა დანაშაულის აღიარებლად და გინებაგინებით დაეშვა თავქვე.

რიგით მეექვსე უწყების მაგიერ დაინახა თუ არა ძუგარამ უთენია ბილიკის დასაწყისთან მიმდგარი ვილისი, სიტყვის უთქმელად ჩაჯდა შიგ.

სასამართლო თორმეტ საათზე დაიწყო. ძუგარამ ინტერესით დაათვალიერა: შუბლშეკრული მოსამართლე, ძალიან სერიოზული სახის პროკურორი ქალი, მაგიდასთან მჯდარი კიდევ ორისამი უცხო პიროვნება და მიხეილს გახედა.

მიხეილმა გვერდით მჯდომ მამას რა-

ღაც უჩურჩულა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

მაგიდასთან მსხდომთ რიგრიგობით ილაპარაკეს; ხელების ქნევით, აღელვებით: ძუგარა არ უსმენდა, დაღონებული ათვალიერებდა: წელში გამარჯვებულ მოსეიტს, რომელიც ყოველ მოლაპარაკეს მალიმალ უქნევდა თავს... მხრებში მოხრილ მამამისს, რომელსაც არც ერთხელ არ აუწევია თავი მაღლა... სკამებს... ფანჯარას... კედლებზე გაკრულ ლოზუნგებს... სურათებს... და ოხრავდა, — გაახსენდებოდა თუ არა უპატრონოდ მიტოვებული ნახირი.

— ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ? — მეორედ უფრო ხმამაღლა იკითხა გაბრაზებულმა მოსამართლემ და ზარი დაწკარუნა.

— მე? — გაიკვირვა ძუგარამ, თითი პირში დაისველა და ჩამოფარცხული წარბი მაღლა აიწკვეტა.

— მიპასუხეთ შეკითხვების გარეშე, — ძუგარას წარბს თვალი მიაყოლა და კოპები შეიკრა მოსამართლემ.

ძუგარამ თვალები მოწკურა, სათითაოდ შეათვალიერა მაგიდასთან მჯდარი ოთხივე მამაკაცი და მოწონების გამოხატველი მზერა მოსამართლეზე შეაჩერა.

— შენა ხარ მოზვერი! — ძუგარა წამოდგა და ჯოხი მოსამართლეს მიაშვირა.

— მმმ, — წამოიწია მოულოდნელობისაგან სახტად დარჩენილმა მოსამართლემ და ზარს წაატანა ხელი.

— დაიცა, დამაცადე, რაი გაჩქარებ, გასასუხობ! — გაბრაზდა ძუგარა: — მოზვერი ხარ!.. კარგი, თუ გინდა, ბუღალი იყავ, ბუღალი...

პროკურორმა ქალმა სწრაფად მოხედა გაშეშებულ მოსამართლეს და ნაღვერდალივით ავარვარებული სახე ისევ სწრაფად შეატრიალა.

— შენ გემეეკიდე ძროხასა, — პროკურორს გახედა და ლაპარაკს მოუჩქარა ძუგარამ, შეატყო თუ არა, რომ მოსამართლე რაღაცის ჩადენას აპირებდა, — ძროხა გაიქცა, გაიქცა... დაუცურდა ფეხი სველ ბალახზე და გადაიჩეხა კლდეზე...

მოსამართლეს ყბა გვერდზე მოექცა, ცხვირსახოცი ამოიღო და უხერხულობის დასაფარავად ხმაურით მოიხოცა ცხვირი.

— ჰოდა, მე რა შუაჩი ვარ ეხლა?! მე გირჩიე, მიდი და უადგილო ადგილას გემეეკიდე-მეთქი? მე გირჩიე?! — ხელები გაკვირვებით გაშალა ძუგარამ და მიხეილს მოუბრუნდა: — ბუღას უნდა უჩივლა, ბუღასა, მე კი ნუ მიჩივი, მე... მე რა შუაჩი ვარ, ჰა?!

ძუგარამ აწკვერტილი წარბი მიუტრიალა ენაჩავარდნილ სასამართლოს და ჯოხი გაიდო მხარზე. — მაგცლიათ თქვენა, საქმე შამაგლეგიათ... ორასი ძროხა მყავ დაყრილი უპატრონოდ, ორასი... თქვა და კარი გაიჯახუნა.

ალვის ხეები

ვანო გვიან წამოვიდა სიძის ოჯახიდან: ნელა მიპყვებოდა დაცარიელებულ ქუჩას, ხშირ-ხშირად იმშრალებდა შუბლზე ღვინისგან მოდენილ ოფლს და მწარედ ფიქრობდა: „არა, ადამიანი მაიმუნისაგან კი არა, ცხვრისაგან არის წარმოშობილი. ხოლო თუ ერთიც და მეორეც მოგონილია და ადამიანი მართლა ღმერთმა გააჩინა, მაშინ ძალიან შემცდარა ის ღმერთი, რომ ათი მცენებისთვის მეთერთმეტეც არ მიუმატებია — „არ შეგეშინდეს!“. პირწმინდად გაასაფთავეს უნამუსო ქურდებმა ჩემი დის ბინა, თითზე გადასახვევი ძაფიც არ დაუტოვეს და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცის, ვინც არის ქურდი, ცოცხა-

ლი თავით არ ამბობს. — უარესია, რომ დავაპერინონ, გამოვა ციხიდან და ოჯახს ამომიწყვეტსო! ჰოი, საცოდავო-ოჯახს ამომიწყვეტსო! ჰოი, საცოდავო ცხვარო, მაიმუნი რომ იყო, რა გიჯიოს, ბრეკალებით ჩამოაკაწრავდი სახეს ქუჩოს და მამაძაღლს... მეზობლებიც რომ მხარს უკერენ?! და განა მარტო მეზობლები, რამდენისგან გამიგონია, ქუჩი რომ შემხვდეს, ხმას არ ამოვიღებ, ისე მივცემ ყველაფერს, ოქროს და ბრილიანტს შევაკლავ თავსო? ჰოი, საცოდავო ცხვარუკა, იმდენიც არ გესმის, რომ აქ ბრილიანტსა და ოქროს კი არ ეხება საქმე, არამედ ადამიანობას და ღირსებას: როგორ უნდა გამიბედოს ვიღაც ვიგინდარამ, გამაჩეროს და წამგლიჯოს საკუთარი ოფლით მონაგარი? არა, არა... ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან და თანდათანობით დაადგა გაცხვარების გზას, მგლები კი ღლეტენ და ღლეტენ. რისი ეშინიათ, მე შენ გითხრა და, ამოიღებს ცხვარი ხმას, უმწეო ბღავილის მეტი რამე ამოხდება პირიდან, თუ?.. როგორ, რა გზებით და რა ხერხებით უნდა აღმოვფხვრათ ადამიანის გონებიდან თანდაყოლილი საშინელი მანკიერება — შიში და როგორ უნდა ჩავუნერგოთ ყოველ მათგანს სიამაყე და რწმენა საკუთარი ძალისადმი?!"

ვანო ხეს მიეყრდნო და თითი საფეთქელზე მიიჭირა. დიდხანს იდგა ასე, ვიდრე ფიქრებიდან ქალის ფეხსაცმლის ბაკუნმა არ გამოიყვანა.

მოპირდაპირე მხრიდან მომავალმა ქალმა ნაბიჯი შეანელა, შიშით გახედა ხესთან საეჭვოდ მდგარ ვანოს და ისევ აუჩქარა ნაბიჯს.

„ჰმ, შეეშინდა, ჩემი შეეშინდა, — თავი გადააქნია ვანომ, — ჩემ სიცოცხელში ჭიაჭველასთვისაც არ დამიდგამს ფეხი, ამას კი ჩემიც შეეშინდა. რომ მივიდე ახლა და უბრალოდ, სულ უბრალოდ გადავუდგე გზაზე, მოიხსნის ალბათ ყველა სამკაულს და ხმის ამოუღებლად დამიყრის წინ.

„აჰ, მოვიფიქრე! ევრიკა! ფსიქოლოგიურად უნდა დავამუშაო!" ვანო უეცრად გამოიჭრა შუა ქუჩაში და წინააღმდეგ სულ ქალს სირბილით დაედევნა. სიმთვრალე საკმაოდ უშლიდა ხელს სირბილში, მაგრამ მაინც მირბოდა. ქალმა იგრძნო უკანიდან წამოწეული საშიშროება და თვითონაც გაიქცა. ვანო ორიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა თუ არა, ქალს მუხლებში ძალა გამოელია და ბორძიკ-ბორძიკით განაგრძო გზა.

— გაჩერდი! მე შენ გეუბნები, გაჩერდი! — ჩაუსისინა წამოწეულმა ვანომ. — მოიხსენი საყურე, ბეჭდები, საათი, ყველაფერი, რაც კი გაბადია!

ქალი შეჩერდა, შიშისაგან გაფართოებული თვალებით მიხედა ვანოს და ნელა, ხმის ამოუღებლად შეუდგა ბრძანების შესრულებას.

ვანო იდგა და ზიზღით უყურებდა.

— ცხვარო! — უთხრა ბოლოს, როცა ქალმა ძვირფასეულობით სავსე ხელი გაუწოდა, — ცხვა-რო! — დაუმარცვლა სიძულვილით, — წინააღმდეგობის გაწევვა არ უნდა შეგეძლოს?! მე არა ვარ ქურდი!

— ბანდიტი ხართ?! — ამოიხავლა ქალმა.

ვანომ თვალები მოწკურა და დოინჯი შემოიყარა.

— არ მომკლა! ოღონდ არ მომკლა და თუ გინდა ფეხსაცმელსაც გავიხდი, ახალია, სულ ახალი, იუგოსლავური... არ მომკლა, ოღონდ არ მომკლა! — გულსაკლავად აქვითინდა ქალი და მუხლებზე დაეშვა.

— მე არც ქურდი ვარ და არც ბანდიტი! — დაიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა ვანომ, — წაათრიე შენი ოქრეობი, მე უბრალოდ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა მნდოდა, მაგრამ შენ ისეთი ცხვარი ყოფილხარ, შენგან არაფერი გამოვა.

— ჰო, ვარ ცხვარი, ვარ, ძროხაც ვარ, რაც გინდა, ის დამიძახე, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ოღონდ არ მომკლა, — ტირილს მოუმატა ქალმა, — აჰა, აიღე, სულ შენთვის იყოს, სულ შენთვის... მე ერთი საწყალი, ოხერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიალი ქალი ვარ. არ მჭირდება, მაინც არ მჭირდება...

— ფუჭ! — მთლად გაგიჟდა ვანო. — დაიკარგე აქედან შე... შე... ბატკანო! — გამოტრიალდა და სიბრაზისგან რატომღაც ისევ სირბილით დაადგა გზას.

— ქალი ქალია, — ფიქრობდა სიბრაზე გადავლილი ვანო, — ქალს არც შენი ფსიქოლოგია აინტერესებს და არც შენი ღირსება, მაგრამ კაცი? კაცი რამ დაარიაცა ასე, რამ?! აი თუნდაც ეს! მიდის ჩემს წინ, რომ შეხედო კაცია, გადაუდგები წინ და...

— ბიძა!

კაცმა სწრაფად მოიხედა.

— აბა, ახლა ჩქარა! არ გამანერვიულო, საათი გაქვს? ფული გაქვს? ჩქარა!

ვანომ ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და მარჯვენა ფეხსაცმლის წვერი ასფალტზე აეკაკუნა.

კაცი გაშეშდა და უმწეოდ მიიხედ-მოიხედა გარშემო.

— ჩქარა, ჩქარა, რას იყურები, ერთბაშად, არ მოგეშველოს ვინმე! — შეუტია ვანომ.

კაცმა ხელის კანკალით მოიხსნა საათი, ჯიბეებში დიდხანს ეფათურა ხელი და ბოლოს, როგორც იქნა, ამოიღო დაქონძილი სამმანეთიანი.

ვანო იდგა, თავს აქნევდა და სარკასტული ღიმილით ათვალიერებდა მაღალ, ჯან-ღონით სავსე კაცს. ბოლოს დამარცვლით ჰკითხა:

— ღირსება იცით, რა არის?!

— არა მაქვს, — ქვეშ-ქვეშ გამოხედა შიშისაგან თავგზააბნეულმა კაცმა, თავის აწევას ვერ ბედავდა.

— გეტყობა რომ არა გაქვს... რითი ვარ შენზე უკეთესი, რატომ უნდა მაძლევდე მე. დავუშვათ, ქურდსა და ვიგინდარას, შენს ნაოფლარს?

— არა მაქვს, სამი მანეთის მეტი არა მაქვს, სინდისს გეფიცები, —ხმა აუკანკალდა კაცს. — ა, ჯიბეები, თუ გინდა, ნახე შენ თვითონ.

— მე რას ვეუბნები და ეს რას მეუბნება, — ხელი ჩაიქნია ვანომ, — არ მინდა მე შენი საათი და შენი სამი მანეთი. მაგრად შეინახე, მაგრად. არასად დაკარგო.

„კაცობრიობის საშველი აღარ არის. ყველა ერთბაშად გადაგვარდა და გაღაჩრდა. რა უნდა ეუშველოთ. ჩვენ, კანტიკუნტად შემორჩენილმა ვაჟკაცებმა ამ ბრბოს, როგორ უნდა დავუბრუნოთ ადამიანური სახე. — ვანომ დაასლოკინა, შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა, ცხვირსახოცი ისევ ოთხად დაკეცა და, გზასთან ერთად, ფიქრიც განაგრძო: „წარღვნა... მხოლოდ წარღვნაშია ხსნა. აი, თუნდაც ამას შეხედე, მოდის, ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ჭალამნად. მოდის და ღრიალებს რაც ძალი და ღონე აქვს „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარო..“ ქალებთან ვაკაცობა და სერენადების ბოკვილი ჰგონია ალბათ მთელი ცხოვრების აზრი. საკმარისია გადაეყაროს ერთ გარეწარს მაინც, რომ მთლად დაკარგოს ყოველგვარი ღირსება“.

— ძმაკაც?! — დარდიმანდულ კილოზე დაუძახა გათამამებულმა ვანომ, — მოდი ერთი, შენ ჩემთან.

ბიჭი შეჩერდა. ჯერ ვანოს შეხედა, მერე აქეთ-იქით მიმოიხედა.

— ჩემთან, ჩემთან! — თითი დაუქნია ვანომ, — „ავამღერეს ახლა ნაღვლიან ჰანგზე. რომანტიკა გეყოფა, დაგანახებ შენივე საზიზღარ სახეს... მერე ცოტაოდენი ლექცია ღირსების თემაზე და იქნებ შენგან მაინც გამოვიყვანო კაცი. დღეში ერთი მაინც რომ დავავაჟკაცო ისიც საქმეა“.

ბიჭმა თავის ოდნავი გაქნევით გადაიყარა შუბლზე ჩამოშლილი თმა, მერე საჩვენებელი თითი მკერდზე მიიდო და კითხვის თვალით გამოხედა ვანოს.

— ჰო, შენ, შენ! — თავი დაუქნია ვანომ და ისევ ააკაკუნა ასფალტზე ფეხსაცმლის წვერი, თან მრავალმნიშვნელოვნად ჯიბისკენაც წიღო ხელი.

გულო კოტიაშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა ჩქარა, საათი, ფული, ტანსაცმელი. რაც რამე კარგი გაბადია საერთოდ!

ბიჭმა გრძლად დაუსტვინა, გაიღიმა და ისე დაიძრა ადგილიდან, ვანოს შიშისგან გაჰბურძგლა. ორიოდე ნაბიჯით დაჰფარა რა მანძილი თავისსა და ვანოს შორის, ბიჭის ორივე ფეხსაცმელმა სასწრაფოდ შეაწყვეტინა ბაკუნი ვანოს ფეხსაცმელებს. ვიდრე ვანო ხმის ამოღებას მოახერხებდა, ბიჭმა ჯერ ერთ ლოყაზე სტკიცა ნიჩაბივით ხელი, მერე მეორეში.

— მე... — ამოილუღღუღა ვანომ და ფეხების გათავისუფლება სცადა.

ბიჭმა გაუღიმა და კიდევ სტკიცა სილა. მერე საქმეს შეუდგა: თვალის დახამხამებაში შეხსნა ვანოს საათი, წაადრო ქორწინების ბეჭედი, გახადა კოსტიუმი.. ფრთხილად შეუხსნა პერანგის ზედა ღილები, მაისურთან ერთად გადმოაძრო თავზემოთ. გაუთავისუფლა ფეხები და თვალით შარვალზე ანიშნა.

შიშისაგან მთლად გამოფხიზლებულმა ვანომ შარვლის შესაკრავზე იტაცა ხელი და უკან დაიხია.

ბიჭმა დოინჯი შემოიყარა და მარჯვენა ფეხსაცმლის წვერი ასფალტზე ააკაკუნა, სწორედ ისე, როგორც ვანო აკაკუნებდა შეხვედრის დასაწყისში.

— მე ქურდი არა ვარ, — როგორც იქნა, ამოიხავლა ვანომ და გასაქცევად შეტრიალდა.

ბიჭი ორი თითით წასწვდა ვანოს ცხვირს და თავისკენ შემოატრიალა.

— მე ფსიქოლოგიური... — ცრემლმორეული ხმით დაიწყო ვანომ და უცებ ხმა ჩაუწყდა. მთლად დაზაფრა ბიჭის სახეზე ჯერ კიდევ მოუშუშებელი ნაიარევის დანახვამ.

ვანომ ჯერ ფეხსაცმელი გაიხადა, მერე წინდები, მერე შარვალი. შარვლის ამხანაგთან ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ დახედა თუ არა ბიჭის მოუთმენლად აკაკუნებულ ფეხსაცმელს, ამოიოხრა და ისიც ზედ მიაყოლა.

ბიჭმა მოსხიპა დამცინავი ღიმილი. ჯიბიდან ვანოს საათი ამოიღო, დახედა, დაადგო ძირს და ფეხსაცმლის ქუსლით გაჭეჭყა. ამოიღო ვანოს ქორწინების ბეჭედი, მოიქნია ხელი და მოისროლა შორს, მტკვრის მიმართულებით. მერე დასწვდა კოსტიუმს, გაფხრიწა შუაზე, ზედ მიაყოლა პერანგი და მაისური, ორად გაგლიჯა ვანოს ერთადერთი საგარეო შარვალი... კოსტიუმის ნაფხრეწებში გამოკრა ვანოს მთელი ავლადიდება და სტვენა-სტვენით გააქანა ხიდისკენ.

ხელებაფარებული, შიშისა და სიცივისაგან აძაგძაგებული ვანო იდგა და უყურებდა როგორ მიდიოდა ბიჭი. მერე ამოისლუკუნა და თითის წვერებზე შემდგარმა დაიწყო ტროტუარის გასწვრივ ჩარიგებული ხეების თვალიერება. საუბედუროდ, არც ერთი არ იყო ლეღვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოფრაქელა

მედეა კახიძე

ტელევიზორი

ჩართეს ირმამ და ხათუნამ,
ფერადი ტელევიზორი,
ეკრანზე მგელმა ძუნძულით
გადაირბინა მინდორი.

გავხედე, ტყიდან გამორბის
შიშით დამფრთხალი ბატკანი,
ჩავაქრე ტელევიზორი
გადავარჩინე საწყალი!

გულადი კახა

მე და ჩემმა ღმერთმა
გულადია კახა,
ზოოპარკში დათვი
თავის თვალით ნახა.
ნახა, ვეფხვი, ლომი
და მამლების ომი.

ახლა სანადიროდ
წასვლა უნდა მგონი.
მაგრამ გზა არ იცის,
არც მთისა და სოფლის,
და რაც მთავარია
ჯერ არა აქვს თოფი.

კენგურუ

ტელევიზორში გამოჩნდა
კენგურუს დიდი ჯოგი,
თურმე კენგურუ სირბილში,
ყოფილა მჯობნის მჯობნი.

მე შემიყვარდა კენგურუ
და ვეკითხები დედას,
რატომ სირბილში არავინ
არ აძლევს ოქროს მედალს!

დათვი

დაღამდება თუ არა,
სიმინდს მოუთაროებს,
დაბაჯბაჯებს დათვურად,
ამტვრევს მსხვილ-მსხვილ ტაროებს,

ფუჩეჩს პატრონს უტოვებს,
გაძღება და შინ მიდის,
დათო, დათო, დათუჩა,
შენ დათესე სიმინდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირმას ოცნება

ბებია, მე და თოჯინა
ტელევიზორთან ვსხედვართ,
მე ვეუბნები: თოჯინა,
ხედავ, რა კარგი ხე დგას?
ხედავ, ლამაზი ჩიტები,
როგორ უფრენენ ბაღნარს?

ის კი ვერაფერს ვერ ხედავს,
შორს იყურება სადღაც.
მე გავიზრდები, თოჯინა,
მალე, ძალიან მალე,
გავხდები თვალის ექიმი
და მე აგიხელ თვალებს.

ვაცი

ვმარგლეთ,
ვმარგლეთ მთელი დღე
პაწაწინა ბაღჩა,
სარეველა ბალახი
თითქმის აღარ დარჩა.

უცებ ვაცი გადმოხტა
ბალახს ეცა ხარბად,
გადაძოვა ერთ წამში,
ტარხუნა და ბალბა,
წადი, ვაცო, არ გვინდა,
ამისთანა მარგვლა!

ირმას საჩივარი

დედა ჩამჩაჩინებს
გვერდით ვეჯდე მუდამ,
არ ავიღო ხელში
თოვლის ცივი გუნდა.
არ ვირბინო ბევრი,
მოვერიდო ჭინჭარს,

სიცხე ხომ არ მომცა,
ყოველ წუთში მსინჯავს.
მინდა გავიზარდო,
ჩქარა გავხდე დიდი...
დრო კი განა ჩქარობს,
კუს ნაბიჯით მიდის!

ლევარდი ტუღარშვილი

ეროვნული ხსნის გზასაყართან

— „მეფეე, ეამი არს ომისა და ეამი არს სიყ-ლტერისა, ვინათგან ყოველსაე საკმესა ეამი მიაჩანს... აწ ჩვენცა დავიბიოთ და კეალად შემძლეგმან ძლევათაგან ჩვეულებითივე, მოგუაგოს უძლეველობა“ („ისტორიანი და აზმანი ზაოგავნდელდთანი“).

1629 წელს ვერაგულად მოკლეს გიორგი ბა-აკაძე, თითქმის იმავე დროს სული განუტევა შაპ-აბას I-მა. ისტორიული სცენიდან წავიდა ორი მთავარი პერსონაჟი: ეროვნულ ძალთა კონ-სოლიდაციის დიდოსტატი და „გურჯისტანის“ ბიროტი დემონი. ასპარეზი დატოვეს დაუძი-ნებელმა მტრებმა ისე, რომ „ვერ ცნეს ერთ-მანეთის სიკვდილი“. 1629 წელს დამთავრდა დიდი ეპოქა. ამ ერთმა წელმა მთლიანად გადა-აჯეფუფა პოლიტიკური ძალები „ალმოსავლეთ-ში (საქართველოს გარშემო მაინც!). გადაშენ-და „შაპ-ახასიადა“, — ირანში დროებით გა-დაიდო ქართველთა მოსპობის გეგმები. დახ-ოულდა „საკაძიადაც“, დაიშრიტა ეროვნული ენერგიის შენივთების მაცოცხლებელი ძარღვი. ქართველთა არსებობის დროის ღერძზე კომპ-რომისის ეპოქა იკვეთებოდა. დგებოდა „უამი სიკუნტლისა...“ ახლა უნდა ეოფილიყო; ხაუ-კუნოვანი შეუჩერებელი ბატალიებისგან სისხლ-დაწრეტილი დალალილი მკლავი შესვენებას ხა-ვეროებდა. ალარც ისეთი ლიდერი ჩანდა, ეროვ-ნულ მოძრაობას ხაერთო-ქართულ ხაფუძველ-ზე რომ დაეყენებდა. დიდი მოურავის ალსახ-რულით ქართველობისათვის ბრძოლაზე ერთბა-ზად მოერღვა ორიგინალური „ერთიანი ნიაღა-გი“. უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა კვლე-ვამ (ვ. ჯაბუტია), რაც მთავარია გიორგი ბა-აკაძის ფენომენის ფსიქოლოგიურმა გააზრებამ, შინა პიროვნების შინაგანი ბუნების ფილოსო-ფიურმა გახსნამ, მოუხსნა „ქართველ ალეხიადებ“ წოდებულ სარდალს უმძიმესი ბრალდებანი და ეროვნულ გმირთა გალერეაში მიუჩინა კუთვნილი ადგილი. დღეს კარგადაა გარკვეული ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ხსნის ეპო-ქეთა მკვლევაი წყაროები, გაანალიზებულია ბა-ზალეთის პარადოქსიც... მაინც აშკარაა ერთ-გვარი დაუმპაყოფილებლობის გრძნობა, არაა გამოკვეთილი, ჭკონდა თუ არა სოციალური ას-პექტი ერთიანობის ხაკაძისეულ დროშას, რო-მელიც ეხოდენ მიხალეში აღმოჩნდა მთელი ხა-ქართველოს მასშტაბით. მოგვიანებით თეიმუ-რაზ I-მაც მოიპოვა ხაერთო-ქართული ალიარე-ბა, მაგრამ იგი ეშყარებოდა თურქეთის თანხ-მობას და რუხეთის მხარდაჭერას, თანაც ნაკ-ლებად ეფეკტური იყო პოლიტიკური შედე-გებით. ფეოდალური შეზღუდულობის დაუძ-ლეველობა იყო გიორგი ხაკაძის ხახელიწე-რო შეცდომა. ამ შეცდომის აცილების ხაშუა-ლებას არ იძლეოდა ჩიბუნი მომწყვდეული ქვეყ-ნის ხტიქეიური თუ შეგნებული კონიუნქტურა.

დაიწყო ეხალი ეპოქა: „ალდგენა-გამოხსნის“ ბრძოლაში ორი მაგისტრალური ხაზი განვითარ-და. როსტომ მეფის კომპრომისული ტაქტიკა და თეიმურაზ I-ის ქრონტიან-ულ-პატრიოტული რადიკალიზმი. ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო. გიორგი ხაკაძე-თეიმურაზ I-ის ურთიერთობა ხაშინაო ხაქმე იყო, მათი ბრძოლა უნდა განვიხი-ლოთ ხამოკალაკო ომის რანგში, ისინი ერთ-მანეთს ეკეხებოდნენ ქართველობისათვის ბრძო-ლის განსხვავებული პროგრამებით, ორივე ერ-თად კი ანტიირანული მოძრაობის ლიდერობას ჩემულობდა... როსტომ-თეიმურაზის დაპირის-პირებაც ქართველობისათვის ბრძოლის ლოზუნ-გებით მიმდინარეობდა, მაგრამ რადგან როს-ტომი (იგივე ხოსრო-მირზა დაუთსანის ძე ბაგ-რატიონი), „ირანოფილური“ ძალების დაყრდ-ნობით დამკვიდრდა ქართლში, მას მოუხდა განსხვავებული იდეოლოგიური საყრდენების მოძებნაც. ხანამ უშუალოდ შეეებებოდეთ ამ

ორი პოლიტიკური ბანაკის ურთიერთგამანეიტრალებელი არგუმენტაციას, მოკლედ გვინდა გავიხსენოთ ქართული დიპლომატიის ერთი თავისებურება: გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს ახასიათებდათ საგარეო ორიენტაციის მორიგეობითი მონაცვლეობა (ზ. ავალიშვილი). დიპლომატიის ეს „ზიგზაგ ეშმაკობა" დამუშავდა იმიერქვეთა პრაკტიკის საფუძველზე და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ორიგინალურ ფორმად განვითარდა. ეს მონაცვლეობა ახე გამოიიყენება: ქართლის აზკარა ბრძოლის დროს კახეთი განზე დგებოდა, კახეთის აჭკეფრობისას თავს იკავებდა ქართლი, ორივე სამეფო მონაცვლეობდა საგარეო პოლიტიკაში, — როცა ერთი „ლოიალური" იყო ირანის ან თურქეთის მიმართ, მეორე აგრესიულობას იჩენდა და პირიქით. მთავარი ეს მონაცვლეობა კი არ იყო, არამედ მონაცვლეობის შედეგი: — ერთის შეიარაღებული ბრძოლა უკარნახებდა მომზადებრის, დაიმბალეზე წასულიყო მეორესთან, ხოლო მეორის დამთმობლობა (რაც ერთდროულად თანამიმეე სამეფოსადმი დაბმრების აუცილებელ მზადყოფნასაც ნიშნავდა), აიძულებდა მოწინააღმდეგეს უკან დაეხია პირველთანაც! ეს მონაცვლეობა სხვა არაფერია, თუ არა ქართული ფორმით გადმოცემული ფ ქართული მახსნებით გატარებული ხაერთაშორისო დიპლომატიისათვის დამახასიათებელი შეიარაღებული ნეიტრალიტეტი. აჭკეფრული საგარეო პოლიტიკის ეს შენიღბული მეთოდი თავისთავზე ერთდროულად მოიკიდდა დათმობის მზადყოფნასაც და ფარულ მუქარასაც... ქართული დიპლომატია შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს ახორციელებდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქართულ სამეფო-სამთავროებს უსდებოდათ უშუალო თავდასხმების მოგერიება... ერთიანი სამეფოს დაცემის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს აკლდათ ფაქტური სუფერენიტეტის ძირითადი პირობა, აუცილებელი ნიშანი — ნეიტრალიტეტის დაცვის უნარი. ქართველმა დიპლომატიამ დაამუშავა რამდენიმე ელასტიური ფანები, რომელთაც ძალზე მარჯვედ იყენებდა ფ. 16 საუკუნეში. იგი მანევრირებდა, ეშმაკობდა, ხან უკან იხევდა, ხან უტევდა და ა. შ. XVII საუკუნის II მეხუთედიდან ახეთი ვიწრო-ტაქტიკური მანევრები გამოიჩიენა. ქართლში გამეფდა როსტომი, რომელმაც საუფლელი ბაუკარა, ე. წ. „შუხლიანანი მეფეების" ეპოქას. რახალეფრელია, როსტომის ეპეფეებით ქართლს მთლიანად არ დაუკარგავს არც სუფერენიტეტი და არც დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების უფლება. მამალეიანი მეფე, როგორც „ბურჯისტანის ვალი" (ფერიდოლოდ ირანის იმპერიაში III ადგ. ირანისტანის და ბურჯისტანის ვალიების შ.ბ დეგ, რეალურად კი პირველი, რადგან ეს ერთი ტახტზე იჯდა) შეეკიდრეოდით და იერთვდა ირანის რამდენიმე უმაღლეს თანამდებობას, ხელისუფლებას ახორციელებდა, მეტნაკლებ ძალით, ირანის მეზობლებზე ახეთ პირობებში დიპლომატიის ფეფეი პრაკტიკა ადარ გამოგგებოდა. საკმე არც მაშინ იცვლებოდა, როდესაც კახეთში ქართველი მფლობელი იჯდა (ქრისტიანი თეიმურაზ I, გამაპმადიანებული აბრილ ხანტანგინ ძე). მონაცვლეობა ფულისხმობდა მოიმე სამეფოების სიერთო ინტერესებიდან გამომდინარე ბუნებრივ მოკავშირეობას, ირანთან მორიგეობით დაპირისპირებას, რაც შეუძლებელი გახდა. 1647-48 წლებში, როდესაც თეიმურაზ I-ის სცადა ირანული ორიენტაციიდან „გაქცევა", ქართლმა ძველებურად ნეიტრალიტეტი კი არ გამოიჩინა, არამედ საკუთარი ძალებით გაიარეა „ნეიმბოხე" მეფე.

ამ ეტაპზე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში უკონტროლოდ გაბატონდა ირანი. მართალია, კვლავ გრძელდებოდა ირან-თურქეთის წინააღმდეგობა, რუსეთი საკარიდ ხელს ან იღებდა ქართველი ჯვეველების ქომაგობაზე, მაგრამ ირანს, ფაქტობრივად, ამ მხარეში სერიოზულად არავინ ეცილებეოდა. ახალ სიტუაციაში ქართველმა დიპლომატიამ მიატანა დროებითი მოწინააღმდეგე მხარეთა ურთიერთდაპირისპირებისა და მანევრირეთ მონაცვლეობის მეთოდი. საუკუნეები ნაცადმა ფაზდამ მწვავე კრიზისი განიცადა; ირან-თურქეთის ურთიერთდაპირისპირებაში მესამე ძალის, — რუსეთის შემოყვანამ და მასზე ნაადრევმა აქცენტმა დაიჩქარა 1614-1620 წლების კახეთის ტრაგედია, — მოგვიანებით ძირითად მოწინააღმდეგეებად გამოვიდნენ თურქეთი და რუსეთი, ირანი თავისებურ „გამაზავებელად" ხაუზაკალო ჯვეველად იქცა, მოსკოვშიც და სტამბულშიც დროები ეგუებოდნენ ირანელთა ყოფნას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ორივე მხარეს ეშინოდა ირანის დაცემით არ შექმნილიყო პოლიტიკური ვაკუუმი. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველთა პოზიციამ მართლაც დაიგრია სეფიანთა ირანი, მაგრამ ამას არ მოპყოლია ქართულ-კახეთის დამოუკიდებლობა. რუსეთის შემოჭრით დაშნეულმა თურქეთმა სწრაფად შეავსო ვაკუუმი და „ყიზილბაშობა" უფრო მიუღებელი „ოსმალობით" შეცვალა... ეს მოხდა გვიან, თუმცა ვახტანგ VI-ის პოლიტიკის კრახის მიზეზები უკვე როსტომის მმართველობის დროს ჩაისახა.

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქართველებისათვის ბრძოლის ორი განსხვავებული მიმართულება განვითარდა, ეროვნული ძალები როსტომისა და თეიმურაზ I-ის გარშემო დაირაზმნენ.

ქართველი ხალხისადმი წინაშე მთელი სიგრძე-სიგანეთი დადგა ურთულესი კითხვა „რა ვქნათ? რომელ გადავარჩინოთ საკუთარი მეთაურ[illegible] XVII საუკუნეში [illegible] ბრძოლის ლოზუნგს [illegible] I-ის ხალხისაკენ წარმოიშვა [illegible]

ლური მძიმობა. „ალარ ეგების მუდმივი ბრძოლა", ასე მსჯელობდა ქართველი თავადაზნაურობის ნაწილი. მათი აზრით საჭირო იყო ღრუბლებით უკანდახევა, ძალთა მოკრება, მით უმეტეს, უკვე შეცვლილიყო ირანის პოლიტიკაც... ამ ახალ თვალსაზრისს მხარს უჭერდნენ ვაჯარ-ხელახანთა და მოკალაქეთა წრეები, ანალოგიური პოზიციაზე გადავიდნენ მწარამოებელი ბახის მნიშვნელოვანი ფენებიც... ეს ორი კარდინალური მიმართულება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ალარ ატარებდა კუთხურ ხასიათს, იგი ასახავდა საზოგადოების მსოფლმხედველობის ორ განსხვავებულ პლატფორმას აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით (მოგვიანებით იგი გადაიზრდა საერთო-ქართულ მოვლენად, მაგრამ ჩაორეულნი აღმოჩნდნენ იმერეთი, გურია, სამეგრელო...), ანუ რომ არ შეიძლება როსტომის მხარეზე ქართლის არისტოკრატია, ხოლო თეიმურაზ I-ის დროშის ქვეშ მხოლოდ კახელები წარმოიდგენონ. რასაკვირველია, თითოეულ მხარეს ჰქონდა საკუთარი კონცეფცია იდეოლოგიური საკრედენციით და გამოკვეთილი არგუმენტაციით... თავდაზვე უნდა აღვნიშნოთ, ორივე მხარის ფრთიერთბრძოლა სწორხაზოვან ხასიათს ატარებდა, ან მხოლოდ ხმალი, ე. ი. ხრული გამარჯვება (რადგან იმ პერიოდში ირანი არ უშვებდა ქრისტიანული ფორმის ვასალურ დამოკიდებულებას), ან ეკონომიური. ორივე მხარეს დაკრავდა კონსერვატიზმის ელფერი... XIII საუკუნიდან მოკიდებული „ადგენა-გამოხსნისათვის" ხანგრძლივი ბრძოლა ამ სწორხაზოვან ალტერნატიულ ორკუთხედს ეხეირნებოდა; არ მოინახა ქვეყნის აღორძინების უკეთესი მეთოდი. ქართველობის ისტორიული გზასაყარი მოლოდ ორ მიმართულებას სცნობდა. ევროპაში მიმდინარე სოციალური ძვრები, საზოგადოებრივი განსაცდელის რევოლუციური პროცესი, რომელსაც შეიძლო ერთიანად გადაეკრა როგორც საშინაო, ასევე საგარეო პრობლემები, საკრთველოსათვის XVIII ს. ხოლოდ ზეცი ნიშნავდა დარჩა. ამიტომაა, რომ ხსნის გზა უმთავრესად საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის სახით გამოიხატა. ეს ერთგვარად პრიმიტიულ შინაარსს ანძლევდა ზოგჯერ თვით ყველაზე კეთილშობილურ ეროვნულ ზრახვასაც კი!

თეიმურაზ I-ის ქრისტიანულ-პატრიოტული პლატფორმა ალექსანდრე II კახთა მეფის საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის შეტევით ვარიანტს წარმოადგენდა. იგი უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა ირანს. ამ საკითხში იგი ამყალვნებდა შეუპოვარ თანამიმდევრობას, ეწინააღმდეგებოდა მტრისადმი ლოიალობის ხულ უწერის გამოვლინებასაც კი! როსტომ ხანთან ურთიერთობაში თეიმურაზ I უფრო თავდაჯერებული იყო, ვიდრე თავდაცველი. ახეთი თანამიმდევრობა პატრიოტული ძალების ბრძოლაში უდავოდ თანხვდებოდა მოელ ქვეყანაში. პატრიოტი მეფის აზრით რადიკალიზმი და რაც მთავარია მისი გამომჟღავნებული შმაგი ფორმებიც შეიცავდა გარკვეულ რისკსაც. თეიმურაზ I-ის რადიკალიზმი შეინიშნება მისი ოჯახისა და ნაბეღოოს ტრაგიკული ბედის შემდეგ. 1606 წელს კონსტანტინე მირზას ვერაგობის შემდეგ, რომლისაც ამ „უძღებმა შვილმა" ღალატით მოაკვლევინა მამა, ალექსანდრე II და საკუთარი ხელით დაჭრა ძმა, გიორგი, ქეთევანი ხათაეთი ჩაუფდა განმათავისუფლებელ ომს მამმადიანი კონსტანტინეს წინააღმდეგ და კახეთს დამოკიდებლობა აღუდგინა... შაჰ-აბას I-მა საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინი ბაბუე თეიმურაზ I-ს და კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაშასადამე, დასაწყისში შაჰ-აბას I-თეიმურაზ I-ის კონფლიქტი არ იყო პირიროვნული ხასიათისა. ჩვენ ვერ დავჯერებთ ამ მკვლევართა მტკიცებას, რომლებიც თვლიან, თითქოს თეიმურაზ I-ის ძირითადი საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია თავიდან ბოლოდგე რუსული ორიენტაცია იყო. თავიდან იგი ასახავდა კახეთის ირისტოკრატიის პატრიოტული ფრთის რეალისტურ შეხედულებებს. ამ ფრთას, ქეთევან დედოფლის მეთაურობით უეცლებლად მიეჩნდა ალექსანდრე II-ის პოლიტიკური პლატფორმის კორექტივი. მათი იდეალი უნდა ყოფილიყო ქრისტიანული კახეთი გარეგნულად „ირანულ საფარველით", რუსეთთან კავშირის შენარჩუნებით. ამ პატრიოტების შეცდომა ისაში მდგომარეობდა, რომ ვერც შაჰ-აბას I-ის განზრახვა გამოიცნეს დროულად და ვერც მე-17 საუკუნის დასაწყისში მიმდინარე რუსეთის სამოკლაკო ომის არსში ვიერკვნენ. საერთოდ კახეთის მმართველი ირისტოკრატიის საზოგადოებრივი აზრისეკენ ძალნი შეზღუდულად გამოიყურება. არც თეიმურაზ I-ს ჩამოუყალიბებია ანტიირანული პოლიტიკური კონცეფცია. მისი შემოქმედება მარტოოდენ პირიროვნული ნაღველის ამსახველია. მხოლოდ „ქეთევანის წამებაშია" მძაფრი პროტესტი. მეფე-პოეტი ემდურის სოფლის სიმუნდეს, ე. ი. ხელიწერის უკუღმართობას, ვიდრე ამ ნაწილ-ეროვნული ფიის კაცისაგან მოსალოდნელი იყო ქეთევნის მდგომარეობის გაანალიზება, მომავლის ბედზე დფიეჭრება, ძნელდებისისგან თავის დაღწევის გზების ძიება. ეს მის პოეზიაში არ ჩანს. უფრო მეტიც, როგორც პოეტი, იგი ალფრთოვანებულია „ხსარსული ენის სიტკბოთი", „ხსარსული ცხოვრების" წესით... რატომ არ შეინიშნება თეიმურაზ I-ის შემოქმედებაში ანტაგონიზმი ირანული კულტურისადმი? ქართველობის შენარჩუნება ხომ პირველ რიგში ქართულ კულტურის ფენომენურობის დაცვა ყოფილხმობდა? ...რის თუ არა წინააღმდეგობა თეიმურაზ I-ს, როგორც მეფე-პოლიტიკოსს და თეი-

ლეგვანდარ ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურაზ I-ის „ეს ბერიკა“ ვფიქრობ, რომ არა! მეფის პატრონყმობის მთავარი ელენტენსენი უფრო მოგვიანებით ჩამოაყალიბა მეორე მეფეპოეტმა, ასევე ტრაგიკული ბედის არჩილმა. ამ უკანასკნელმა, გადმოგვცა რა თეიმურაზ I-ის ცხოვრება, „ბაბასებაში“ იმ დროის იდეურობას, რიდესაც ვეძიებ მეფე ცხოვრობდა ლაღად. თავისუფლად და იღლებდა, ნადირობდა (მეხეველობაშია დაახლოებით 1607-1612 წწ.) სინანულით წამოაძახებინა თეიმურაზ I-ს:

„მენ ჩვენ ხელი იყო, ჩვენობა“...

ეს კვინტესენცია შესანიშნავად ახასიათებს თეიმურაზ I-ს და თვით არჩილის მწერმოსაფლველობასაც... საშინაო „დამოუკიდებლობა“ ლხინის, ნადირობის, ბურთაობის შესაძლებლობად არის წარმოდგენილი — აი, თუმცა რა ყოფილა „ჩვენობის“ ჩვენ ხელი ყოფნა! რამდენნაგ უნდა დამკრძალოდეო ქართველ მეფეთა პოლიტიკური თვალსაზრისი, რომ ახეთი „ჩვენობა“ მიეჩნიათ პოლიტიკური იდეალად! მიუხედავად იდეოლოგიური შეზღუდულობისა, თეიმურაზ I-ის თავგამოდება, მისი ბრძოლა ირანის წინააღმდეგ, თავისთავში მოიცავდა საქართველოს გამოსახსნის იდეასაც. ობიექტურად ეს იყო აპბეიური მცდელობა ქართული სოციალურ-ეკონომიური ინსტიტუტების შენარჩუნებისათვის, კულტურული თავისთავადობისათვის, „ყოველი საქართველოს“ ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება. თუ ვერც შაჰაბას I-მა და ვერც მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს მზაკვრული მიზნების განხორციელება, — ეს უპირველეს ყოველისა დამსაბუთებაა იმ რადიკალური მოძრაობისა, რომელიც „ყიზილბაშობისადმი“ ყოველგვარ კომპრომისს ბაძოდა... მაგრამ პატრიოტული ძალების ახეთ რადიკალიზმს ყოველთვის როდი მოჰქონდა დადებითი შედეგი. მოწინააღმდეგის ბანდერი პოტენციალი იმდენად აღემატებოდა ქართულს, რომ მკვეთრ კონფრონტაციას შესაძლოა საფრთხის წინაშე დაეყენებინა ქართველთა ეროვნული სახე. ამის კლასიკური მაგალითი იყო სამცხე-სათაბაგოს ბედი. გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციებში რადიკალიზმის შეუჩერებელ გამოვლენას, „ეკაბ ომისას“ უზომო ხანგრძლივობას, არაერთგზის მოპყოლია ამა თუ იმ ხალხის კატასტროფა თუ ეთნიკური გადაგვარება. ეროვნული ენერგიის მაჩვენებელი არაა მხოლოდ მოღერებული მახვილი, ერს უნდა შეეძლოს საჭირო შემთხვევაში დროებითი დათმობაც. ეს არის პარტაშონელი, უმოკაშინრო პატარა ხალხის ხვე-ბედი. — იგი უნდა დაეუფლოს შეგუების უნარსაც. შეგუებას — აქტიური მოლოდინით! „ამა ურუეთა შიგან დარჩენილნი ვართ“ — ამბობდა ჩვენი დიდი ნინასარი. დღის ნესრიგში იდგა „ამა ურუეთა შიგ დარჩენილთა“ არსებობის შენარჩუნება, რაც მოითხოვდა პირველხარისხოვან დაცვის მიზნით მეორეხარისხოვანზე ხელის აღებას. ტრის გენიალობა მდგომარეობს სწორედ ამ ორ ელემენტის ერთმანეთისგან გარჩევაში, დროის შესაბამისად ბრძოლის სწორი მეთოდის მიგნებაში. ეს, როგორ მიმართავდა ბატარიერ დოსიფოსი ირეკლე I-ს: „ზედამდრეთიან გაიძულ შენ, გამოგეცვალ მამაპაპისეული რჯული, მაგრამ შენ ეს ანგარეთი არ გაგეკეთ, არამედ გარკვეულ ანგარიშით, ეცოდე მიაღწიო ინ გაანგარიშებულ მიზნამდ, რომელსაც ისახავდი შენ წმიდაცესად რჯულის გამოცვლისას, მტკიცეზე უფრაცესად მისდეე ამ მიზნის და ეროგიულზე უერთგულესად იღწვიდე მის მისაღწევად. შენი მიზანი იყო, რომ გარეგნულად უკეთ რჯულისად მოგეჩვენებინა თავი, გულში კი მართლმადიდებელი ქრისტიანი ყოფილიყავი, რათა ამ გარეგნულობის წყალობით ურჯულოებთან ურთიერთობა მოგვეგვარებინა და ამით ბევრი სარგებელი მოგვეტანა. შინგანაგან ღვთის საკურთხეველისაკენ გაგეწია სამსახური, რათა მისი პატიოსნება დაგეცვა... რაც შეეხება ურჯულოებს, მოაგალეთ ისინი, გაეცინე მათ, იცინეე, თუ საჭირო იქნება დაუფიცე კიდეეც, ოღონდ ეკ სამშობლოს ხიკეთე მოუტანე“. ამას ამბობდა კათალიკოსი, ქრისტიანული ზნეობის საკეთმპყრობელი. ეს მაშინ აუცილებელი იყო. ანალოგიური ეროვნული თავგანწირვის შეფასების კრიტერიუმიც, ეროვნული იდეოლოგია ქართველობისათვის თავგანწირვას მაშინ სთხოვდა სიწმინდედ, თუ აქტი ზუსტად პასუხობდა უმთავრეს კრიტერიუმს — საკართველოს გადარჩენის საკმეხ... ლუარსაბ II-ს მიერ ქრისტეს რჯულის დაცვა სიწმინდედ იქნა აღიარებული, მაგრამ მის ბაბას სიმონ I დიდს, მაამბალიანობაზე გადასვლა ჩაეთვალა ფაქტიურად სწორ ნაბიჯად. ქეთევანის დაფერილი ხასხლი ქართველობის წმინდა ნანაურად იქცა, ირანისა და თურქეთის მარეგმებში გაგზავნილი სხვა ქართველ პრინცეცებს კი მაამბალიანობით უნდა შეერბილებინათ აღმოსავლეთის დესპოტთა რისხვა... ესეც თავიანტერი თავგანწირვა იყო. მაშასადამე, მიუხედავად იმ უდიდესი როლისა, რომელიც XVII საუკუნის შუალეფზე შეასრულა ქრისტიანულ-პატრიოტულმა მოძრაობამ, თეიმურაზ I-ის მეთოდრითი ქართველი ხალხის ეთნიკური სახის შენარჩუნების საკმეზი, მას ახლდა ზოგიერთი უხერხულობა. მკვეთრად აღიზიანებდა გარეშემცველ მაამბალიანურ ხასკარის, რომელსაც ჩრდილოური ქრისტიანული გულიათის დაკიენებიდი. აშკარა მოპაკიეებით საბედისწერო დეფექტი იწვევდა. იგივე მოძრაობა არ იძლეოდა ესოდენ აუცილებელი მშვიდობიანი შესვენების საშუალებას. ამიტომაც, ქართულ-ალბეთის მოხასლეობის თითქმის ყველა ფენაში, ქრისტიანულ-პატრიოტული დასისადმ ბუნებითი სიმპათიის შენარჩუნებით, არაერთი მხარდამჭერი აღმოაჩენდა მის პარალელურად მიმდინარე „ირანოფილურ“ კომპრომისულ-ლოიალ-

ლურ ხაზსაც. „როსტომისეული სტატუსი" ერთბაშად არ დამკვიდრებულა, იგი თანდათან ჩამოყალიბდა. თბილისში არაერთგზის მყოფმა მამმადიანი ხელისუფალი (სიმონ I დიდი, დაუოსანი, ბაგრატი, სიმონ II და ა. შ.), როსტომის მმართველობა უნიკალურო მოვლენა იყო, ირან-საქართველოს ურთიერთობის ახალი ფორმა. სწორია ინგლისელი ისტორიკოსის დ. ჭ. ლენგის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ამ პერიოდში შეიქმნა ირან-ქართველთა სახელმწიფოებრივი „ალიანსი". ისტორიოგრაფიაში სამართლიანად მითითებულია, რომ როსტომ ხანს მმართველობას მოჰყვა აუცილებელი ხიმწვიდე, დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიურ აღორძინებას (მე-17 საუკუნის ქარ-თლის მამმადიანი მეფეების ეკონომიური შესაძლებლობანი უფრო მაღალია, ვიდრე გიორგი-ანებული ქართულ-ახეთის მეფის ერეკლე II ფინანსიური საშუალებანი მე-18 საუკუნის II ნახევარში). შეცდომა იქნებოდა ყვეფიქრა, როსტომ ხანის პოლიტიკური სიმყარე მხოლოდ მი-ნი მმართველობის ეკონომიურ ეფექტს ემყარ-ნოდა — მთავარი ის იყო, რომ „მუს-ლიმანური საფარველის" ქვეშ, დასაწყისში, — ქართველობა ინარ-ჩუნებდა არა მარტო ფიზიკური არსებობის გარანტიას, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ინსტი-ტუტებსაც და კულტურულ-კონ-ფესიონალურ თვითმყოფადობა-საც. მაშასადამე, როსტომმა ამამარტო მამმა-დიანობა (მამმადიანობა საქართველოში ყოველ-თვის ადგილობრივ მოვლენად განიხილებოდა და არც მეფეთა განდგომა „ქრისტეს რწყლი-საგან" იწვევდა ზოგს!), არამედ ირანთან და-მოკიდებულების მთელი სისტემა, ხან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა არისტოკრატიამ თითქმის დაკარგა ეროვნული სახე. ირანმა კინაღამ შეიწოვა ქართლი. ირეკნებენდა არა მარტო რელიგიური მრწამსი —ფეოდალური კულტურის ერთ-ერთი კოშკნენები, არამედ თვით ფეოდალური კულტურა — ფეოდალური ეროვნების განმსაზღვრელი ნიშანი. ფუეშმოდ „გასპარსელება“. ქართველ ფეოდალებს მაჰმადიანობა მზოლოდ ირანში წარმატების მისაღწევად როდი სჭირდებოდათ. ერთადეიცით თვით ქართლის შეგნითაც, როგორც სამეფო კარზე, ასევე ადგილებზე დანიშნული მოხელეები ისპაჰანში უნდა „დიემტკა ეს ბინათ“. „დიმტკიცებისას“ კი ვალდებულ უკეთ მნიშვნელობა ენიეზებოდა ოფიციალურ ფუქტორს — „ამ-ზმადანებას“ გინდა „უცხო სამსახურის“ მიკრობი. ამ პროცესსა დიდად შეიშფოთა ქართული საზოგადოების „ნანაცი ნაწილი, რომელიც სრულიადაც არ იყო თანაბმა ირანთან კულტურულ-იდეოლოგიური თვალსაზრისითაც დაეშვა კომპრომისი. ასეთი კომპრომისი იწყვედა პერპანენტული, უნებლიე „ლალატის“ რეაციდოვებს. გვიანი შუასუკუნეების საქართველოს ისტორია სინთალია და სიბნელის. ე. ი. სიკეთისა და ბოროტების. გმირებისა და მოღალატეების უთიერთშეკავების ისტორიაა. სახეფინეროდ, კარგადაა წარმოდგენილი პოლიტიკურ მოღვაწეთა კრიტერიუმები, არ აკლიათ დიდება გმირებსაც... სამაგიეროდ სრულიად შეუსწავლელია ფეოდალური ეპოქის ეპრმანენტული დეგრადაციის ფსიქოლოგია. ამიტომაც აუხსნელი დარჩა ერთი უცნაური მოვლენა. ქართული ქვეყნების პოლიტიკური დაკვეშდებარება დიდ იმპერიებზე ძალზე ზშირად ჰქმნდა უნებური, თავიდან აუცილებელი და ბუდმივი ღალატის ნიადაგს. ეს იყო ქმედება, როდესაც სამშობლოს ტერიტორიები ბაღალი იდეალებით განმსაკვალული პატრიოტი მოკალაქეც კი თავის უნებლიედ თვითონვე უწყობდა ხელს სამშობლოს მსყრობელის განმტკიცებას. იდგა ურთულესი ეპოქა, ძალზე ზშირად სამშობლოს გადარჩენის გზა გადიოდა „ხელმდებლის“ დაცვაზე. ჩვენი თვალსაზრისის ნაილუსტრაციოდ ავიღოთ ორიოდე მაგალითი: მონგოლთა უანების კატეგორიული მოთხოვნით ქართული ლაშქარი ბუდმივად იბრძოდა მათ ომებში, რომელიც უცნო იყო საქართველოსათვის. უარი გამოეწვევდა სასტიკ რეპრესიებს, მაშასადამე ომებში მონაწილეობაც საქართველოს დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი ფორმა იყო, აუცილებელი, საჭირო, თუმცა ძნელი და სიხსნელისგან დამცველი. ქართველი ლაშქარი, ხმალს იქნევდა რა მონღოლთა სასარგებლოდ, ხუთვალის მიუხედავად ხელს უწყობდა თავის დაკნინებული პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობას. თვით ამ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთმანეთს ებრძვიდნენ საქართველოსა და მპყრობელი იმპერია. ინტერესები და აზრთა იყო ასეთი ერთიანლილი ბრძოლითის საჭიროება ჩვენი ქვეყნისათვის, გამარჯვებული ქართველობა ასევე უნებლიედ ახანგრძლივებდა საკუთარ დაკვეშდებარებულობას ხხვაზე. 1609 წელს გიორგი საკაძემ სასტიკად გაანადგურა ყირიმის ხანის არმია... დიახაც ქართლი აობრებისაგან, ამავე დროს დიდი სამსახური გაუწია შაჰ-აბას I-ს. ქართლში გაბაგტაცია ირანელების ბატონობაც. ყირიმის ხანი მზოლოდ ნადავლისათვის არ მოვიდა. მისი ლაშქარი იმიტომ უტაედა ქართლს, რომ იგი ირანისათვის გამოეკლიჯა. ე. ი. გიორგი საკაძემ გადაარჩინა სამშობლო, მაგრამ მოესახურა იმ ქვეყანასაც, რომელიც მის სამშობლოს რკინის მარწუხებს უკერდა.

ალსანიშნავია, რომ არც ხელმდებელი ქვეყნის დამბოსას მოაქონდა თავისუფლება. საქართველოს მბერი კი არ კაკავდა, მას მტრები აუუხსნდნენ. ერთის დაცვა, მეორის გაკტიეურება იწვევდა. ვახტანგ VI-ს ხელი შეუწყო ირანის მსხვერვას, მაგრამ თვითონაც დაკარგა სამეფო თურქთა მძლავრობისაგან... თურქთა მძლავრობა კი გამოიწვია ირანელთა დაცემამ: სად იყო ბამოსასვალი? ქართველებს ან საკუთარი დამოუკიდებლობის განსაკუთრებული კოლიტიკური კონცეფცია უნდა შეეძენათ და პრაკტიკულად გამეტარებინათ, ან „აღდგომა-ბამოსსნა“ ტრადიციულად საბარეო ორიენტაციისუ აეგოთ და მოეკიბნათ მესალები მფარველი-მოკაკბშიე, როგორც, როგორც საბარეო ფარგატება, ასევე შინაგანი განვითარება საქართველოს გზას გაუხსნიდა ეროვნულ-საკენ. გაგიდა ხანი. ქართველობამ ვერ ეპოვა „ბამოსსნის“ ეროვნული გზა და ითვლი თვალი მიაკერო რუსეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

ჩვენი დუმილის პასუხად...

ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ზოგჯერ ჩნდება ისეთი ფაქტები, რომელთა მიმართ წაყრუება ყოველად მიუტეგებელია.

ჩვენ შევეგებეთ გაზეთდებულ ქება-დიდებას, შევეგებეთ ჯერ ცალკეულ ფაქტებს, შემდეგ კი ამ გადაკარბებული ხოტბის საყოველთაო სტილს, რომელიც სადაცაა მთელ კულტურულ პროცესს მოიცავს.

ფხიზელი საზოგადოებრივი აზრი სწორედ ცალკეულ ფაქტს ვერ უნდა ითმენდეს, რადგან თუ ტენდენცია სათავეშივე არ ჩაიხშო, ცხადია, იგი შემდგომ სრულ გაბატონებას შეეცდება.

ჩვენ, ყველანი, პასუხისმგებელნი ვართ ჩვენი ლიტერატურის აწმყოსა და მომავლის წინაშე! უცნაური კია; ყველამ, ვისაც კი ნებისთა თუ უნებლიეთ დაუკავშირდა ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული ხოტბის ეპიდემია, პანეგირიკები და დითირამბები, ჩვენზე უკეთ იცის ამ მოვლენის საშიშროების შესახებ. იცის, რას აზიანებს იგი კულტურული ცხოვრების პროცესსა. იცის, რას მოახწევებს ეს მოვლენა, მაგრამ ჩვენი პასიურობისა თუ აუხსნელი შინაგანი მხარდაჭერის წყალობით დღითი-დღე, ნაბიჯ-ნაბიჯ ისე შემოგვეპარა ეს ავადმყოფობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი ცხოვრების წესად მოგვეკალნა.

გარდაცვლილ მწერალთა ლანდები არ მინდა შევაწუხო. უცარცველეს ყოველისა, დღეს მოღვაწე მწერალთა და მეცნიერთა საიუბილეო თარიღები მაქვს მხედველობაში.

კეთილშობილურია სურვილი, როდესაც გვინდა პატივი მივაგოთ გამოჩენილ ადამიანს, ალვნიშნოთ მისი დამსახურება, ეოქვათ, რა გაუკეთებია, რისთვის ვემადლიერებით. დაფასების უნარი კულტურული ცხოვრების ერთი აქტორი გამოვლინებაა. დროულად და ზუსტად ნათქვამი მადლობის სიტყვა შემოქმედისა და მეცნიერის მშრომელისა და სახელმწიფო მოღვაწის ძალებს აათკეცებს, ახალგაზრდულ ენთუზიაზმს და შემმართებლობას ანიჭებს. ამგვარ სიტყვას შეუძლია ცხოველმყოფელი ზეგავლენა მოახდინოს საერთოდ შემოქმედებით ნაყოფიერებაზეც.

მაგრამ, უნდა გამოტყდეთ, ხშირად ჩვენ ორ უკიდურესობაში გადავვარდებით ხოლმე: ან სრული უყურადღებობით ვღუპავთ შემოქმედს, ან ჩვენი გულისხმიერება ყოველგვარ საზღვარს გადადის და ადამიანის დამსახურებათა ზღაპრული გაზვიადებით ასეევ ვღუპავთ შემოქმედს, გამანადგურებელ ზეგავლენას ვახდენთ შემოქმედებით სიფხიზლეზე.

გადაკარბებული, ყოველგვარ ზომას გადაცილებული ხოტბის უამრავი ფაქტი დაგროვდა, ეს სტილი უკვე ფართოდ მოედო ჩვენი ეროვნულ-გაზეთების ფურცლებს და შეგვიქმნა ისეთი განცდა, თითქოს ყველაფერი ეს კანონზომიერი, ზუსტი და ჩვეულებრივი ამბავი იყოს. თითქოს სწორედ ასე უნდა ვაქებდეთ, „გულს ვუთბობდეთ", ცაში ავგუყვდეს... ქება-დიდების ამ სტილმა თავისი სისტემა შექმნა უკვე, თავისი ხაზომები დაამკვიდრა, თავისი კრიტერიუმები მოგვაფიქა თავს. თუ იმ ხაზომებს ანგარიშს არ გაიწევ, თუ იმ კრიტერიუმებს არ მოერკვი, შესაძლოა, შენი მოზომილი სიტყვა უადგილო ლანძღვად გაიხმას ამ ქებით გაბერებულ ცის ქვეშ. შესაძლოა, შენი სიტყვა სიძულწენის, უგულობის, უხიყვარულობის გამოხატულებად იქნას მიჩნეული.

მაგრამ ქება-დიდების ავადმყოფური წესი იმდენ ძირეულ მოვლენასთან არის დაკავშირებული, ჩვენი სულიერი ცხოვრების ისეთ არსებრივ ფაქტებში იღებს დასაბამს, რომ გამორიცხული ამ სტილისადმი შეგუებაზე ლაპარაკი. არ შეიძლება უბარალოდ ფიზიოლმა ხაზო გადიბრივმა აზრმა ეს სტილი შეიოეოსოს, ახსარეზი საბოლოოდ დაანგოს მას. როდესაც გავიხსენებთ იმ კონკრეტულ სიტყვებსა და გა-

მონაფეფვამენს, რაც ამ სტილმა მოიტანა, ნაოელი ზეიერება, რაზეა ლაპარაკი.

ამგვარად მკითხველის ყურადღება უნდა გადამახვილოთ ერთ უაღრესად დამახასიათებელ ფაქტზე. ეს ფაქტი ერთი რიგითობის ფარგლებს ცოლდება, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო ივარაუდება მასში. ამ ფაქტს უკავშირდება სწორედ ის წესი, რომელიც უაღრადღებობით შემოგვეპარა, თუ ჩვენი აქტიური მხარდაჭერით დავამკვიდრეთ. ეს ფაქტი იმ საერთო სტილიდან ამოიზარდა, ჩვენი ცხოვრების წესის პროდუქტია იგი.

ჩვენ ბევრჯერ გავჩუმებულვართ და ჩვენი დუმილით მოვადუნეთ კრიტიკული აზროვნება, დავამბეთ კრიტიკოებები, ავრიეთ საზოგადო. ჩვენ ყველანან და ყოველთვის გვახსოვს, რომ კრიტიკული აზროვნება აუცილებელია ლიტერატურული და კულტურული პროცესის ალმავლობისათვის. ჰაერივით აუცილებელია! ჩვენ ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ კრიტიკის მნიშვნელობაზე. საბუნებაოდ, მას შემდეგ უფრო მეტი თავგამოდებით, რაც ცნობილი დადგენილება გამოქვეყნდა „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ". ჩვენც თავი გამოვიდეთ და არ გვწუნდება ამ დადგენილებასთან დაკავშირებით მოსაზრებათა ათასგვარი ვარიანტის გამოქვეყნება, დისკუსიების გამართვა კრიტიკის დანშულებასა და მოვალეობაზე. არც მის ნაკლზე, არსებით ნაკლზე შეძახილები არ გვწყინდება. თითქოს ობიექტური მიზეზებიც მოვიძიეთ კრიტიკული აზროვნების პასიურობისა, თითქოს გულწრფელნიც ვიყავით, როდესაც საბრალოან, ზომიერ, კულტურულ პრინციპულ ობიექტურ კრიტიკას ვითხოვდით.

სამწუხაროდ, ყველაფერი ისე წარიმართა, რომ სწორედ კრიტიკულ აზროვნებას არ გაეგმართა მუხლი. ეს დიდი გულისტკივილია, დაკავშირებულია იგი ქართული ლიტერატურის სასიცოცხლო პროცესთან და ამიტომ არის დიდი გულისტკივილი. ფაქტია, რომ ჩვენ ბევრჯერ გავჩუმებულვართ და ჩვენი დუმილით გალალებული ქება-დიდების ენებათაღლეცა თავისას აკეთებდა. სანამ გაზეთიდან ეინიციავან გამოვალ მოელ გზას და კონკრეტულ ნიშნსეტებს მოვაგონებდე მკითხველს, მანამ სწორედ იმ ფაქტს ეხება ჩავუფიქრდეთ, რამაც დაკვირვებენა ჩვენი არასწორი ცხოვრების წესი.

მე შემთხვევით არ მოთქვამს ჩავუფიქრდეთ-მეთქი. ჩვენ ყველამ ერთად, როგორც ერთმანეთის მოყვრებმა და ქართული კულტურის პატრიოტებმა, არ შეიძლება არ ვიფიქროთ ამაზე. ეს წერილის მიზანი არ არის საკვლევი უთხრას ვინმეს. უფრო დიდი მიზანი აქვს მას! უშველავთო საკვლევი ჩვენი ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ერთ მეტეხ-მეტად მახინჯ წესს ეხება, წესს, რომლის ნაკოფიც გახლავთ ნაგულისხმევი ფაქტი. საკვლევი ეხება ავადმყოფური ქება-დიდების წესს, რომელიც ჩვენ მოვიმარჯვეთ ჩვენს ურთიერთობაში. თუ რას ეზიანებს ეს წესი ჩვენ ერსა, ჩვენს კულტურულ პროცესში, ამაზე ცოტა ფფერი ქვემოთ.

თუ სერიოზულად არ ვიფიქრეთ ამ მოვლენაზე, ჩვენ ძალიან გაგვიკვირდება ხვალ.

ერთი წამითაც არ მინდა ვინმემ განკვეცნიოს და მტრობის სურვილი ამოიკითხოს ამ წერილში. საქმე ეხება სერიოზული დამსახურების მქონე ხალხს. არც ის მინდა, ვინმემ რეკვერანსად ჩამითვალოს წინასწარი გაფრთხილება. უბრალოდ ამ სიფრთხილის მკარანამს ერთი მაგნე ტენდენციი, რომელიც ჩვენს სიამდვილეში მოყვრის პოზიციებიდან სათქმელ კრიტიკულ შენიშვნას მწერლისა და მეცნიერის შეურაცხყოფისაკენ უბიძგებს ხოლმე. ეს კი დაუშვებელია.

ირაკლი ანაშიძე ნამდვილად არის ის პიროვნება და ის პოეტი, ვისზეც შეიძლება ითქვას თბილი სიტყვა, ვისი დამსახურებაც უნდა აღინიშნოს. მაგრამ სიყვარულის და პატივისცემის გამოხატვის ფორმები ითხოვს განსაკუთრებულ ტაქტსა და სიფრთხილეს, რათა არც საკვირველი მწერალი და არც ჩვენი თავი უხერხულ დღეში არ ჩავადოთ, რათა არ ავრიოთ ყოველგვარი საზოგადო და ისეთი რამ არ ვუთხრათ პოეტს და მოკალაკეს, რაც, თუ გულწრფელად ვალიარებთ, ალაშფოთებს ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს.

მე არ მინდა ვინმეს საქმეი სიტყვების ზომაწონა დავადგინო, მაგრამ საესებით ბუნებრივი და მისაღები მეჩვენება ირაკლი ანაშიძის ბისამართით თქმული ასეთი შეფასებანი:

„ნება მიბოძეთ საკრთველოს საისტორიო საზოგადოების 9000 წევრიანი კოლექტივისა და ლიაკისკვეშა მუზეუმის თანამშრომელთა სახელით მოგიილოცოთ თქვენი დაბადების 70 წლისთავი და გისურვოთ ყოველგვარი სიკეთე, ბედნიერება, ჩრავალჟამიერი ნაოოცოდნ. ახალი და ახალი შემოქმედებითი მიღწევები (გეორგი ჩიტაია).

„თქვენნი ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმშვენიერესი ფურცელია რუსთველის 800 წლისთავის იუბილე" (აკაკი სურგულაძე).

„შემთხვევითი რადია, რომ თქვენთან შეხვედრა მოიწეო აქ, ამ სავანეში, სადაც თავმოყრილია ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის, მისი ყოფის ბერის მომსწრე და ბევრის მთქმელი ძეგლები. ქართული ხეროოთ მოძღვრული ხელოვნება ხომ პოეტურ შემოკმედებასთან ერთად ის დარგი წარმოადგენს, რომელშეც უზადოდა გამოვლენილი ჩვენი ხალხის გენი" (ლონგინოზ ხუმბაძე). თავის სიტყვაში პატივცემულო ელ. ხუმბაძე შეგვახსენებს, რომ ღია ცისკვეშა მუზეუმის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი ირაკლი ანაშიძე გახლდა.

„საქართველოს საისტორიო საზოგადოება 8-6 ირაკლი ანაშიძეს თბილისის საპატიო მოქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

... მაღალი წოდების მინიჭებას რომ ულოცავს, ... ეს, ირაკლი აბაშიძის როგორც პოეტის და მოკალეების მრავალ დამსახურებასთან ერთად, ერთი სრულიად კონკრეტული ფაქტორიც აპირობებს. 8-ნი ირაკლი ბრძანდება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მოვლენებისადმი მიძღვნილი ალიერთი ბრწყინვალე ლირიკული ლექსისა და თბილისის შესახებ შესანიშნავი პოემის „რას გადაურჩა თბილისს“ ავტორი“ (მარიან ლორთქიფანიძე).

ამოსაწერების მოტანას ალარ გავაგრძელებ, თუმცა, საამოწმებლად, ამგვარი, შედარებით ზუსტი და თავდაჭერილი შეფასების შემცველი ადგილები არცთუ ადვილი დასაძებნია ინ ზღვარ. გადასული ქება-დიდების სიტყვებში, რაზეც გვიხდება საუბარი.

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა ირეკლი „ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში“. ირეკლი მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ.

ანოტაციაში აღნიშნულია: „საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ (თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია) 1980 წლის 31 ოქტომბერს შეხვედრა მოუწყო პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს. ამ გამოსვლიდან მთის საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის შესახებ. ი. აბაშიძემ შეასრულა საპატიო წევრის რიტუალი. ღია ცის ქვეშ მუზეუმის ერთ-ერთ კუთხეში დარგო ბოხა.

წინამდებარე ირეკლაში დაბეჭდილია ქართველ მეცნიერთა მისალმებები ძვირფასი სტუმრისადმი“.

ზემოთ მოტანილი ამონაწერებიც და ანოტაციაც არაფერს შეიცავენ საჩოთირის. და მე ისინი დავიმოწმე მხოლოდ იმისათვის, რომ მიმენიშნებინა ზუსტი, მოწმიანი სიტყვის უბრალოებასა და სიმშვენიერეზე. როგორ კეთილად განგაჯეროს ასეთი სიტყვები, როგორ ეიმსჭვალებით მისი ზეალმფიანი ადამიანისადმი პატივისეცემით.

მაგრამ აღნიშნულ ირეკლაში ასეთ შეფასებებს ჩვენ იშვიათად ვხვდებით. სიტყვების უდიდესი ნაწილი გაჟღენთილია დაუოკებელი, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული ხოტბის სულისკვეთებით. ფაქტიურად ხოტბად ქცეული ქებაგანი ამგვარი ხოტბით არის დაპყრობილი.

ეტრეთ, გიორგი ჩიტაიას სიტყვაში ვკითხულობთ: „თქვენ მიეცით დასაბამი და ანვითარებთ ქართული ფილოსოფიურ პოეზიას“.

არ შეიძლება ასეთი შეუწყნარებელი შეცდომის შეწყნარება, რადგან ჩვენ ერთი ხელის მოსმით ვანადგურებთ ამ სიტყვებით შეხედულებას იმ უზარმაზარ მემკვიდრეობაზე, რასაც სწორედ ქართული ფილოსოფიური პოეზია ჰქვია. გიორგი ჩიტაიას გამონაკლვამი, ცხადია, კოეენტარს არ საჭიროებს, მაგრამ ამგვარი გამონაკლვამების მიხამართით მე მაინც უნდა გავაკეთო კომენტარი, რადგან სწორედ იმიტომ, რომ კომენტარის გაკეთება ზედმეტად ჩავთვალეთ თავის დროზე უამრავი ფაქტის მიმპარი, დაიბადა ასეთი შეხედულებანი, დაიბადა სერიოზულ მეცნიერთა წრეში, ოფიციალურად ითქვა და წოვნადაც დაიხამბა. კრებულის ტირაჟი 5000 ცალია. თავიისთავად არც ეს არის პატარა ტირაჟი, მაგრამ მასში გამოთქმული მსგავსი შეხედულებების გამო დღეს ეს კრებული ხელიდან ხელში გადადის და მოელმა საქართველომ წაიკითხა.

ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს კულისებში ვიერაკოლოთ და ერთმანეთს სატყვა დროზე არ შევუსწოროთ. კულისებში ქირქილი არ უნდა შევაკდროთ არც პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს, არც გიორგი ჩიტაიას, აკაკი სურგულაძეს, ლონგინოზ სუმბაძეს, მამია დუმბაძეს, იური კაკაბაძეს, მარიან ლორთქიფანიძეს, დავი სტურუას, როინ მეტროველს და ანერია აფაკიძეს. მე არ შევახსენებ მკითხველს მათ სამეცნიერო ტატულებს, რამდენადაც კრებულში ამის შესახებ თავად არ მიუთითებენ. ვფიქრობ, ისედაც კარგად ვიცით მათი მეცნიერული დამსახურებანი. კულისებში ჩურჩული არ ცვლის ფხიზელ საზოგადოებრივ აზრს. პირიქით! თუ კულისებში ვატრიალეთ ჩვენი ფამოკიდებულება და აზრი, ეს იმიტომ ვალეთ ... ჩვენს არასრულფასოვნებაზე, ეს იქნება იმის დასტური, რომ შინაგანად არა ვართ მზად სათანადოდ ვაფასებდეთ ჩვენი სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტს, შინაგანად არა ვართ მზად სერიოზულად ვედგებოდეთ ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. თუ ჩვენ მართლა ვირწმენეთ, იმის მსგავს მოვლენებზე კულისებში უნდა ვილაპარაკოთ და არა საჯაროდ, მაშინ არავითარი უფლება არ გვრჩება თუნდაც გულში გავიფიქოთ საყვედური, მაშინ ჩვენ ღირსნი ვეოფილვართ ამ მოშლილი საზოგადების, დაკარგული კრიტერიუმების, მაშინ ჩვენ უნდა ვეელოდეთ უფრო ურარეს ფაქტებს და არც უნდა გვიკვირდეს მათი გაჩენა და გამრავლება.

ამიტომ არის საჭირო სერიოზული რეაგირება ყველაფერზე, რაც ჩვენი ზედაპირული დამოკიდებულების გამო მხოლოდ ღიმილისმომგვრელი გაუგებრობა გვგონია.

დავუბრუნდეთ სიტყვას ქართულ ფილოსოფიურ პოეზიაზე. თუ ვინ მისცა დასაბამი ქართულ ფილოსოფიურ პოეზიას, ამის თქმა ძნელია, რადგან ბევრი ლიტერატურული ძეგლი გაგვინადგურდა წარსულში.

როდესაც არსებობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, უნდა ვიეულისხმოთ, რომ ქართული ფილოსოფიური პოეზია რუსთაველამდე აიღება დასაბამს. „ვეფხისტყაოსანი“ თავისთავად გულისხმობს ქართული ფილოსო-

ჯაბანელ ლეონიდეს
ჩვენი ფოტოლის პასუხად

ფიური პოეზიის დიდი სკოლის არსებობას. თვითონ „ვეფხისტყაოსანი“ კი უნიკალური განსახიერებაა ფილოსოფიური პოეზიისა. აქ კი ზედმეტი მეჩვენება კომენტარი. საკართველოშ იცის ამის შესახებ. როდესაც ირსებობს „ვეფხისტყაოსანი“, გურამაშვილი, ბარათაშვილი, ილია, ვეფა და გალაკტიონი (ვგულისხმობ არც აკაკის პოეზია უნდა იყოს დიდ სიბრძნეს მოკლებული!) და როდესაც ირსებობს ამ უდიდესი პოეტების მიერ დამკვიდრებული ფილოსოფიური პოეზიის ოკეანე, დაუკვირვებელი განცხადება ვვგონია ასეთი რამ: „თქენ მიეცით დასახამი და ანვითარები ქართული ფილოსოფიური პოეზიაზ“. იქნებ, სიტყვებია ამ წინადადებაში ცუდად დალაგებული, იქნებ, სხვა რამ, უფრო ნიუანსები ჭკნნდა მხედველობაში პატივცემულ გიორგი ჩიტაიას. ფაქტია, რომ ეს სიტყვები შავთ თეთრზე წერია და არაფრით არ შეუხებიმეა ეკმშარიტებას. ფაქტია, რომ ეს სიტყვები ირაკლი ბაბუიეს არასახარბიელო პოზიციაში აყენებს. ზემოთ ჩამოთვლილ ტატანია უნიკალურ მემკვიდრეობასთან ირაკლი ბაბუიძის პოეზიის გათანაბრება არ შეიძლება და მით უფრო არ შეიძლება ამ საუკუნოვანი, დიადი პოეზიის დავიწყება და ფილოსოფიური პოეზიის დახაბამად და განვითარებად ირაკლი ბაბუიძის ლეკვების გამოცხადება.

ირაკლი ბაბუიძე არის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) საინტერესო წარმომადგენელი დღეკვანდელი ქართული პოეზიისა, რაც შეეხება ფილოსოფიური პოეზიის დახაბამს და მის განვითარებას, ეს ქართული პოეტური აზროვნების უმდიდრეს გზასთან და უდიდეს პოეტებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მასზე საუბარი მეტ სიფრთხილეს გვავალებს. დიახ, უნებურად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავაგდეთ ირაკლი ბაბუიე, უხერხულ პოზიციაში აღმოჩნდა თავად პატივცემული გიორგი ჩიტაიაც. უბრალოდ ამ უკანასკნელის კეთილგანწყობას მოუზომავმა სიტყვამ ცივი წყალი გადაასხა.

სურვილებია და ოცნებებისათვის ადამიანს არ განიკითხავენ, მაგრამ მეჩვენება რომ, როდესაც გიორგი ჩიტაია ირაკლი ბაბუიძეს უსურვებს: „ღმერთმა შეგაძლებინოთ ჩვენი დროის შესაფერისი „ვეფხისტყაოსანის“ შექმნა“, მა მართლაც უსიძვა რაღაცამ თავდუმერელი დითირამბებისაკენ. „ახალი ვეფხისტყაოსნის“ შექმნაზე ქართველი ხალხი მართლაც ოცნებობდა და ოცნებობს. არ ვიცი, რამდენად აუცილებელია ფანტაზიდამაინც „ახალ ვეფხისტყაოსანზე“ ფიქრი და ოცნება, მაგრამ ფაქტია, რომ გურამაშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვეფას და გალაკტიონის პოეზიაში ვერ პოულობს ქართველი ხალხი რუსთაველის უნივერსალური პოეზიის ბადალს და ამიტომ თუნდაც სურვილსა და ოცნების ფორმითაც არ უნდა ჩამოთუვდოთ სიტყვა ამ საკითხზე ჩვენს თანამედროვე პოეტებს, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართული პოეზიის განვითარებაში. აქვთ მნიშვნელოვანი წვლილი, მაგრამ ხომ არ შეიძლება მათი დამსახურება ისე ეზარდოთ ბელინსკურად, რომ რომელიმე მათგანს „ახალი ვეფხისტყაოსნის“ შექმნა ვუსურვოთ, რაკი გურამაშვილმა, ბარათაშვილმა, ილიამ, აკაკიმ, ვეფამ და გალაკტიონმა ეს სურვილი თურმე ვერ აუსრულეთ თავის ხალხს?

მსოფლიო აღიარება ძნელი მოსაპოვებელია. ჩვენ ხშირად მსოფლიო აღიარებად ვთვლით. თუკი საზღვარგარეთის რამდენიმე ჟურნალში რომელიმე მწერლის წიგნი დაიხატბმა, თუ ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს რამდენიმე ქვეყნის რამდენიმე წარმომადგენელი იცნობს. ახე ვიტყუეთ თავს! სინამდვილეში მსოფლიო აღიარება მეტისმეტად რთული პროცესია და ახე იოლად არ მიიღწევა. მე არ შევუდგები იმის ანალიზს, თუ რას გულისხმობს ეკმშარიტი მსოფლიო აღიარება, ის კი მინდა ვთქვა, რომ პატივცემული გიორგი ჩიტაიას სიტყვები „თქენნი ბუღლ, ცნობა და ოონება“ გახცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიო აღიარებაც მოიპოვა“ არ შეეფერება სინამდვილეს. თუ ჩვენ ახე დავარწმუნეთ თავი და დავარწმუნეთ ხალხიც, რომ ჩვენი მწერლების ყოველი წიგნის გამოცემა ამა თუ იმ ქვეყანაში უკვე ნიშნავს მსოფლიო აღიარებას, ეს იმას მეტყველებს, რომ ქართულ კულტურა ვერასდროს ვერ მოიპო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახეთი პატარა ცნება გვგონია ჩვენ ხალხი? მე ვერ დავიჯერებ, რომ აკაკი სურგულაძე ახე ფიქრობდეს. ეს უბრალოდ, სადაეემიშვებული სიტყვა-სადღეგრძელოების გამოხატულებაა, შეუფიწებელი ფრაზაა, აუწონავი სიტყვებია.

ახეთი ფხიზელი ბუნებისა და იუმორის პატრონი, როგორიც გახლავთ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, არა მგონია არ შეაკბუნოს ამ მოუზომავმა ხოტბამ, ხოტბამ რომლის ქსოვილში ჩამჭედარი სიტყვები ყოველგვარ ზომასა და წონას კარგავენ, იმდენად უმისამართოდ და უზუსტოდ არიან ისინი მოხმობილნი. ცარიელია ახეთი სიტყვები მუდამ და მათზე საუბარსაც არ ეკნებოდა აზრი, იგი ჩვენი დაკარგული კრიტერიუმების არსს რომ არ იყოს საგანგაშო.

არ შეიძლება არ შეაკბუნოს, არ შეაშფოთოს ისეთ სიტყვებმა: „მადლიერმა ხალხმა ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინით შეგამკოთ, საჭირველს უგვირგვინო მეფე გიწოდათ“.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიახაც იცის დაფასება და დაფაფა კიდეც პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, მისი ლექსებისათვის, მისი მოღვაწეობის გამო. მაგრამ რა შუაშია ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინი? რატომ ვაწუხებთ მიუწვდომელ სიმაღლეებს, ან საჭირველს უგვირგვინო მეფობა ოილი მოხაოვებელი გვგონია? ახე არ არიგებს ქართველი ხალხი ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინებს, ახე დაფფიქრებლად არ უწოდებს საჭირველს უგვირგვინო მეფეს. ჩვენ ამ უზარმაზარ ტიტულებში დავმარხეთ ირაკლი აბაშიძის ნამდვილი დამსახურება, დავამძიმეთ პოეტის მხრები უზარმაზარი ტვირთით; რადგან ადვილი მოსასმენი არ უნდა იყოს სიტყვები „ამით თქვენნი შემოკუმედება ქართველი ჰომეროსის — სულმნათი აკაკის დონეზე დააყენა“. მეტისმეტია ეს ყველაფერი. სამეფო გვირგვინი, უგვირგვინო მეფე, ჰომეროსის ხსენება, სულმნათი აკაკის დონეზე აყენა. ჩვენს სიყვარულსა და პატივისცემას პოეტისადმი ვერ მოფუძენენთ ფორმა. თუ ახე გვწამს, კარგი, მაგრამ ჩვენი შეხედულებანი სხვათა შეხედულებასთან ხომ უნდა შეკავეერთო, როდესაც ხალხის სახელით გამოდიეართ, რადგან ისეთ დიდ ტიტეს, როგორიცაა სამეფო გვირგვინი, უგვირგვინო მეფობა, მართლაც ხალხი და მზოდელ ხალხი არიგებს. ხოლო თუ საოუბილეო ხალამზე ვინმეს პაოეტიკური და მაღალფრიდვანი სიტყვები წამოცდა უგვირგვინო მეფობაზე, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ხალხს, ერის სურვილად გამოვაცხადოთ იგი, ფარნე ავზდილო, სპეციალურ კრებულში შევიტანოთ და ხალხსაც წავაკითხოთ.

ჩვენ თითქოს ერთმანეთს ვეკიბრებით ვინ უფრო მეტ ხაკეს სატყვას, ეპითეტს, შეადგენას მოიმბობს პიროვნების ღვაწლის დასახასიათებლად. ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ადამიანის დამსახურება და ამ ზუსტად განსაზღვრით მისთვის და ჩვენთვის დამაკერებელი გავხადოთ ის, რაც სინამდვილეში გაუკეთებია, მიიღოს სიამოვნება სწორი შეფასებით, ნამდვილი დაფასებით და არა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიანტელეთი. ჩვენ უაღრესად მობილიზებული ფანტაზიით ვამდიდრებთ სახოგბრ სიტყვების ლექსიკას, ვქმნით ახალ კონსტრუქციებს, ვიხმობთ უდიდეს პარალელებს, თითქოს გაბუქუფთ სიტყვების ქარით გვნდეს დაკვანძონთ მეორე ეფიზეტ. აკაკი სურგულაძე მიმართავს პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს: „ქართულ ლტტერატურაში ოიანე ზოსიმეს შემდეგ არავის უთქვამს ახეთი მაღალი საგალობელი მშობლიური ენისა, როგორც თქვენ თქვით. ჩვენს დედა-ენას თქვენ მარადიული, ხელოვნქმნელი ძეული ალუმბართეთ და სხვა რომ არაფერი შეგექმნაო, მარტო ესეც საკმარისია თქვენი უკვდავებისათვის“. და არაერთი ახეთი სიტყვის შემდეგ პატივცემული აკაკი სურგულაძე დასძენს: „შეუძლებელია მოალე სიტყვაში თქვენი დამსახურების ჩამთვლელა კი. ამ დამსახურებაზე თავის დროზე სრულად იტყვის ჩვენი ისტორია“.

თუ არ ის ავადმყოფობა, თუ არ ის ენინ ქნა-დიდების სიტყვებში გაჯიბრებისა, ჩემთვის აუხსნელი იქნებოდა, რაკი რჩება ისტორიას თავის დროზე უფრო სრულად ხალქეეი, როდესაც პოეტს „სამეფო გვირგვინი“ თურმე დაადგა ხალხმა, „საჭირველს უგვირგვინო მეფე“ უწოდა, ქართველი ჰომეროსის — აკაკის დონეზე დააყენა, როდესაც ჩვენი ისტორიის უკვდავ პერსონაჟად შერაცხა, როდესაც რუსთველის 800 წლისთავის მთელი სიმძიმე ერთი ადამიანის მხრებს დაუკავშირა. მართლა აუსხენდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხენს, წრესგადასული ხოგბის სურვილს რომ აფოფინებს ჩვენში და რიხი წყალობითაც ყველა მოუზომავი სიტყვა ბუნებრივი და ვინ იცის, იქნებ, მეტისმეტად ზუსტიც კი გვგონია. ის ხენი კი არ ცხრება და მასვე უნდა მივაწეროთ აკაკი სურგულაძის სურვილი კიდევ უფრო დიდი ქება ეთქვა საყვარელი პოეტისათვის. „სწორედ თქვენ უთხარით საგალობელი ახალ საუკუნეს როგორც ამ საუკუნის ყველაზე დიდმა კაცმა და ყველაზე ღირსეულმა მეკალემ მისი მომავალსა“.

იმედი მაქვს, ბატონი ირაკლი აბაშიძე სწორად გამიგებს; ვიმეორებ, ფხიზელი გონებისა და ნათელი შეხედულების კაცი. უბრალოდ არ შეიძლება ამ შემთხვევაში გაიოუმება! არა გვაქვს უფლება მთელს ხალხში გაბაკონებული უფრესულობის გრძნობა არ გავფანტოთო, ჩავთვალოთ, რომ ეს არის გაუთვალისწინებელი ფაქტი. ყოველივე უნდა მივიჩნიოთ გაუგებრობის შედეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად! პოეტისადმი ჩვენმა დიდმა სიყვარულმა დაგვაფიწა კრიტერიუმი, საზომი, ზომიერების ჯრედნა. ირაკლი ამაშიიქმ ჩვენზე უკეთ იცის. რას ნიშნავს გამოიკვნა „ამ საუკუნის ყველაზე დიდი კაცი“. სწორედ საქართველოს მასწავლები მაქვს მხედველობაში. ერთი წამითაც ვერ გავიკარებ ფიქრს, თითქოს აკაკი სურგულაძე „ამ საუკუნის ყველაზე დიდ კაცს“ რომ უწოდებს, მთელი მსოფლიოს მასწავლის ჩქონდეს მხედველობაში. თუმცა ის სტილი, რა სტალინთაც ჩვენ საიუბილეო საღამოებს ვმართავთ, ალბათ, ჭკეფილნაც გვიბიძგებს. მაგრამ საქართველოს ყველაზე დიდი შვილი ამ საუკუნეში? მე არ მინდა ხარკაზმი, ირონია მოვიხმო ახეთ შემოხვევაში. პატივცემული აკაკი სურგულაძე თავისი მეცნიერული მოღვაწეობით არ იმსახურებს ამას. დ, საერთოდ, აქ ხარკაზმი და ირონია მეურნალად არ გამოდგება. ეს უფრო დიდი უბედურებაა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. როდესაც საქართველოს მეოცე საუკუნეში მყავს ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების სხვადასხვა ფერობნი ესოდენ დიდი პიროვნებანი! საუკუნის ყველაზე დიდი კაცი? — თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, რა მასწავებს გულისხმობს იგი, ქართველი ერის ხელოვნი და ფიზიკური ენერგიის რა გამოვლინება უკავშირდება, რა ხაკმენი, რაგვარი შემოქმედება თუ მეცნიერული ნაშრომები ივარაუდება მის შინაარსში და თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს საუკუნის ყველაზე დიდ კაცად. — ყველაფერი ამის განსაზღვრა უთუოდ მომავალს უნდა მივანდოთ. და მაინც საინტერესოა, როდესაც ასეთ სიტყვებს წარმოვთქვამთ, ნუთუ მეხსიერებაში არ ამოტივტივდებიან ამ საუკუნის უდიდესი ქართველი მწერლები და მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი და ნუთუ არაფერს გვეუბნება მათი გრანდიოზული ხაქმენი? რემთვის წარმოუდგენელია ნებისმიერი ადამიანი არ გაეწიოლოს მისი მისამართით წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა.

როგორადაც არ უნდა ავხსნა ეს ჩემი გამოვლის აუცილებლობა, ვიცი, არც პოეტ ირაკლი აბაშიძისა და არც ცნობილი მეცნიერების მოკურნობად და კეთილშობილეობად არავინ ჩამითვლის მას. იქნება ცდა — მტრობას დაბრალდეს ყველაფერი და არა ის გარემოებას, რომ ალნიშნულ კრებულში ყველა კრიტერიუმი, ყველა პრინციპი, ყველა ხაზობი თავდაყრა დამხობილი, საგანგაშოდ არის დამახინჯებული ჩვენი ეროვნული ცხოვრების წესი. მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ვერავითარი ლოგიკა ვერ ვამართლებს დუმილს ამ ფაქტის მიმართ. არ დაიძგენება არავშენები, რაზე დაურდნობითაც შესაძლებელი იქნება ამგვარი ოფლენის გამართლება. შესაძლებელი იქნება იმის დამტკიცება, რომ მსგავსი რამ მოსათმენია და გაჩუმება აკრძალს. ეს იმ რანგის შეცდომაა, დუმილის უფლებას რომ არ ეკიდვეს. საგანგაშო მოვლენის არსში დროზე უნდა გავიქეცეთ. არა გვაქვს უფლება დუმილისა, რადგან იმავე ბელში (თუმცა ზემოთ მოტანილი ადგილებიდან თუნდაც ერთი იკმარებდა ამ ძალის შეშფოთებისათვის, რამაც კალამი უნდა აგვაღებინოს ხელში).

ლონგინოს ხუმბაძე: „ლეკსების ცოცელ „პალესტინა, პალესტინა“ და მთელი ეპოპეა „ოსეთიანელის ნაკვალევზე“ თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური ზეშთაგონებით მსოფლიო პოეზიის შედევრებს უტოლდება და მეტ-ყველებს არა მარტო თქვენს ფიდ პოეტურ ნიჭზე, არამედ ქართველი ერის, რომლის ღირსეული შვილიც თქვენ ბრძანდებით — დიდ შეოქმედებითს გენიაზე“.

მაშია დუმბაძე: „ეზზოგადურებთან ერთი შეხვედრისას ბეთმოვენმა ჰკითხა მისი ბეთსოვი მოკალთებული მსმენელებს — რა მოგწონთ ჩემს შემოქმედებაში? პასუხი ასეთი ყოფილა — არ ვიცი რა მოგწონს, მაგრამ როცა თქვენს ფუნაკას ვისმენთ, გმირული საკმისათვის ბრძოლის სურვილი გვეუფლებოდა... ასეთივე ძალა და მნიშვნელობა აქვს ირაკლი აბაშიძის პატრიოტულ ლირიკასაც“.

იური კაკურავა: „...ბოლო მისი ავტორი — ირაკლი აბაშიძე, — ამაზე მეტი რომ არაფერი შეეკმნა (ლაპარაკი დედა ენაზე შექმნილ ლექსზე „ხმა კატამონთან“), მაინც დიამკეფდრებდა ზეიდათაწმიდა ადგილს საქართველოს ეროვნულ გმირთა გალერეაში“.

დევი სტურუა: „ირაკლი აბაშიძე დიდოსტატია მონუმენტური პოეტური სიურრეალიზმისა. მისი ლექსების რკალი რუსთაველის შესახებ უდიდესი მოვლენაა მთელს თანამედროვე ლიტერატურაში“.

მე მხოლოდ ქება-დიდების ყველაზე უკლესრესად გამომხატველი ადგილები მოვიტანე, თორემ ოროგორც აკ დასახელებულ მეცნიერთა, ასევე ცნობილ მეცნიერთა რიგნ მეტრეკვლილნა და ანდრია ფფაკიძის სიტყვებშიც აშკარად შეიგრძნობა გაზვიადების, მაღალფარდოვნების, პანეგირიზმის ტალღი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს (და არავითარი სურვილი არ გვაქვს კოლეგებს დავუპირისპირო), რომ კრებულში მარიან ლორიკიფანაძის სიტყვა გამორჩეკვა სიზუსტით და თავდაჯერილობით, სისადავითა და უბრალოებით. იგი ეხება ისტორიისადმი ირაკლი აბაშიძის დამოკიდებულებას. განიხილავს პოეტის „რას გადაურჩა თბილისი“, ლაპარაკობს ღირსებებზე, რაც ნამდვილად აქვს ალნიშნული პოეტს და რისი წაკლლობითაც მოაკვს ხარგებლობა მოზარდი თაობების სულიერი ფორმირების საქმეში. ამის საუბრედად მარიან ლორიკიფანაძეს არ დასჭირვებია ენციკლოპედიის მიხმობა, ხოტბის მაკსიმალიზმი. მის სიტყვაში გამოკვეთილია ის წესელი, რაც ალნიშნული პოეზიით ფაქტია ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ წელილა, ირაკლი ახაშიძის, როგორც პოეტისა და მოქალაქის, წელილი გაიხარა, ჩაიკარგა იმ თავბრუდამხვევი ეპითეტებისა და მაკსიმალისტური გამოთქვამების კორიანტელში, რაც კრებულში ტრიალებს. ამ უზომოდ გაზვიადებულმა ხოტბის სიტყვებმა დაფარა ირაკლი ახაშიძის პოეზიის ნამდვილი ხიბლი.

ამ კი უნდა დავუბრუნდეთ თავში თქმულს. გამონაკლისია ეს კრებული? გამონაკლისი, შესაძლოა, მართლაც იყოს თავისი უკიდურესი ფორმებითა და გამოთქვამებით. მაგრამ იგი ამოსაზიდილია ამ საერთო სტილიდან, რასაც ხალიკი ბანაკებში მიეცა ჩვენი პრესის ფურცლებზე. ძნელია, როგორც ჩანს, ამ ტენდენციათ ვინმე დაუდგეს წინ — ვერც ის, ვისაც აქვებენ, ვერც ის, ვინც აქებს, მობოშებულია ლაგამი და ეს ქება-დიდება ისე ბუნებრივად ეღერს, რომ მეცნიერებმა, ვის დამსახურებასაც ჩვენ პატივს ვცემთ ყველანი, ვერავითარი კონტროლი ვერ გაუწიეს საქები სიტყვების ზომას და წონას. გაუწიეს საქები სიტყვების ზომას და წონას. თითქოს საგანგებოდ მომპრთული მანქანა მუშაობსო, დადგება თუ არა რომელიმე მწერალსა და მეცნიერის ოფლიე, ის მანქანა გამოიხმობს მოელ ჩვენ შესაძღებლობებს, რათა ერთმანეთზე უფრო ბრჭყვიალა სიტყვები ვუთხრათ ადამიანს, საერთოდ ვიკეწუებთ იმას, რაც სინამდვილეში შეუქმნია, ვიფიწეებთ შექმნილის არსს და ვლაპარაკობთ სულ სხვა განზომილებასა და სულ სხვა საგნებზე. პირდაპირ კრატერივით ვიფრქვევთ ცეცხლოვანი სიტყვების ლავას, რომელშაც მხოლოდ უდიდესი ტიტული უნდა უბოძოს იუბილარს.

ნუთუ არაფერი არ ზნაადდა ამით?

ქართული ლიტერატურა დიდი ლიტერატურაა, არა მარტო იმის გამო, რომ უძველესი დროიდან მოდის იგი. თავისი თემებით, მსოფლგაგებით, ფილოსოფიით, გამოხატვის უნიკერსალური საშუალებების წყალობით, ქართული ლიტერატურა არასდროს არ ყოფილა პროვინციალური ლიტერატურა და დღესაც არ გვაქვს არაფიფარი ხურვალი პროვინციული ლიტერატურული ცხოვრებით ვიცხოვრით. ამის ხურვალი, პირველ ყოვლისა, არ აქვს იმ მწერლებს, ვის იუბილეზეც ახეთი ზღვარდაუდებელი ქება-დიდების სიტყვები გაისმის. ეს ქება-დიდების სიტყვები კი, ეს გაზვიადებული ეპითეტები, ეს მაკალთარდოვანი და პათეტიკური შეძახილები, ეს საოცარი შედარებები და პარალელები საჭუბარიდან ბმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენ პროვინციალური ლიტერატურული ცხოვრებისაკენ მივიქანებით.

ვის ხურს ეს? არავის! არავის არ უნდა იცხოვრის პროვინციალური ხულისკვეთებით და ფორმებით. არ ხურს პირველ ყოველისა, პოეტ-ალადენიკოს ირაკლი ახაშიძეს. არც ცნობილ შეცნიერებს გიორგი ჩიტაიას, აკაკი ხურგულაძეს, ლონგინოზ ხუმბაძეს, მაჩია დუმბაძეს, იური კაკბარავას, დევნ სტურუას, როინ მეტრაველს და ანდრია ოფაჯიძეს. არ გვინდა, არავის არ გვინდა! დიდი ქართული ლიტერატურა ... და დიდი ქართული მეცნიერებით აღზრდილი ჩვენი ხული ვერ შეურიგდება ამგვარ ცხოვრებას. მაგრამ ფაქტები, ეს სიტყვები, ეს ფრესკადასული ქება-დიდების ვნებათაღელვა სხვას მეტ ყველისებს, ხურონ პროვინციალიზმის ნიშნებზე გაკკივიან, ჭეშმარიტი ლიტერატურისა და მეცნიერების ხულისკვეთების საპირისპიროდ მოქმედებენ. თითქოს შეუთავსებელი გახდა ერთმანეთთან ჩვენი ლიტერატურა და ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი აშკარად ცუდს ამბობს ჩვენს შინაგან კულტურაზე. როდესაც საიუბილეო საღამოებზე გამოთქმული შეხედულებები გიიზრაცება, ჩვენ ყველანი კიდევ ერთხელ ვიფიწეენთ რა კულტურაზეა ლაპარაკი. დავინახავთ, როგორ გაგვიშლია ხელები და ვარიგებთ ავანსად უკადაგებს საგზურებს. დავინახავთ, რომ ამ განხილული კრებული გამონაკლისი კი არ არის, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების წესის პროდუქტია, უკიდურესი ფორმით გამოხატული.

თუ ჩვენ ახეთ ფაქტებზე დავდუმდით იმის რიგით, ცნობილი მწერლებისა და მეცნიერების მტრობად კი ჩაგვთვლიან ზმის ამოლების, მაშინ ეს მარტო დუმილს არ ნიშნავს, ეს მოწმობს, რომ ან არსებობს არა მარტო კრიტიკული აზროვნება, არამედ საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზრი. ამის თქმით სრულებითაც არ გვინდა ახეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს, კი, მე ერთი გამოვხატავ ამ საზოგადოებრივ აზრს, მისი სიცოცხლის უკანასკნელ ნიშაცს. ამით ის მინდა ვთქვა, რომ დუმილის შემთხვევაში, ან შემთხვევაში თუ ცნობილ პოეტსა და მეცნიერებს ამ უხერხულობის მძიმე ტვირთს არ მოვხსნით, მართლაც დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ საზოგადოებრივი აზრის არსებობა. რადგან ეს, რაც ცალკეული ფაქტების სახით გაჩნდა, ჩვენი ხულიერი ცხოვრების საგანგაშო მოვლენას შეადგენს უკვე ამ მოვლენის არსია დროზე დასახანი და ზომებიც დროზეა მისაღები.

საიდან მოვიდა ეს ხენი, როგორ მოედო ჩვენს ცხოვრებას, ხენი, რომელმაც აღნიშნული კრებულიდან ... ეპითეტებ ... ეს ... ...

სვას კითხვა: ვართ თუ არა ჩვენ კულტურული ერი? თუ ვართ, რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არ ვართ, ეს დიდი ლიტერატურა და დიდი მეცნიერება საიდან? აი, ამ მიმართებაზე უნდა გავამახვილოთ უურადღება ყველამ და აქვე უნდა დავსძინო, რომ შეშფოთებული ხაზოგადოებრივი აზრი ამწიფებს ყოველთვის დამფიქრებელი მოვლენის არსში გარკვევის სურვილს.

როგორ მოქმედებენ მსგავსი ფაქტები ლიტერატურული და საერთოდ კულტურული პროცესის საერთო მიმართულებაზე? იქნებ, არავითარ გავლენას, არ ახდენენ, თავისთვის უწყინრად დაფარფატებენ ჰაერში ეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები? უზარმაზარ გავლენას ახდენს ეს მოვლენა შემოქმედებით პროცესზე, ამცირებს ენთუზიაზმს, სპობს შემართებას, ადუნებს ხალხის ენერგიას. სხვაგვარად წარმოუდგენელია. როდესაც ჩვენი გამონაჰკვამების მიხედვით ყველა მწერლური და მეცნიერული სიმაღლე დაპყრობილია, როდესაც ფიქრსა და ოცნებას ამ მწვერვალთა დაპყრობის ილუზიებით გავამრუებთ, დიდი სიმაღლეების ნამდვილი დაპყრობისათვის არც ენერგია შეგვრჩება და არც სურვილი.

აღნიშნულ მოვლენაზე საუბარი მე კიდევ ერთი გარემოების გამო მეჩვენება აუცილებელი. როგორ მაგალითს აიღებს მსგავსი ფაქტებიდან ახალგაზრდობა? რას ვაჩვევთ აქედანვე. რას კარნახობს ეს წესი? არც მეტი და არც ნაკლები — ეს უალრესად ფხიერი გონების ახალგაზრდები ერთის მხრივ იმსჭვალებიან უპატივცემულობის გრძნობით იმათ მიმართ, ვისაც მეტისმეტი გრძნობით ამ მიმართ, ვისაც მეტისმეტი მიაწერეს, ე. ი. ჩვენს ჭკეს უკურეკაქია მოსდევს. მეორეს მხრივ, მათ იპყრობთ სკეპტიკური განწყობილება ჩვენი ცხოვრების წესის მიმართ, და, რაც მთავარია, რწმუნდებიან, რომ უნდა იყვნენ მაკსიმალურად მობილიზებულნი არა იმდენად სერიოზული საქმეების საკეთებლად, არამედ საიმისოდ, მომავალში თავადაც არ დაიკლონ მსგავსი ეპითეტები. ახალგაზრდებისათვის ყველაფერს მაგალითად ძალა აქვს. პირველ ყოვლისა კი ცხოვრების წესს აქვს მაგალითის ძალა. ამიტომ უნდა მოვევლოს დროზე წესს, რომელსაც ფაქტიურად ჩვენ ვთავაზობთ მათ, ხოლო ის წესი როგორიცაა, ყველამ დავინახეთ.

ქართული ლიტერატურა და ქართული მეცნიერება დიდი საქმეებისათვის არის მოწოდებული. ასეთი იყო მისი დანიშნულება ოდითგანვე, ასეთია მისი დანიშნულება სამომავლოდაც. ამ დანიშნულების შეგრძნება ჩვენ გვაკალებს ვიცხოვროთ შესატყვისი ფორმებით, მოვსპოთ სამწუხაროდ აწ უკვე დამკვიდრებული სტილი. წესი, რაც არაფრით არ შეეფერება ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების შინაარსს, რაც ასევე არ შეეფერება ჩვენს ოდინდელ ეროვნულ ღირსებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გაჩეჩილაძე

ონტოლოგიური შიშის რაობდ

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია გამოსაცემად ამზადებს ქართული მწერლობის ყოველწლიურ საინფორმაციო ბიულეტენს, რომელიც რუსულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდება და ქართული მწერლობის სიახლეთა შესახებ ცნობებს მიაწვდის ჩვენი კულტურით დაინტერესებულ ქვეყნებსა და ხალხებს. საინფორმაციო ბიულეტენის სახელწოდებაა „ცნობები მედეას კოლხეთიდან". წინამდებარე მასალა საგანგებოდ ამ ბიულეტენისთვისაა დაწერილი.

ფაბუშა ამირეჯიბის გახმაურებულ რომანში არის ეპიზოდი, რომელშიც ბერჩუნი პერტიას ქალური ცნობისმოყვარეობით ეკითხებიან, როგორი თვალები აქვს დათა თუთაშხიას.

„— როგორი და... — მოფიქრება დასჭირდა ბერჩუნი პერტიას, — გაკვირვებული!".

დათა თუთაშხიას საყვარელს მოფიქრება დასჭირდა, რადგან თავადაც მხოლოდ შეკითხვის მომენტში დაიწყო ამ ფაქტის გაცნობიერება. მაგრამ დათა თუთაშხიას თვალთამზერიდან დაძრული მნიშვნელობას, მას შემდეგ რაც იგი მხატვრული და აზრობრივი რეფლექსის საგნად იქცა, იქცა მეტაფორად, რომელსაც მთელი რომანის ურთულეს სააზრავნო სიტუაციაში შეეყავართ.

ამიერიდან მკითხველის წარმოსახვას აღარ სცილდება ამ თვალთამზერაზე აღებეული გაკვირვების იდუმალება.

საქმე ისაა, რომ რომანში ეს ზერანი აღინიშნება მას შემდეგ, როდესაც მკითხველმა უკვე იცის, განგებისა და ცხოვრებისეული ამოცანების რა ჯოჯოხეთურ ფუსკრულებში ჩახედვა, რა გორგონებისთვის თვალის გასწორება ხვდა წილად დათა თუთაშხიას.

და ამის შემდეგ არცაა გასაკვირი, თუ მკითხველის ცნობიერებაში ამოტივტივებას იწყებს მთელ სამყაროზე აგორებული უზარმაზარი თვალების მეტაფორა, თვალებისა, რომლის ზერრდანაც გაკვირვების შემაფოთებელი იდუმალება გამოკრთობს...

ამ განცვიფრების პალიტრა მრავალფეროვანია. მისგან გამოკვეთილი ყოველი ზერიბი კაცობრიული ცხოვრების ექსტრემალურ სიტუაციებში მუშავდება და მანამდე იხვეწება, ვიდრე მისგან კაცობრიული გამოცდილების ყალიბი მიიღება.

ამიტომაცაა ეს გაკვირვება რომანში გაზავებული ხან თანალმობის, ხან შეშფოთების, ხანაც სინანულის გრძნობასთან.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სწორედ ზღვრული, ექსტრემალური სიტუაციით გამოწვეული სიმძაფრის გამო, ეს განცვიფრება იძენს ტრაგიკული ფერისფერს ხასიერ.

ერთი მათგანია ეპიზოდი როცა შვილი მამას ხასიკვდილო ტყვიას დაახლის.

ამ შემაძრწუნებელი შემთხვევის გამო რომანში კკითხულობთ: „დათა თუთაშხიას ხასე უკიდურეს განცვიფრებას და ეჩუ, ხასიკვდილო ტკივილს გადაებრძოლა:

— რა ქენი ბიჭო, ეს! — დაიკვნესა თუთაშხიამ, შუბლი მოისრესა და სინანულით გაიმეორა: — რა ქენი, გუდუნა, ეს!".

ეს იყო უკანასკნელი საკვირველება, რომელიც დათა თუთაშხიამ საკუთარი თვალებით ნახა, იწვნია, განიცადა, აქცია რეფლექსიის საგნად და რომელზეც საკუთარი მრწამსის შესაბამესი რეაგირება გაკეთდა.

მაგრამ ამ რეაგირების მნიშვნელობაში გარკვევამდე მკითხველის ცნობიერებას ხამუდამოდ აღებეზედება დათა თუთაშხიას ხასე, რომელიც

„უკიდურეს განკეთილრებასა და ერთ, სასიკეთილო ტკივილს გადაებრიცა“.

ეფექტი, ერთმანეთში გაზავებული ამ ტკივილის, შერწყნებისა და განკეთილრების მაუწყებელი თვალებიდან დაძრული მზერისა, — მოძნუსხველია.

ვის არ სმენია მითი მედუზის მზერის შესახებ, რომელიც მსაბველს ელდას სცემს თავისი შემზარაობის გამო.

ვის არ სმენია მითი მრისხანე ღვთის თვალის შესახებ, რომელიც მკაცრი და უელმაბელია: სწორედ ადამიანების ზრახვათა ნაოელმხილველობის გამო.

მზერას ბოგონისა და მზერას ღვთის თვალისა, განმასხვავებელი მახასიათებლების მიუხედავად, ერთი რამა აქვთ საერთო: ადამიანის დამორგუნვაი უელმობლობა!

მაგრამ გაკეთილრება, როგორც დათა თუთაშვილის თვალთამზერის ეფექტი, სხვა რიგისაა. რომ ეს გაკეთილება სწორედ ეფექტია და როგორც მეტაფორა, მატარებელი გარკვეული სემანტიკური მნიშვნელობისა, — ამას მკოთხელი ადვილად გრძნობს.

და ეს იმიტომ, რომ გაკეთილრება, უპირატესად, თავადაა შეკითხვა და როგორც შეკითხვა, უკვე გრძნობის გაზიარებისა და ადრესატისადმი სოლიდარობის ნიშანია.

გაკეთილება დაკეთილების შედეგია...

გაკეთილება საკეთილის წყდომის განდიბაა...

გაკეთილება ადამიანის სასწაულია...

და განა უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ წარსულში, რომ ფილოსოფია, ანუ სიბრძნის სიყვარული გაკეთილების უნარიდან იწყება?!.

ამ თვალსაზრისით, „დათა თუთაშია“ „გაკეთილებსა“ რომანია, ხოლო მისი მთავარი გმირი — „გაკეთილებული ხასის რაინდი“.

მაგრამ ეს თავისთავად ხაორად უშიშარი რაინდი შეკრობილია შიშის ყველა ხასეობათა შორის ყველაზე მეტად შემაძრწენებელი გრძნობით. ესაა უსაზღვროდ ანუ გონით საწყისის გარეშე არსებობის წინაშე შიში...

ფილოსოფიაში ამას ონტოლოგიური შიში ეწოდება...

დათა თუთაშვილიც, თავისი გაკეთილებული თვალებით, ონტოლოგიური შიშის რაინდია...

„არ ვიცი სიმართლე რაშია და სადაა. ფიქრი და გამოცდილება სპირია ამას... ვერ გამოვიტანე აზრი, რა ყმნა და როგორ ვიყო მეო. ეს უნდა ვიცოდე მე, არ შეშიაქოა სხვაფრად“ — გვეუბნება დათა თუთაშვილი.

მარილმადიდებლის ინსტინქტი დათა თუთაშვილის სიმართლის მაძიებლის ენებით უმბაფრდება...

დათა თუთაშვილის ხახით მარილმადიდებელმა და ეეშმარიტების მაძიებელმა ერთ პიროვნულ მონოლოგიში იპოვა ალმასრულებელიც და განმახასიერებელიც...

თუ მარკუს ავრელიუსს დავუჯერებთ: „ადამიანდენს ფასობს, რაც მისი საზრუნავი ლ[illegible] დათა თუთაშვილის საწუხარისა და საზრუნავის ფასი, აურაცხელია.

ეს საზრუნავი კაცობრობის იდეალურ სულერ მოთხოვნილებათა ფფერის განეკუთვნება. და არაფერში იხატება ისე სრულყოფილად დათა თუთაშვილის ენების სიმაყეზე, როგორც ამ კაცობრიული საზრახის წვდომის სურვილში. ეს სურვილი განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესსაც და ხვედრსაც.

რამდენნაირი გზა და საშუალება არ მოსინჯა დათა თუთაშვილმ, რომ მიეღო ამომწურავი პასუხი ადამიანის არსებობის საზრისზე, მაგრამ დადებითი, რაც ამ ექსპერიმენტებს მოჰქონდა, მხოლოდ ის იყო, რომ ამოსავალი კონცეპციის სიმეცარეში არწმუნებდნენ დათა თუთაშვილს.

მაგრამ ყოველი მარცხის შემდეგ დათა თუთაშვილა თავდან იწყებს ცხოვრებას, როგორც მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი...

და როგორც ავანგარდისტი პოეტი უფრთხილ საკვანძო, შთამბეჭდებელ, განმაზოგადებელ, ე. წ. სუფეტიურ ცნებების მნიშვნელობებზე არსებულ რეცეპტურას ეს თავად იწყებს მათი შემოწმებიდან და პროგოცირების ექსპერიმენტებ — დათა თუთაშვილიც ანალოზის, ცდის, ექსპერიმენტების გზით იკაფავს გზას ადამიანის, ხაზოგადოების, ერის, კაცობრობის ზნეობისა და მოკმედების მექანიზმში გარკვევის საიდუმლოებისაკენ...

ამ ძიების გზაზე ის ხან დონ კიხოტია, ხან ფაუსტი, ხან ელინორას ტერასაზე მდგარი „დროთა კავშირის ოლვეის“ ალმოჩენი ბამლეტი, ხან ცხოვრების სიმეზეზ დახარბებული ეპიკურელი და დონ-ჟუანი; Homo festivus, ხან ცოდვილთა დამსჯელი ალოკალიფსის მხედარი და ბოლოს — თვითშეწირვის იდეით ატაცებული ბოროტის კეთილად გარდამქმნელი...

არადა, დათა თუთაშვილა, ბრაგი...

მაგრამ თქმა (მტკიცება), რომ დათა თუთაშვილი არის ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილ „კეთილშობილ ყაჩაღთა“ ვარიაციეული ხეზე, მხოლოდ ნაწილობრივ იქნება სწორი, მიუხედავად მისი ზეხების წერტილებისა, თუნდაც ხალხური „არნანა“ ცალკეულ ასპექტებთან.

და ეს იმიტომ, რომ დათა თათუშვილია ისეთივე ბრაგია, როგორც ეგვიპტელთა დეკნისაგან ოდაბნოს შეფრიტული ბილიეონი მოსე...

ეს არ არის, უბრალოდ, ასოციაცია...

ტუეში დათა თუთაშვილის გაგრანა და უდაბნოში მოსეს გაგრას რომ ხაერთო ბიზეზი მოეძებნება, ხრულიადაც არ არის შემთხვევითი ტოპოლოგია...

მოსეს ბომ ულირსი ხაკეილის ჩამდენი ეგვიპტელი ოფიცერი შემოაკვდა, ისევე როგორც დათა თუთაშვილის...

ეს ფაქტი მისტერიალური ცხოვრების ისეთივე ხაწყისად იქცა დათასთვის, როგორც ის

იქცა მთელი ებრაელების ტყვეობიდან გამომხსნელ და სჯულმდებელად მოხსენიების...

ამიერიდან დათა თუთაშხიას ცხოვრება დროის უწყვეტობის (კონტინუუმის) ამგვარ ილუზიას ქმნის, რომ ის ერთდროულად არის წარსულის, აწმყოსა და მომავლის მკრებელობითი მედიუმი.

„დათა თუთაშხიას" მაგისტრალურ სიუჟეტში მახალის ორგანიზაციის პრინციპი სწორედ მითის ამგვარი ლოგიკით ხაზრდოობს.

ეპოქის „მატერიალური სამოსლით" (გოეთე) შემოსილი რომანის პერსონაჟებიც სახეზე მისტერიის პერსონაჟთა ზედროულ ნიღბებს ირგებენ...

ტრაგედიის ცნობიერი აჟტიორების გარშემო: დათა — ჭრისტე, მუშნი — იუდა, სეგედი — პილატე, ნანო — მაგდალინელი და ა. შ., თავს იყრის ცხოვრების ისტორიის არაცნობიერ აჟტიორთა უზარმაზარი არმია...

მისტერია თამაშდება საიდუმლო სერობის, გოლგოთის, ჯვარცმისა და ამაღლების თითქმის ყოველი სიმბოლური საფეხურის გავლის კონტექსტში.

მისტერიის მთავარი მთხრობელი კი კავკასიის ფანდარმთა შეფი გრაფი სეგედია. რაკი მისტერიაში მისი როლი პილატეს ხვედრის დუბლირებაა, მისი მონათხრობიც „პილატეს სახარების" ისეთივე ვარიანტად აღიქმება, როგორც „ვოლანდის სახარებად" ჩაფიქრებული „ოსტატი და მარგარიტა" მ. ბულგაკოვისა...

ეფექტი და რეზონანსი, რომელიც „დათა თუთაშხიას" მოჰყვა, კოლოსალური აღმოჩნდა. სიმპტომატურია, რომ ეს ეფექტი, თავისი ცხოველმყოფელობით ედრება ეფექტს, რომელიც ერთი წლის შემდეგ ენდრიუ ლლოიდ უებერისა და ტიმ რაისის „იესო ჭრისტე — დიდ ვარსკვლავს" (1973) ხვდა წილად...

ეპოქის სულისკვეთების ნიშანსვეტად იკვეთება ამ როკ-ოპერისა და ჭარიფული ბესტსელერის ტიპოლოგია სახარების საკვანძო სიტუაციების გადაბზრებაშიც...

„დათა თუთაშხია" დაწერა უჩვეულო ხედრის მქონე კაცმა — ჭაბუა ამირეჯიბმა.

მას ხშირად ეკითხებიან, ვინ იყო ან არის დათა თუთაშხიას პროტოტიპი. ამგვარი შეკითხვის ავტორებისთვის ურიგო არ იქნებოდა თვით ჭაბუა ამირეჯიბის არაორდინალური ბიოგრაფიული ჭარგის ცოდნა.

მან თექვსმეტი წელი დაპყო ექსტერმალური სიტუაციების კახკადებში. მან თავად მოვლო გამოცდილებად დაგროვილი ჯოჯოხეთის მთელი ის ბილიკები, რომელზეც მისი გმირები გადიან...

და ამდენნი მომხილველმა შეინარჩუნა გაკვირვებული თვალების მიამიტობაც და სიკეთით და სილამაზით ხალასი აღტაცების შეურყვნელი უნარიც: რომელსაც, თავის მხრივ, ასე ხელგაშლილად ფანტავს გარშემო...

„და ასეა ეს!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ლომიძე

ძიებული გზა ლეგენდისაკენ

თ. ბიბილურის რომანის სათაური — „ეამი კითხულისა“ — არაერთმნიშვნელოვანია: ა) დიქტატორის ცხოვრების ამბავი; ბ) შავი გერი, „ეამი“, რომელიც პერიოდულად ეწვევა ხოლმე დედამიწის ამა თუ იმ კუთხეს, როდესაც აღწევებული პიროვნების ნება თრგუნავს ხალხს; გ) გადამწყვეტი მომენტი — „ეამი“, როდესაც გიორგი ბალიაური, რომანის მთავარი გმირი, ტოვებს თავის კოშკს და ითმობს „კითხულის“ უფუნქციებს.

სათაურის ეს თავისებურება, როგორც ჩანს, განაპირობა წერის სპეციფიკურმა ხერხმა, რომელსაც თ. ბიბილური მიმართავს — ნაწარმოების გადმოცემულო ამბავიც არაერთმნიშვნელოვანია. მისი გმირები ძირითადი საზოგადოებრივი ფუნქციების მიხედვით არიან დახასიათებული, ხოლო მათივე ინდივიდუალური თვისებები არ აღიწერება. ახეთი სამყარო წაგავს თეატრს, რომელშიც მსახიობები ნიღბებს მიღმა რეალური ადამიანები მოკმედებენ.

ყოველივე ეს მკითხველის ფანტაზიას გასაჭანს აძლევს და ფართო ასოციაციების შესაძლებლობას უქმნის: გიორგი ბალიაური — დიქტატორი ნიღაბია, რომელიც შეიძლება გავიგივოთ ისტორიულად არსებულ ყველი დიქტატორთან.

მიუხედავად ამისა, რომანში დიქტატორის განყენებული სახე როდია წარმოდგენილი. ეს ნიღაბი ხაკმარისად კონკრეტულია, ავტორი ამომწურავად, ფაქიზი ფსიქოლოგიური დეტალების მეშვეობით გადმოგვცემს „კითხულის“ განცდებს. ამასთან, როგორც ეი ხელშესახები ხდება გიორგი ბალიაურის ეეშმარიტი სახე, მწერალი წამსვე უკან იხევს.

როგორია ეს „მეორე სინამდვილე“, რომელიც თავისებურად მონაწილეობს თხრობაში?

ამის გამო, რომ ნიღაბს ამოფარებული სახე უჩინარია, დიქტატორის როლში შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი ადამიანი, რაც რომანში გადმოცემულ ამბავს მუდამ შესაძლებელი და განმეორებადი ამბის სტატუსს ანიჭებს. განმეორებადობის გამო ყველა დიქტატორის ისტორია ერთ „ეამ“-ამბავში ჩაეტევა და ამ ზოგად შეხამებლობას თ. ბიბილური არქმევს გიორგი ბალიაურს. ამიტომაა, რომ გიორგი ბალიაური არ ჩანს, და არც შეიძლება, გამორნდეს, რომანში.

ნაწარმოებში მოკმედებს სამი მთავარი გმირი, სამი ნიღაბი: გიორგი ბალიაური— კითხული, მთე — ზოსიმე — მისი ცხოვრების აღმწერი, ხარჩლა — შუამავალი დიქტატორსა და ხალხს შორის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვანი მხატვრული ფუნქცია აკისრია თვით „კითხულის“ ცხოვრების აღწერის ფაქტს.

რატომ წერენს ზოსიმე მოდელი „კითხულის ეამის“ აღწერას?

ზოსიმე იცნობს გიორგი ბალიაურს და მისი აღწერა-შემეცნება არ სჭირდება. ეს ცოდნა ჩვენთვის უხილავია, მიწეწდომელია, ჩვენ მხოლოდ ვვარაუდობთ მას. სამაგიეროდ, ზოსიმესთვის უცნობია „კითხული“, რომელსაც ის აღწერს და შეიმეცნებს. როგორც კი გიორგი ბალიაური თავს აღწევს „კითხულის“ ნიღაბს, აღწერა მთავრდება. სიყრმის მეგობრების ბედი კვლავ ერთიანდება — ისინი გაემართებიან ამ გზაზე, სადაც გიორგის სიკვდილი ელის.

ზოსიმესეული „ეატანის“ თავისებურება ისაა, რომ ის ყოველთვის გულისხმობს კონკრეტულ ადამიანს, რომელიც ეფარება „კითხულის“ ნიღაბს. უფრო მეტიც. მკითხველს გამუდმეშეით თან სდევს შეგრძნება, რომ ზოსიმე ჯიუტად მალავს თავის ცოდნას გიორგი ბალიაურის შესახებ. ამით მწერალი იმ ეფექტს აღწევს, რომ გიორგი ბალიაურის არსებობის რომელიმე ზოგადი შესაძლებლობა (რასაც დიქტატორის ნიღაბი განსაზღვრავს) მკითხველის მიერ განიცდება, როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის მონაწილეობა ამბავში. მაშასადამე, თვით ეს ამბავი აღიქმება, როგორც ტრაგედია. ამგვარად, ზოსიმეს, ე. ი. აღმწერის შემოყვანით რომანში ორი მიზანი ხორციელდება: ჯერ ერთი, მისი მეშვეობით ნაწარმოებში წარმოდგენილი საყვარო ხასიათდება, როგორც თეატრი; მეორეც, „კითხულის“ ამბავი განიცდება, როგორც ტრაგედია, რითაც ფილოსოფიური სიტუაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველისთვის ფსიქოლოგიურ რეალობად გადაიქცევა.

ამგვარად, ზოსიმეს მონათხრობს კიდეც აქვს შინაარსი და, ერთდროულად, არც აქვს; რაღაცას გვიჩვენებს და სწორედ ამით რაღაცას მალავს; ეს შმპარიტება ორმაგია, სინამდვილეც ორმაგია: არის ფარული ეშმპარიტება და არის „ეგმი კითხულისა". ფარული ეშმპარიტების მიმართ „ეგმი" მხოლოდ ფონია, არაფრის მთქმელი, უაზრო, არადენეკვატური.

ზოსიმე იმდენად თანმიმდევრული, რომ გიორგი ბალიაურს „დიქტატორად" წარმოგვიდგენს ბავშვობის ორ-სამ ეპიზოდშიც. ასეთია ურმა გიორგისა და ზოსიმეს სოფლიდან გაპარვის ამბავი:

„აი, ჩვენი სოფელი! — დაიძახა ჩემმა მეგობარმა და აღტაცებული ჩამოხტა ცხენიდან.

აქლოშინებული, თვალანთებული და ნესტოებაბერილი ჩემი მეგობარი გამარჯვებული ლაშქრის წინამძღოლს ჰგავდა. მან დაამარცხა მტერი და ახლა, ღირსებამოსილი, ზემოდან დასცქეროდა ბრძოლის ველს. მაგრამ ჩვენს ქვემოთ, ჩვენს ფერხთთან ბრძოლის ველი არ იყო. ქვემოთ იყო ჩვენი სოფელი — ერთი ბეწო, მთის უბეში მიეფუფული, ბანიანი სახლებითა და სათოფურებიანი კოშკებით ერთმანეთს აკრული, ქედის ჩრდილში მოქცეული და დილის მზის მოლიდინში გარინდებული".

გიორგის წინაშე ისევე მშვენიერია ეს სოფელი, ისევე ილვიძებს მასში ამ მშვენიერების დაკარიბის ენინ. როგორც მისი პაპა — მოხუცი ღუმა ბალიაური მოიხმების მშვენიერი შუქიათი. ღუმა სოფლიდან წავიდა, როდესაც მიხვდა, რომ შუქიას ხილმაზე მისთვის არ იყო განკუთვნილი და სულზე ზრუნვა-და დარჩენდა. მოხუცებული გიორგიც პაპის გზას შეუდგება, როდესაც ძალაუფლებით ტკბობის უნარს საბოლოოდ დაკარგავს და სოფელს მასზე უფრო მძლავრი დიქტატორი — ეგმი დაეპატრონება.

პაპისა და შვილიშვილის ამბავთა მსგავსება ფსიქოლოგიურ სიუჟეტელს უქმნის გიორგი ბალიაურის მისწრაფებას — მოიპოვოს ძალაუფლება: მშვენიერების დაუფლების სურვილმა ასევე დაუოკებელი ძალით შეიპყრო მისი წინაპარი. ისტორია მეორდება...

მაგრამ ვანა საკირველი იმის დასაბუთება, რამ მიიყვანა გიორგი ბალიაური „კითხულის" კოშკამდე? იყვნენ ისეთი დიქტატორები, რომელთაც ჰქონდათ ხაბიარი გენეტიკური მონაცემები, ზოგიერთები ისტორიულ შემთხვევითობათა ან სხვა მიზეზთა გამო გამდნენ ასეთები. დიქტატორის განზოგადებული სახის ხატვისას გმირის წინაინსტრიის აღწერა, გარკვეულად, მისი ნიღბის მოხსნას ნიშნავს, რაც ავტორის აზოცენას არ შეეხებაშეება. ეს გვაიძულებს, ზედმეტ ან, უკეთეს შემთხვევაში, მეორეხარისხოვან დეტალად ჩავთვალოთ ღუმა ბალიაურის სახიელვარული თავგადასავალი.

მწერალი, რომდენიმე გამოსაკლისის გარდა, ყველგან იცავს რომანის ავტორის ამ ხაზს: ჩვენ-თვის უცნობია გიორგი ბალიაურის შინაგანი განვითარების გზა. მარტოოდენ ძალაუფლების მოყვარეობა ამოძრავებდა მას თუ კიდევ რაღაც სხვა ფაქტორმა ზესახოვა გადამწყვეტი როლი? ამ საკითხთა იგნორირება სავსებით კანონზომიერია იმ პრობლემათა მხატვრული ხორცშესხმისას, რომელთაც ეძღვნება თ. ბიბილური რომანი.

გიორგი ბალიაურის ტრაგედია შეიძლება თითოეული ჩვენგანის ტრაგედიად იქცეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ადამიანის წინაშე დგას საკუთარი მისწრაფებების შეუსაბამო განხორციელების საშიშროება, როდესაც გარკვეული სოციალური როლი ისე იმოქმედებს მას, რომ თავისუფლებას უკარგავს. განსაკუთრებით ეს ეხება ძალაუფლების მოპოვების მისწრაფებას, „მე"-ს თვითდამკვიდრებისა და განდიდების ისეთ გზას, რომელიც ყველაზე მარტივია თავისი ფორმით — საკმარისია, შენი ნება თავს მოახვიო სხვა ადამიანებს, მათზე მეუფებას მიაღწიო, რომ თვითდამკვიდრების ყველა სხვა ხერხი თითქოს უსარგებლო ხდება. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხელსაყრელი, როდესაც ადამიანს ძალაუფლებით ტკბობა ძალუძს, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც პიროვნება ძლიერია თავისი სიმარტივით და ეს სოციალური როლი მისთვის ორგანულია, მის ეშმპარიტ „მე"-დ გადაიქცევა.

მაგრამ თუ დიქტატორის თვითშეგნება ხაკმარისად ძლიერია, მაშინ მას ვეღარ დაეკმაყოფილებს ძალაუფლება. სხვა არა იყოს, ძალაუფლება საბოლოო ინსტანციაა, რომელიც პიროვნებას განვითარების საშუალებას უსპობს. მისი მიღწევისას სულს სიცარიელე მოიცავს. რადგან ძალაუფლების განმტკიცება ან გაფართოება თვით დიქტატორს არაფერს მაკლებს — ეს ისევ ძალაუფლებაა და სხვა არაფერი.

დიქტატორს, რომელმაც საჭადელს მიაღწია, ისევ დარჩენია, რომ შეეგუოს თავის როლს. თუ მისი შინაგანი სამყარო კვლავ მარტივია, მას მხოლოდ დაუკმაყოფილებლობა შეიპყრობს. მაგრამ თუ მან თვალი გაუსწორა თავის ქვეშევრდომებს და მათში ადამიანები, პიროვნებები — თუმცა ნებაწარმეობენი — დანახა, მაშინ შიში დაეუფლება, შიში არა მარტო მათ წინაშე, არამედ თავისი თავისა და თავისი სოციალური როლის წინაშე.

გიორგი ბალიაურსა და „კითხულის" ნიღაბსაც შიში ეშორება. უკვე დიქტატორი კი ადარ ფლობს, არამედ თვით მასზე ბატონდება შიში. შემდგომ კი — ამ შიშის განსახიერება — ბორჩლა: „მერე რა, რომ ახალგაზრდა კითხული

თამარ ლომიძე
ძნელი გზა ლეგენდისაკენ

სოფლის წინაშე ჭიქურად წარხდება, ერთბაშად გაიხსნა ხელ-ფეხი, დაწყვეტა არტახები, რომლითაც ბორკავდა უწყენარი მანგია ბალიაური შვილს და ფიცები ულაყივით გაგარდა ველზე. ულაყი არ იყო უნაღვლელი. უშიშის, უხორცოსა და უსულის, იმ წუთიდანვე, როგორც კი მანგია ბალიაურის ცხედრთან მდგარმა გადახედა კართან მოწოლილ თავის მომავალ სამწყსოს, შიშმა სტაცა ხელი.

ეს მანამდე განუცდელი გრძნობა იყო: შიში! და შიშმა შეიპყრო ჩემი მეგობარი".

გარეკანამყარობაში და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების ფორმად შიში გადაიქცა მაშინვე, როგორც კი გიორგი ბალიაურმა თავის ბუნებრივ მისწრაფებებსა და ლტოლვებს სოციალური ფუნქცია დაიკისრა, თავისი ძალა — ადამიანების წინააღმდეგ მიმართა. შიშის წარმოშობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნება — „ լითხული" გიორგი ბალიაურის (ე. ი. ყოველი ადამიანის) ინდივიდუალური თვითმყოფობის უარყოფაა, მისი დამთრგუნველია. ამგვარად, იქ, სადაც სოციალური და ინდივიდუალური ურთიერთის უარიოსპირდება, აუცილებელია ტრაგედია; ისინი კი მაშინ უარიოსპირდებიან ერთმანეთს, როდესაც ადამიანი თავისუფლებას კარგავს.

აქ, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობას ვაწყდებით: გიორგი ბალიაურს ხომ განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, თითქოს აბსოლუტურად თავისუფალია, მის ნებას არაფერი ზღუდავს. მაგრამ, რომანის ავტორის აზრით, ძალაუფლება და პიროვნული თავისუფლება ურთიერთს გამორიცხავენ. ნეშმარიტი თავისუფლება საკუთარი თავის ფლობაში გამოიხატება, რაც, ფაქტიურად, მთელი სამყაროს ფლობასაც ნიშნავს — თავისუფალი ადამიანი ყველაფრის ბატონ-პატრონია. პირიქით, ქერი საგნების ან ადამიანების დასაკუთრება ამცირებს, საზღვრავს პიროვნებას და მისი გაუცხოების მიზეზია. ამიტომ լითხული დამოკიდებულება მისი სამფლობელოს და თავისი თავის მიმართ ირონიითაა გაშუალებული: გრძნობს, როგორც შეუსაბამია მისი ხორცელება და მისივე ძალაუფლების ობიექტი: „სოფელმა არ იცოდა, რომ լითხული დასცინოდა სოფელს".

ეს ირონია მხოლოდ სოფლისკენ რომ იყოს მიმართული, მხოლოდ სოფელი რომ იყოს მის თვალში უბადრკული, უმნიშვნელო, მაშინ լითხული გაზვიადებულ მასშტაბებში აღიქვამდა საკუთარ „მე"-ს, მაგრამ მას ეს უშუალო, მთელი მოლიანობა დაკარგული აქვს.

ისეთ ძლიერ პიროვნებას, როგორიც გიორგი ბალიაურია, თითქოს უნდა გაეგებდა თავის როლთან და თავის ბედთან შეეგიდეს, მაგრამ ამგვარი ლოგიკა ემპირიული ფაქტებისთვის არის დამახასიათებელი. რომანში წარმმართველია ზნეურის ხუბიერება, მისი აზროვნება, რომელიც ფაქტებს იხე განაზოგადებს, რომ ამ განზოგადებისას ახალ ლოგიკას მიმართავს, რომანის სამყაროს გარკვეულ პირობითობას უმიზეზებს. გიორგი ბალიაური, როგორც კონკრეტული ადამიანი, მხოლოდ იგულისხმება და ამიტომ მხოლოდ „լითხულის" როლში გვეძლინება. მისი გამოსვლა როლიდან დაარდვევდა ნაწარმოების სტრუქტურას. გარდა ამისა, რომანში ახასიათი მოვლენები მეტად თავისებური ხასიათისაა: ფაქტიურად, მასში ՕՐԱՏՈՒՐԻ ՕՐ ԽԶՈՒՆ. მოვლენათა გარეგნული განვითარების შეჩერება იმით ხერხდება, რომ ავტორს ერთ-ერთ პერსონაჟად შემოაყვანს გიორგი ბალიაურის პერსონიფიცირებული „შიშ"-ი — ხირჩლა, რომ ამიტ ზისიმე ფლდლის მიერ გადმოცემული ამბავი რეალისტასთან ყოველგვარ კავშირს კარგავს. კონფლიქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, გარეგანია, სინამდვილეში შინაგანია: წინააღმდეგობა დიქტატორსა და ხირჩლის შორის გიორგი ბალიაურის სულში მიმდინარეობს, ხოლო ნაწარმოებში აღწერილი სამყარო — შინაგანი, სუბიექტური მოვლენების სამყარო, გარკვეულად, ფანტასტიკაც, რადგან მასში ხირჩლა მოსაწყლეთაბ.

ხირჩლას გამორჩენა იდუმალებითაა მოსილი: „არავინ იცის, საიდან მოვიდა ხირჩლა. თითქოს ცოდან ჩამოვიდა და თავისი ადგილი შინაურივით დიაბერა. სოფელს ალარაფერი უკვირდა, მაგრამ ხირჩლას გამოჩენა — ისე, თვალდაწ�wა ცოდან ჩამოსვლა, სოფლის თვალში მაინც გოაცების და შიშის საბაბი გახდა". ახევე, განზრახ გაურკვეველი შტრიხებითაა დახატული გიორგი ბალიაურის ვაჟის მიერ ხირჩლას მოკვლის ეპიზოდი: „ეიდერე სოფელი გონს მოეგებოდა, — მოგვითხრობს ზისიმე ფლდელი, — იმ ადგილს ადგავებმეზე, სადაც პატარა გიორგი ბალიაურის ტყვიით განგმირული ხირჩლა მეგულებოდა. იმ ადგილზე, ნახშირსა და ნაცარში, განგმირული გვამის ნაცვლად ერთი ნაბდისძველი ეგდა... ხირჩლა თითქოს არცა ყოფილა, თითქოს მის ნაცვლად სატანა დაძრწოდა ანრიდილივით და აჭაურობას თავის ნებაზე ეაატარებდა, თითქოს არც სახე ჰქონდა, არც ფეი, არც წარსული, არც მომავალი და ეს არსაითაან მოსული ანრიდილი ისევე გაქრა, როგორც მოვიდა".

მწერლის მსუფლმეხედველობის გამოვლენისთვის ეს მეტად არსებითი ფაქტია: ის ხირჩლას — ბოროტების განსახიერებას — არსებობის, ე. ი. დაბადებისა და სიკვდილის უფლებას ართმევს — ბოროტება არასუბსტანციურია. ხირჩლას ახეთი დახასიათება მკაფიოდ წარმოაჩენს რომანის ავტორის მსოფლმხედველობის ჰუმანისტურ პათოსს, მხატვრულ პლანში კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს კონკრეტული პერსონაჟი კი არაა, არამედ — ბოროტების განზოგადებული სახე. ხირჩლის გამოჩენის საფრთხე ყოველთვის არსებობს: „რად დაგდევს

ყველას თითო ხირჩლა, სადაც არ უნდა წავიდეთ და სადაც დავიმალოთ?".

რომანში გვხვდება განმარტებადი სიტყვაცნებებები—მარტოობა, შიში, ამბავი, რომელიც ხშირად ერთსა და იმავე ადგილში ტრიალებენ, ამით დამოუკიდებლობას იძენენ და გაიაზრებიან, როგორც ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი ქვაკუთხედი. მათი მეშვეობით აღიწერება არა ადამიანის ყოფიერება საზოგადოდ, არამედ თავისუფლებასაკარგული პიროვნების მსოფლაღქმა.

ყოველივეს დასაკუთრების ლტოლვამ ის შედეგი გამოიღო, რომ ერთადერთი საკუთრება, რომელიც კითხულს დარჩენია, ესაა შიში, როდესაც გიორგი ბალიაურის ცოლი გამოთქვამს შიშს ხირჩლას წინაშე. კითხული შეიძულებს ცოლს, რადგან მას წაართვეს უკანასკნელი საკუთრება, ხმამაღალი გამოთქვეს და ცოლის ხაყვარული და ზზრუნველობა მეუღლის მიმართ ამ ეგზისტენციალურ უუპველობას ანიშნებს.

კითხულის ხედვია მარტოობა. ამ მარტოობას შიში და ამბავი განსაზღვრავენ: „ხირჩლა... ჰირდილეთით დასდევს, რათა კითხულის მარტოობაც არ იყოს ეგზისტენციალური მარტოობა". ეგზისტენციალური მარტოობის მაშინ მოიპოვებს კითხული, როდესაც შიში და ამბავი — შიშის ამბავი — დასრულდება.

„ეკმი" — ამბავი, როგორც ალეგორია, განსხვავდება „ეკმ"-მოგონებისგან. პირველი მათგანი, მწერლის კონცეფციის მიხედვით, უფრო კერძოობითი ხასიათისაა, ვიდრე მეორე. ამ ცნებებით დროის მონაკვეთების მეტ-ნაკლები ხანგრძლივობა კი არ გამოიხატება (რადგან დრო რომანში, ერთგვარად, გაყინულია), არამედ გიორგი ბალიაურის ყოფნა „კითხულის" როლში და მისი განთავისუფლება. როდესაც მწერალი აღნიშნავს, რომ ხირჩლა ამბის აქტიური მონაწილე და მისი სულისჩამდგმელია, კიდევ უფრო აშკარად ვლინდება „ამბის" ცნების ბუნება: „ხირჩლაც ამ ამბის მონაწილესავით მოგვევლინა, — გვაუწყებს ზოსიმე, — რომელიც წინასწარ მჭიდნა ნაკოფსები. მე არ მჭიდნიბოდა ამ კაცის თანდათანობით გაცნობა, უფრო და უფრო ღრმად ჩაწვდომა მის ბუნებაში. ჩემთვის ყველაფერი ილესვითი იყო ნათელი. ეს კაცი სამოკმეფოდ შემოვიდა. ე კაცი დატრიალებული ამბის შუაგულში უნდა ყოფილიყო".

(ზოსიმეს ეს ცოდნა არ განსხვავდება ცოდნისგან გიორგი ბალიაურის შესახებ. მისი შემეცნების საგანი კვლავ კითხულია, ხირჩლა კი გიორგი ბალიაურის კუთვნილებაა, მისი შაშია. გიორგი ბალიაურში ზოსიმესთვის არაფერია უცნობი).

ამბის დასაწყისი და დასასრული ერთ კვანძში იკვრება, როდესაც დგება „ეკმი" — მოგონები. აქ ყოველივე კერძოობითია, მათ შორის, რომელიც „ამბავი", უხასრულობაში იძირება, სადაც წარსული და მომავალი განუსხვავებელია. ამაზე უშუალოდ არის მითითებული „ეკმ"-ების დასაწყისში: „ეკმი! ეკმი, ეკმი! ... სიტყვა-ღა ცვიოდა სათოფურებიდან. ეს იყო ამბის დასაწყისი, მაგრამ ამ ერთმა სიტყვამ თითქოს ამბის დასასრულიც გვაუწყა".

ეს მოგონება უხასრულოდ გრძელდება. უხასრულოდ — იმიტომ, რომ ამბავი შემთხვევითია, დროებითი — ადამიანის განუსაზღვრელ თავისუფლებასთან და კეთილი საწყისის მარადიულობასთან მიმართებაში. შემთხვევითი არაა, რომ რომანის დასასრულს „ეკმი" — მოგონები ლეგენდარულ პლანში გადადის, ე. ი. გიორგი ბალიაურის მიერ მოპოვებული თავისუფლება და ეგზისტენციალური მარტოობა უკიდურესად განზოგადებულ სახეს ღებულობს: „მოხუცები... ყველას უამბობენ თავიანთი სოფლის ამბავს. ბოლოს კი ატყვეთან, რომ გიორგი ბალიაური და ზოსიმე მდგადელი დდესაც მიდიან წეთისოფლის აზაზე, დდესაც ეძებენ ერთმანეთს და ვერ უპოვნიან; ხირჩლა სადღაც არი მიმალული და არავინ უწყის, ხვალ რომელ სოფელში გამოჩნდება ან ვის სულში ჩასახლდება. თეთრ ცხენზე ამხედრებული ჭაბუკ გიორგის კი ამას წინათაც გადაუვლია ქედის თავზე და იხეკ გამქრალა... ბებრები იმედი აქვთ, რომ ჭაბუკი გიორგი კვლავ გამოჩნდება..."

თეთრ ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი გიორგი ალბათ გიორგი ბალიაურის განთავისუფლებული სულია, ვინაიდან ეს კითხულის რეალური ფალი არაა — თხრობა ლეგენდარულ პლანში მიმდინარეობს.

კითხულის ტრაგიკულ პიროვნებასთან განუწყვეტელ შინაგან დიალოგს აწარმოებს მისი ცოლიერების ალმწერი, მისი ბედის თანაზიარი — ზოსიმე მდგადელი. ზოსიმეს ეკლესია არა აქვს. მისი სამლოცველო ამბავია, რომელშიც ის ერთი-ერთი, თუმცა არაკეკტიური მონაწილეა.

ზოსიმეს ცნობიერებაში ურთიერთს უკავშირდება ორი წარმოდგენა: ოდესაც, სიყმაწვილეში, მან იხსნა გოგონა, რომელიც სოფელმა განდევნა პურის მოპარვისათვის. ამბის მსვლელობის განმავლობაში ზოსიმე მოუთმენელად მოელის „ეკმ"-მოგონებს, როდესაც მას შეეძლება მეგობრის შეელა. გიორგისა და დევნილ გოგონას ზოსიმე აკავშირებს იმ შაშის მიხედვით, რომელსაც ისინი განიცდიდნენ სოფლის მიმართ. კითხულის შეელასაც მაშინ შეძლებს მდგადელი, როდესაც მისი მეგობარი განდევნილ საფრთხის წინაშე დადგება და ამით განთავისუფლება სოფლის ტყვეობისგან.

თითქოს გაუგებარია, რატომ არ ეხმარება ზოსიმე სოფელს, რატომ არ ითავისუფლებს კითხულის ძალაუფლებისგან?

თამარ ლომაიძე
ძველი გზა ლეგენდისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამბის ფარგლებში ზოსიმე უძლურია, დაეხმაროს სოფელს. ისევე, როგორც გიორგი ბალიაურს. როდესაც დადგება „ჟამი"-მომენტი, ე. ი. როდესაც კითხული განთავისუფლდება ზეშისგან. ხოლო სოფელი — კითხულისგან, მაშინ დადგება სიკეთის დრო, მისი ჟამი. მხოლოდ თავისუფალს აქვს უფლება სიკეთისა. ასეა რომანში გადაწყვეტილი ეს ზნეობრივი პრობლემა.

რომანის კომპოზიციურ მთლიანობას თითქოს არღვევს ზოსიმეს მიერ მონასტერში გატარებული დროისადმი მიძღვნილი ეპიზოდები. კითხულის ცხოვრების აღწერისას მისი „მემატიანე" საკმარისად ახასიათებს საკუთარ თავს — სოფლისა და კითხულის მიმართ თავისი დამოკიდებულების გამოვლენისას. საჭირო აღარაა მეტი მიაღლება მასთან, ვინაიდან ესაა მხოლოდ ᲐᲦᲬᲔᲠᲘ. და არა მოქმედი პირი. ის კიდევ უფრო მეტად უნდა იყოს შეფარებული თავის ნიღაბს, ვიდრე გიორგი ბალიაური. მისი პასიური როლი ᲐᲛᲑᲐᲕᲨᲘ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზოსიმე ჩვენს თვალწინ გათამაშებული „ტიპი", „ავტორია", რომელიც სცენის სიღრმეში უნდა იყოს მიმალული — თავისი ფუნქციის მიხედვით.

ნაწარმოების ემოციური ზემოქმედების ძალა ალბათ მეტი იქნებოდა, რომ მისი გმირები უფრო კონკრეტულები იყვნენ, მათი ნიღბები — უფრო გამჭირვალე, რომ თვალნათლივ ᲒᲐᲒᲘᲜᲐᲗᲐ ის რეალური ტრაგედია, რომელიც გიორგი ბალიაურმა განიცადა. ახეთ შემთხვევაში ზოსიმე-აღმწერი ზედმეტი აღმოჩნდებოდა და თხრობა მესამე პირში ან თვით გიორგი ბალიაურის მიერ წარიმართებოდა. მაგრამ ის გზა, რომელიც თ. ბიბილურმა აირჩია, მეტი განზოგადების საშუალებას იძლევა, ნაწარმოებს უფრო მასშტაბურს ხდის, ხოლო მის სტრუქტურას — უალრესად საინტერესოს და მრავალლანიანს.

„ჟამი კითხულისას" რთული და ახლებური ფორმა განსაზღვრა ავტორის აზროვნების სიღრმემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა ხორნაული

„ორი ცა“

პოეზია არც მხოლოდ სიხარულია და არც მხოლოდ ტკივილი; მის იდუმალებით მოცულ სამყაროში ერთიც იგულისხმება და მერეც... ამ ორ, მარადიულ ცნებას შორის ზღვარი წაშლილია, ისინი — ტკივილი და სიხარული ერთმანეთს ავსებენ და ამშვენებენ. ერთმანეთის წიაღიდან ამოაკვნ განაძ. როდესაც ნიჭიერი მწერლის სამყაროში შედიხართ, რწმუნდებითო, რომ ტკივილი და სიხარული სიცოცხლის ორი ულამაზესი მხარეა და ადამიანებს ძალიან ხშირად ორივე მხარეში ერთდროულად უხდებათ მოგზაურობა...

სწორედ ამ ორი, ერთმანეთისაგან განუყოფელი გრძნობის გამოძახილია თეიმურაზ აბულაძის ახალი პოეტური კრებული „ორი ცა“, რომელიც ახლახანს გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“...

„ორი ცა“ შემთხვევით არ დაურქმევია ავტორს თავისი ახალი წიგნისათვის; ამ სათაურის სიზუსტეს და ლოგიკურობაში გვარწმუნებს თვითონ წიგნის ხასიათი:

ცა — სიხარულის და ცა — გლოვისა.
ცა — სიკეთის და ბოროტებისა.
ცა — ზესკნელისა და ქვესკნელისა.
ცა — დაბინდული და მოკამკამე.
ცა — აქაური და მიღმიერი...
ცა... ცა... ცა...

ადამიანის სულიერ სამყაროში ჩაღრმავება და იქ არსებული შუქისა თუ ჩრდილის სამზეოზე გამოტანა არასოდეს ყოფილა ადვილი... ეს პროცესი მით უმეტეს ძნელია ახლა, როდესაც ეპოქის ნერვიული და ტკივილამდე აჩქარებული რიტმი თუ გლობალური მასშტაბების ზომაცველი პრობლემები უფრო და უფრო აფორიაქებენ თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროს და, თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაშინ უკვე ცხადი გახდება იმ გზის სიძნელე, რომლის ერთგულ პოეტსაც მკითხველის სამსჯავროზე გარითმული ლოზუნგები კი არ გამოაკვნ, არამედ ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც ჩვენი თანამედროვის წინააღმდეგობებით ალსავსე სულიერი ბიოგრაფია იქნება ახალული.. უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ აბულაძე ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებს აღწევს... მის ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ:

სხვადასხვაგვარად ძინავს:
ჯალათს, მეძავს, მეფეს და პოეტს,
ზოგიერთთის ძილს
იერი აქვს ახალშობილის,
ზოგიერთისას — კატორღიდან გამოქცეულის...
სიზმარი — ძილში დამწყვდეული
სულის კრთომაა...
ესიზმროდ ძილი კი — ცარიელს ჰგავს
საცსეობასს...

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ არა მარტო ერთმანეთისაგან განსხვავებულ ადამიანთა სახეებს ეხედავთ, არამედ ამ, ასევე ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯზებსაც, რომლებსაც ეს ადამიანები ცხოვნ ადგანან... ე. ი. მკითხველსა და ავტორს შორის სასურველი, თუმცა ძნელად მისაღწევი, კონტაქტი დამყარდა; ეს კი, ბუნებრივია, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორის ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო...

ნებისმიერი ნიჭიერი მწერლის წიგნს გააჩნია თავისებური, მისთვის დამახასიათებელი ქვეტექსტები, მაგრამ არსებობს ერთი ქვეტექსტი, რომლითაც ყველა წიგნი ერთმანეთს ენათესავება... მათ შორის, უნდა ვიგულისხმოთ თეიმურაზ აბულაძის ახალი კრებულიც; ეს საერთო ქვეტექსტი კი დაახლოებით ასე გამოთქმის: ადამიანი სიცოცხლისათვის, სიყვარულისათვის დაბადა...

ჩვენს საუკუნეში პოეზიას მრავალჯერ უწინასწარმეტყველეს სიკვდილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ სიყვარულსაც, რომელიც პოეზიის უსამაზეს სათავედაა მიჩნეული, იგივე განაჩენი გამოეტანეს, და ამ დროს, ბუნებრივია, პოეტმა ერთ-ერთმა პირველმა უნდა სცადოს საწინააღმდეგო აზრის დამტკიცება; მან უნდა გამოაფხიზლოს ადამიანები და შეახსენოს, რომ ცათამბჯენებით დამძიმებული მხარეების მიღმა ჯერ კიდევ არსებობენ ყვავილოვანი მინდვრები

და ანკარა ნაკადულები, რომლებიც სიყვარულის მარადიულ სიმღერებს მღეროდნ...

სიყვარული ისეთი სასწაულია, რომლისთვისაც ადამიანებმა, თუ მაგრია, მსხვერპლიც უნდა გაიღონ, რადგან ბედნიერება ისეთი მგზავრია, რომელიც მხოლოდ სიყვარულის ბილიკებით მოდიხ...

თეიმურაზ ახულაძე გრძნობს, რომ მეოცე საუკუნე სიყვარულის ცას მოწყვეტილი ადამიანების სიმრავლითაც ხასიათდება, ალბათ, ამიტომაც ამბობს საყვედურითა და შეშფოთებით:

რა მდაბიური წყენენია: — ძილი გამიტყდა!
ძილის გატყდომა?!
გული, გული უნდა გაგისკდეს
სიხარულისგან...
სიყვარული თუ მოგვახლა
ამ თავაწყვეტილ,
ამ ეახური ჯგლეთა-ვნიანში...

დღეს, როდესაც ჩვენი თანამედროვე მის მიერვე შექმნილმა საგნებმა დაიმორჩილეს, როდესაც ადამიანი ახე გაუცხოდა და გულგრილი გახდა, როდესაც ჯერ კიდევ ფეხაუდგმელ ბავშვებს ეკრანებიდან ტყვიების წვიალი და ცეცხლში მოკლნაგე კვდილების ჭრიალი ესმით, უთუოდ საგულისხმოა თეიმურაზ ახულაძის სიტყვები:

სანამ დროა,
ჯერ კიდევ სანამ არ ასვეია
სვავთა გუნდი იმედებს —
შორი ბინდით შემკრთალებს...
ჩვენი ყოფნა ისედაც ორი პარასკევია, —
გავეფერთხილდეთ ერთმანეთს!
გავეფერთხილდეთ ერთმანეთს!

სანამ დროა,
ჯერ კიდევ სანამ ცოცხლობს ზღაპარი,
სული სულს ლევს სულისთვის,
სული სულთან ნეტარებს,
ცისკრებს შელმვების სანამ დაკკრავს
ზამთარი, —

მიეკუთხენოთ ერთმანეთს!
მიეკუთხენოთ ერთმანეთს!

ძველისაველი ჭეშმარიტებაა: ადამიანი იმ ქვეყნის ნაწილია, სადაც დაიბადა, სადაც მისი წინაპრები განისვენებენ; ამიტომ ადამიანის სიყვარული მამულის სიყვარულსაც გულისხმობს, მამულის სიყვარული კი ის ღვთიებრივი სინათლეა, რომელშიც მდგარი ადამიანები უფრო ცხადად ხედავენ, როგორც წარსულის ჭრილობებს, ასევე კი აღმართებსაც, რომლებიც მომავალში უნდა გადალახონ... მისთვის, ვინც იცის მშობლიური მიწის საბედისწერო თავგადასავალი, ვისაც წარსულის მწარე თარიღები მეხნიერებაში მოუშუშებელ ნატყვიარებად ჩარჩენია, ძნელია მამულზე ლაპარაკი; მან იცის: დიდი სიყვარულით იმ ვულკანიანთთან, რომელიც იშვიათად, მაგრამ ულამაზესი ბიძგებით შეგვახსენებს, რომ მისი ცეცხლი წმინდა და ჩაუკრობელია; სწორედ ასეთ სიყვარულს მოგვაგონებს თეიმურაზ ახულაძის ერთი პატარა ლექსი „მამულის მთები", რომელიც მთლიანად მოგვაყვავს:

ხომ უნდა მოწყდე მიწას ოდესღაც,
მოწყდე —
ზეცისკენ აწვდილი ფრთებით...
მაგრამ სად წასხვალ! —
გულზე როდესაც
მოპკენილი გაკვს მამულის მთები...

კაცობრიობა ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში იყო სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის მოწმე; ეს დიდი ბრძოლა არც გუშინ დაწყებულა და, ალბათ, არც ხვალ-ზეგ დასრულდება... ამ ბრძოლაში დიდი როლი ენიჭება მწერლის, ხელოვანის სიტყვას.

თეიმურაზ ახულაძე მტკივნეულად განიცდის სიკეთისა და ბოროტების გაუთავებელ შერკინებას; როგორც თვითონ ამბობს, მას სულს უწამლავს ბოროტების ისეთი გამოვლინება, როგორიცაა უმადურობა; ამ სენით დაავადებულ ადამიანებს, სამწუხაროდ, ბევრი რამ შეუძლიათ: „ფრენაც და ხოხვაც, ყალბი ღიმილიც და ყალბი ოხვრაც"... უმადურს შეუძლია მხსნელი ანგელოზი სასიკვდილოდ გაიმეტოს, ხათნიების ყანაში ხანძარი გაანაოს, წმინდა მდინარეს ზხამი შეურიოს... დასანანია, რომ უმადურობამ ბევრი მოურჩენელი ჭრილობა დაუტოვა კაცობრობას; ამ მძიმე ჭრილობებს შეგვახსენებს თეიმურაზ ახულაძე ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „ფრენა":

ო, უმადურნო! უმადურნო!
თქვენ არ იყავითო?! —
დიდ ბეთაოვენს, რომ ათქმევინეთ:
— ადამიანებო,
სამუდამოდ დამნაშავე იქნებით ჩემთან!
რა ქვესკნელები,
ჯურღმულები უნდა გაეკლო
ამ პანგთა მეფეს, რომ ეს კვნესა,
ეს მოოქმა ეთქვა!
თქვენ ათქმევინეთ უტაბლეს კაცს,
თქვენ ათქმევინეთ უმწარესი სიტყვები
სიმწრეო:
— ფეოდორის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!
თქვენ არ ესროლეთ შუბლში ტყვია
ერის ბოდენ მამას?!

თეიმურაზ ახულაძის პოეზია ტკივილის პოეზიაა, მაგრამ ამ ტკივილს უიმედობის ირბენში მხარისკენ როდი მიმყავს მკითხველი; მისი ადამიანური ტკივილი იმედის ნისლულიდან გვეხაზება და არა ხასოწარკვეთილების ბურუსიდან... ეს ტკივილი, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ჩვენგანს გააჩნდეს, უკეთესი დღეების მოლოდინს აღძრავს და ერთხელ კიდევ გვგრძნობინებს, რომ ადამიანისათვის არაფერია შეუძლებელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ცხოვრება ეკლებზეა.
თუმცა ოცნება მარტო მზეა. —
ჩვენი პატარა ეკლესია
მაინც საიმედო მაღლობზეა...

პოეტური გულწრფელობა თანაბრად ახასიათებს დღემდე გამოცემულ მის ყველა კრებულს... მისი ხელწერა უბრალოა, ხოლო ამ უბრალოებას კი ის განპირობებს, რომ იგი ლექსს არ ამძიმებს ზედმეტი, უსარგებლო მხატვრული სახეებით; მის ახალ წიგნში არცთუ იშვიათია ისეთი ნაწარმოები, რომელიც, საერთოდ, თავისუფალია მხატვრული სახეებისაგან, მაგრამ თვითონ აღიქმება ერთ მთლიან ლოგიკურად დასრულებულ სახედ...

„ორი ცა" არა მარტო თემატური მრავალფეროვნებითაა საინტერესო, არამედ გამომსახველობითი ხერხების ნაირსახეობითაც; წინამდებარე კრებულში არის რამდენიმე უთუოდ საყურადღებო ლექსი, რომლებიც მის საერთო დონეს განსაზღვრავენ და გვაგრძნობინებენ, რომ თეიმურაზ ახულაძე საინტერესო თვალთახედვის მქონე პოეტია; ასეთი ლექსებია: „მღვიძარე სიზმარი", „სანამ დროა", „გიორგი მეცამეტე — საქართველოს უკანასკნელი მეფე", „ბედის ნაპირთან", „გაჩენის დღიდან", „სიყვარული თუ მოგეპალა!", „სიზმარი: — განწმენდა", „ჭართული სიმღერა", „არ მოკვდე, ძვირფასო!", „ფრენა", „ქუთაისში ერთი ღამის გათენება", „ცათა მიღმა... ცათა ციაგებს", „ცის დასასრულთან" და სხვა...

სარეცენზიო წიგნის ერთ-ერთ ლექსში („მღვიძარე სიზმარი") პოეტი ამბობს: „მე მოვდიოდი უბილავის ხილულად ხილვის წყურვილით ხავსე, შეპყრობილი და გათანგული"... მკითხველს სჯერა, რომ თეიმურაზ ახულაძის პოეტური შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არაა მთლიანად გამომჟღავნებული და „უბილავის ხილულად ხილვის წყურვილი" კვლავაც იკნება მისი მომავალი წარმატებების საწინდარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე

ნიკოლო მაკიაველი

ევროპული კულტურის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე პერიოდი, თავისი მნიშვნელობით რომ შეედრებოდეს იტალიური აღორძინების ეპოქას. ამ ეპოქის კარიბჭესთან დგას დანტე (1265-1321) გოლიათური ფიგურა, ვისი შემოქმედებაც აყვარებენს შუა საუკუნეების საფყარის და, იმავდროულად, ახალი დროის მაუწყებლადაც გვევლინება. საკუთრივ აღორძინებას კი იწყებენ ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374) და ჰუმანისტი ერუდიტების მთელი პლეადა, რომელთა გრანდიოზულმა ინტელექტუალურმა ქმედითობამ ესოდენ მოკლე ხანში შესძლო შუასაუკუნეობრივ ფასეულობათა მთელი სისტემის გადაფასება და ახალი გეზი მისცა იტალიური და არა მარტო იტალიური კულტურისა და ცივილიზაციის შემდგომდროინდელ განვითარებას. ცხოვრებისა და სინამდვილის ყველა სფეროში ერთიმეორის მიყოლებით ემბრიონან დრომოკმული ტრადიციები, ყველი ფორმები თუ დაწესებულებები ადგილს უთმობენ ახალს. ფილოსოფია თანდათანობით ზღუდავს და ანაგებს სკოლასტიკას, ხოლო სალმრთო წერილის ეპვშეუფვალ ავტორიტეტს თავისუფალი ეზროვნება ცვლის. იწყება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მანამდე არნახული განვითარება. საკმარისია დაკვახლილთ მათემატიკოსები — პაოლო ტოსკანელი (1397-1482), ნიკოლო ტარტალია (1500-1577), ჯერონიმო კარდანო (1501-1576); ანატომიხტები — ანდრეა ვეზელიო (1514-1564), რეალდო კოლომბო (1516-1559); ნატურფილოსოფოსები — პიეტრო პომპონაცი (1462-1524), ბერნარდო ტელეზიო (1508-1588). ლეონ ბატისტა ალბერტი (1404-1472). და ლეონარდო და ვინჩი (1452-1519) საფუძველს უყრიან კვლევის ექსპერიმენტალურ მეთოდს. სწრაფი ტემპით ვითარდება ვაჭრობა და მრეწველობა, რაც, თავის მხრივ, ახალი სამზღვრი ეზრის ძიების სტიმულად და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების განმაპირობებელ ფაქტორად იქცევა კოლუმბი (1451-1506) ამერიკის კონტინენტს აღმოვეს. გუტენბერგის (1397-1468) გამოგონება იტალიაში უფრო ფართო გახაკანს პოულობს, ვიდრე მის სამშობლოში ან ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, მკვეთრად აღმდგარი ანტიკური კულტურის საფუძველზე იქმნება პოეტიკური მეცნიერება; ჭრონიკა ადგილს უთმობს სამოკალაკო ისტორიას; იბადება ხარაინდო პოემა. XIII-XIV საუკუნეების დიდი ტალანტიანი მწერლების საჭმეს თანმიმდევრულად აგრძელებენ კვატროჩენტოსა და ჩინკვეჩენტოს პოეტები, ისტორიკოსები, ჰუმანისტები: ლოდოვიკო არიოსტი (1474-1533) და პიეტრო ბემბო (1470-1547), ფრანჩესკო ბერნი (დაახლ. 1497 1536) და ჯერონიმო ფოფანეგო (1491-1544), ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) და ფრანჩესკო გვიჩარდინი (1482-1540), პიკო დელა მირანდოლა (1463-1494) და მარსილიო ფიჩინო (1433-1499). ბრუნელესკი (1377-1446) ქმნის ახალ არქიტექტურას, დონატელო (1386-1466) — სკულპტურას. მაზაჩიოს (1401-1428) და ურიცეფ ტოსკანელი თუ უმბრიელი მხატვრის შემოქმედება გზას უხსნის მაღალი რენესანსის გიგანტებს — ლეონარდოსა და მიკელანჯელოს (1475-1564), რაფაელს (1483-1520) და ბოტიჩელის (1447-1510), ტიციანს (1477-1576) და ტინტორეტოს (1512-1594). იტალია ევროპის კულტურული მეცხრო ხდება. დანარჩენი ევროპენი ისეთივე განტვიფრებთია და შურის თვალით უყურებს იტალიური ხელოვნებისა და მეცნიერების ტრიუმფს, მის სიმდიდრეს და ფუფუნებას, როგორც ოდესღაც ბერძნული ბარბაროსები უთავლთვალებდნენ რომის დიდებას.

მაგრამ მთელი ეს ბრწყინვალებაც კი ვერ მალავს იტალიის ურიცხვ სატკივარს, მის სახლიან პრილობებს, მის ეროვნულ უბედურებას. უწინარეს ყოვლისა, ეს გასდავთ ქვეყნის შინაგანი გათიშულობა და დაქსაქსულობა. იმ დროს, როდესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში — საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისში, არსებითად, უკვე დამთავრდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა შექმნის პროცესი, — შინაგანი წინააღმდეგობებით დაღრღნილი, სამოკალაკო ომებით სისხლდაწრეტილი, საერთო ნაციონალური ინტერესების მოღალატე მთავრებსა და პაპების სასარგებლოდ ქცეული იტალია ურთიერთმოშუღლე წვრილ ფეოდალურ სამთავროებად თუ

თვითმმართველ რესპუბლიკებადაა დაჭუმაცებული: ვენეციისა და გენუის რესპუბლიკები და მილანის სამეფოდგო ჩრდილო იტალიაში, ფლორენციის რესპუბლიკა — მეფინენის სამფლობელო — შუა იტალიაში; პაპების სახელმწიფო შუა და ჩრდილო იტალიაში, სპოლეტოდან რავენამდე გადაკვეთილი; ნეაპოლის სამეფო სამხრეთ იტალიაში (სიცილიისა და სარდინიის ჩათვლით); სიენისა და ლუკის საკალაჭო რესპუბლიკები ტოსკანაში; მანტუის, ფერარის და პარმის სინიორიები (ეს უკანასკნელი 1545 წლიდან სამეფოდგოდ იქცა); სავოიის სამეფოდგო (1284 წლიდან პიემონტს ჩათვლით); სალუცოსა და მონფერატოს მარკიზატები... ეკონომიური, სოციალური თუ კულტურული განვითარების გამოგანვეშილი სიცოცხლე და სხვადასხვაობა; შინაგაშლილობების, დიპლომატური ინტრიგების, პოლიტიკური ავანტურების წარმოუდგენლად რთული ხლართი, — ასეთია მაკიაველის დროდინდელი იტალიური სინამდვილის ზოგადი სურათი.

ამ სამთავროებისა თუ რესპუბლიკების სათავეში არცთუ იშვიათად დგანან ძლიერი და უტიები პიროვნებები, — როგორც მაგალითად, მილანის მთავრები ფრანჩესკო სფორცა (1401-1466) და მისი ძმა ლოდოვიკო, მეტსახელად მორო (1451-1508), ან ფლორენციის მბრძანებლები — კოზიმო მედიჩი (1389-1464) და მისი შვილიშვილი ლორენცო მედიჩი (1448-1492), — რომლებიც თავიანთი გაშარიახმის, მოხერხებულობისა და გაჭნილი პოლიტიკის წყალობით ინდგებენ ხელში ძალაუფლებას და ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ინარჩუნებენ მას. მეფეებუ ბარეირების ოჯრო (მედიჩები) ავანტურისტი კონდოტიერების ხმალი (სფორცები), მდიდრდმთავრების ხარისხი (ბორგები) — ყველაფერი განურჩევლად ხმარდება სანუკვარი მიზნის მიღწევამ, მაგრამ როცა ეხეკარაა საკმარისი, ისინი უყოყმანოდ მიმართავენ ყველაზე ბინძურ საშუალებებს: მზაკვრობას, ვერაგობას, ღალატს, ხაწამალს, პროფეციონალ კაცისმკვლელებს, კონდოტიერთა ურდოებს, უცხოელთა ხამხელრო ძალას, იტალიელ მთავართა თითქმის ყველა საგვარეულოს ხამფალნი ხარცხვილნი დადად ანჩია უმაგალითო სისასტიკე. სიბილწე და მკრეხელობა, ძალადობანი და მკვლელობანი, სისხლისღვრა თუ სისხლის აღრეკა. ისინი ბხოლოდ ერთ კერპს სცემენ თაყვანს: ეს გახლავთ ძალა. ხამართლიანობა, პატიოსნება, ჭეშმეტრდმთა ღირსებანი და უფლებების პატივისცემა მათთვის მხოლოდ უაზრო და უშინაარსო სიტყვებია. „ძალაუფლება მისი ბოროტად გამოუენებია გარეშე მთელ თავის მოამბიბლელობას კარგავს". — მათზე უფრო აშკარად და გულახდილად, ალბათ, არავის უქმეია თავის ხამოქმედო პრინციპად ამ პოლიტიკური ფორმულის უტაცხი ციინაზი.

ერისმთავრებს ტოლს არ უდებენ, მეტიც, თავიანთი სიმდიდრით და სიბილწით ჩრდილავენ კიდეც მაკიაველის დროინდელი პაპები. სიქსტუს IV (1471-1484), ინოკენტი VIII (1484-1492), ალექსანდრე VI (1492-1503), იულიუს II (1503-1513), ლეონ X (1513-1521), ადრიანე VI (1522-1523), კლემენტე VII (1523-1534), რომლებმაც ხაგანის ხამსახურზე გაეცალეს მღვდელმოვეფუება. მკრეხელობა, ძარცვა-ყლეპა, ძალმომრეობა, — აი, მათი „წმინდა ხაგები". გადმოცემით, როცა ნეაპოლის მეფემ ფერდინანდ II-ეს იგივე ეხსენეთის მეფე ფერდინანდ V არაგონელი (1452-1516), რომელიც თავის სიმონ პოლტალიაში ეყოფნობოდა მის მიერ შეკმნილ ინკვიზიციას და „სან

ალმართა სამშობლოსა და ხარწმუნოების შეღწევა მგლოვიარე პირქუშმა მეამბოხემ ჯირილომ. ამ ხავონაროლამ (1452-1498), ხოლო ეფრიტელ პუმანისტთა ჯაზეპა, მათი ლიდერების — ეროს ზმეს როტერდამელისა (1467-1536) და ულრიპ ფონ ჰუტენის (1488-1523) მეთაურობით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ პოლიტიკური და რელიგიური რეფორმაციის წარმოპიდება, რომელიც „რეფორმაციის“ სახელითაა ცნობილი და რომლის სათავეშიც იდგნენ მარტინ ლუთერი (1483-1546) და ჟან კალვინი (1509-1564). რეფორმაციამ სახოლოოდ დაამხო „პაპების სპირიტუალური დიქტატურა“ და ალპების გადაღმა გადიიპანა არა მარტო რელიგიური ცხოვრების, არამედ ეფროპული კულტურის სიმძლის ცენტრიც.

ჭეეეენის შიგნით გამეფებულ პოლიტიკურ ჭაოს, კანონზომიერ მოვლენად ჭეეეენ უზურპაციის, განუწყვეტელ სამოქალაქო ომებს, ზდებიორების (პოპუოლანების) თუ დიდებულების (ნობილების) შეიქმნელებს და ამბოხებებს, კონფლიპტირების სიხსნილ თარეშს უშუალო შედეგად მოსდევს ეკონომიური კრიზისი, სოფლის მეურნეობის მოშლა, მანუფაქტურული წარმოების შეცირება, სამრეწველო კაპიტალის თანდათანობით გადაქცევა საკაზმო კაპიტალად, საზოგადოების პარაზიტული ფენების ადმოცვლა, ეპპრობის დაქვეითება, — ყველი ამ ხალვალო პროცესს უკიდურესად ამძაფრებს იტალიისათვის ძალზე არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარება: კონსტანტინოპოლის დაპობა (1453 წ). და ბიზანტიის ემპერიის ცენტალიზებული სახელმწიფოს შექმნა. ამიერიდან იტალიას ადმოსავლეთიდან გამუდმებით ემუქრეს თურქეთი, ჩრდილოეთიდან კი ხაფანგეეი, ესპანეთი, გერმანია, ეეეიეცარია. ყველას ანდამატივით იზიდავს იტალიის კრიალეზეეა, ნაყოფიერი ველ-მინდვრები, ეეეპრეზის და ბანკირების ოქრო, ხელოვნების სწორუპოვარი შედეგრები. ვინ გაუშვებს ხელიდან ეეოლენ ხანუკარსა და, თანაც, ეხოდენ ადვილად დასაფლეველი ნადავლს? რაკი ასეთი დაპპრობის თავი არა აქეს, ამიტომ თვითონ ენდა იქნეს დაპპრობილნი, — ახეთია ხასელმწიფოთა მაშინდელი ურთიერთობის მგლური ეპონა (თუმეა თვით ცნება „მგლური“ უკანლესი დროის ეკალეფიკეცია; XV-XVI ს. ხოლ სხვაგვარი თვალთახედვით ადეეეპდნენ ამ ფაქტს: „დაპპრობის ეიინ — წერს მაკიაველი — ხავხეთით ბუნებრივი და ჩვეულებრივი რა: გახლავთ; და ყოველთვის, როდესაც ამ ეინსა აყოლილი კაეი, რომელსაც მისი დაეეპრობის ძალი შესწევს, მას კი არ მეგმიენ, არამედ პირიქით აქებენ“. „მთელი ეეროპა ახე ხარბად და დაეინებით მოიწევდა იტალიის დასაპყრობად, როგორც ეკვარსნები ისწრაფოდნენ საღმრთო ომში“, — შენიშნავს პასკუალე ვილარი. პირველი დამპყრობელი საფრანგეთის მეფე შარლ VIII (1483-1498) გახლდათ, მას მოჰყვა ლეი XII (1498-1515), ფრანსუა I (1515-1547), ეხპანეთის ინეეეპატორ კარლს V (1519-1555), გერმანიის ინეეეპატორის მაქსიმილიანე I (1493-1519) გამანადგურებელი შემოსეეეები იტალიის მაშინდელი თავკაცნი არაფერად არ შეაკავშარა ბარეეეი მტრეეის პარპაშში, პირიქით, კიდეე უფრო გათიზა და ერთმანეთს დაუპირისპირა ისინი: „მეფე ლეი — წერს მაკიაველი, — იტალიაში ვენეციელთა პატეეეოვანი რეეოსან მოიყვანა, რომელთაც სურდათ მისი ეეეიზეეეეთ ეხარეეელათ და ნახეეეინო ლეოპარდი ჩაეგდოთ ხელში ლომპარდიის დაპყრობის შემდეგ მეფემ დაუყოეეენელივე დაიბრუნა ის ბალეეენა, რომელიც შარლის წყალობით დაკარგა. გენუა დათმობაზე წავიდა; ფლორენციელები მეგობრულად ამოუდგნენ მხარეეეზე მანტუის მარკეზს, ფერარის დუკას, ბენტეგოლების, ფურლელ გრაფინას, ფაენეცას, რიმინის, კამერინოს, პიომბინოს მბრძანებლებს, ლუკელთან, პიზელთან, სიენელთან, — ყველას მისი მეგობრობის მოხეეეეა სურდა და მაშინ ვენეციელებს შეეძლოთ თვალნათლივ დარწმუნებულიეეენენ, რაოდენ შლეეგური იყო მათი გადაწყვეტილება: მათ მხოლოდ ლომბარდიის ორი ოლქის ხელში ჩაგდება სურდათ, და იტალიის ორი მეხამეიდის მბრძანებლად კი აქეკეს მეფე!“

ყოველივე ამის შემდეგ ხავხეთი ბუნებრივია, რომ აგრესორთა შემოსეეეები — ე. წ „იტალიის ომები“ (1494-1559) აპენინის ნახევარკუნძულის სრული კრახით, მისი პოლიტიკური პრესტიჟის, ეკონომიური და ხამხედრო ძალიერების ხაბოლოო შემუსვრით დაგვიჩვენდა. ეს იყო „მეუტეკეეეული ხარეეეული“, უდიდესი ხაეეოხალური კატასტროფა, რამაც ეეროპის ყველაზე მოწინავე ქვეკეანა მოკლე ხანში მეორეხარისხოვან ხასელმწიფოდ, დაბეჩავებულ კოლონიად აქცია, რომელშაც შემდგომ მთელი ორასი წლის მანძილზე ვეღარ დაიღწია თავი უეხოლეოა ბატონობის უღელს. ასეთია XI XVI ს. იტალიის ტრაგედია, — ხისხლიანი დრამა, რომელიც უშუალოდ უნდა ბანეეეიკოდ. რომელშაც მილიონობით თვალხაჩინო თუ უჩინო თანამემამულეთხან ერთად თავიხი რილი უნდა შეეხრულეეინა „მთვარის“ ავტორს...

ნიკოლო მაკიაველი დაიბადა 1469 წლის 3 მაისს, ფლორენციაში, ბერნარდო მაკიაველისდა ბარტოლომეა და სტეფანო დეი ნელის ოჯახში. მაკიაველების ხახელოვანი ხავგარეული რომელშაც ფლორენციის რესპუბლიკას ხმა ეაახვა დროს ხიცა ცამეტი გონფალონიერი და ორმოცდაცამეტი პრიორი, ჯერ კიდეე IX ხაუკუნეში ვრცელ მამულებს ფლობდა ვალ დ ერეკეეეა და ვალ დე პეზაში, ფლორენციის მახლობლად. მაგრამ შემდეგ მაკიაველებმა თან დათანობით დაკარგეს ძველი გავლენა და ბერნარდო მაკიაველი მხლოდ და მხლოდ სასამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლის წვრილი [illegible] ულდა, მიხი მეუ ღლე — **პარტოლომეი და სტეფანო** ფლთიმო ნალი ქალი იყო. უცვრად მუხეკი და პოეზია ბედმოყოლეობის მიუხედავად, ეშმაღლებმა შეს ძლეს საფუძველი პირველდაწყებითი განა თლება მიეცათ შვილისათვის. პატარა ნიკოლი გულმოდგინედ სწავლობს წერა-კითხვასა და არითმეტიკას. ხოლო თორმეტი წლისა უკვ ლათინურად წერს თხზულებებს პოლო რონ ჩიელისეს სკოლაში. სიპაბუკეში წარმატებით ეუფლება იურიდიული და ეკონომიური მეცნიერებების საფუძვლებს და იმავე დროს, ხარ ბად ეწყობა: ძველ ბერძნულ, რომაულ და ტალიერ მწერლობას, ფილოსოფიას, ისტორიოგრაფიას: პლატონი და არისტოტელეს. თუ კიდიდე და პლიბიოსი. ციცერონი და პლინიუსი, პლუტარქე და ტაციუს ლივიუსი, დანტე და პეტრარკა. — ეჰ, მაში უსაყვარლესი ავტორები რომლებსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავის ბრძენ მრჩეველად და მასწავლებლად თვლის, ამ მხრივ, მიხი განსაკვლულობა თავისი ტროის დიდ ბუმანისტთა ეროდიციის დონეზე დგას.

1494 წელს იტალიაში შემოჭრილმა შარლ VIII-ს ფლორენციის მაშინდელმა მთავარმა — ლორენცო დიდებულის ძემ პიერო მედიჩიმ (1471-1503) უბრძოლველად დაუთმო რამდენიმე ციხე-სიმაგრე, რამაც საკოველთაო აღშფოთება გამოიწვია მის ქვეშევრდომთა შორის. უნიათო მთავარი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს და მოელი თავისი ოჯახითურთ ფლორენციიდან განდევნეს. მოკალაკეთა ერთ-ხულოვანი ნება-სურვილით აღდგენილ იქნა რესპუბლიკა, რომლის გონდალონიერადაც პიეტრო სოდერინი (1456-1513) აირჩიეს. 1498 წლის 19 ივნისს მაკიაველიმ ზმენის უმრავლესობით გაიმარჯვა კონკურსში და „დიდი სამბრძოლ“ დოკტორთ დანაშაულ იქნა რესპუბლიკის მეორე სამდივნოს კანცელარად. ეს იყო დიდნაშენები ლოვანი თანამდებობა. ფლორენციის სახელმწიფო მართვა-გამგეობის **სტრუქტურა** ორ სამდივნოს, ანუ კანცელარიას ითვალისწინებდა: სანიორთა სამდივნოს და მისაგან დაკვეთილებულ მეორე კანცელარიას, პირველი, რესპუბლიკის კანცელერის მეთაურობით, განაგებდა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მეორის იურიდიკენი კი სახელმწიფოს საშინაო საკმეებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ რაკი იმავე წლის 14 ივლისს მაკიაველი აირჩიეს ე. წ. „ათობა ხანგის“ მდივნადაც, მისი კომპეტენციაც ხამხელრო საკმის ორგანიზაციასა და საგარეო პოლიტიკის პრობლემებზედაც გავრცელდა.

თხუთმეტი წელი ემსახურა მაკიაველი რესპუბლიკას კანცელრის პოსტზე. ამ ხნის განმავლობაში მან დაწერა ოთხ ათასზე მეტი წერილი და მოხსენებითი ბარათი, უამრავი კონსულოგრაფია. ადმინისტრაციული განკარგულება, ხაზმეფრო ბრძანება; კიდით-კიდემდე შემოიარა თითქმის მთელი იტალია, ოცდაცამეტ ჯერ იყო საზღვარგარეთ: რესპუბლიკა ხანგრძლივ დიპლომატიური მისიით გზავნდდა მას იტალიელი მთავრებს, რომის პაპის. საფრანგეთის მეფეს, ბერმანიის იმპერატორის კარზე. „ფლორენციის კანცლერიისა და მოკავკაზის“ წინაშე გადაშლილი იყო ჭკოტურად ეროვნი სამყარო. — მისი ანალიტიკური გონებრივ, გამჭრიახი მზერიხა და მკაცრი ლოგიკისთვის ერთად ერთ საინტერესო ობიექტი. მაკიაველი შეუფლებელი ყურადღებით აკვირდებოდა, სწავლობდა იკვლევდა ხსოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებს, მათ არსებით ნიშან-თვისებებს, სახელმწიფოების ეკონომიურ საფუძვლებს, კანონმდებლობას. ხელისუფლების ორგანიზებს, მთავრობის, პაპების თუ მონარქების სასახლის კარის ცხოვრებას. კულისებს მიღმეო ინტრიგებს, დიპლომატიურ ხრიკებს, პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფების ფარულსა თუ აშკარა ბრძოლებს, მხედართმთავრების სტრატეგიკას, და ტაქტიკას, არმიების ბრძოლისუნარიანობასა, სამხედრო ტექნიკას, ხალხის მასებისა და სახელმწიფო მოღვაწეთის ქცევას ომისა თუ მშვიდობის დროს, ისტორიული კაკატელიზმების ბუნებას, ერთის სიტყვით, თითქმის ყველფერს, რასაც ესოდენ უზვად ხთავაზობდა მაშინდელი ევროპის სოციალურ პოლიტიკური ვითარება.

პარქტიკული პოლიტიკის პრობლემების კვლევისას მაკიაველის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ამ მხრივ, ნიშანდობლივია მისი ინსტრუქცია ეხსენეთის იმპერატორის კარლს V კარზე ფლორენციის რესპუბლიკის ელჩის — რაფაელო ჯირო ლამბისადმი: „...ფუნარეს ყოველისა, თქვენ უნდა შეიხვეწოთ იმპერატორის ხასიათი: თვითონ? მართოს ხახელმწიფოს თუ ხხვებს ანდო

თავის დიპლომატიურ მოღვაწეობაში მაკიაველი პირადად იყენებდა ამ წესებს, რომლებსაც სახელმძღვანელო პრინციპად უსახავს ჯიროლამის, ამის ნიმუშია იმპერატორთა აქციმილანელ I-ს. თუ ჩეზარე ბორჯას მისეული დახასიათებანი, რომელშიაც აზრის სიცხადე და გამჭრიახობა უშუალოდ ერწყმის მოღვაწეობის არსში უებრო წვდომის უნარსა და ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნას. პოლიტიკური მოღვაწეობის ფენომენ. მაკიაველის თვალსაზრისით, ეთიკის რეალური საფარო კი არ არის, არამედ რელიური. დროისა და სივრცის კონკრეტულ პირობებში არსებული, ცოცხალი, დინამიური და ერთიანად ცვლადი სინამდვილე. სახელმწიფოს მართვის ხელოვნება გულისხმობს მსოფლიოს მამოძრავებელი ურთიერთმოქმედებე ანტაგონისტური ძალების გაგებას, მათი ფარული მექანიზმის ცოდნასა და რეგულირებას. სახელმწიფო მოღვაწესაა კაცი, რომელსაც შეუძლია აწონ-დაწონოს ეს ძალები. დაიურვოს და საკუთარ მიზნებს მიუსადაგოს ისინი. სწორედ ამ ისტორიულ ძალთა თანაფარდობა განსაზღვრავს ხალხების ხიდიდეცხა თუ ხვედავსილობას, სახელმწიფოთა აღზევებასა თუ დაცემას და არა ჩვენი პლანეტის „საშინაო საქმეებში" ბედისწერია თუ რაიმე სხვა მისტიური და ზნეობრივი ძალის უშუალო ჩარევა. მაკიაველი გულდასმით აკვირდებოდა და სწავლობდა არა მარტო ცალკეულ სახელმწიფო მოღვაწეთა პიროვნებას, ხასიათსა და ბუნებას, არამედ მთელი სახელმწიფოების წყობილების, მათი განვითარების ეტაპებს და თავისებურებას. ასე დაიწერა ბრნი შრომები: „ფრანგულ საქმეთა სურათი", „ფრანგების ბუნებისათვის" (1503-1510 წ.), „მოხსენება გერმანიის საქმეთა მდგომარეობისათვის", „მსჯელობა გერმანიის საქმეთა გამო", „გერმანულ საქმეთა სურათი" (1508-1510 წ). რომლებშიაც მოცემულია გერმანიის იმპერიის და საფრანგეთის საქმეს ოლიტიკური თუ ეკონომიური ვითარება, მათი კულტურის, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების, საზოგადოებრივი სტრუქტურის, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების ზუსტი და ობიექტური ანალიზი. „მაკიაველი — წერს: ი. ბურკჰარდტი, — რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწარმოებში ვვოთავზოლს გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობისა და ხელოვნების ისეთ ზუსტ ახასიას, რომ ამ ქვეყნების მკვიდრი, რაგინდ კარგადაც უნდა იცნობდეს თავისი საშობლოს ისტორიას, ბრძანდა- ფლორენციელის მადლობელი უნდა იყოს ბინი ნათელი აზრებისათვის".

მაკიაველის ოლიტიკური ტრაქტატების კითხვისას ჩვენს განცვიფრებას იწვევს არა იმდენად მკაცრი ლოგიკა, მოელენების ამომწურავი ანალიზი ობიექტურობა, გულწრფელობა, მიუკერძოებლობა, რამდენადაც მძაფრი და ბობოქარი ენება, რომელსაც დაკვირვებული თვალი ძალდაუტანებლად ადმოაჩენს მისი მშრალი, საქმიანი და ლაконური სტრიქონების [illegible] მა, მისი ცალკეული პასაუების ქვეტექსტში. ჩვენს თვალწინ თანდათანობით იკვეთება კაცი, რომელიც პოლიტიკოთ ცოცხლობს. პოლიტიკოთ სულდგმულობს და პოლიტიკაშივე ხედავს თავისი ამქვეყნიური არსებობის ერთადერთ აზრს და დანიშნულებას. დიდ, პოლიტიკა მისთვის „ზზარტული თამაშია" კი არ არის არამედ თვითდამკვიდრების ისეთივე საშუალება, როგორც, ვთქვათ, მოქელნაქელისათვის — მარმარილოს „ცოცხა და უსმინეთ ლოდთან" თავგანწირული ჯიდილი, ან ლეონარდოსათვის — „ჯადოკრული ხიბლით მომღიმარე ბუნების" „დუმილებთა კვლეკა.

მაგრამ მარტოოდენ პოლიტიკას როდი ეკუთვნოდა მაკიაველის გული და გონება, მისი ენება და ნება. ის აღმერთებდა და მთელის არსებით თავყანს სცემდა კიდევ უფრო დიად ეტრას — თავის წმიდათა-წმიდა მამულს, თავის მრავალტანჯულ სამშობლოს. და ეს მაშინ, როცა ძალზე ცოტას თუ ადარდებდა „განადგურებული, გაპარტახებული, განძარცული, ფეზ1ვეზ1 გათელილი, თავდადასხმული და ბოროტთან გამწორებული" იტალიის ბედი. ადამიანის ძალების აზარად არათანაზომიერად კატასტროფით გაოგნებეული სული, კოშმარული სინამდვილის წინაშე პირისპირ დგომით შეძრწუნებული ცნობიერება გამოსავალს ან რეალობისაგან განეკენებულ მისტიკაზებსა თუ შუა საუკუნეების დროიმოკმული ინსტიტუტთა რეტროგრარებში ხედავდა (საეთნარო და მისი მიმდევრები), ან ჰედონიზმში, ცინიზმსა თუ ნიჰილიზმში დაეძებდა თავდავიწყებას.

